

შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

ISSN 1987-9571

ეძღვნება უნივერსიტეტის
დაარსებიდან 75-ე წლისთავს

შ რ ო მ ე ბ ი

I

კრეპულში წარმოდგენილია 2010 წლის 16-24 ივნისს გამართული
პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები



გამოიცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2010

„შრომები“
გამოდის 2010 წლიდან

სარედაქციო კოლეგია:

მერაბ ხალვაში - ასოც. პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი
(თავმჯდომარე);

ირაკლი მანველიძე - ასოც. პროფესორი, (რედაქტორი);

ბადრი გეჩბაია - ასის. პროფესორი, (პასუხისმგებელი მდივანი);

რეზო მანველიძე - პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკისა და
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის
ხელმძღვანელი;

მურმან გორგოშაძე - ასოც. პროფესორი, იურიდიულ
მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ასიკო ცინცაძე - ასოც. პროფესორი, ფინანსების, აღრიცხვის და
აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

გურამ ჩაგანავა - პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა
დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

რეცენზებები:

ევგენი ბარათაშვილი, სრული პროფესორი;

ვაჟა შუბითიძე, სრული პროფესორი;

ლევან ჯაყელი, ასოცირებული პროფესორი;

არჩილ ბერიძე, ასოცირებული პროფესორი.

ISSN 1987-9571

© შრომები

მისამართი:

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, უნივერსიტეტის II კორპუსი, სოციალურ
მეცნიერებათა დეპარტამენტი # 417

E-mail irakli.manvelidze@yahoo.com

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

Государственный университет Шота Руставели

Факультет социальных наук, бизнеса и правоведения

*Посвящается 75-летию
открытия университета*

ТРУДЫ

I

Серия социальных, экономических и юридических наук

Материалы научной конференции, проведенной
16-24 июня, Батуми 2010

Издательство „УНИВЕРСАЛИ“

Тбилиси

2010

**Сборник
«ТРУДЫ» выходит с 2010 года**

Редакционный совет:

*Мераб Халвази, ассоц. профессор (председатель);
Иракли Манвелидзе, ассоц. профессор (редактор);
Бадри Гечбаия, асис. профессор (ответственный
секретарь);
Резо Манвелидзе, профессор;
Гурам Чаганава, профессор;
Асико Цинцадзе, ассоц. профессор;
Мурман Горгошадзе, ассоц. профессор.*

Рецензенты:

профессор Евгений Бараташвили;
профессор Важа Шубитидзе;
ассоц. профессор Леван Джакели;
ассоц. профессор Арчил Беридзе.

ISSN 1987-9571

© ТРУДЫ

**Адрес: Грузия, Батуми, Ниношвили 35, II корпус университета,
департамент социальных наук №417.**

E-mail irakli.manvelidze@yahoo.com

Издательство “УНИВЕРСАЛ”, 2010

Тбилиси, 0179, пр. И.Чавчавадзе №19, **телефон:** 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

Shota Rustaveli State University

Faculty of Social Sciences , Business and Law

*To the 75th Anniversary of Shota
Rustaveli State University*

PROCEEDINGS

I

Social, Economics and Law Sciences Series

Materials scientifically Conferences

June 16-17, Batumi 2010

**Publishing House „Universali“
TBILISI-2010**

Issued since 2010

Editorial Board:

Merab khalvashi, A/Professor (*The Chairman*);
Irakli Manvelidze, A/Professor (*Editor*);
Badri Gechbaia, A/Professor (*Secretary*);
Rezo Manvelidze, Full professor;
Guram Chaganava, Full professor;
Asiko Tsintsadze, A/Professor;
Murman Gorgoshadze, A/Professor.

Reviewers:

Evgeni Baratashvili, Full Professor;
Vazha Shubitidze, Full professor;
Levan Jakeli, A/Professor;
Archil Beridze, A/Professor.

ISSN 1987-9571

© PROCEEDINGS

**Address: 417, The Department of social sciences, Shota Rustaveli
State University, 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia,**

E-mail irakli.manvelidze@yahoo.com

Publishing House „Universali“

Publishing House „universali“, 2010

Tbilisi, 0179, I. Chavchavadzis ave.. 19, **fax: 22 36 09, 8(99) 17 22 30**
E-mail: universal@internet.ge

გ ი ნ ა რ ს ი

СОДЕРЖАНИЕ

CONTENT

ირაკლი მანველიძე

საზოგადოების ინოვაციური მოდერნიზაციის
სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები საქართველოში 14

Иракли Манвелидзе

Социально-политические аспекты инновационной
модернизации общества в Грузии..... 19

Irakli Manvelidze

The Social- Political Aspects of Innovative Modernization
of the Society in Georgia 21

ინეზა ზოიძე

გენდერული ასპექტები მმართველობით
საქმიანობაში 23

Ineza Zoidze

Гендерные аспекты в руководящей деятельности..... 28

Ineza Zoidze

Gender aspects in supervising activity..... 29

ნაზარია ლაზბა

ეკონომიკური კონფლიქტები გლობალიზაციის პროცესში..... 30

Lazba Natalia

Экономические конфликты в процессе глобализации 36

Lazba Natalia

Economic conflicts in the course of globalization 37

ხათუნა დიასამიძე

ცივი ომის ისტორიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი 38

Khatuna Diasamidze

Некоторые вопросы историографии холодной войны 44

Khatuna Diasamidze

Some Questions Concerning the Historography of the “Cold War” 45

იზოლდა ბელთაძე	
ებრაელობა კაროლინგთა ეპოქაში.....	46
Izolda Beltadze	
Jews during an epoch Karolingov	53
Изольда Белтадзе	
Евреи в эпоху Каролингов	52
გურამ ჩაგანავა	
ისტერიული დამბლის ფენომენოლოგიური მექანიზმი	54
Guram Chaganava	
Phenomenological Mechanizm of Hysterical Paralysis.....	57
Гурам Чаганава	
Феноменологический механизм истерического паралича	58
ქეთევან ბერიძე	
ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქოლოგიური თავისებურებანი	59
Ketevan Beridze	
Психологические особенности детей жертв насилия.....	63
Ketevan Beridze	
Psychological features of violence on children.....	64
რუსუდან კეჭაკმაძე	
ბიოლოგიური და სოციალური სქესი (გენდერი)	65
Rusudan Kechakmadze	
Биологический и социальный пол.	69
Rusudan Kechakmadze	
Biologikal and social sex	70
რუსუდან ბერიძე	
შიგაპიროვნებისეული კონფლიქტები ნებისყოფის ჩამოყალიბების პერიოდში	72
Rusudan Beridze	
The conflicts inside the person during the volition formulation.	77
Rusudan Beridze	

Внутриличностные конфликты в период формирования воли	78
გურანდა შამილიშვილი	
ტელეურნალისტთა საქმიანობის შეფასების ეთიკური კრიტერიუმები.....	79
Гуранда Шамилишвили	
Этические критериумы оценки деловой деятельности тележурналистов.....	87
Guranda Shamilishvili	
Ethical criterions estimations of activity of TV reporters.....	87
იოსებ სანიკიძე	
გ. თუმანიშვილი - „ალმანახის“ რედაქტორი.....	89
Ioseb Sanikidze	
G. Tumanishvili - Almanakh`s Editor	93
რეზო მანველიძე	
ტრანსნაციონალური კაპიტალის როლი რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში	94
Резо Манвелидзе	
Роль транснационального капитала в развитии региональной экономики	99
Rezo Manvelidze	
The role of the transnational capital in development of regional economy	100
Бадри Гечбаия	
ИМИДЖ И БРЕНД КАК ИНСТРУМЕНТЫ ПОВЫШЕНИЯ ПРИБЫЛЬНОСТИ БИЗНЕСА	101
Badri Gechbaia	
IMAGE AND BRAND AS TOOLS OF INCREASE OF PROFITABILITY OF BUSINESS	107
გოდერძი შანიძე	
სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ბიზნესის ხელშესაწყობად	108

Goderdzi Shanidze	
Carried out activities by the state for supporting business	112
Годердзи Шанидзе	
Мероприятия развития бизнеса проведенные государством	113
ეთერ ბერიძე	
რეკლამის როლი მცირე ბიზნესში	114
Eter Breidze	
The Role of advertising in small business	124
მურმან ცეცხლაძე	
სიმდიდრისადმი დამოვიდებულება მსოფლიოს სხვადასხვა კულტურაში	125
Murman Tsetskhadze	
Attitude Towards Wealth in Different Cultures of the	137
Мурман Цецхладзе	
Отношение к богатству в различных культурах мира.....	137
И.Г.Алыев (Баку)	
О ХОДЕ АГРАРНЫХ РЕФОРМ И УСОВЕРШЕНСТВОВАНИИ ИХ УПРАВЛЕНИЯ В АЗЕРБАЙДЖАНЕ.....	138
ისა ალიევი	
აგრარული რეფორმის მართვის სრულყოფისათვის აზერბაიჯანში	144
Isa Aliev	
For the agricultural reform management perfection in Azerbaijan	144
ირმა ჩხაიძე	
საპენსიო სისტემის ფორმირების პრობლემები საქართველოში	145
Irma Chkhaidze	
Promblems of pensions sistems forming in Georgia.....	150
ფირა ცეცხლაძე	
ტურისტული ინდუსტრის განვითარების	

პრიორიტეტები	152
Цира Цеცხლაზე	
Приоритеты развития туристической индустрии	159
<i>Tsira Tsetsxladze</i>	
Priorities of Developing Tourist Industrial	159
დავით ქათამაძე	
საავტომობილო ტრანსპორტის მენეჯმენტის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში	160
<i>Davit Katamadze</i>	
Проблемы управления автомобильным транспортом и способы их устранения в Грузии	167
<i>David Katamadze</i>	
The problems avto transports management and the ways of its solving in Georgia	168
ლეილა ცეცხლაძე	
მცირე ბიზნესის დაფინანსების პრობლემები	169
<i>Leila Tsetskhladze</i>	
The Problem of financings in The small-scale business	175
Леила Цецихладзе	
Проблемы финансирования малого бизнеса	175
ვაჟა ვერულიძე	
სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება	176
<i>Vazha Verulidze</i>	
The Formation of Tax Policy of a Social State	180
ანზორ დევაძე	
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და ტურიზმი	181
<i>Anzor Devadze</i>	
Tourism and its impact on development of transport infrastructure	187

ასიკო ცინცაძე	
ვლადიმერ ღლონტი	
ტურიზმის დაზღვევა.....	188
Asiko Tsintsadze	
Vladimer Ghloni	
TURISM ENSURANCE	194
ირინა ვაშაკმაძე	
საბანკო დეპოზიტების დაზღვევა, როგორც რისკების მართვის მეთოდი	195
Irina Vashakmadze	
Banking Deposit Insurance as the Risk Management Method	199
ჯემალ ანანიძე	
სულიკო ფუტკარაძე	
გადამხდელთა უფლებები საგადასახადო ადმინისტრირების დროს არ უნდა ირღვეოდეს.....	200
Джемал Ананидзе	
Suliko Putkaradze	
Права налогоплательщиков не должны нарушаться во время налогового администрирования	205
Jemal Ananidze	
Suliko Putkaradze	
The rights of tax payers should not be broken under the tax administration	206
მურმან გორგოშაძე	
სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართების ევოლუციის საკითხისათვის.....	207
Murman Gorgoshadze	
К вопросу эволюции взаимоотношения гражданского общества и государства.....	214
Murman Gorgoshadze	
About the Evolution of Interrelations between the Civil Society and the State	214

გივი აბაშიძე	
ზოგიერთი საკითხი სისხლის სამართლის პროცესის უმთავრესი პრინციპის შესახებ	216
<i>Givi abashidze</i>	
Competitiveness in Criminal law Procedure	225
Гиви абашидзе	
Равноправие и состязательность сторон как начало	226
ირმა ბაგრატიონი	
ადრექტისტიანული ხელოვნების ესთეტიკური გააზრება	227
<i>Irma Bagrationi</i>	
Эстетическое осмысление раннехристианского искусства	231
<i>Irma Bagrationi</i>	
Aesthetic Understanding of Early Christian Art	232
დარეჯან გელაძე	
XXI საუკუნის განათლების სისტემა	233
<i>Darejan Geladze</i>	
Образовательная система XXI века	237
<i>Darejan geladze</i>	
The 21-st Century Education System	238

საზოგადოების ინოვაციური მოდერნიზაციის სრულიფიკაციური ასპექტები საქართველოში

ირაკლი მანველიძე

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების ინოვაციური მოდერნიზაცია საქართველოსში ეროვნული უსაფრთხოების, მისი სამომავლო განვითარების, თვითმყოფადოების შენარჩუნებისათვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილია, მისი უზრუნველყოფა სახელმწიფოს, მთელი საზოგადოების, თითოეული მოქალაქის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამდენად ინოვაციურ მოდერნიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლაც უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისაა. იგი ობიექტური აუცილებლობა და განპირობებულია მრავალი შინაგანი და გარეგანი ფაქტორით. ეს აუცილებლობა უფრო მეტად ძლიერდება დღეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარებიდან მოყოლებული საქართველოში დაგროვდა უამრავი გადაუქრელი პრობლემა, რომლებიც აშკარა საფრთხეს უქმნიან მის შემდგომ განვითარებას. მემკვიდრეობით მიღებული მწვავე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები იმდენად ფართო და სიღრმისეულია, რომ დღეს, ზოგიერთ შემთხვევაში, შეუძლებელიც კი ხდება მათი გამოსწორება ახლო და საშუალოვადიან პერსპექტივითაში.

ინოვაციური მოდერნიზაცია, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა და პროცესი, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში თანამედროვე ეტაპზე ვითარდება გულისხმობს მენარმეების, ინტელიგენციის, ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების, მუნიციპალიტეტის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივ ძალისხმევას შექმნან მყარი ნიადაგი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის, ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაციისათვის, რაც თავის მხრივ საჭიროებს საზოგადოების კონსოლიდირებული პოზიციის შემუშავებას მისი სოციალური-პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნის საკითხებზე. მისი აპრობაცია ცალკეულ სუბიექტებში, რეგიონებში, ად-

მინისტრაციულ ერთეულებში საფუძველს შექმნის სპეციალური კანონპროექტების შემუშავებისათვის, რაც გახდება მტკიცე გარანტი საზოგადოების დემოკრატიული ტრანსფორმაციისათვის.

ყოფილი სოციალისტური ბანაკის, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის რელებზე გადასვლა და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის პროცესს თან სდევდა და სდევს სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის წინააღმდეგობები, რაც ბუნებრივია დაკავშირებული იყო სისტემურ კრიზისთან. სოციალური წინააღმდეგობების გააქტიურება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული იყო სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე პასუხისმგებლობის მოხსნით. თავის მხრივ ეს ამწვავებდა პოლიტიკურ წინააღმდეგობასაც. ასეთ სიტუაციაში ბუნაბრივია დადგა საზოგადოების ინოვაციური მოდერნიზაციის აუცილებლობის საკითხი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა ქვეყნაში. მსგავს სიტუაციაში სამოქალაქო საზოგადოება ეს სოციალური-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობების ის მოდელია, სადაც სახელმწიფოს და მოქალაქის ურთიერთობები, საზოგადოების ყველა სუბიექტის უფლება და მოვალეობა კონსტიტუციის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებზეა დაფუძნებული. თუმცა, რამდენადაც ლიბერალური რეფორმების ყველაზე გამოკვეთილი შედეგი ეს იყო სოციალური სექტორი-დან (განათლების, მეცნიერების, მედიცინის, სოციალური გარანტიები, და ა.შ.) სახელმწიფოს (მისი როლის) ამოვარდნა და ამ სფეროს კომერციალიზაცია, იმდენად სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობა თან სდევდა საზოგადოების ინოვაციური მოდერნიზაციის პროცესს და ხშირ შემთხვევაში წარუმატებლადაც მთავრდებოდა.

სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის შესუსტების კვალობაზე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში გაიზარდა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი. ვინაიდან უკეთესად ცხოვრების შესაძლებლობებს იძლევა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი, რომელიც ძირითადად უზრუნველყოფს ბიზნესი. სწორედ ბიზნესის განვითარების დონეზე, მრავალფეროვნებაზე, მასშტაბებზე და გეოგრაფიაზეა დამოკიდებული მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოება, საზოგადოებრივი კეთილდღეობა, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გარანტიები. ერთი სიტყვით საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის მიუღწევლობის შემთხვევაში მისი ინოვაციური მოდერნიზაცია წარ-

მატებით ვერ დასრულდება. ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა დღეს სამართლიანი ბიზნეს გარემოს შექმნაზეა მნიშვნელოვან ნილად დამოკიდებული, ხოლო განვითარების პარალელურად, ბიზნესი მზარდი პასუხისმგებლობის ელემენტებს შეიძენს ეკონომიკური, ეკოლოგიური, პოლიტიკური, დამოგრაფიული, ეთიკური და სოციალური ფაქტორებისადმი. სწორედ ამგვარი პასუხისმგებლობის ხარისხზე და შესრულების მექანიზმებზეა დამოკიდებული საზოგადოების ინტერესების, მოთხოვნების თავსებადობის მდგომარეობა ბიზნესის პროგრამასთან. თუმცა ბიზნესის სოციალიზაცია, როგორც დღეს ხშირად მოიხსენიებენ, პირველ რიგში, ასევე გულისხმობს პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის გარანტის სულ უფრო მზარდ როლს. თუმცა კერძო მენარმეობა, რომელიც ხშირად ორიენტირებულია მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ნაკლებად სიცოცხლისუნარიანია, არაპერსპექტიულია, საზოგადოებრივი თვალსაზრისით არასრულფასოვნად დეგალურია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს (ხშირ შემთხვევაში აფერხებს) მისი განვითარების მასშტაბებზე.

ბიზნესის სოციალიზაციის ეფექტიანობა და ქმედითობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამოქალაქო ინსტიტუტების, ბიზნეს-საზოგადოებების, კორპორაციებისა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოების ერთიან ძალისხმევაზე და იმ მექანიზმების კომპლექსურობაზე, რომლებსაც ძალუძთ უზრუნველყონ საზოგადოებრივი კვლავზარმოებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა როგორც ცალკეული ქვეყნის მასშტაბით ისე რეგიონალურ დონეზე.

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების მიმართულება დემოკრატიული ორიენტაციის გახდა და ეკონომიკური ურთიერთობები თავისიუფალ სამენარმეო საწყისებს დაუბრუნდა, ქვეყანა დაადგა ეკონომიკაში საპაზრო ურთიერთობების დამკავიდრების გზას. აღნიშნულმა, ფაქტობრივად უალტერნატივო არჩევანმა, განსაზღვრა ქვეყნის აღმშენებლობის პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში რადიკალური რეფორმების განხორციელების აუცილებლობა. მაგრამ მისი რეალიზაციის პირობები არ იყო უზრუნველყოფილი კონცეპტუალური გათვლებით და შედეგებიც უკიდურესად ნეგატიური აღმოჩნდა. უფრო მეტიც, სახელმწიფო რესურსების შეზღუდულობითა და არასაკმარისობით გამოწვეული დისპროპორცია ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითარებაში მნიშვნელოვნად

აფერხებს ქვეყნის სოციალური პოლიტიკის სრულყოფილ და მას-შტაბურ რეალიზაციას.

გამწვავდა სოციალური პრობლემები. მოსახლეობის უმრავლესობა სილარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა. მათ საარსებო ერთადერთ საშუალებად დაქირავებული შრომის ანაზღაურება იქცა. თუმცა შრომის ანაზღაურება ამ შემთხვევაში პირობით ხასიათს ატარებს, ვინაიდან დახარჯული შრომის ღირებულების ექვივალენტი არაა.

ეკონომიკაში სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელი გავლენის შემცირებამ განაპირობა საბჭოთა პერიოდში დაგროვილი სამეურნეო-სოციალური პოტენციალის არაეფექტური გამოყენება, რამაც გამოიწვია საზოგადოების სწრაფი და მკვეთრი სოციალური სტრატიგიკაცია საქართველოში. ამავე დროს მან დაკარგვა სულიერი და ზნეობრივი ორიენტირები, გაიზარდა თვითმკვლელობა, შემცირდა სიცოცხლის ხანგრძლივობა და, საბოლოოდ, კიდევ უფრო გაუარესდა ადამიანური კაპიტალის ხარისხი. ასეთ პირობებში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობაც ვერა-ნაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ვინაიდან ხდება საქმიანი წრეების ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებზე მორგება. კომპანიების უმეტესობას, რომლებსაც აქვთ დიდი სოციალური დატვირთვა, არ შეუძლიათ დიდხანს შეინარჩუნონ არარენტაბელური სო-ციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები (საბავშვო ბაღები, კულ-ტურულ-საგანმანთლებლო დაწესებულებები, სპორტულ-რეკრეაციული სახლები, თავშესაფარები, სამედიცინო პუნქტები და ა.შ.) და იძულებულინი არიან ისინი დახურონ ან ფასინი გახადონ.

საქართველოში უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში წარმოიშვა ეროვნული მეურნეობის ყველა სექტორის სოციალური ურთიერთობის საფუძვლიანი რეფორმების აუცილებლობა. ეს განსაკუთრებით შეეხო, როგორც სახელმწიფო, ისე კომერციულ და არაკომერციულ ეკონომიკურ სეგმენტებს. უნდა ჩამოყალიბდეს სოციალური პრობლემების გადაჭრის ახალი მექანიზმები, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს სოციალური პარტნიორობის ეფექტური ფორმების გამოყენებას სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ბიზნესის სეგმენტებს შორის.

ერთი სიტყვით მთავარი პრობლემა იყო არ იმდენად ფულადი სახსრების უკარისობა სახელმწიფო ბიუჯეტში ან მენარმებში - არამედ აზრობრივი პარადიგმის შეცვალ, რომლის მიხედ-

ვითაც მთავარი მიზანია მაქსიმალური მოგება და ხარჯების შემცირება, განსაკუთრებით სოციალური.

პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში სოციალური სფეროს და მომსახურების მუდმივი დაუფინასებლობა ან მიზერული დაფინასება განაპირობეს განსაზღვრული დაბალი ხარისხის ყველა სახის სოციალურ მომსახურებას, ან კიდევ უმეტესწილად მსაგვის ხასიათის პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან დეკლარაციული ხასიათისაა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას.

საზოგადოების ინოვაცირი გარდაქმნა მხოლოდ ისეთ პირობებში შეიძლება როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება საზოგადოების მხრიდან მუდმივი კონტროლის და მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ საზოგადოების სუბიექტებს. დემოკრატიულ საზოგადოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს მომავალი, როდესაც დემოკრატიულ, სამოქალაქო კულტურას ძლიერი საკანონმდებლო ორგანო, პოლიტიკური პარტიები და მტკიცე სასამართლო ხელისუფლება უმაგრებს ზურგს; როდესაც ყველანი ისინი იმისთვის არიან მოწოდებულნი, რათა უზრუნველყონ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის დაცვა, დაამკვიდრონ ხელისუფლების ორგანოების ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე, განახორციელონ ქმედითი კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე და ამგვარად გამორიცხონ ამ უკანასკნელის მხრიდან ძალაუფლების გადამტების ნებისმიერი მცდელობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მონაწილეობა საზოგადოების დემოკრატიული წესით ფუნქციონირების პროცესში. სამოქალაქო საზოგადოება არის შუალედური რგოლი კერძო სფეროსა და სახელმწიფოს შორის. სამოქალაქო საზოგადოება რთული ორგანიზმია, რომელიც აერთიანებს საზოგადოების სხვადასხვა უჯრედებს, როგორც ფორმალურს, ისე არაფორმალურს.

სახელმწიფოს გაუაზრებელი პოლიტიკა მხოლოდ ამძიმებს საზოგადოების დემოკრატიული ტრანსფორმაციის პრობლემას, აფერხებს რეფორმების წარმატებულ გატარებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ არის საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერილი. არადა პოსტსოციალური სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაცია საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია.

საზოგადოების ინოვაციური მოდერნიზაციის კუთხით საქართველოში არსებულ მდგომარეობის ანალიზით ჩანს რომ ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემაა ნეგატიური წარსული გა-

მოცდილება, რომელიც უკავშირდებოდა საბჭოთა სისტემის არსებობას და რომელიც საკუთარ დაღს ასვამს თანამედროვე პერსპექტივასაც ამ კუთხით. პრობლემების მეორე ჯგუფი დაკავშირებული კლანურ-გვარული დაჯგუფების არსებობასთან ხელისუფლებაში. ახლობლებისა თუ მეგობრების ქსელის არსებობა, რომელიც ანაცვლებს სამოქალაქო საზოგადოების ერთეულებს უფრო "ძლიერი კავშირებით"; აქვე გასათვალისწინებელია პოსტ-კომუნისტური იმედგაცრუება, რომელიც უკავშირდება ინსტიტუტების გაუმართავ ფუნქციონირებას გარდამავალ ქვეყნებში. ასევე ხაზგასამელია არსამთავრობო სექტორისადმი უნდობლობა, რაც ხშირ შემთხვევაში გარედან მათი დაფინანსებით არის გამოწვეული.

საზოგადოების ინოვაციური მოდერნიზაცია საქართველოში დგას ახალი გამოწვევის წინაშე. ესაა კულტურის ტრანსფორმაცია სექტორის შიგნით, რაც გულისხმობს საზოგადოების გამჭვირვალეობას, ანგარიშვალდებულებას, ტოლერანტობას, ინსტიტუციონალიზაციას ძლიერ ლიდერებზე ორიენტაციის მაგივრად. მეორე ამოცანად გვესახება სამოქალაქო საზოგადოების საჯარო სფეროს შექმნა, ანუ დემოკრატიული ტრანსფორმაცია, რომელიც დაფუძნებული იქნება: ა) რაციონალობაზე, ბ) თანასწორობაზე, გ) ინტერესთა პლურალობის აღიარებაზე

საქართველოს საზოგადოებამ უნდა შეძლოს იმ ახალი გამოწვევების წინააღმდეგაც გამკვალვება რომელიც გულისხმობს საზოგადოების პოპულიზმს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას ელიტად და მასად ყოფს და მას-მედიის პრობლემა. პერსპექტივაში კი უნდა მოხერხდეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, როგორც საჯარო სფეროს შექმნის შესაძლებლობა.

Иракли Манвелидзе

Социально-политические аспекты инновационной модернизации общества в Грузии

На современном этапе инновационная модернизация общества в Грузии является частью борьбы за национальную безопасность, ее будущее развитие, является основной частью борьбы за сохранение самобытности, обеспечение ею является одной и важнейших задач

государства, всего общества, отдельных лиц. Изучение проблем инновационной модернизации имеют большое теоретическое и практическое значение. Она является объективной необходимостью и обусловлена множеством внутренних и внешних факторов. Эта необходимость усиливается сегодня, если учитывать то, что после приобретения независимости в Грузии накопилось множество нерешенных проблем, которые создают реальную угрозу ее дальнейшему развитию. Полученное в наследство тяжелое социально-экономическое и политическое положение столь сильно укоренилось в обществе, что сегодня, в некоторых случаях становится невозможным его улучшение или устранение в ближайшем будущем.

Из анализа существующей в Грузии инновационной модернизации общества видно, что еще силен опыт негативного влияния прошлого, который связан с бывшей социалистической системой и, которая до сих пор влияет на современные перспективы.

Вторая группа проблем связана с существованием фамильно-клановых группировок во власти. Существование сети знакомых, родственников и знакомых, заменяет гражданское общество сильными «родственными союзами». Необходимо отметить и недоверие к неправительственному сектору, что в частых случаях вызвано его финансированием из вне.

Инновационная модернизация общества в Грузии сегодня представлена культурной трансформацией внутри сектора, что подразумевает прозрачность общества, подотчетность, толерантность, институционализацию вместо ориентировки на сильных лидеров. Следующую задачу представляет создание сферы общественного гражданского общества, т.е. демократичная трансформация, которая будет основана на: 1) рационализме; 2) равенстве; 3) плюрализме интересов.

Грузинская общественность должна справиться с новыми вызовами, которые подразумевают общественный популизм, разделяющий население на элиту и массы, должна решить проблемы масс-медиа. В перспективе же должны привиться новые технологии, как главное условие создания общественной сферы.

Irakli Manvelidze

**The Social- Political Aspects of Innovative Modernization
of a Society in Georgia**

Summary

At the present stage innovative modernization of a society in Georgia is a struggle part for national safety, its future development, is the basic part of struggle for originality preservation, maintenance with it is one and major problems of the state, all society, separate persons. Studying of problems of innovative modernization have the big theoretical and practical value. It is objective necessity and is caused by set of the internal and external facts. This necessity amplifies today if to consider that after independence acquisition in Georgia the set of unresolved problems which create real threat to its further development has collected. The inherited heavy social and economic and political position has so strongly taken roots in a society that today, in certain cases there is impossible its improvement or elimination in the near future.

From the analysis of innovative modernization of a society existing in Georgia it is visible that experience of negative influence of the past which is connected with the former socialist system and which influences till now modern prospects is still strong.

The second group of problems is connected with existence of patrimonial groupings in the power. Existence of a network of acquaintances, relatives and acquaintances, replaces a civil society strong with "the related unions". It is necessary to notice and mistrust to non-governmental sector that in frequent cases it is caused by its financing from out of.

Innovative modernization of a society in Georgia is presented today by cultural transformation in sector that means a society transparency, the accountability, tolerance, Institutionalism instead of orientation to strong

leaders. The following problem is represented by creation of sphere of a public civil society, i.e. democratic transformation which will be based on: 1) rationalism; 2) equality; 3) pluralism of interests.

The Georgian public should cope with new calls which mean the public populism dividing the population on elite and weights should solve problems Media. New technologies, as the main condition of creation of public sphere in the long term should take root.

გენდერული ასპექტები მხართველობით საქმიანობაში

ინეზა ზოიძე

XXI საუკუნეში მიმდინარე პროცესებს, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ კატაკლიზმებს, სოციალური ცვლილებებს მოჰყვა ტრადიციულ ღირებულებათა ტრანსფორმაცია, რაც პირველ რიგში გენდერულ ბალანსში აისახა.

გენდერულმა პრობლემებმა სოციოლოგების, ფსიქოლოგების, ეკონომისტებისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლების ყურადღება XX საუკუნის 60-იან წლებისთანავე მიიპყრო, რაც განპირობებული იყო საზოგადოებრივ ქალთა გააქტიურებით და იგი ორ კატეგორიად გაიყო. 1. მიზნები, რომლებიც მოიცავდა ქალთა პრობლემატიკას (სოციალურს, უფლებრივს და სხვა); 2. გლობალური საკითხებისაკენ ორიენტაციას, რომელმაც სოციალურიდან პოლიტიკურისკენ გადაინაცვლა.

შემუშავდა არაერთი თეორიული კონცეფცია და მიდგომა საოჯახო საქმეების გაძლიერის ანალიზის, მამაკაცთა და ქალთა შორის შრომის განაწილების, დასაქმებაში გენდერული დისკრიმინაციის და ანაზღაურებაში თანასწორობის საკითხებზე. კლევის ეს მიმართულება ამჟამადაც აქტიურად ვითარდება. კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო) შესაბამისი სტრუქტურები ყურადღების კონცენტრირებას ახდენენ გენდერულ პრობლემებზე ყველა სფეროში.

მეცნიერული თეორიები გენდერული თანასწორობის შესახებ ორ ძირითად – ბიოტექნიკურ და ბიოკულტურულ მიმართულებად იყოფა. ბიოტექნიკურში იგულისხმება ბიოლოგიური და გენეტიკური ფაქტორები, ხოლო ბიოკულტურული თეორიის

მიმდევრები თვლიან რომ გენდერი გამოხატავს რთულ სოციო-კულტურულ მიმართულებას. კერძოდ, განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის ეფუძნება სოციალურ როლებს, ქცევასა და ემოციურ მახასიათებლებს თავიდანვე გენდერული ურთიერთობები მამაკაცის (Кравченко А. И., Тюрина И. О.2005: 623). ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სრულყოფილებას ეფუძნებოდა. განსაკუთრებით ეს თემა აქტუალურია საზოგადოების განვითარების ისეთ სფეროში, როგორიცაა მართვა.

XX საუკუნემდემამაკაცის მიერ ძალაუფლების მონოპოლიზაციამ ოჯახში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, საწარმოებში გამოიწვია მართვის ფუნქციების მონოპოლიზაციაც. შრომის დანაწილებამ და ინდუსტრიალიზაციამ კი ეჭვქვეშ დააყენა გენდერული სხვაობების საკითხები, ქალებმა საზოგადოებრივ საქმიანობაში თავდაპირველად ფორმალურად მამაკაცების თანაბარი უფლებები მიიღეს. საზოგადოებამ ცივილიზაციის პარალელურად იურიდიულად გააფორმა და დააკანონა ეს თანაბარუფლებიანობა. ქალი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობებში, თანდათან გაქრა ის ძირითადი მიზეზი, რომელიც ქალს მამაკაცს უქვემდებარებდა. კერძოდ, ეს არის ეკონომიკური დამოკიდებულება ანუ მამაკაცმა ამ მხრივ თანდათან დაკარგა „ოჯახის თავის“ ფუნქცია.

მიუხედავად ამისა, ბევრ ქვეყანაში თანამედროვე საზოგადოებრივი აზროვნება ზოგადად კვლავ პატრიარქალური რჩება. სამწუხარიდ, წარმატებულ მენეჯერად ან ხელმძღვანელად ძირითადად მამაკაცი მოიაზრება. პრაქტიკულადაც მაღალანაზღაურებადი და პრესტიული თანამდებობითაც ისინი არიან დაკავებულნი. საქართველოში დასაქმებულ შრომისუნარიან მოსახლეობაში ქალთა ხვედრითი წილი 52%-ს აღწევს, მთლიანად დასაქმებულებში კი მათი წილი 50%-ია. მაშინ როდესაც აქტიური მოსახლეობის 57 % ქალია. (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2004).

დასაქმების დონე ყველაზე მაღალია 50-64 წლის ქალებში (65,4 პროცენტი) უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე 15-24 წლის ქალებში შეინიშნება. ამ ასაკში ყოველი მესამე ქალი უმუშევარია (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2005.).

გენდერული ბალანსირების კვალდაკვალ გაორმაგდა ქალის სოციალური სტატუსიც. ქალს გარდა საოჯახო საქმეებისა, დაემატა თავისი პროფესიონალური სამუშაოებიც. სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში ქალები ყოველკვირეულად საშინაო საქმეებს უთმობენ დაახლოებით 50 საათზე მეტს, ამასთან მკვეთრად გაიზარდა მათი ხევდრითი წილი საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო და ბიზნეს სტრუქტურებში, მეცნიერების ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სტრუქტურებში.

გენდერული ასპექტების ანალიზისას უმთავრესი ადგილი უჭირავს შრომის გენდერული დანაწილების პრობლემებს, რაც გულისხმობს მამაკაცსა და ქალს შორის საქმიანობის განაწილებას ტრადიციებისა და წესჩვეულებების გათვალისწინებით, რაც ფორმალურად თუ არაფორმალურად დამკვიდრებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში ამა თუ იმ სფეროს ძირითად ბირთვს წარმოადგენენ ქალები ან კაცები. იშვიათია პრაქტიკა, როცა ორივე თანაბარ მონაწილეობას ღებულობს ერთი და იგივე შინაარსის საქმიანობაში. შრომის ბაზრის ყველაზე მაღალორგანიზებულ ქვეყნებშიც კი გამოყოფენ წმინდა მამაკაცურ და წმინდა ქალურ პროფესორებს. (მაგალითად, თითქმის ყველა ქვეყანაში დაბალი როლის სამედიცინო პერსონალის თითქმის 82 % ქალია). სამეცნიერო ლიტერატურაში ქალთა და მამაკაცთა მკაცრად დადგენილი პროფესიებით დასაქმების ტენდენციას გენდერულ პროფესიულ სეგრეგაციას უწოდებენ (**Кравченко А. И., Тюрина И. О. 2005, 629**). სწორედ ამ ტენდენციის ზეგავლენით ქალი დაბალაზღაურებადი პროფესიებითა და მიმართულებებით შემოიფარგლება.

სეგრეგაციის მაღალი დონე ითვლება ქალისა და მამაკაცის კარიერული შესაძლებლობებისა და შრომის ანაზღაურების დისპროპორციის მნიშვნელოვან ფაქტორად, რაც თავის მხრივ იწვევს დასაქმების სფეროში გენდერული ბალანსის დარღვევას.

სეგრეგაცია ვლინდება ფირმებს შორის და უშუალოდ ფირმებშიც, დასაქმების სფეროებსა და მიმართულებებში.

განასხვავებენ პროფესიული სეგრეგაციის ორ სახეს-ჰორიზონტალურს და ვერტიკალურს.

ჰორიზონტალურ სეგრეგაციაში იგულისხმება მამაკაცისა და ქალების არათანაბარი განაწილება ეკონომიკურ სფეროებსა და პროფესიებში. ვერტიკალურში კი იგულისხმება არათანაბარი განაწილება თანამდებობრივი იერარქიის პოზიციებზე. ვერტიკალური სეგრეგაციის შემთხვევა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს, რომ წარმოებრიობის მხრივ ერთნაირი მახასიათებლების მქონე ცალკეულ მუშაკებს განსხვავებულად ექცევიან იმის გამო, რომ ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფებს.

სქესის მიხედვით დისკრიმინაციას ვხვდებით როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომით ბაზარზე. მაგალითად, ინგლისში ქალები შეადგენენ სამუშაო ძალის 40 %-ს, მაგრამ აქედან მხოლოდ 10 % ფლობს მენეჯერის ან მმართველის თანამდებობას. დაახლოებით მსგავსი მონაცემებია საქართველოშიც. დასაქმებული მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით გვიჩვენებს, რომ დაქირავებული ქალების ყველაზე დიდი ნილი (36,0 პროცენტი) დასაქმებულია განათლებაში, ხოლო დაქირავებული კაცების ყველაზე დიდი ნილი (20,0 პროცენტი) დასაქმებულია სახელმწიფო მმართველობაში. მცირეა თვითდასაქმებული ქალების რიცხოვნებაში მენარმე ქალების ნილი (13,8 პროცენტი) როცა იგივე სტატუსით კაცებში 26,2 პროცენტია დასაქმებული (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2005.).

ფსიქოლოგები ამ მონაცემების ანალიზისას აღნიშნავენ რომ მმართველობით საქმიანობაში გენდერული დისპალანსი ხშირ შემთხვევაში გამომდინარეობს არა მხოლოდ ტრადიციული შეხედულებებიდან და ნორმებიდან, არამედ ფსიქოლოგიური ფაქტორებიდანც. ქალები ნაკლებად ფლობენ იმ თვისებებს, რომლებიც მათ ლიდერად აქცევენ, ლიდერული უნარჩვევები კი აუცილებელი მახასიათებელია იმისათვის რომ პიროვნება დაეუფლოს მმართველის პოზიციებს. მსგავს სიტუაციაში ხშირად ვლინდება მამაკაცი თანამშრომლების მიერ ქალი ლიდერის მიმართ წინააღმდეგობა. გარდა ამისა, პროფესიულ მიღწევებში

ქალებს ხელს უშლის „შინაგანი ბარიერები”: ლიდერობის შიში (ხშირ შემთხვევაში ქალებს ეშინიათ წარმატების მიღწევა ბიზნესსა და პოლიტიკაში, რადგან ერიდებიან კრიტიკას ახლობელი თუ გარშემოყოფი მამაკაცებისაგან), საკუთარი თავისადმი რჩმენის არქონა, დაბალი თვითშეფასება და ა.შ.

მენეჯმენტის სფეროს ფსიქოლოგების აზრით (ჯ. ვიტკინი, ს. კარტერი, ა. უარდენი) მმართველობით საქმიანობაში ქალებს თვითრეალიზებაში ხელს უშლის შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

1) მამაკაცებისაგან განსხვავებით ქალები უფრო შემსრულებელი ფსიქოლოგის მატარებლები არიან ამიტომ ისინი ნაკლებად იჩინები ინიციატივას კარიერაზე ზრუნვისათვის. 2) ქალები უფრო ემოციურნი არიან და ცუდათ ახერხებენ საკუთარი თავის მართვას. 3) ქალებს უფრო ნაკლებად ახასიათებთ რისკისადმი მიღრეკილება, ეჭვი და შიში აიძულებს მათ დაიზღვიონ თავი და დაუყოვნებლივ გადასაჭრელი საკითხები გადადონ. 4) ქალებს ახასიათებთ ცხოვრებისეული „კომბინირებული“ სტრატეგიების გამოყენება, ისინი სამუშაოსა და ოჯახს თანაბარ როლებს აკისრებენ (**Кравченко А. И., Тюрина И. О. 2005, 640**).

ქალების დაბალი თვითშეფასება რეალური გენდერული პრობლემაა. ის ხშირ შემთხვევაში ეფუძნება ტრადიციულ კულტურულ სტერეოტიპებს ქალის მეორეხარისხოვნების შესახებ, როდესაც ქალის პასიურობა მიჩნეულია როგორც სწორი, დადებითი და სასურველი ქცევის სტილი. ოჯახში კი მთავარია ქალისა და მამაკაცის როლების არაპრიორული გადანაწილება. ამ საკითხთან მიმართებაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი.

ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური დეკლარაციის მიხედვით ნებისმიერ პიროვნებას აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა საკუთარი ქვეყნის მართვაში. ქალთა დამოკიდებულების გაძლიერებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სრულყოფილი მართვისა და ზოგადად, საზოგადოების ყველა სფეროს განვითარებისათვის. ქალთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში განაპირობებს სქესთა ბალანსს, ასახავს საზოგადოების სტრუქტურას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიის წინსვლისა და განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სოციალური ტენდენციები საქართველოში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2004;
2. ქალი და მამაკაცი საქართველოში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, სტატ. ჰუბლიკ თბ., 2005;
3. Кравченко А. И., Тюрина И. О. Социология управления М., 2005.

Инеза Зойдзе

Гендерные аспекты в руководящей деятельности

Резюме

В статье рассмотрены гендерные аспекты в руководящей деятельности на современном этапе. Освещены проблемы гендерного распределения труда, распределение трудовой деятельности между женщиной и мужчиной с учетом традиций и обычаев, что формально или неформально закрепилось в общественной жизни. Рассмотрены отношения психологов и социологов к данной проблеме. Выделены те основные тенденции, на основе которых в тех или иных странах формируются различные подходы изучения гендерного баланса. На основе статистических данных проанализирована данная существующая проблема в Грузии.

Ineza Zoidze

Gender aspects in supervising activity

Summary

In article gender aspects in supervising activity at the present stage are considered. Problems of gender distribution of work, distribution of labour activity between the woman and the man taking into account traditions and customs that was formally or informally fixed in a public life are covered. Relations of psychologists and sociologists to the given problem are considered. Those basic tendencies on which basis in those or other countries various approaches of studying of gender balance are formed are allocated. On the basis of the statistical data the given existing problem in Georgia is analysed.

ეკონომიკური კონფლიქტები გლობალიზაციის პროცესში

ნატალია ლაზარე

XX საუკუნის 80-90-ანი წლები XXI ს. დასაწყისი ხასიათდება საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებით და გააქტიურებით, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი არის მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია. მის არსეს წარმოადგენს ეკონომიკური სუბიექტების, ნაციონალური ეკონომიკების და ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება და მსოფლიო საინფორმაციო სივრცის ფორმირება.

თანამედროვე მსოფლიოში მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობა სცდება ერთი ქვეყნის ფარგლებს და უდიდეს მასშტაბებს აღწევს. მართალია, უამრავი კომპანია უკვე დიდიხანია ჩაბმულია საერთაშორისო ოპერაციებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი საქმიანობა ყოველთვის გლობალური იყო. გლობალიზაცია არაა იგივე, რაც უბრალოდ საერთაშორისო ბიზნესში ჩართვა. განსხვავება ხარისხობრივია და გულისხმობს თვით საერთაშორისო ბიზნესის სუბიექტების ტრანსფორმაციას და მათი სტრატეგიული ორიენტაციების ცვლილებას.

გლობალიციაზის პრიცესი ხელს უწყობს ერთიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირებას, რომელიც მოიცავს მთელ მსოფლიოს და საკუთარ წესებს კარნახობს ნაციონალურ ეკონომიკებს. საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციის პროცესებში ჩართული არიან როგორც ეკონომიკურად განვითარებული, ისე ნაკლებად განვითარებული დიდი და პატარა ქვეყნები. თანამედროვე პირობებში იზოლირებულ მდგომარეობაში ნებისმიერ ქვეყანას გაუჭირდება განვითარება, ვინაიდან დამოკიდებულია წარმოების არსებულ ფაქტორებზე, ტექნოლოგიებზე და კაპიტალის აუცილებობაზე (Фишер, 1999, 53), რომლებიც ტრანსნაციონალურ და ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებს.

გლობალიზაციის პროცესები საერთაშორისო ურთიერთობებში ვლინდება ქვეყნების ურთიერთზემოქმედების ზრდით, საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გაძლიერებით მსოფლიო მშვიდობის დამყარებაში; ეკონომიკური ცხოვრების მზარდი ინტერნაციონალიზაციის გამო იქმნება ობიექტური საფუძველი კაპიტალისა და წარმოების ტრანსაციონალიზაციისთვის. წარმოებისა და კაპიტალის ტრანსაციონალიზაციის ეტაპზე იცვლება ქვეყნებისა და კომპანიების მონაწილეობის ხასიათი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, რაც გამოიხატება სამეცნიერო და ტექნილოგიური პროგრესის ინტერნაციონალიზაციაში და წარმოების პროცესის იმგვარ ხასიათში, როცა მსოფლიო ბაზარი, ფაქტობრივად, ხარისხის სტანდარტებისა და პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებლების მოკარნახეა.

გლობალიზაცია საქმიანობის იმგვარი კონფიგურაციის შესაძლებლობას იძლევა, რომ ათვისებულ იქნეს ადგილმდებარეობიდან გამომდინარე და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში რესურსების, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის, ეკონომიკური პირობების მხრივ არსებული განსხვავებებიდან გამომდინარე უპირატესობები.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია წარმოადგენს რთულ ურთიერთსანინააღმდეგო პროცესს, რომელიც განპირობებულია ტექნილოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური და სოციალ-ულტირული ფაქტორებით. ამ პროცესს აქვს რთული ხანგრძლივი ისტორია და შეიძლება განიხილებოდეს როგორც მნიშვნელოვანი ეტაპი სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის – როგორც მსოფლიო ეკონომიკაში ეკონომიკური ზრდის აუცილებელი ფაქტორი XX საუკუნის განმავლობაში. სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაღრმავება, რომელიც გამოხატულია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში, რიგი წინაპირობებით იყო განპირობებული.

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის პირველ წინაპირობას წარმოადგენს საინფორმაციო რევოლუცია, რომელიც მოხდა XX საუკუნის ბოლოს და რომელის შედეგადაც შეიქმნა გლობალური საინფორმაციო ქსელი. საინფორმაციო ტექნილოგიები, ერთის მხრივ, ხელს უწყობენ ეკონომიკური, ტექნიკურ, კულტურულ

განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, თამაშობენ იარაღის როლს მათ შორის კონკურენციის გაძლიერებისთვის (Шимаи, გვ. 27-28).

ინფორმაციული რევოლუციის კონტექსტში გლობალიზაცია წარმოადგენს ეკონომიკების ურთიერთშეღწევადობის და შერწყმის სინონიმს მწვავე კონკურენციის ზენოლის ქვეშ და სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის დაჩქარებას.

მეორე წინაპირობას მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის წარმოადგენს კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის მასშტაბების ჩქარი ზრდა და კომპანიებში კონკურენციული ბრძოლის გაძლიერება. რეგიონალური ტრანსნაციონალური კომპანიები „იზრდებიან“ და ლებულობენ გლობალურ ხასიათს, რომლებიც ახდენენ სანარმო პროცესების ოპტიმიზაციას, რესურსების და სამეცნიერო მიღწევების გამოყენებას, ინვესტიციების დივერსიფიკაციას და მართავს მსოფლიოს მასშტაბით (Иванов, 2000, 15).

ეკონომიკის გლობალიზაცია არ გამორიცხავს გლობალურ, რეგიონალურ თუ ლოკალურ დონეზე ეკონომიკური კონფლიქტების აღბათობას. პირიქით, ისინი ამ პროცესის თანმდევი მოვლენაა. ადსანიშნავი, რომ ეკონომიკური კონფლიქტები ხშირად სდევს ტრანსნაციონალური გაერთიანებების საქმიანობს, ეს არის ერტის მხრივ, ურთიერთშორის კონკურენციის და მეორეს მხრივ, მიმღებ ქვეყნებთან მათი ურთიერთობის საკითხი.

ასევე ტნკ-ების ხშირად სდევდა და სდევს ომები და სახელმწიფო გადატრიალებები ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ლათინურ ამერიკაში, სამთავრობო ცვლილებები ევროპის და აზიის ქვეყნებში. ხოლო შედეგები, რომლებსაც ტნკ-ები ამის გამო ლებულობენ, იზომება არა ათეულობით ან ასეულობით მიღლიონი დოლარით, არამედ მილიარდობით. კორპორაციებს შორის ბრძოლა ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრებისათვის ხშირად სახელმწიფოებს შორის, სადაც ისინი ოპერირებდნენ, ომითაც კი დასრულებულა. ლათინურ ამერიკაში ე.წ. „ჩაკოს ომი“ ბოლივიასა და პარაგვაის შორის (1932-1935 წწ.) ცნობილი ისტორიაა. იგი გამოწვეული იყო ამერიკულ კორპორაცია „სტანდარტ ოილ რო ნიუ-ჯერსის“ (ახ. ექსონ-მობილი) და ინგლისურ-პოლანდიურ კორპორაცია „როიალ დაჩ შელს“ შორის დაპირისპირებით ჩაკოში ნავთობსაბადოს აღმოჩენასთან დაკავშირებით (Самофалов, 2003).

ქვეყნებში, სადაც განლაგებულნი არიან ტნკ-ები პოლიტიკურ სფეროში მათი საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა სახელმწიფოს ცენტრალური და რეგიონალური, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლების ხელმძღვანელობასთან, წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მასმედიასთან ურთიერთობების და კონტაქტების დამყარება და გაძლიერება. ტნკ-ების მიერ ეს მიიღწევა საკადრო როტაციის გზით ტნკ-ს და მნიშვნელოვან სახელმწიფო ორგანოებს შორის, საარჩევნო პროცესში კორპორაციის აქტიური მონაწილეობით, კომპანიის ინტერესების ლობირებით (Самофалов, 2003).

სახელმწიფოსა და ტნკ-ებს შორის ურთიერთობების სისტემა თავისთავად წარმოადგენს წინააღმდეგობის დიალექტურ ერთობას. ერთი მხრივ, ტნკ წარმოადგენს საგარეო ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკური გავლენის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და სახელმწიფოს არ შეუძლია არ გამოიყენოს იგი სკუთარი თავის დამკვიდრებისათვის მსოფლიო არენაზე, და მეორეს მხრივ, მათ შორის ინტერესთა თანხვედრა არ გამორიცხავს წინააღმდეგობების არსებობას. მათგან კი მთავარია ტნკ-ების ოპერაციების ინტერნაციონალურ, გლობალურ ხასიათსა და სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქციას შორის. სახელმწიფო მუდმივად ცდილობს თვალი მიადევნოს კაპიტალის, საქონლის და ტექნოლოგიების მოძრაობას, ტნკ კი, რომელიც თავის სტრატეგიას ახორციელებს გრძელვადიანი მოგების მიღებაზე, გავლენას ახდენს ბაზირებული ან მიმღები ქვეყნების ეკონომიკურ კონიუნქტურაზე შედეგად კი, განსაზღვრული კუთხით შედის წინააღმდეგობაში სახელმწიფოს რეგულირებად მექანიზმებთან.

ტნკ-ების და სახელმწიფოს ინტერესების სტრატეგიული ერთობა კონკრეტულად სრულად ვლინდება იმ ფაქტში, რომ სახელმწიფო პოლიტიკას, პარტიულ სისტემას, არმიას არ შეუძლია არსებობა ტნკ-ების დაყრდნობის და ფინანსურ-ტექნოლოგიური მხარდაჭერის გარეშე.

მიმღებ სახელმწიფოებსა და ტნკ-ებს შორის კონფლიქტი ზოგჯერ სახელმწიფოებს შორის ფარული დაპირისპირების გამოხატულებაც არის. ტნკ-ები საერთაშორისო ეკონომიკური დიპლომატიის სფეროში შეიძლება წარმოადგენდნენ არა უბრალოდ ინ-

სტრუმენტებს, არამედ, მთავრობასთან ერთად საერთაშორისო ურთიერთობების აქტიურ სუბიექტებსაც. ამიტომ, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ურთიერთობები წარიმართება სახელმწიფოებს შორის, ტნკ-ებს შორის და ტნკ-ებსა და სახელმწიფოებს შორის. ამ ურთიერთობათა სამივე წახნაგი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მაგალითად, თუ მიმღებ სახელმწიფოსა და ტნკ-ს შორის წარმოიქმნა კონფლიქტი, ამ უკანასაკენლმა მხარდაჭერისთვის შეიძლება საკუთარი ქვეყნის მთავრობას მიმართოს (ჯამაგიძე, 2008, გვ. 89).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გლობალიზაცია შეიცავს როგორც პოზიტიურ ისე ნეგატიურ ასპექტებს, ხოლო მისი პოზიტიური გავლენა დაკავშირებულია კონკურენციის ზრდის ეფექტთან, მაშინ აქედან გამომდინარე, იგივე კონკურენცია ქმნის ნეგატიურ ასპექტებს, რაც სწორედ რომ დაკავშირებულია პოტენციურ კონფლიქტებთან, რომლებიც გარდაუალია ამ პროცესში. მათგან თავის არიდება კი შესაძლებელია პოლიტიკური თანხმოვების საფუძველზე გლობალური თანამშრომლობის განვითარებით, ან ახალი საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნით.

მთავარი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ამ საკითხთან არის ის თუ ვინ რჩება მოგებული ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესიდან. მისგან უპირატესობას ღებულობენ მხოლოდ მდიდარი ქვეყნები ან ინდივიდები, თუ ყველა, ვისაც იგი ეხება ან ითრევს. სწორედ ერთ-ერთი სახე ეკონომიკურ ნიადაგზე გაჩენილი კონფლიქტების საფუძველის არის სიმდიდრის უთანაბრო განაწილება, რომელმაც თანამედროვე ეტაპზე, გლობალურ დონეზე მდიდარ ჩრდილოეთსა და ღარიბ სამხრეთს შორის მიიღო, და რომლის მასშტაბები და შედეგები ჯერ კიდევ არაპროგნოზირებადია, ხოლო მუნიციპალურ დონეზე კი ახდენს მოსახლეობის ფენების სტრატიფიკაციას მდიდრებად და ღარიბებად, რაც სოციალური კონფლიქტების მიზეზი ხდება. აქედან გამომდინარე, გლობალიზირებული ეკონომიკიდან სიმდიდრის უსამართლო და არათანაბარი გადანაწილება ქმნის კონფლიქტების საფრთხეს რეგიონალურ, ნაციონალურ და ზენაციონალურ დონეებზე. ზოგიერთი ექსპერტი საუბრობს გლობალური კონვერგენციის (დაახლოების პროცესი) შესაძლებლობებზე. მოჰყავთ იმის არგუმენტები, რომ ღარიბი

ქვეყნების ეკონომიკა ვითარდება უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე მდიდარი ქვეყნების. სინამდვილეში, სწრაფი ზრდა ახასიათებს მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ აზიის ქვეყნების (ე.წ. „აზიური ვეფხუცები“ - კორეა, სინგაპური, ტაივანი, ჰონგკონგი) მცირე ჯგუფს, იმ დროს, როცა ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებული ქვეყნები განსხვავდებიან უფრო დაბალი ზრდის ტემპებით, ვიდრე განვითარებული სახელმწიფოები. მათი მოგება გლობალიზაციიდან მინიმალურია. შედეგად ხდება არა კონვერგენცია ან შემოსავლების გათანაბრება, არამედ მათი პოლარიზაცია. ამ პოლურების სწრაფად განვითარებადი ქვეყნები შედიან მდიდარი სახერლმწიფოების წრეში, ღარიბი ქვეყნები კი უფრო და უფრო ჩამორჩებიან მათ. შემოსავლების სხვაობა კი მხრიდან იწვევს უკმაყოფილებას ანუ პოლიტიკურ კონფლიქტებს. სახელმწიფოები მიისწრაფვიან რომ შეუერთნენ მდიდარი ქვეყნების კავშირს და მზად არიან მსოფლიო წარმოებაში თავისი წილის ბრძოლისთვის.

მეორე პრობლემა დაკავშირებულია ნაციონალური ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების გამო პოტენციურ რეგიონალურ ან გლობალურ არასტაბილურობასთან მსოფლიო მასშტაბით. ლიკალური ეკონომიკური კრიზისები ერთ სახელმწიფოში ღებულობენ რეგიონალურ ან გლობალურ შედეგებს. ამის ნათელი მაგალითია ფინანსური კრიზისი აზიაში, რომელიც დაიწყო 1997 წელს ტაილანდში, შემდეგ კი გადაედო სამხრეთ-დასავლეთ აზიის სხვა ქვეყნებს და ბოლოს თავი იჩინა სამხრეთ კორეაში.

გლობალიზაციის პროცესის შემდეგ უარყოფით მხარეს წარმოადგენს იმის შიში, რომ ეკონომიკაზე კონტროლი ცალკე ქვეყნებში შეიძლება გადავიდეს სუვერენულ მთავრობებიდან სხვის ხელში, ანუ ძლიერ სახელმწიფოებზე, გლობალურ კორპორაციებზე და საერთაშორისო ორგანიზაციებზე, რაც კიდევ უფრო გაზრდის ეკონომიკურ და სხვა სახის კონფლიქტებს მსოფლიოში. მსაგავს შემთხვევაში ადგილად შეიძლება ეს კონფლიქტი გადაიზარდოს ნაციონალიზმში, გამოიწვიოს ექსტრემისტული პოლიტიკური მოძრაობების ზრდა და სერიოზული კონფლიქტები როგორც ეკონიმიკაში, ისე პოლიტიკაში.

ға地貌уындың әмбебенділік мәндері

- 1.Фишер П. Прямые иностранные инвестиции для России: стратегия возрождения промышленности. М., 1999.
- 2.Михали Шимаи, Глобализация как источник конкуренции, конфликтов и возможностей, №1 99 Международный журнал "Проблемы теории и практики управления", 2004.
- 3.Иванов Н. Глобализация и проблемы оптимальной стратегии развития // МЭиМО. 2000. № 2).
- 4.Алан А.Тейт,Глобализация – угроза или новые возможности для Европы? 17.04.2002, <http://www.strategy.kz>
- 5.<http://works.tarefer.ru/99/102026/index.html>
6. Ә. Қазасагінде, ғұраңың ақпараттық жағдайдағы қарточкасының өзгешеліктері, 2008;
7. В. Самофалов, Глобальный вызов транснациональных корпораций, Жур. Зеркало недели, №31 (456), 16-23 август, 2003.
8. В. Самофалов, Глобальный вызов транснациональных корпораций, Жур. Зеркало недели, №31 (456), 16-23 август, 2003.

Лазба Наталья

Экономические конфликты в процессе глобализации

Резюме

Последние десятилетия XX века ознаменовались значительным углублением процессов международной экономической интеграции, одной из важнейших характеристик которой является глобализация мировой экономики. Суть процесса глобализации мировой экономики состоит в значительном расширении и усложнении

взаимозависимости между отдельными экономическими субъектами, национальными экономиками, в углублении процессов интеграции всемирного информационного пространства, мирового рынка капиталов, товаров и рабочей силы.

Lazba Natalia

Economic conflicts in the course of globalization

The resume

Last decades of the XX-the century were marked by considerable deepening of processes of the international economic integration, one of which major characteristics is economic globalization. The essence of process of globalization of economic consists in considerable expansion and interdependence complication between separate economic subjects, national economies, in deepening of processes of integration of the world information field, the world market of capitals, the goods and a labor.

ცივი ომის ისტორიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი

ხათუნა დიასამიძე

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ადგილი ცივი ომის პრობლემას უჭირავს. ამ “ომმა” პრაქტიკულად მოიცვა მეოცე საუკუნის მთელი შუა ხანები და მეორე ნახევარი.

მასთან დაკავშირებული საკითხები დღესაც მეცნიერთა და არამარტო მეცნიერთა, უმწვავესი დისკუსიის საგანია, რადგან XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოში დაფიქსირებული კარდინალური ცვლილებების მიუხედავად, ისინი ჯერ კიდევ წარმოადგენენ პოლიტიკური და იდეოლოგიური შეუთავსებლობის საფუძველს.

ცივი ომის პრობლემატიკაში მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხი იკვეთება. მათ შორისაა ომის არსი, მიზეზები, ქრონოლოგია, მხარეები, ინიციატორები, დამთავრების ზუსტი თარიღი, შედეგები და მნიშვნელობა. ყველა ამ საკითხზე არაერთგვაროვანი პასუხები არსებობს. ეს არც არის გასაკვირო, თუ გავიხსენებთ თვით პრობლემის სირთულეს. ჩვენი ნაშრომის თემა ამ საკითხების მხოლოდ მცირე ნაწილს – ომის დაწყების მიზეზების, თარიღის და ინიციატორის ვინაობის დადგენას შეეხება.

რა წარმოადგენს ცივი ომის არსს? პრაქტიკულად, ეს არის პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული, დიპლომატიური, იდეოლოგიური და ფინანსურული დაპირისპირება კაპიტალისტურ და სოციალისტურ ბანაკებს, უფრო ზუსტად კი აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის.

ტერმინი “ცივი ომი” ხმარებაში ი. ჩერჩილის მიერ ქალაქ ფულტონში (აშშ) 1946 წლის 5 მარტს წარმოთქმული ცნობილი სიტყვის შემდეგ შემოვიდა. მართალია, ჩერჩილმა სიტყვის შესავალშივე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ამ გამოსვლისას მას არც ოფიციალური მისია ამოძრავებდა და არც რაიმე სახის მდგომარეობა და ის მხოლოდ საკუთარი სახელით საუბრობდა, მაგრამ ჩვენი

აზრით, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ საბოლოო ჯამში გადამწყვეტი როლი ითამაშა საბჭოთა სახელმწიფოსა და ანტიპიტლერულ კოალიციაში შემავალ მოკავშირებს შორის ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე უკვე გაფუჭებული ურთიერთობების ოფიციალურად დაფიქსირების საკითხში. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ მსოფლიო გაყოფილია ორ წარილად რკინის ფარდით და რომ დასავლურმა ცივილიზაციამ ომი უნდა გამოუცხადოს კომუნიზმს (Churchil).

დაპირისპირება ორ სისტემას, ორ იდეოლოგიას შორის 1917 წლიდან რეალურად არც კი შემწყდარა (გავიხსენოთ 1918-1921 წლებში განხორციელებული უცხოურ სახელმწიფოთა ინტერვენცია საბჭოთა რუსეთში), თუმცა, მისი ოფიციალური გაფორმება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა.

ჩნდება კითხვა: რატომ მაინცდამაინც მეორე მსოფლიო ომი გახდა ცივი ომის აკვანი? როდესაც ფაშისტური გერმანია ტერიტორიულ დაპყრობებს ახორცილებდა (რეინის ოლქი, ავსტრია), დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების დამოკიდებულება გერმანიის მიმართ ერთგვარ გულგრილობაში გამოიხატებოდა. საბჭოთა და თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში ზოგადად გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ინგლის-საფრანგეთის მსგავსი “რეაქცია” შემთხვევითი არ იყო. მომავალ მოკავშირეთა-გან თითოეული ფიქრობდა, რომ ჰიტლერის შემდგომი ნაბიჯები აღმოსავლეთისაკენ - საბჭოთა კავშირისაკენ იქნებოდა მიმართული. საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის კი გერმანიის მიერ რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დარღვევა გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე გერმანიის ამბიციების დაკმაყოფილებას და მის აღმოსავლეთით მიმართვას. საბჭოთა კავშირისათვის მისაღები იყო გერმანიის ომისწინა საერთაშორისო ურთიერთობებში უფრო “კაპიტალიზმის საერთო კრიზისი” დაენახა, ვიდრე მოსალოდნელი საფრთხე, თუმცა ომისწინა საერთაშორისო ურთიერთობათა ცვალებადი ხასიათი არ იძლეოდა გრძელვადიანი პროგნოზირების საშუალებას. ამის უშუალო გამოხატულება იყო 1938 წლის მიუნხენის ცნობილი გარიგება, 1939 წლის მოსკოვის მოლაპარაკება, მოლოტოვ-რიბენტროპის 1939 წლის 23 აგვისტოს პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ და პირველ სექტემბრის ცნობილი მოვლენები.

აზრთა სხვადასხვაობამ მოკავშირეებს შორის ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე იჩინა თავი, ჰიტლერის გარდაცვალების შემდეგ კი ის უფრო გაძლიერდა (Montefiore, 2005, 518). ბუნებრივია, ამ ფაქტს მისი მიზეზები ჰქონდა.

მეორე მსოფლიო ომში გერმანიის და იაპონიის მარცხი იყო ნიშანი საერთაშორისო ურთიერთობებში ძალთა თანაფარდობის ცვლილებისა. ოთხი მოკავშირის – აშშ-ის, საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის შეიარაღებულმა ძალებმა პოტ-სდამის (1945 წ.) კონფერენციის გადაწყვეტილებით მოახდინეს გერმანიისა და ავსტრიის ტერიტორიების ოკუპაცია (თეირანი, იალტა, პოტ-სდამი, 1969, 183-436). საბჭოთა კავშირის პოლიტიკური გავლენა გავრცელდა პოლონეთზე, გერმანიის სახელმწიფო ტერიტორიის მის მიერ ოკუპირებულ ნაწილზე, ჩეხოსლოვაკიაზე, უნგრეთზე, ბულგარეთზე, იუგოსლავიაზე, რუმინეთზე.

ომისგან გამოფიტულ სსრკ-ს ჭირდებოდა ეკონომიკისა და ადამიანური რესურსების აღდგენა, სახელმწიფო საზღვრების განმტკიცება და დაცვა, რის გამოც საბჭოთა ხელისუფლება ვერ იქნებოდა დაინტერესებული აგრძესული გეგმების შემუშავებით სხვა სახელმწიფოების მიმართ. უფრო მეტიც, აშშ-გან განსხვავებით, სსრკ-ს არ გააჩნდა სათანადო შესაძლებლობები, არც ფლოტი (ყველა კლასის ავიამზიდები, სადესანტო ხომალდები), 1948 წლამდე არც სტრატეგიული ავიაცია და 1949 წლის აგვისტომდე ატომური იარაღი ჰქონდა.

თუ ისტორიკოსს ტ. ჯუდთის მოსაზრებას გავიზიარებთ, საბჭოთა მხარის მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის მიზანი გერმანიის დამარცხება და რუსეთის ხელისუფლებისა და უსაფრთხოების აღდგენა იყო მის დასავლეთ საზღვარზე (Jude, 2007, 129). 1946 წლის ბოლოსა და 1947 წლის დასაწყისში შემუშავებული “საბჭოთა კავშირის ტერიტორიული თავდაცვის გეგმაც” მხოლოდ თავდაცვითი ხასიათის მატარებელი იყო, ხოლო 1945 წლის ივლისიდან 1948 წლის ჩათვლით საბჭოთა შეირაღებული ძალების მაჩვენებლის შემცირებამ 11,4 მლნ ადამიანიდან 2,9 მლნ-მდე, კიდევ ერთხელ დაადასტურა საბჭოთა ხელისუფლების არჩევანი მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელებაზე, ყოველ

შემთხვევაში, იმ ეტაპზე მაინც (Новейшая история Отечества, 1999, 278).

უფრო მეტიც, ცნობილია რომ 1947 წლამდე, ვიდრე „ცივმა ომმა“ აშკარა სახე არ მიიღო, სსრკ-ს არ ჰქონდა აშკარად გამოკვე-
თილი განზრახვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალისტუ-
რი სისტემის შემოღებაზე და საუბარი მხოლოდ სახალხო დემოკ-
რატიის მოდელზე იყო. საბოლოო ჯამში რა მოიაზრებოდა ამ მო-
დელის ქვეშ, ეს სხვა საკითხია. გერმანიასთან მიმართებაში კი საბ-
ჭოთა ხელისუფლება მზად იყო გერმანიის პოლიტიკური მოწყობის
დასავლური კონცეფციის მიღებაზე, მაგრამ როგორც შემდგომში
განვითარებულმა მოველენებმა აჩვენა, ეს შეუძლებელი გახდა.

საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, აშშ-ი უზარმამაზარი
ეკონომიკური, საზღვაო, საჰაერო და ატომური რესურსებით მეო-
რე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოში გაბატონე-
ბულ სახელმწიფოდ გადაიქცა. მისი ადამიანური დანაკარაგები
მოკლულის სახით 300 ათასს შეადგენდა; დოლარი ყველაზე მყარი
ვალიუტა გახდა, ხოლო ნიუ-იორკი მსოფლიოს უდიდესი ფინანსუ-
რი ბაზარი (Новейшая история Отечества, 1999, 278).

1945 წლის განმავლობაში აშშ-ის პრეზიდენტის ჰ. ტრუმე-
ნის მიერ კონგრესზე გაკეთებულ გამოსვლებში ხაზი ესმებოდა
ამერიკის სახელმწიფოს ჰეგემონობის აუცილებლობას მსოფლიო
ომის დასრულების შემდეგ. ეს კი ნიშნავდა, პირველ რიგში, საბჭო-
თა კავშირთან სამოკავშირეო ურთიერთობების გაუქმებას და უფ-
რო მეტიც, მასთან აშკარა დაპირისპირებას. ტრუმენის თქმით,
“ამერიკის შეერთებული შტატები მკაცრად უნდა მოექცეს რუსებს,
რადგანაც ამ უკანასკნელებმა არ იციან ქცევის წესები. ისინი ჩი-
ნურ მაღაზიაში მყოფ ხარებს გვანან. მხოლოდ 25 წლის არიან, ჩვენ
ასს წელზე მეტი ხნის და ბრიტანეთი კი საუკუნეებით უფროსი.
ჩვენ უნდა ვასწავლოთ მათ ქცევა”, — განაცხადა მან (ისსინგერ,
1994, 426).

1945 წლის 4 სექტემბერს, ომის ოფიციალურად დასრულე-
ბის მეორე დღეს, აშშ-ში 329-ე მემორანდუმს მოეწერა ხელი, რომ-
ლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სტრატეგიუ-
ლი ატომური თავდასხმის 20 სამიზნე უნდა შერჩეულიყო (Бушкова,
2005, 197). 1949 წელს აშშ-ში სსრკ-ს წინააღმდეგ შემუშავებული

გეგმის “როპსპოტ”-ის თანახმად კი, 100 საბჭოთა ქალაქზე პირველივე შეტევის განხორციელებისას ერთდროულად 300 ატომური ბომბის ჩამოვდება უნდა მომხდარიყო (Новейшая история Отечества, 1999, 279).

დასავლურ ისტორიოგრაფიაში “ცივი ომის” დაწყებას საბჭოთა კავშირის ომის შემდგომდროინდელ პოლიტიკას უკავშირებენ. კერძოდ, გავრცელებული მოსაზრების თანახმად სსრკ-მ დაარღვია ომის შემდგომი დაპირებები აღმოსავლეთ ევროპასთან მიმართებაში და ამიტომაც იყო პასუხისმგებელი “ცივი ომის” გაჩაღებაზე, მაშინ როდესაც, საბჭოთა ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, რომ დასავლელმა მოკავშირეებმა ხელი შეუწყვეს საბჭოთა კავშირის მხრიდან დიდი რაოდენობით სისხლისლვრას აღნიშნულ ომში და დააკნინეს მისი როლი ჰიტლერის დამარცხების საკითხში (ცჯილლიამს, 2005, 8).

რეალობა კი შემდეგი იყო. 1946 წელს ყოფილ მოკავშირეებს შორის დაიწყო მწვავე დისკუსია ომის შემდგომ მსოფლიოს მოწყობის საკითხთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა: ატომური ენერგიის კონტროლის საკითხი, ჰიტლერის ყოფილ მოკავშირეებთან – რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, იტალია – სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების საკითხი, ამერიკისა და ინგლისის საოკუპაციო ზონების გაერთიანების და საბჭოთა კავშირისათვის მათი საზღვრების ჩაკეტვის საკითხი, გერმანიის მიერ სსრკ-დმი რეპარაციათა გადახდის ფორმის საკითხი (საბჭოთა კავშირისათვის რეპარაციების გადახდა გერმანიის ორთავე საოკუპაციო ზონიდან უნდა მომხდარიყო), სსრკ-თვის რეპარაციათა შეწყვეტის საკითხი (აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მიერ 1946 წლის დეკემბერში გაკეთებული განცხადება).

მარშალის გეგმამ (1949-1952 წლებში ევროპის სამრეწველო რეორგანიზებისათვის ამერიკის მიერ 20 მლრდ დოლარის ოდენობის კრედიტის, სუბსიდიის და სესხის გამოყოფის შესახებ), ფულის რეფორმის გატარებამ გერმანიის დასავლეთ საოკუპაციო ზონაში და სსრკ-ის უარყოფითმა რეაქციამ, ისევე როგორც გერმანიის გახლეჩამ და 1949 წლის ატლანტის პაქტის ხელმოწერამ, საბოლოოდ დაადასტურა მსოფლიოს ორ ნაწილად გაყოფა.

1949 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის მიერ პირველი ატომური ბომბის წარმატებით გამოცდა, ხოლო 1951-1953 წელს სამხედრო ბიუჯეტის 13 მლრდ დოლარიდან 50 მლრდ დოლარამდე გაზრდა, აშკარად მიუთითებდა ორ სახელმწიფოს შორის შეჯიბრების დაწყებას იარაღის წარმოების საქმეში (Новейшая история Отечества, 1999, 285).

როგორც მეორე მსოფლიო ომის წინ, ისე მისი დასრულების შემდეგაც, დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში ერთი რამ იყო ნათელი - თითოეული მათგანი მხოლოდ საკუთარი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა, რაც ხშირ შემთხვევაში შედარებით მეორეხარისხოვან სახელმწიფოთა ინტერესების იგნორირებას ნიშნავდა. ცივმა ომმა სულ მალე გლობალური ხასიათი მიიღო, რის პირველი გამოხატულებაც დიდ სახელმწიფოებს შორის აზიაში დაფიქსირებული დაპირისპირება იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეიარანი, იალტა, პოტსდამი. დოკუმენტთა კრებული. თბ., 1969
2. Churchill W. Sinews of Peace (Iron Curtain). [http:// www.winstonchurchill.org/i4/pages/index.cfm](http://www.winstonchurchill.org/i4/pages/index.cfm)
3. Бушкова Е. Берия, последний рыцарь Сталина. СПб.-М., Нева, 2005
4. Монтефиери Симон С., Сталин: двор Красного монарха. М., Олия-Пресс, 2005
5. Новейшая история Отечества. XX век. В двух томах. Т.2. М., Владос, 1999
6. Judt T. Postwar. A History of Europe Since 1945. UK, Pimlico, 2007
7. Kissinger H., Diplomacy, New-York, Simon and Schuster Paperbacks, Rockefeller Center., 1994

8. McWilliams W. C., Piotrowski H., *The World Since 1945: A history of International Relations*. The USA, Lynne Rienner Publishers, 2005

Хатуна Диасамидзе

Некоторые вопросы историографии холодной войны

Холодная война – мировая конфронтация между двумя военно-политическими блоками во главе с СССР и США, не дошедшая до открытого военного столкновения. Понятие «холодная война» появилось в журналистике в 1945–1947 и постепенно закрепилось в политическом словаре.

После Второй мировой войны мир фактически разделился на сферы влияния двух блоков с разными социальными системами. СССР стремился к расширению и укреплению так называемого «социалистического лагеря»; западные страны во главе с США пытались этот лагерь разрушить. Глобальная борьба за ресурсы двух систем с разными принципами регулирования не могла не вести к столкновениям. Но примерное равенство сил между блоками, а затем и реальная угроза ядерного уничтожения мира в случае войны между СССР и США удерживали правителей двух сверхдержав от прямого столкновения. В результате родилась «холодная война», то есть противостояние, которое не вылилось в мировую войну, хотя постоянно приводило к войнам в отдельных странах и регионах (локальным войнам).

Khatuna Diasamidze

**Some Questions Concerning the Historography
of the “Cold War”**

Summary

The Cold War is the global confrontation between two military-political groups under the USSR and the USA. Fortunately, it did not cause an open military conflict. The notion “Cold War” first appeared in the periodicals in 1945-1947, and gradually was included in the political dictionary. After the Second World War, the world was divided into two spheres of influence with different social systems. The USSR intended to widen and strengthen so called “Socialist Block”, while the western countries and the USA tried to destroy it. The global struggle for recourses between two systems with different principles of regulation could have led these systems to the clash. But rough parity of forces between the blocks and the risk of destroying the world with nuclear bomb in case of the war between the USSR and the USA prevented two super powers from the clash. The result of this confrontation was the “Cold War”, the conflict, which did not turn out into the next world war, but permanently caused the so called local wars in separate countries and regions.

ეპრაელობა კაროლინგთა ეპოქაში

იზოლდა ძელთაძე

მეროვინგთა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ, კარლოს დიდის მმართველობის დროს (768-814წწ.), ებრაელობა განთავისუფლდა კათოლიკური ეკლესიის დევნისაგან. კარლოსი არ მოექცა სამღვდელოების გავლენის ქვეშ და მფარველობდა მათ. ებრაელები ამ დროს ევროპაში იყვნენ წამყვანნი ვაჭრობასა და ხელოსნობაში.

კარლოსი მფარველობდა მათ სავაჭრო საქმიანობას. მათ ეძლეოდათ უფლება შეეძინათ უძრავი ქონება(მიწები) და წამოეწყოთ სანაოსნო საქმე. ზოგიერთი განათლებული ებრაელი იყო მეფესთან დაახლოებულიც კი. მაგალითად ერთ-ერთი ასეთი ებრაელი იყო სახელად ისაკი, რომელიც დიპლომატიური მისით გაიგზავნა ბალდადის ხალიფა ჰარუმ ალ- რაშიდთან. როგორც ჩანს ისაკმა კარგად იცოდა არაბული ენა, რომლის საშუალებით კარლოსი წარმართავდა მოლაპარაკებას ხალიფასა და მის ელჩებთან. ბალდადიდან დაბრუნების შემდეგ კარლოსს მიუღია ისაკი აახენის სასახლეში საზეიმო აუდიენციაზე, რომელსაც მეფისათვის გადაუცია ხალიფას მიერ გამოგზავნილი საჩუქრები .

კარლოს დიდის დროს აღორძინდა ებრაელთა ცხოვრება, როგორც სოციალურად, ისე სულიერად. 787 წელს მეფემ ქალაქ მაინცში გადაასახლა სწავლულ კალომინილთა ოჯახი, რათა ცოდნა და განათლება მიეცა ჩამორჩენილი ებრაელებისათვის (ბათოშვილი, 1991, 210).

როგორც ჩანს, კარლოს დიდის დროს ებრაელები არ განიცდიდნენ შევიწროებას, ვინაიდან მეფე მფარველობდა მათ და ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო მისი გონიერებით. მან სამეფო ინტერესებისათვის გამოიყენა სწავლულ კალომინილთა იჯახი და ასევე ისაკი, რომელმაც კარგად იცოდა არაბული ენა.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ებრაელ ისტორიკოსს ი. კაცს, რომელიც მიიჩნევდა, რომ თავიდანვე ევოპის სახელმწიფოებში

(მათ შორის საფრანგეთში - ი. ბ) ებრაელთა უფლებები არ იყო იუ-რიდიულად დაკანონებული. ამიტომ რომელი ხელისუფალიც იქნებოდა ქვეყნის სათავეში მისგან უნდა მიეღო მათ უფლებები. ყოველივე ამის გამო ისინი ვარდებოდნენ სამეფო ხელისუფლების დამოკიდულების ქვეშ. მართალია ებრაელთა ეკონომიკური ცხოვრება აყვავდა კარლოს დიდის დროს, მაგრამ როგორც ირკვევა ებრაელთა უფლებების დაცვა მომგებიანი უნდა ყოფილიყო თვით მეფისათვის (Kap, 1991, 21)

ამდენად, როგორც შემდეგში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, კარლოსმა მართლაც კარგად გამოიყენა თავისი ქვეყნისათვის ებრაელთა განათლება (სწავლული კალომონილთა გვარი-ი.ბ), მათ მიერ ენების ცოდნა (მაგ. ებრაელი ისაკი-არაბული ენის მცოდნე-ი.ბ.), რაც გამოიყენა ბალდადის ხალიფასთან დიპლო-მატიური მოლაპარაკების დროს. გამოდის, რომ კარლოს დიდის მმართველობის დროს ებრაელთა უფლებები დაცული იყო ხელი-სუფლების მიერ, რაც უდავოდ დადებითი ფაქტორი იყო ებრაელი ხალხის ისტორიაში

კარლოს დიდის შვილი ლუდოვიკო ღვთისმოსავი (814-840წ). ასევე მფარველობდა ებრაელებს. მისი მეფობის დროს ებრაელებს მიეცათ „დაცვის სიგელები“, რომელიც მათ ნებას აძლევდა ეცხოვრათ თავისი კანონებით. ის ებრაელებს იცავდა კათოლიკური ეკლესიის ზენოლისაგან და შეინარჩუნა ეს მაშინაც კი, როცა მისი ქვეყნის სასულიერო პირი გადავიდა იუდაიზმში, დაქორწინდა ებრაელ ქალზე, მოინათლა ელიაზარად და წავიდა ესპანეთში (Кануель, 1988, 33).A

მაგრამ სამღვდელოება მაინც აგრძელებდა მტრულ დამოკიდებულებას მათ მიმართ, რასაც ადასტურებს ლიონის არქიეპის-კოპოსის აგობარდის (778-840წ) მოქმედება ებრაელთა მიმართ. ჩვენამდე მოაღწია მისმა ანტიებრაულმა ნაწარმოებებმა, რაც იძლევა საშუალებას შევაფასოთ როგორც ებრაელთა მდგომარეობა, ასევე ქრისტიანთა დამოკიდებულება მათ მიმართ.

აგობარდი, რომელიც იმ დროს ითვლებოდა ყველაზე განათლებულ სასულიერო პიროვნებად, ძალიან წუხდა ებრაელთა სარწმუნოების გაძლიერებით ლიონში და მიმართავდა თხოვნით იმპერატორს ლუდოვიკო ღვთისმოსავს, რომ განეხორცილებინა

საეკლესიო კრების გადაწყვეტილება ებრაელების ქრისტიანულად მონათვლის შესახებ. იმპერატორმა ნაცვლად იმისა, რომ დაეკმა-ყოფილებინა ეს მოთხოვნა, სპეციალურად ხელმეორედ დაამტკიცა ებრაელთა პრივილეგიები, ხოლო ლიონში გააგზავნა თავისი წარ-მომადგენელი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო მისი ბრძანების განხორციელება. მაგრამ აგობარდი მაინც არ დაემორჩილა იმპე-რატორის ბრძანებას და აგრძელებდა ზენოლას ებრაელებზე. ასეთ პირობებში აგობარდის მიერ დაინერა 5 ანტიებრაული წერილი, სა-იდანაც ირკვევა რომ ებრაელები ცხოვრობდნენ თავისუფლად ქრისტიანულ მოსახლეობასთან ერთად ქალაქ ლიონში.

აგობარდი წერს: „როგორ კეთილშობილურადაც არ მო-ვეპყარით მათ, ჩვენ ვერ შევძელით გადაგვეყვანა ისინი ჩვენ წმინ-და სარწმუნობაზე. პირიქით ბევრი ჩვენთაგანი (ქრისტიანი - ი.ბ.) სიამოვნებით თავს უფლებას აძლევდა ეჭამათ მათი საჭმელი.... საქმე იქამდე მივიდა, რომ ულირსი ქრისტიანები ამტკიცებდნენ, რომ თითქოს ებრაელები უკეთესად ქადაგებენ, ვიდრე ჩვენი სამ-ღვდელოება.... ზოგი ქრისტიანი იქამდეც კი მიდის, რომ აღნიშნა-ვენ შაბათს ებრაელებთან ერთად და არ იცავენ წმინდა დასვენების კვირა დღეს. ბევრი ქალი ცხოვრობს მათთან მოსამსახურედ ან როგორც დაქირავებულნი. ზოგიერთები არ აკეთებინებენ მოსამ-სახურე ქალებს თავის საქმეს და რყვნიან. ქრისტიანები მოექცნენ შეცდომების ოკეანეში, რომ ისინი ხედავენ ებრაელებში ერთა-დერთ მორწმუნე ხალხს, მიაჩინიათ რომ მხოლოდ მათი რელიგია არის წმინდა და მათი რწმენაა უფრო ძლიერი, ვიდრე ჩვენი (ქრის-ტიანული - ი.ბ)... იუდეველები ბოროტად იყენებენ ქრისტიანთა უბრალოებას, თავი მოაქვთ მოტყუებით, თავისი ქონებით თქვენს წინაშე, იმედი აქვთ პატრიარქების... ისინი მათ აჩვენებენ ორდო-ნანსებს, რომელიც ხელმოწერილია და აქვს დასმული თქვენს მიერ ოქროს ბეჭედი და შეიცავს ტექსტს, რომლის სიმართლეს ვერ და-ვიჯერებ. ებრაელები გვაჩვენებენ კაბებს, რომლებიც როგორც ისინი ამბობენ გამოუგზავნა მათ ცოლებს საჩუქრად თქვენმა ოჯახმა და სასახლის დიდგვაროვანმა ქალებმა, ისინი ტრაპახობენ, რომ მათ მიიღეს ნებართვა (კანონის დარღვევით) ახალი სინაგოგე-ბის მშენებლობისა (Положение евреев, Византия, 16).

აგობარდი ასევე უკმაყოფილო დარჩა, რომ ბაზრობის დღე
შაბათიდან გადაიტანეს ებრაელებისთვის ხელსაყრელ დღეს, რო-
მელიც მათ ამოირჩიეს. აგობარდი მოითხოვდა საეკლესიო დადგე-
ნილებების განხორციელებას, რომლის მიხედვით იკრძალებოდა
ერთდროული ტრაპეზი, ებრაელებს ეკრძალებოდათ ჰყოლოდათ
მოსამსახურე ქრისტიანი ქალები და ა.შ.

ებრაელების მიმართ სიძულვილს ვერ ფარავდა ვერც აგო-
ბარდის მემკვიდრე არქიეპისკოპოსი სახელად ამოლონი. ის წერდა:
„... დაგრძელე რა ებრაელთა ურნმუნოება და ვიბრძვი დავიცვა
ქრისტიანები მათი ურნმუნოებისაგან, მე სამჯერ საჯაროდ მო-
ვითხოვე, რომ ქრისტიანები ყოფილიყვნენ მათგან შორს, რომ არ-
ცერთ ქრისტიანს არ უნდა ემუშავათ მათთვის ქალაქად და სოფ-
ლად, რომ ებრაელებს არ ჰყოლოდათ სამუშაო ძალად მონები. შემ-
დეგ მე ავკრძალე ხელის ხლება მათ საჭმელზე და წყალზე. მე გა-
მოვაქეყნე რამოდენიმე მკაცრი ბრძანება, რომ მოვსპოობილ წინამძღვარს
და მასნავლებელს აგობარდს” (Положение евреев, Византия, 17)

შიუხედავად კათოლიკური ეკლესიის დევნისა, ებრაელები
თავიანთი ნიჭის წყალობით წარმატებას აღწევდნენ ქვეყნის ეკო-
ნომიკურ ცხოვრებაში. ისინი ძირითადათ, ეწეოდნენ საგარეო ვაჭ-
რობას, რაშიც მათ ეხმარებოდა ენების ცოდნა. მათ აღმოსავლეთი-
დან შემოჰქონდათ : შუშის ნანარმი, სანელებლები, ნელსაცხებლე-
ბი, ხოლო გაჭერნდათ : აბრეშუმი, ბეწვი, იარაღი, მონები. მათი
მარშრუტი ხმელეთით და ზღვით აღწევდა იაპონიასა და ჩინეთამ-
დე (Вишневский, 21)

იგივეს ადასტურებს IX საუკუნის არაბი მოგზაურის იბნ-
ხორდადის ჩვენამდე მოღწეული ცნობები, საიდანაც ირკვევა,
რომ ებრაელი ვაჭრები ფრანგთა მიწებიდან მუდმივად მიემგზა-
რებოდნენ საქონლით აზიასა და აფრიკაში. ის თავის წიგნში „წიგნი
მოგზაურობისა და მეფობისა” — წერს: „აი გზა ვაჭარ-ებრაელები-
სა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და პირიქით ხმელეთით ან
ზღვით, რომლებიც მოიხსენიება როგორც რადანიტები. ეს ვაჭრე-
ბი საუბრობენ სპარსულ, ბერძნულ, არაბულ, ფრანგულ, ესპანურ
და სლავურ ენაზე. მათ ჩამოაქვთ დასავლეთიდან აღმოსავლეთში
მონები, აბრეშუმი, ბეწვი, იარაღი. ხომალდით მოდიან ფრანკთა სა-

მეფოდან დასავლეთისაკენ, ხმელთაშუა ზღვის გავლით, და მიე-
მართებიან ფარამუსკენ – (პელუსიუმში და ეგვიპტეში). იქ საქო-
ნელს ტვირთავენ აქლემებზე და ხმელეთით მიდიან კულზუმში
(სუეცი), ხუთი დღე სჭირდებათ მგზავრობისათვის. ულმუზიდან
გემებით მიდიან აღმოსავლეთით, წითელი ზღვის გავლით, ალჟარ-
ში და ჯედუში (არაბეთი) შემდეგ სინდში, ინდოეთში და ჩინეთში.
უკან მოაქვთ მუსუსი, ჯავზი, ალოე, კამფურის ზეთი, დარიჩინი
და სხვა სანელებლები. ბრუნდებიან კულზუმში შემდეგ ფარამში,
საიდანაც მიდიან დასავლეთში. ზოგი მიემართება კონსტანტინე-
პოლისკენ, რათა გაყიდონ იქ თავიანთი საქონელი და შემდეგ
ბრუნდებიან უკან ფრანგთა სამეფოში (Дубнов, 2003, 31).

ებრაელთა განსახლება IX-X სს-ში ხდებოდა არა მარტო და-
სავლეთ ევროპაში, არამედ აღმოსავლეთში. ეს პირველ რიგში და-
კავშირებული იყო სავაჭრო გზებთან, რომლითაც გადაადგილდე-
ბოდნენ ისინი. დოკუმენტებით დასტურდება ებრაელთა თემის არ-
სებობა კიევში X ს-ში. ისინი გამოჩნდნენ პოლონეთის, ჩეხეთის,
ბალტიისპირეთის მიწებზე. აღ-ში ებრაელთა სალაპარაკო ენა იყო
ახლად ჩამოყალიბებული იდიში, თუმცა დას. ევროპაში, აზიაში ებ-
რაული ენა იყო ივრითი.

IX ს-ის ანტიებრაული ხასიათის წყაროებიდან ირკვევა,
რომ აღნიშნულ ეპოქაში არ არის არანაირი სახალხო ანტისემიტიზ-
მი. პირიქით შესაძლებელია იუდაიზმი ინარჩუნებდა პატივისცემას
ქრისტიანული მოსახლეობისაგან. მანამ, სანამ ქრისტიანობამ
სრულად არ მოახდინა თავისი გავლენა ხალხის სულიერ ცხოვრე-
ბაზე. სანამ არ განმტკიცდა ხალხის ქრისტიანული რწმენა, მანამ-
დე იუდეველთა პროპაგანდა გავლენას ახდენდა მათზე.

კაროლინგურ საფრანგეთში გვხვდება შემთხვევები, როცა
ადგილი ჰქონია იუდაიზმში გადასვლასაც კი. ასე მაგალითად,
ერთ—ერთი სასულიერო პირი სახელად ბოდონი იღებს ქრისტია-
ნობას და თავშესაფარს ესპანეთში (829 წ.) (Положение евреев, 18).

ქრისტიანების იუდაიზმში გადასვლასთან (პროზელიტიზ-
მი) დაკავშირებით მეტად საინტერესო XVI ს-ის შუა ხანებში მიღ-
ვანე ერთ—ერთი რაბინის შლომო ლურიას (მახარშალ) მოსაზრება,
რომელიც სასტიკი წინაარმდეგი იყო პროზელიტიზმის. ცნობილია,
რომ თალმიდისტური ტრაქტატი (1096 წ.) მკაცრად აცხადებ-

და: ”დაე ყველა ყბედურება დაემართოს იმათ, ვინც მიიღებს პროზელიტებს”. ხოლო ტოსაფისტები ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ თალმუდისტური ტრაქტატის სიმკაცრე და ამბობდნენ, რომ „წყევლა მიმართული იყო იმათ მიმართ, ვინც წააქეზებდა სხვა რელიგიის ხალხს გადასულიყო იუდაიზმში ან მიეღო ისინი ისე, რომ არ გაეფრთხილებინა ასეთი გადაწვეტილების შედეგების შესახებ”. მაგრამ დასძენენ ისინი „თუ ის (პროზელიტი) მტკიცეა თავის გადაწყვეტილებაში, რათა მიიღოს იუდაიზმი, მაშინ ჩვენ უნდა მივიღოთ”.

გამოდის რომ თალმუდისტური სკოლა არ იყო წინააღმდეგი იუდაიზმში გადასვლის. მაგრამ, რაბინი შლომო ლურია განსაზღვრავს: ”ეს შეეხებოდა(იუდაიზმში გადასვლის მხარდაჭერას-ი.ბ.) იმ ეპოქაში, როცა ებრაელები ცხოვრობდნენ ტაძრის დანგრევის შემდეგაც, როცა ისინი დარბეული იყვნენ რომის იმპერატორების მიერ, მაგრამ მაინც ცხოვრობდნენ თავის ქვეყანაში და შეეძლოთ მიეღოთ ყველა, ვინც ისურვებდა იუდაიზმში გადასვლას. მაგრამ ებლა ისინი ცხოვრობდნენ სხვა ქვეყანაში, ისინი იყვნენ როგორც მონები. მათი ერთადერთი მფარველი იყო ლმერთი და ამიტომ თუ ვინმე შეეცდებოდა მიეღო პროზელიტი, ამით ის ომს გამოუცხადებდა სახელმწიფოს (რომლის დამოკიდებულების ქვეშ იმყოფებოდა ებრაელები-ი.ბ.) და რასაც მოყვებოდა ხელისუფლების წინააღმდეგობა. ამისათვის (მიდის რა დიდ რისკზე-ი.ბ.) მას მოეღოდა სიკვდილი. ეს ეხებოდა იმათაც კი, ვინც იცოდა ამის შესახებ (Kap, 1991, 219).

ამდენად, შლომო ლურია ცდილობდა გაემართლებინა ტოსაფისტების მხარდაჭერა იუდაიზმში გადასვლისა და ამას სწნიდა იმით, რომ იზრაელის შვილები (ებრაელები-ი.ბ) მაშინ ცხოვრობდნენ თავის სამშობლოში და უშვებდა პროზელიტიზმს. მაგრამ, როცა ებრაელებმა დატოვეს სამშობლო და სხვა ქვეყნის მფარველობაში მოექცნენ, არ შეიძლებოდა ვინმეს მიეღო იუდაიზმი, ვინაიდან ამით ებრაელი დაუპირისპირდებოდა სახელმწიფოს. ამისათვის დააწესა მკაცრი სასჯელი- სიკვდილი. ეს იყო სასტიკი გაფრთხილება ყველა ებრაელისა და მოწოდება მათი სიმტკიცისა და გამძლეობისაკენ.

ამრიგად, კაროლინგთა ეპოქაში ებრაელთა პრივილეგირებულმა მდგომარეობამ განსაზღვრა მათი დასახლების აღმოცენება შამპანში, ლოტარინგიაში, რეინისპირა ქალაქებში პრალამდე. კოლონიზაცია მიღიოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და XII ს-ში ფრანგული ენა იყო სალაპარაკო ენა როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრეკ ბათოშვილი, ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბ., 1991;
2. Дубнов С. М., История Евреев, Т.1, М., 2003
3. Я. Кац, Евреи в средневековой Европе, Библиотека-Алия, 1991;
4. Феликс Кандель, Очерки времен и событий из истории российских евреев, Редактор Марк Кипнис, Иерусалим, 1988;
5. Положение евреев в раннее средневековье, Византия, <http://j-history.nfurman.com/lessons/10/10-04.htm>
6. Вишневский, Еврей Европы в раннем средневековье, http://piraty.ru/article/ev_ptml

Изольда Белтадзе

Евреи в эпоху Каролингов

Резюме

В эпоху Каролингов положение евреев было сравнительно стабильным, не смотря на то, что духовенство проявляло враждебность по отношению к ним (епископы Леона Агобард, Амолон). Евреи в данное время являлись лидерами в сфере торговли и ремесла. Именно поэтому их поселения появились в городах Шампани, Лотарингии и на берегу Рейна.

Izolda Beltadze
Jews during an epoch Karolingov

The resume

During an epoch Karolingov position of Jews was rather stable, despite that the clergy showed animosities in relation to them (bishops of Leon Agobard, Amolon). Tt present Jews were leaders in trade and craft sphere. For this reason their settlements have appeared in the cities of Shampanii, Lorraine and on the bank of Rhine.

ისტერიული დამბლის ფანომენულობის გეპანიზმი

გურამ ჩაგანავა

მოძრაობითი ფუნქციის შეფერხების ისტერიული დარღვევის ტიპს მიეკუთვნება არასრული დამბლა (პარეზი) –ბერძნ. paresis მოღუნება არასრული დამბლა (ჭაბაშვილი, 1989:370) ანდა დამბლა, პარალიზი–ბერძნ. paralysis, დამბლა (ჭაბაშვილი, 1989:369). ფუნქციონალურად პარეზი და დამბლა (ჩაგანავა, 2010:93–102; 126–130) სამ ძირითად ფორმაში ვლინდება 1. ცალმხრივი დუნე პარეზი ან დაბლა, რომელიც ეუფლება ზემო ან ქვემო კიდურებს; 2) პარაპარეზი ან პარაპლეგია ე.ი. ეუფლება ორივე ზემო და ქვემო კიდურებს, ან თეთრაპლეგია; ჰემიპარეზი ან ჰემიპლეგია, დუნე პარეზს ან დამბლას შეიძლება (თუმცა არა აუცილებლად) თან ახლავდეს (Якубик, 1982:269). სპასტიკური (სპაზმი–ბერძნ. spasmos-ყელის, საყლაპავი მილის, კუჭ-ნაწლავის და მისთანათა კუნთების კრუნჩევითი შეკუმშვა (ჭაბაშვილი, 1989:473) პარეზები ანდა ატაქსია–ბერძნ. ataxia- უნესრიგობა; ნებისმიერ მოძრაობათა შეთანხმებულობის დარღვევა (ჭაბაშვილი, 1989:60).

ისტერიულ დამბლებს ჩვეულებრივ აქვთ შემდეგი საერთო ნიშნები (Якубик, 1982:269): კიდურების ტკივილი ანდა სისუსტის შეგრძნება იმ პერიოდში, რომელიც ნინ უსწრებს პარეზისა თუ დამბლის წარმოშობას; 2) პათოლოგიური რეფლექსების არ არსებობა; 3) ნორმალური და ზოგჯერ ზეანეული ღრმა რეფლექსები; 4) შემცირებული (დადაბლებული) ანდა ნორმალური კუნთოვანი ტონუსი; 5) კუნთოვანი ატროფიის არ არსებობა; 6) პარალიზებული კიდურების ნორმალური ფუნქცია იმ მომენტში, როდესაც ავადმყოფი არ აქცევს ყურადღებას სიმპტომებს; 7) აქტიური წინააღმდეგობა პასიური მოძრაობების დროს, ხშირად ყველა „დაზიანებულ“ კუნთებთან ერთად; 8) დამბლის ლოკალიზაცია არ შეესატ-

ყვისება ფიზიოლოგიას; 9) კონკრეტული ფუნქციისათვის პარალი-ზებული კუნთები მონაწილეობენ სხვა ფუნქციებში; 10) დამბლით დაზიანებულ სფეროში მოძრაობის შეუსრულებლობა ანდა მცირე მოცულობით მოძრაობის შესრულების შესაძლებლობა; 11) დამ-ბლით დაუზიანებელი ნაწილების კუნთების დაძაბულობა; 12) სხვა ისტერიულ დარღვევებთან, განსაკუთრებით ანესთიზიასთან და ისტერიულ შეტევასთან შეთანხმებულობა; 13) პოპულარული წარ-მოდგენების შესაბამისად კუნთების ჯგუფის დაზიანება ზუსტად სხეულის შუა ხაზის მიხედვით ხორციელდება; 14) ძლიერი ემოცი-ური განცდების ზეგავლენის შესაბამისად სიმპტომების უეცარი გამოჩენა და გაუჩინარება (Якубик, 1982:270).

ქვედა კიდურების ისტერიულ დაზიანებას ჩვეულებრივ შე-ესატყვისება მეტნაკლებად გამოხატული შემდეგი ფორმის სიარუ-ლის მანერის დარღვევა: 1. ზიგზაგისმაგვარი სიარული; 2. კიდურე-ბის თრევა; 3) ოჩოფეხების მაგვარი სიარული ხისტად გამართულ და ოდნავ გაშლილ ფეხებზე; 3) სრიალა სიარულის მანერა; 5) მუხ-ლმოდრეკით სიარულის მანერა-წინ გადაადგილების დროს მუხ-ლებზე დადგომა ყოველი ნაბიჯის შემდეგ; 6) ბალანსირებული სი-არულის მანერა; 7) ქორეასმსგავსი სიარულის მანერა ტანის სხვა-დასხვა მხარის გადაზნექა, ფეხების გადაჯვარედინება, ხელების საცეკვაო მოძრაობები; 8) მხტუნავი სიარულის მანერა, უფრო ხში-რად ერთ ფეხზე; 9) სიარულის ქნევითი მანერა- კიდურების ქნევა მანამ სანამ მათ დავდგამთ. 10) უხერხული გადაადგილება ფარ-თოდ გაშლილ ფეხებზე, ძლიერ მაღლა წევს მათ და დაუშვებს ია-ტაკზე თხლაშუნით (Якубик, 1982:271).

ისტერიის ხშირი სიმპტომი არის დგომისა (ასტაზია) და სი-არულის (აბაზია) -ბერძნ. a (უარყ. ნაწილი) და ბასის-მოძრაობა, სიარული-სიარულის უნარის დაკარგვა (ჭაბაშვილი, 1989:13); ბერძნ. a (უარყ. ნაწილი) stasis-დგომა- დგომის უნარის დაკარგვა (ჭაბაშვილი, 1989:58).

არსებობს ასტაზია-აბაზიის კლასიკური მაგალითი: ასტა-ზია-აბაზიის მქონე ავადმყოფს დამოუკიდებლად არ შეუძლია დგომა და სიარული, თუმცა კუნთების ძალა და ტონუსი, მგრძნო-ბელობა და კოორდინაცია მას შენარჩუნებული აქვს. სრული ასტა-ზია-აბაზიის დროს პაციენტს შეუძლია დამოუკიდებლად ადგეს და

დადგეს, მაგრამ არ შეუძლია სხვისი დახმარების გარეშე არც დგო-
მა (ვარდება უკან ან გვერდზე) და არც რამდენიმე ნაბიჯის გადად-
გმა. ასეთი აშლილობის უფრო ნაკლებ გამოხატულად ფიქსირდება
ბალანსირებული, ქორეასმსგავსი და მხტუნავი სიარულის მანერა
(Якубик, 1982:271).

როგორიც არ უნდა იყოს ისტერიული დამბლა, ფაქტია,
რომ აქ საკუთარი მოძრაობის შეწყვეტასთან თუ არა შეფერხებას-
თან გვაქვს საქმე და საკუთარი მოძრაობის ეს შეწყვეტა უთუოდ
დაკავშირებულია იმასთან, რაც ითვალისწინებს დამბლამდე არსე-
ბულ სიტუაციას, რომელიც საკუთარი ინიციატივის საფუძველზე
მოიცავს საკუთარი უძრაობის შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი
საკუთარი მოძრაობის შესაძლოებლობას საკუთარი ინიციატივის
გარეშე. ჩვეულებრივ ადამიანს აქვს საკუთარი ინიციატივის შესა-
ბამისად საკუთარი მოძრაობის შესაძლებლობა, რომელიც აგრეთ-
ვე გულისხმობს საკუთარი ინიციატივის გარეშე საკუთარი მოძრა-
ობის შესაძლებლობას, აგრეთვე საკუთარი ინიციატივის გარეშე
საკუთარი მოძრაობის შეუძლებლობას, რომელიც დაკავშირებუ-
ლია საკუთარი ინიციატივის გარეშე საკუთარი მოძრაობის შესაძ-
ლებლობასთან.

ისტერიული ქცევის (ამ შემთხვევაში დამბლის) თავისებუ-
რება კი ის არის, რომ ცნობიერად ადამიანი ხშირად იმყოფება მის-
თვის სასურველი მოძრაობის-აქტივობის შეუძლებლობის პირო-
ბებში (ან ასეთი აქტივობის შეუძლებლობის პირობებში (ან ასეთი
აქტივობის არასასურველობის პირობებში) და მას მინიმუმამდე
აქვს პასუხისმგებლობა ამ სიტუაციაზე რეალურად. ამ სიტუაცია-
ზე ზემოქმედების საშუალება მას არ გააჩნია და ამიტომ მისი ნე-
ბის-გარემოსთან „შესატყვევისობის“ ათვისების აქტიობა ზუსტად
აქტიობის შეწყვეტასთან ანუ უძრაობაში ხორციელდება.

ამრიგად, ისტერიული დამბლა დაკავშირებულია ადამიანის
ისეთ მდგომარეობასთან, როდესაც მას არა აქვს შესაძლებლობა
დასძლიოს მისთვის უცხო მიუღებელი სიტუაცია, გაექცეს მას,
უკუაგდოს ის, გამოავლინოს ამ სიტუაციის მიმართ მიუღებლობის
განცდები. ამრიგად, მას არა აქვს აქტივობის გამოვლენის შესაძ-
ლებლობები. ამიტომ ერთადერთ შესაძლებლობად რათა უკუაგ-

დღს მიუღებელი სიტუაცია, მდგომარეობა, რჩება აქტივობის შეწყვეტა, რაც კიდევაც იწვევს დამბლას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ.ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.
2. გ. ჩაგანავა, არადიფერენცირებული სომატოფორმული აძლი-ლობა, კრ.: სოციალურ მეცნიერებათა საკითხები, II, თბ., 2010, გვ. 93–102.
3. გ.ჩაგანავა, დისოციაციური კამპტოკორმია, კრ.” სოციალურ მეცნიერებათან საკითხები, II, თბ., 2010, გვ. 126–136.
4. იაკუბიკ А., История, Медицина, М., 1982, 342 с.

Guram Chaganava

Phenomenological Mechanizm of Hysterical Paralysis

S u m m a r y

Hysterical Paralysis is connected with such condition of a person, when he has not possibility to overcome the alien, unacceptable space, situation, to run away from these circumstances, he cannot to manifest the feels of the unacceptability to this situation, So the person has not the possibility of the activity. On account of it, the only possibility of the deliverance from the unacceptable situation, position, condition is left to put the end of the activity, which bring the person to hysterical paralysis.

Гурам Чаганава

Феноменологический механизм истерического паралича

Р е з ю м е

Истерический паралич связан с таким состоянием человека, когда у него нет возможности на преодоление чуждого, неприемлемого пространства, ситуации, бегства от этих обстоятельств, проявления по отношению к ситуации переживаний неприемлемости. То есть у человека нет возможности активности. Поэтому единственной возможностью избавления от неприемлемой ситуации, положения, состояния остается прекращение активности, что и приводит к истерическому параличу.

ქალადობის მსხვერპლ პავშვია ფსიქოლოგიური თავისებურებანი

ქუთევან ბერიძე

ქალზე რთულია იმის გაგება, თუ რატომ მიმართავს პატარა ბავშვის მიმართ ძალადობას ხშირად მისთვის უახლოესი მოზრდილი ადამიანი. ბავშვთა მიმართ ძალადობა არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც აკნინებს ან დაზიანებით ემუქრება ბავშვის ფსიქიურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას და განვითარებას.

დღეისათვის ცხადია, რომ მოზრდილის ამგვარი ქცევის მხოლოდ ერთი მიზეზი არ არსებობს. ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებია:

- ფიზიკური ძალადობა
- ემოციური,(ფსიქოლოგიური)ძალადობა
- სექსუალური ძალადობა
- უგულებელყოფა

1. ფიზიკური ძალადობა

ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას ეს არის მოზრდილი ადამიანების გაცნობიერებული ქმედებები. ფიზიკური ტრავმა შესაძლოა სხვადასხვა იყოს, უბრალო ნაკანრი-დან მოტეხილ ძლიერადი დამთავრებული. ფიზიკური ძალადობა ასევე გამოიხატება განსაკუთრებული დასჯის გამოყენებით, ბავშვის ჩაკეტვის ბნელ ადგილას და ა.შ.

2. ემოციური ძალადობა—სიტყვიერი ან ქცევითი ზემოქმედებით ბავშვში შიშის, დამცირების, მარტოობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის საზიანო სხვა მდგომარეობების პროვოცირება, ეს არის ბავშვის დამცირება, დასჯა, დაშინება და ნორმალური სოციალური ურთიერთობების შეზღუდვა ბავშვის კომპეტენციისა და თვითშეფასების განზრახ განადგურების ან დარღვევის მიზნით.

ემოციური ძალადობა აერთიანებს როგორც ბავშვის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებს (სიტყვიერი აგრესია), ისე უმოქმედობას ბავშვთან მიმართებაში (ბავშვის ემოციური უარყოფა თანაგრძნობისა და მხარდაჭერის არარსებობა, დადანაშაულება, დამცირება, განდევნა, იგნორირება და ა.შ)

ბავშვისათვის ემოციურად მატრავმირებელი ქცევებია:

უარყოფა--(განდევნა) მოზრდილი არ ცნობს ბავშვის ფასეულობებს და მისი საჭიროებების კანონზომიერებას, აჩვენებს რომ ბავშვი არაა სასურველი და საყვარელი

იზოლირება- მოზრდილი უზღუდავს ბავშვს სხვადასხვა სოციალურ ურთიერთობებს, აიძულებს სჯეროდეს რომ ის მარტოა ამ სამყაროში.

ტერორიზება-სიტყვიერი აგრესით გაუთავებელი საყვედურებით შიშის გარემოს შექმნით მოზრდილი ამცირებს, დასცინის, აშინებს, ბავშვს და აიძულებს სჯეროდეს, რომ სამყარო მის ირგვლივ საშიშია.

სოციალური გარყვნა—მოზრდილი ბავშვს ანტი სოციალურს ხდის ითრევს უკანონო ქმედებებში.ძალზე ძნელია განვასხვავოთ სად მთავრდება ბავშვის არასწორი ფსიქოლოგიური აღზრდა და ინტერა ემოციური ძალადობა, ბავშვის მიმართ ემოციურ ძალადობას ადგილი აქვს მაშინ, როცა ბავშვის ემოციური მოთხოვნილებების მუდმივი დაუკმაყოფილებლობა ქცევის მუდმივ მოდელად იქცევა. ამგვარ ბავშვებს ადანაშაულებენ მშობლების წარუმატებლობებში. ასეთი აღზრდის სტილი შეიძლება განზოგადდეს “შენ იმდენად არაფრად ვარგიხარ რომ ჯობდა საერთოდ არ დაძადებულიყავი”.

3. სექსუალური ძალადობა-ბავშვის გამოყენება სექსუალური მოთხოვნილებების დასკმაყოფილებლად ან გამორჩენის მიზნით სამწუხაროდ ფაქტები გვიჩვენებს რომ სექსუალური ძალადობის შემთხვევები გვხვდება ყველა სოციალური ფენის ოჯახში.

4. უგულებელყოფა ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების რეგულარული დაუკმაყოფილებლობა ობიექტური მიზეზების გამო ან ამგვარი მიზეზების გარეშე უგულებელყოფა შეიძლება იყოს ფიზიკური, სოციალური და ემოციური.

ცხადია, რომ ბავშვების მიმართ ძალადობა ოჯახის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაზე, რასაზე ან რელიგიაზე არაა დამოკიდებული. ბავშვის მიმართ ძალადობა, რა ფორმისაც არ უნდა იყოს ის, გავლენას ახდენს ბავშვის განვითარების ყველა ასპექტზე. ძალადობა არღვევს ფიზიკურ ჯანმრთელობას, ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას, მის ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებას და სოციალურ უნარ-ჩვევებს. თვითონ ბავშვები იშვიათად ყვებიან გადატანილი წყენის შესახებ. ხშირად მათ არ ესმით, რომ უფროსები ასე არ უნდა იქცეოდნენ.

ძალადობას ყოველთვის თან ახლავს პირადი ღირსების შეურაცხყოფა. ის შეიძლება გამოვლინდეს მუქარით, დამცირებით, დაშინებით, პირადი საკუთრების ხელყოფით, საჯარო შეურაცხყოფით, ან სექსუალური ექსპლოატაციით. ჩვეულებრივი ყოფითი საწყენი რეპლიკები და კრიტიკული გამოხტომები სხვა არაფერია, თუ არა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რადგანაც ეს უცილობლად აისახება ვინმეს ემოციონალურ ან ფიზიკურ მდგომარეობაზე. ცუდი გუნება-განწყობილება ან დაგროვილი გაღიზიანება არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს მსგავს გამოვლინებებს.

ევროპულ ქვეყანათა უმრავლესობაში სახელმწიფო დონეზე მკვეთრად შეზღუდულია ისეთი ტელეპროდუქციის ჩვენება, რომელიც ძალადობისა და სისასტიკის სცენებს შეიცავს, ხოლო შვედეთში, გარდა ამისა, მოქმედებს აკრძალვა ისეთი სათამაშოების წარმოებასა და გავრცელებაზე, რომლებმაც ბავშვებში შეიძლება სისასტიკე აღზარდონ. ვინ შეიძლება იყოს მოძალადე? მცდარია წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს მოძალადე ადამიანები არანორმალური ან დანარჩენებისაგან განსხვავებული არიან. ხშირად გარემონცველებს არ სურთ იმის დაჯერება, რომ “გარეგნულად ასეთი წესიერი” ადამიანი შეიძლება სასტიკად ეპყრობოდეს ოჯახის წევრებს; მაგრამ ეს მართლაც ასეა - ხშირად მშობლები, რომლებიც რეგულარულად სცემენ თავიანთ შვილს, გარეშეებთან ურთიერთობაში სასიამოვნონი არიან და სხვათაგან არაფრით გამოირჩევიან. მათ ერთი სერიოზული პრობლემა აერთიანებთ - თავიანთი რისხვის კონტროლის უუნარობა.

ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი, მაგრამ, არსებობს ბავშვების კატეგორია, რომლებიც სასტიკი

მოპყრობის “რისკ-ჯგუფს” შეადგენენ. მრავალრიცხოვან გამოკვლევათა თანახმად, რისკის ჯგუფში შედიან ბავშვები, რომელთა დედებიც სისტემატიურად განიცდიან ძალადობას, შვილად აყვანილი, ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ან “არასასურველი ბავშვები”. ჰიპერაქტიური, აგრეთვე გონებრივად ან ფიზიკურად არასრულფასოვანი ბავშვები. გოგონები, რომლებიც უდედო ოჯახებში ცხოვრობენ ან დედა ქრონიკულად ავადმყოფი ან ინვალიდია, მამის მხრიდან შეიძლება გახდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, განსაკუთრებით თუ მამა გულჩახვეულია და ახლო მეგობრები არ ჰყავს. იგივე ეხება ოჯახს, სადაც გოგონა მამინაცვალთან ან დედის “მეგობართან” ერთად ცხოვრობს.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვისათვის დამახასიათებებია:

მარტოობის განცდა – თავს მიტოვებულად და მარტოსულად გრძნობს, მშობლისადმი გაორებული (მიში და სიყვარული) დამოკიდებულება - ცდილობს მშობლის საქციელის გამართლებას და იწყებს ფიქრს, რომ თვითონაც ცემის ღირსია, აქვს საკუთარი ზედმეტობის და უღირსობის განცდა – თავს უმნიშვნელო და უღირს ადამიანად თვლის, რომელიც ყურადღებას არ იმსახურებს.

საკუთარი ოჯახის მიმართ გაუცხოება – თვლის, რომ ოჯახში მისი არ ესმით და მეგობრებს ოჯახს გარეთ ეძებს.

სიძნელები სკოლში – უჭირს ყურადღების კონცენტრაცია, თანატოლებთან ნორმალური ურთიერთობა, თვლის, რომ განსხვავდება თანატოლთაგან და მისი ცხოვრებაც ამიტომაა განსხვავებული.

ძალადობის მიმღებლობა – სიყვარულისა და ძალადობის აღრევის გამო ბავშვს უცნდება განცდა, რომ ძალადობა ჩვეულებრივი რამაა, რომ “ეს ასეც უნდა იყოს”.

მშობელმა უნდა შეიგნოს, რომ მისი ქცევის სტილი გადაეცემა შვილებს, რომლებიც თავის მხრივ, ძალადობენ საკუთარ შვილებზე და ამგვარად, ძალადობის ტალღა გადადის თაობიდან თაობაზე. თუნდაც ამიტომ არაა ოჯახში ბავშვზე ძალადობის პრობლემა მხოლოდ ერთეულების ან მხოლოდ მისი ოჯახის საქმე.

ოჯახში ძალადობის ფაქტების დამალვით საფრთხე ექმნება ოჯახის ყველა ნევრის(განსაკუთრებით, ბავშვების) ფიზიკურ და

ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მთელ მომავალ ცხოვრებას. პირველ რიგში, აუცილებელია პრობლემის გაზიარება ახლობლებისათვის, ხოლო თუ პრობლემა არ მოგვარდა, კომპეტენტური დახმარების გაწევა შეუძლიათ ბავშვთა და მოზრდილთა ძალადობისაგან დაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტებს: ფსიქოლოგებს, ექიმებს, იურისტებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალისა დელტუფო “ძალადობა და ოჯახი”
2. ქეთევან ბერიძე, სტატია “ძალადობა და ტელევიზია” 2008 წ
3. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დამედიცინის განვითარების ფონდი (....) ფსიქოლოგ ქეთევან თავართქილაძის კვლევის შედეგები ძალადობა გამოვლილ ბავშვებში (2008 წ).
4. www. 24 saatı.ge –ინტერნეტ-რესურსი
5. khatia.blogspot.com-ინტერნეტ-რესურსი

Кетеван Беридзе

Психологические особенности детей жертв насилия

Резюме

Насилием по отношению к детям считается любое действие, которое унижает или ущемляет психическое и физическое благосостояние ребенка, создает опасность его здоровью и развитию.

Известно, что существует не одна причина такого поведения взрослого. Формами насилия по отношению к детям являются: 1. Физическое насилие. 2. Эмоциональное (психологическое) насилие. 3. Сексуальное насилие. 4. Игнорирование. Насилие по отношению к детям, в какой бы форме оно не было, влияет на все аспекты развития ребенка. Насилие разрушает физическое здоровье, интеллектуальное развитие ребенка, его психологическое функционирование и социальные навыки.

Характерными особенностями для детей жертв насилия в семье являются: чувство одиночества, отчуждение по отношению к семье, трудности в школе, принятие насилия.

Ketevan Beridze

Psychological features of violence on children

Summary

Any kind of violent actions toward children decay the physical and psychological prosperity of a child and endanger their health and development.

Today it's obvious that there is not only one reason of it for an adult. There are many forms of violent actions: 1. physical violence. 2. Emotional (psychological) violence, 3. Sexual violence. 4. Ignoring

Violence toward children, no matter its forms, effects on every stage of their development. Violence destroys physical health, intellectual development, their psychological functioning and social skills.

The following things are characteristic features of the violent actions in families between children: feeling loneliness, alienation from family members, difficulties at schools, acceptance of violence

პიოლოგიური და სოციალური სენი (გენდერი)

რუსულან კეჭაყმაძე

გენდერი და გენდერთან დაკავშირებული საკითხები – ესაა ის სფერო, რომელსაც აქტიურად სწავლობენ დღევანდელ ფსიქოლოგიაში. სქესის ბუნებაში, სქესობრივ დიფერენციასა და სქესობრივ განსხვავებებში გასარკვევად, უნდა დავსვათ კითხვა: რა არის სქესი? ბიოლოგიაში სქესი განისაზღვრება, როგორც ორგანიზმის მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური თავისებურებების ერთიანობა, რომელიც უზრუნველყოფს სქესობრივ გამრავლებას. ორი სქესის არსებობა გულისხმობს ორგანიზმთა აგებულებასა და ფუნქციონირებაში განსხვავებას, რომლებიც ეკუთვნიან სხვადასხვა სქესს. ქალისა და მამაკაცის ორგანიზმთა გარეგნულ და შინაგან განსხვავებებს ეწოდება სქესობრივი დიმორფიზმი.

დღეისათვის ბიოლოგებმა ეჭვევეშ დააყენეს ადამიანთა მხოლოდ ორ ურთიერთსაპირისპირო სქესად დაყოფის დასაბუთებულობა. მათ გამოჰყენეს ადამიანის სქესობრივი ორგანიზაციის რამდენიმე დონე:

- გენეტიკური სქესი (გენების გარკვეული ნაკრები);
- გონადური სქესი (სასქესო ჯირკვლები);

მორფოლოგიური სქესი (გარეგანი და შინაგანი სასქესო ორგანოები);

ცერებრალური სქესი (ტვინის დიფერენციაცია ტესტოსტრონის გავლენით);

ენდოკრინული, ჰორმონალური სქესი.

ამ მექანიზმთა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ფსიქოლოგიაში სქესი განმარტებულია, როგორც სხეულებრივ და სოციალურ მახასიათებულთა ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც ინდივიდს მიიჩნევენ ქალად ან კაცად. თითოეული დონის სხვადასხვა მახასიათებლის შეხამება განსაზღვრავს კონკრეტული

ინდივიდის კონსტიტუციონალური თავისებურებების მრავალფეროვნებას, მაშინ როცა ადამიანთა ორ სქესად ჩვეული დაყოფა, ფაქტიურად ეყრდნობა მხოლოდ მორფოლოგიურ კრიტერიუმს: ამა თუ იმ სასქესო ორგანოს არსებობას. ამასთანავე, მასობრივ ცნობიერებაში მორფოლოგიურ სქესთან დაკავშირებულია ქცევითი მახასიათებლებიც, რომლებიც მიეწერება ამა თუ იმ გენიტალიების მქონე ინდივიდს: თუ ინდივიდს აქვს ერთი სახის გენიტალიები, მაშინ მას მიეწერება ერთი გარკვეული ქცევა, თუ სხვა-შესაბამისად, სხვა ქცევა. ის გარემოება, რომ ადამიანის მორფოლოგიური სქესი შეიძლება განსხვავებულად იყოს შეხამებული სხვა დონეებზე მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესთა დინამიკურ მახასიათებლებთან — ალიქმება, როგორც გადახრა. ადამიანთა უმრავლესობის ცნობიერებაში არსებობს სტერეოტიპი იმაზე, რომ სწორედ გენიტალიები წარმოადგენს ბიოლოგიური სქესის ყველა ასპექტის შეფასების კრიტერიუმს.

სქესობრივი განსხვავებების თეორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტრიადის — ჰორმონები-ტვინი-ქცევის — ურთიერთქმედებას. საქმე რომ ნამდვილად ტრიადასთან აქვთ, ეს მეცნიერებმა აღმოაჩინეს არც ისე დიდი ხნის წინათ. 50-60-იან წლებში ხშირად გამოიყენებოდა ფორმულა-“ჰორმონები-ქცევა”, რომელშიც მთავარი როლი მიენიჭებოდა ჰორმონებს. ტვინის სქესობრივი დიფერენციაციის აღმოჩენას სქესის თეორიისათვის ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ ჰიპოთალამუსის დიფერენცირება ხდება არაარტო ანდროგენების გავლენით, არამედ მას უშუალოდ შეუძლია ზემოქმედების მოხდენა როგორც ენდოკრინულ სისტემაზე, ისე ქცევის სქესობრივ დიფერენციაციაზე. როდესაც უკვე ჩამოყალიბებულია მამრობითი და მდედრობითი სქესობრივი ცენტრები, ქცევა ხდება ერთმნიშვნელოვანი, მაგრამ ტვინის შესატყვის უბანზე ჰორმონალური ზემოქმედებით ან ქირურგიული ჩარევის გზით, შესაძლებელია მდედრებში გამოვიწვიოთ მასკულინური ხოლო მამრებში-ფემინური რეაქციები.

ბოლო დროს მეცნიერებაში მიღებულია, რომ ქალურისა და მამაკაცურის განსხვავებისას ნათლად გაიმიჯნოს ერთმანეთისა-გან კონსტიტუციონალური და სოციო-კულტურული ასპექტები, რისთვისაც იყენებენ ტერმინებს “კონკრეტული, ბიოლოგიური”

სქესი (sex) და “ზოგადი, სოციალური” სქესი (გენდერ). ტერმინით “კონკრეტული” სქესი (sex) აღწერენ ადამიანთა შორის ბიო-ლოგიურ განსხვავებებს, რომლებიც განპირობებულია უჯრედების აგებულების გენეტიკური თავისებურებებით, ანატომიურ-ფიზიო-ლოგიური თავისებურებებით და სასქესო ორგანოებით. ტერმინი “გენდერი” — მიუთითებს სოციალურ სტატუსზე და პიროვნების სოციალ-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებზე, რომლებიც დაკავშირებულია სქესთან და სექსუალობასთან, მაგრამ აღმოცენდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას.

უმეტეს შემთხვევაში სქესი და გენდერი იდენტურია. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ბიოლოგიურადაც და სოციო-ფსიქო-ლოგიურადაც არის ვთქვათ, ქალი. თუმცა არსებობს ადამიანთა კატეგორია — ტრანსსექსუალები, რომლებსაც გააჩნიათ ერთი ბიოლოგიური სქესი და საპირისპირო გენდერი. ისინი გრძნობენ შეუსაბამობას საკუთარ ანატომიურ სქესსა და სქესობრივ იდენტიფიკაციას შორის, საკუთარ მდგომარეობას ხშირად აღწერენ, როგორც “არასწორ სხეულში მოთავსებულს”, მამაკაცს სურს, იყოს ქალი და პირიქით.

არის შემთხვევებიც, როცა ერთი სქესის ქრომოსომების მქონე ინდივიდი ჰორმონალურად შეიძლება განვითარებული იყოს, როგორც საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი. ქრომოსომათა ნაკრების მიხედვით, ინდივიდს უვითარდება სქესის შესაბამისი პირველადი და მეორადი ნიშნები, შესაბამისი ჰორმონალური სისტემა, შესატყვისი “ქალური” ან “მამაკაცური” ფსიქოლოგია, თუმცა სქესის თანამედროვე კვლევებში არსებობს მონაცემები, რომლებიც მოწმობს ნორმიდან გადახრის მრავალ შემთხვევაზე. ტრანსსექსუალების, ჰერმაფტოროდიტებისა და სხვათა მაგალითები გვიჩვენებს, რომ ბიოლოგიურად სქესი არის რთული კომპლექსური მოვლენა, მრავალი შესაძლო ვარიანტით და არამარტო ორი, ურთიერთგამომრიცხავი კატეგორიებისაგან შემდგარი, როგორც თვლიდნენ ტრადიციულად. დღეისათვის ინდივიდის სქესის განმსაზღვრელ მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევენ ქრომოსომულ სქესს. არსებობს მოსაზრება, რომ ქრომოსომული სქესი არის უფრო არსებითი და უფრო მეცნიერული კრიტერიუმი, ვიდრე გენიტალური ან ჰორმონალური სქესი. უეჭველია, რომ პირველადია სწო-

რედ ქრომოსომული სქესი, რომელიც ორგანიზმის განვითარების მომდევნო საფეხურზე იწვევს ინდივიდის გენიტალური, ჰორმონალური და ცერებრალური სქესის განვითარებას. მართალია, ქრომოსომული სქესი ითვლება მისი ამოცნობის ყველაზე ვალიდურ კრიტერიუმად, მაგრამ აქაც გვხვდება ანომალიები.

მანისა და ტაკერის აზრით, არსებობს გენდერის ორი ასპექტი: გენდერული იდენტიფიკაციის პროცესი და გენდერული როლების შეძენა. გენდერული იდენტურობა — ესაა ინდივიდის თვითცნობიერებისა და ქცევის ერთობლიობა, რომელიც საკუთარ თავს აკუთვნებს რომელიმე სქესს და ორიენტირებულია შესატყვისი გენდერული როლის მოთხოვნებზე, ხოლო გენდერული როლი-ესაა ადამიანის საქმიანობის, სტატუსის, უფლებებისა და მოვალეობების დიფერენციაცია მათი სქესობრივი კუთვნილების მიხედვით.

სქესთან დაკავშირებით თავს იჩენს მრავალი კითხვა. ერთ-ერთი შეკითხვა მდგომარეობას შემდეგში: სქესი და გენდერ-ი კონტინუმს წარმოადგენს თუ დიქოტომიურ ცვლადებს?

ტრადიციულად, ადამიანთა უმრავლესობა სქესის ფორმულირებას ახდენს დიქოტომიურად, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს მხოლოდ ორი სქესი და ისინი არიან ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავი. ზოგიერთ კულტურაში ორის ნაცვლად განასხვავებენ სამ სქესს, რაც ასახულია ენაში, მაგალითად, ლათინურ, ბერძნულ და გერმანულ ენებში არსებობს მდედრობითი, მამრობითი და ნეიტრალური სქესი. აქედან გამომდინარე, ზოგი მეცნიერის მტკიცებით, სქესი არის უფრო კონტინუუმი, ვიდრე დიქოტომია. ზოგი ავტორი, მაგალითად, Arfinkel-ი და Baker-ი აღნიშნავს, რომ sex- სა და gender-ს შორის განსხვავება — ესაა მხოლოდ კულტურული და ლინგვისტური შეთანხმება. ადამიანთა “ახალი” კატეგორიის — ტრანსსექსუალების აღმოჩენამ ექსპერტები მიიყვანა იმის აღიარებამდე, რომ სქესი არაა მხოლოდ დიქოტომია და მოგვცეს შემდეგი კლასიფიკაცია: ქალები, მამაკაცები და ტრანსსექსუალები.

მანი და ტაკერი ემხრობიან სქესის ბიპოლარიზმს და აღნიშნავენ, რომ არსებობს მხოლოდ ორი სქესობრივი კატეგორია, არამარტო ქალი-მამაკაცის განსხვავებით, არამედ ჰეტეროსექსუ-

ალი-ჰომოსექსუალის განსხვავებითაც. მკვლევართა უმრავლესობა შეთანხმდა, რომ ქალი-მამაკაცის დიქოტომია ელიარებინათ კულტურულ უნივერსალიად, რომ sex-ი და gender-ი დიქოტომიური ცვლადებია. რაც შეეხება “მასკულინურობა-ფემინიურობის” კონტინუუმს, ეს უფრო მისაღებია, რადგან ადამიანი შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად მამაკაცური ან ქალური.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1.ქაჯაია ნ. სქესის ფსიქოლოგია. თბილისი, 2000
2. Берн Ш. Гендерная психология. «Олма-Пресс». М., 2002
3. Ильин Е.П. Дифференциальная психофизиология мужчины и женщины. Питер, 2002
4. Исаев Д.Н., Каган В.Е. Половое воспитание детей. «Медицина», М. 1988
5. Кон И.С. Психология половых различий. Вопросы психологии. 1981, №2

Русудан Кечакмадзе

Биологический и социальный пол.

Резюме

В психологии пол разъясняется как совокупность телесных и социальных характеристик, на основе которых человека считают мужчиной или женщиной. Результатом половой дифференциации мозга является различие центральной нервной системы по полу на гормональные влияния и различная реакция на них, или феминизация либо маскулинизация мозга.

В последнее время в науке принято, при различении женского и мужского, четко отделять друг от друга конституционные и социокультурные аспекты, для чего применяют термины «конкретный пол»

(sex) и «общий пол» (gender). Термином «конкретный пол» (sex) описывают биологические различия между людьми, обусловленные генетическими особенностями строения клеток, анатомо-физиологическими особенностями и половыми органами. Термин «гендер» указывает на социальный статус и социально-психологические характеристики личности, связанные с полом и сексуальностью, но проявляющиеся при отношениях с другими людьми.

В связи с полом возникает множество вопросов. Один из вопросов состоит в следующем: sex и gender – это континуум или дихотомические переменные? После многих дискуссий большинство исследователей согласились в том, что sex и gender – это дихотомические переменные, а «женственность-мужественность» - это континуум, поскольку человек может быть более или менее женственным либо мужественным.

Rusudan Kechakmadze

Biologikal and social sex

Summary

For last period in a science it is considered to be that in female and man's differences clearly and accurately should be differentiated constitutional and sociocultural aspects for what terms, a concrete sex and the general sex(gender) are used. The term the concrete sex is described by biological differences between people who are caused by genetic features of a structure of a cage, anatomo-physiological features and genitals.

In most cases the sex and a gender are identical. It means that the person both biologically and sotsio-psychologically is, say, the woman though there is a category of people – transsexuals who have one biological sex and an opposite gender.

In connection with a sex there is a set of questions. One of questions consists in the following: sex and gender represent a continuum or a dichotomizing variable.

The majority of researchers has come to the consent that a dichotomy of the man and the woman to recognise as cultural universality, and sex and gender – a dichotomizing variable.

As to a maskulino-feminist continuum, it is more comprehensible, as the person can be to a greater or lesser extent courageous or womanly

შიგაპიროვნებისეული კონფლიქტები ცენტრული ჩამოყალიბების პერიოდი

რუსუდან ბერიძე

პიროვნების შიგნით მიმდინარე კონფლიქტი, ეს არის ორ საწყისს შორის დაპირისპირება ადამიანის ცნობიერებაში. მას პიროვნება განიცდის, როგორც ფსიქოლოგიურ პრობლემას, რომელიც მისგან გადაჭრას მოითხოვს, ასეთ ვითარებაში შიდა ძალები მიმართულია ამ პრობლემის გადასაჭრელად.

ამ ტიპის კონფლიქტებს ადგილი აქვს ისეთ შემთხვევაში, როცა:

1. ადამიანმა არჩევანი უნდა გააკეთოს ორ დადებით, მაგრამ ერთმანეთის გამომრიცხავ ალტერნატივას შორის;

2. როცა ორივე ალტერნატივა უარყოფითია, მაგრამ პიროვნებამ უნდა აირჩიოს მათგან ნაკლებად არასასიამოვნო;

3. როცა ერთი და იგივე მიზანი (შესაძლებლობა ან არჩევანი) თანაბრად დადებითიც არის და უარყოფითიც: ამ დროს ადამიანში შინაგანად მიმდინარეობს ბრძოლა, თუ რომელ ალტერნატივას მიანიჭოს უპირატესობა.

პიროვნების შიგნით მიმდინარე კონფლიქტი, ეს რთული მოვლენაა, რომელიც არანაირ ზუსტ კლასიფიკაციას არ ექვემდებარება, რადგანაც ყოველ ადამიანს ინდივიდუალური შინაგანი სამყარო აქვს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასეთი სახის დაპირისპირების ფენომენოლოგიის აღწერის სისტემატიზაცია, თუნდაც არა-დამაკმაყოფილებელი, მაინც ყველა შემთხვევაში აუცილებელია. იგი პრაქტიკულად გამოიყენება შიგაპიროვნებისეული კონფლიქტების შესასწავლად, მათი ანალიზისა და დიაგნოსტიკისათვის, აგრეთვე ამ კონფლიქტთა პოზიტიურად მოგვარებისათვის საუკეთესო გზების შესამუშავებლად.

ანცუპოვისა და შიპილოვის კლასიფიკაციის მიხედვით, პიროვნების შინაგანი სამყაროს ძირითად სტრუქტურათა სახეები-

დან, რომელთა შორისაც შეიძლება მოხდეს უთანხმოება და კონფლიქტი, განიხილება: 1). მოტივები, რომელიც ადამიანის მიერ განიცდება, როგორც „მე მინდა”; 2). ფასეულობები, რომელსაც პიროვნება ღებულობს, როგორც საჭიროს და აუცილებელს — „საჭიროა” ან „ვალდებული ვარ”: და 3). თვითშეფასება, რომელიც გამოიხატება შემდეგში, „შემიძლია” ან „არ შემიძლია”. ამ სტრუქტურებიდან, თუ რომლები აღმოჩნდებიან დაპირისპირებაში, იმისდა მიხედვით განასხვავებენ, სწორედ შიგაპიროვნებისეული კონფლიქტების ძირითად სახეებს.

აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდა კონფლიქტთა შემდეგი ტიპები: ა). მოტივაციური კონფლიქტი („მინდა” და „მინდას” შორის); ბ). ზნეობრივი კონფლიქტი („მინდა” და „საჭიროას” შორის); გ). არარეალიზებულ სურვილთა კონფლიქტი („მინდა” და „შემიძლიას” შორის); დ). როლური კონფლიქტები („საჭიროა” და „საჭიროას” შორის); ე). ადაპტაციური („საჭიროა” და „შემიძლიას” შორის); და ვ). არაადეკვატური თვითშეფასების კონფლიქტი („შემიძლია” და „შემიძლიას” შორის); თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ შიგაპიროვნებისეული კონფლიქტების კვლევა ეს, კონფლიქტოლოგთა აზრით, „მუდმივ” პრობლემად განიხილება, იგი ისევე როგორც ადამიანის შინაგანი სამყარო, ჯერ სრულყოფილად შესწავლილი არ არის და დღესაც ფსიქოლოგთა ინტერესის საგანს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ადამიანში მაშინ ხდება შინაგანი კონფლიქტი, როცა ის არჩევანის წინაშე დგება, მან უნდა აირჩიოს ორი ან რამდენიმე ალტერნატივიდან ერთი საუკეთესო. მის ცნობიერებაში იწყება ბრძოლა, რომელ ალტერნატივას მიანიჭოს უპირატესობა. გარეშე თვალისათვის, ბუნებრივია, სიძნელეს წარმოადგენს შეაღწიოს ადამიანის შინაგან სამყაროში და დაკვირვება მოახდინოს იქ მიმდინარე პროცესებზე. ჩვენთვის ამ დროს მხოლოდ უსტებსა და სხვა გარეგან ცვლილებებზე დაკვირვებაა შესაძლებელი.

მოზრდილ, ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანს შესწევს უნარი ისე შენიღბოს თავისი ქცევა, რომ მასზე დაკვირვებამ არაფერი მოგვცეს. აქედან გამომდინარე, პიროვნების შიგნით მიმდინარე პროცესების შესწავლის საუკეთესო გზად რჩე-

ბა თავად ადამიანმა აღწეროს მასში მიმდინარე კონფლიქტი, თუ რას განიცდიდა იგი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღწეროს მისი სუბიექტური განცდები, ამა თუ იმ ტენდენციების (მაგ: ფასეულობების, მიდრეკილებების, განწყობის, ინტერესების, შეფასებების და სხვა) დაპირისპირებისას მის ცნობიერებაში, რომლებიც მოქმედებენ ერთიმეორებზე და ენაცვლებიან ერთმანეთს განვითარების პროცესში. მაგრამ ასეთი აღწერა მხოლოდ ზრდას-რულ ადამიანს შეუძლია.

არანაკლებ საინტერესოა როგორ მიმდინარეობს შინაგანი კონფლიქტი პატარა ბავშვებში, რა ხდება მათ ცნობიერებაში, როგორ ლებულობენ ისინი გადაწყვეტილებას ორ ალტერნეტივას შორის, იმ პერიოდსათვის, როცა მათი წებისყოფა ჯერ კიდევ მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია. ამის დასადგენად, პარალელურად, ვანარმოეთ დაკვირვება პატარა ბავშვებზე, მაშინ როდესაც ვიკვლევდით შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობებს სკოლამდელ ასაკში. ცდის პირველ ეტაპზე, პატარებს წინ, მაგიდაზე ვუწყობდით კანფეტებს, ცალ მხარეს იდო ერთი კანფეტი, ხოლო მეორე მხარეს კი რამდენიმე. ბავშვებს ვაწვდიდით ასეთ ინსტრუქციას: ვისაც სურდა ახლავე ეჭამა კანფეტი შეეძლო აეღო მხოლოდ ერთი, ხოლო ვისაც ბევრი კანფეტი უნდოდა, ეხლა უარი უნდა ეთქვა იმ ერთის აღებაზე და სამაგიროდ სადილის შემდეგ მიიღებდა ბევრს. ვინც ვერ მოითმენდა და ერთ კანფეტს მოითხოვდა მან იცოდა, რომ სადილის შემდეგ ვეღარაფერს მიიღებდა. ინსტრუქციის მიწოდების შემდეგ ჩვენ ვანარმოებდით დაკვირვებას ბავშვის ქცევაზე.

ცნობილია, რომ პატარა ბავშვებს, მოზრდილი ადამიანები-საგან განსხვავებით, ნაკლებად შეუძლიათ შენილბონ თავიანთი აზრები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მათ ცნობიერებაში მიმდინარე შინაგანი ბრძოლა აშკარად აისახებოდა მათი სახის ნაკვთებზე, გამომეტყველებაზე, ქცევებზე. ისინი ლებულობდნენ გადაწყვეტილებას ორ ერთმანეთის გამომრიცხავ ალტერნატივას შორის, რომელსაც ერთნაირად ჰქონდათ დადებითი და უარყოფითი მხარეც. პირველში (ერთი კანფეტის შემთხვევაში) დადებითი იყო ის, რომ ახლავე შეეძლოთ მიეღოთ და შეეჭამათ სასურველი ტკბილეული, უარყოფითს კი წარმოადგენდა მისი სიმცირე.

მეორე შემთხვევაში, დადებითი იყო ის, რომ ბევრ კანფეტს სთავაზობდნენ, თუმცა რაღაც გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, რაც მათ მიერ, ბუნებრივია, უარყოფითად აღიქმებოდა.

ბავშვების უმეტესობა თითქმის ერთ და იმავე ქცევას მიმართავდა. ისინი შეხედავდნენ ჯერ ერთი კანფეტს მარცხნივ, მერე თვალი მორიდებულად გადაჰქონდათ მეორე მხარეს ბევრისაკენ, ამის შემდეგ მზერას მიმართავდნენ პირდაპირ და ზემოთ და რაღაც დროის განმავლობაში თითქოს სივრცეს გაჰყურებდნენ. ამის შემდეგ ისევ იწყებოდა იგივე მოძრაობა თავიდან, ანუ პირობითად იქმნებოდა სამკუთხედი. რამდენიმე ასეთი მოძრაობის შემდეგ, მზერას უფრო დიდხანს აჩერებდნენ, ან ერთ, ან მეორე ობიექტზე, ამით შეგვეძლო წინასწარი პროგნოზირება, თუ რომელი ალტერნატივის სასარგებლოდ აპირებდნენ არჩევანის გაკეთებას, ანუ რომელი ობიექტი „იმარჯვებდა“ (ჩვენი პროგნოზი უმეტეს შემთხვევაში მართლდებოდა, ანუ ისინი ირჩევდნენ იმ ობიექტს, რომელზეც უფრო დიდხანს აჩერებდნენ მზერას). თუ გავიხსენებთ ანცუპოვისა და შიპილოვის კლასიფიკაციას, ეს მოვლენა შეიძლება მივაკუთვნოთ მოტივაციური კონფლიქტის ტიპს, როცა ხდება დაპირისპირება პრინციპებს: „მინდა“ და „მინდას“ შორის, რადგანაც იგი მიმდინარეობს წმინდა ბიოლოგიური მოტივების ფონზე, რომელიც ადამიანის მიერ განიცდება, როგორც „მე მინდა“;

თუმცა, არანაკლებ საინტერესოა, რა ხდება პატარა ადამიანში ნებისყოფის ჩამოყალიბების პერიოდისათვის, როცა ბიოლოგიურ ფაქტორს მის ცნობიერებაში უპირისპირდება სოციალური ფაქტორი, ანუ როგორც უწოდებენ, ფასეულობები, რომელსაც პიროვნება ლებულობს, როგორც საჭიროს და აუცილებელს — „საჭიროა“ ან „ვალდებული ვარ“. ამ მოვლენაზე დაკვირვება შესაძლებელი გახდა ცდის მეორე სერიაში, რომელიც ითვალისწინებდა იგივე შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობების შესწავლას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ეტაპზე ქცევის შედეგი გათვალისწინებული იყო სხვა სუბიექტისთვის, ანუ ბიოლოგიურს ემატებოდა სოციალური ფაქტორი. ექსპერიმენტი ტარდებოდა იგივე ბავშვებთან (4-5 წლიანთა ჯგუფში). ასევე ინდივიდუალურად, იგივე მასალით. ვთავაზობდით ამჯერად თითო კანფეტს და ვუხსნიდით, რომ ეს კანფეტი შეეძლოთ ეხლავე წაელოთ და შეეჭა-

მათ, მაგრამ ვამატებდით, რომ დილით შეცხვდით მათ დედას, რომელსაც ძალიან ტკიოდა თავი, თუ ისინი არ შეჭამდნენ ამ კანფეტს და საღამოს დედას მიუტანდნენ, ისე გაახარებდნენ მშობელს, რომ თავის ტკივილი მაშინვე გაუვლიდა. თითქმის ყველა ბავშვმა გამოთქვა სურვილი დახმარებოდა დედას. წინა ექსპერიმენტიდან განსხვავებით კანფეტებს მაშინვე ვატანდით ჯგუფში და ადგილზე ვაწარმოებდით დაკვირვებას. არ იყო ძნელი შესამჩნევი, თუ ამ დროს რა ძლიერი შინაგანი ბრძოლა გაიმართა პატარების ცნობიერებაში. ერთის მხრივ, დიდი იყო ცდუნება დაეკმაყოფილებინათ კვებითი მოთხოვნილება, შეეჭამათ კანფეტი, მაგრამ მეორე მხრივ, დედის სიყვარულიც საკმაოდ ძლიერი ფაქტორი აღმოჩნდა. ეს იყო ნამდვილი კონფლიქტი ბიოლოგიურ და სოციალურ ფასეულობებს შორის. ბავშვები ხელში ატრიალებდნენ კანფეტებს, ყნოსავდნენ, შემოაცლიდნენ ქალალდს და ისევ ახვევდნენ, ჯიბეში ჩაიდებდნენ და ცოტა ხანში ისევ იღებდნენ. რამდენიმე მათგანმა გახსნა და ალოკა, შემდეგ ისევ შეახვია თავისი ქალალში, ზოგმა ცოტათი მოაკვნიტა კიდეც. რამდენიმე ბავშვმა ცდუნებას ველარ გაუძლო და შეჭამა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მათი უმრავლესობა შემდეგ ცდილობდა თავისი ქცევის გამართლებას სხვადასხვა მიზეზით, მაგ: რომ სახლში ჰქონდა ასეთივე კანფეტი და იმით მოარჩენდა და დედას, რომ მის დედას კანფეტი არ უყვარდა და სხვა. თუმცა მათგან ახსნა-განმარტებას არავინ ითხოვდა, ჩემი აზრით, ეს დანაშაულის განცდაც შეიძლება ამ ასაკისათვის დამახასიათებელი შინაგანი კონფლიქტის გარკვეულ ფორმად მივწინოთ. იგივე ანცუპოვისა და შიპილოვის აზრით, ასეთი სახის კონფლიქტებს ზნეობრივი ანუ პრინციპებს: „მინდა“ და „საჭიროას“ შორის დაპირისპირება შეიძლება ეწოდოს, რაც როგორც ჩანს, სკოლამდელი ასაკისთვისაც ყოფილა დამახასიათებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1.6. ბარამიძე. შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, ბათუმი 19952
2. Анцупов А.Я. Шипилов А.И. Конфликтология. М 1999.
3. Гришина Н. В. Психология конфликта. П. 2003.

Rusudan Beridze

The conflicts inside the person during the volition formulation.

Summary

The conflict happening inside the person is very difficult appearance, which doesn't depend any exact classification, because every person has his individual universe.

The conflict is happening inside the person, when he has a large choice, He wants to choose the best between two or three alternatives. The battle starts in his sense, which alternative he prefers. For other people, it is natural, that it is not difficult to penetrate the person's universe and carry out what is happening there.

As the research showed, the conflicts inside the person are specially happening in children during their volition formulation. The research showed, that they can produce the battle to make a decision.

Русудан Беридзе

**Внутриличностные конфликты в период
формирования воли**

Резюме

Внутренний конфликт тогда происходит в человеке, когда перед ним стоит проблема выбора. Он должен выбрать из двух альтернатив лучший. В сознании индивида начинается борьба, какой альтернативе отдать предпочтение. Для постороннего наблюдателя, естественно, трудно войти во внутренний мир человека и наблюдать там происходящие процессы. Как показали исследования, внутриличностные конфликты особым образом проявляются в детях в период формирования воли. Выяснилось, что они способны преодолеть внутреннюю борьбу для принятия решения.

ტელეკურნალისტთა საქმიანობის შეფასების ეთიპური პრიტერიულებები

გურანდა შამილიშვილი

თანამედროვე მასშედის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა პროფესიულ-ეთიკური სტანდარტების უგულებელყოფაა. ყოფილი ომბუდსმენი სოზარ სუბარი წერს: „ქართველ უურნალისტებს ხშირად საყვედურობენ, რომ ისინი ზედმეტად არიან სენსაციას გამოდევნებული, რომ ქართულ პრესაში ძნელია ჭორისა და მართლის ერთმანეთისგან გარჩევა, ხოლო უურნალისტებსა და მათ რესპონდენტებს კაცის შეურაცყოფა „ჩირად არ ულირთო“. . . .” („უურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები”, „თავისუფლების ინსტიტუტი”, 2003 წელი, გვ. 7-8) ეს შენიშვნა საფუძველსმოკლებული როდია, საბჭოურ პერიოდში მიღებული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი, რადიკალურად ტრანსფორმირებული ქართული მედია, ყოველდღიურად ახორციელებს „ინფორმაციულ დარტყმებს” საზოგადოებაზე. ერთი სკანდალიდან მეორეზე გადართვაც აუცილებლობად იქცა. ქართველი ტელე-უურნალისტების პროფესიულ სტანდარტებსა და მათი საქმიანობის შეფასების ეთიკურ კრიტერიუმებზე შეიძლება უამრავი მოსაზრება გაჩნდეს, ჩვენც რამდენიმე მათგანზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. მასების ცნობიერებაზე უდიდეს ზეგავლენას ელექტრონული მედიასაშუალებები, განსაკუთრებით კი ტელევიზია ახდენს. დღევანდელ სატელევიზიო პროგრამებში საინტერესო სკანდალურმა ჩაანაცვლა, შემეცნებით-ანალიტიკური კი-გასართობმა.

მასიური კვლევების შედეგად გამოიკვეთა ტელევიზიის ძლიერი ზეგავლენა საზოგადოებაზე. განსაკუთრებით აგრესიულად მიწოდებული ინფორმაცია მაყურებელზე მეყსეულ და ხანმოკლე ზემოქმედას ახდენს, თუმცა დაგროვილმა ინფორმაციამ ზეგავლენის უწყვეტი ნაკადის სახით შესაძლოა მაყურებლის

მსოფლმხედველობა და ცხოვრების სტილი რადიკალურად შეცვალოს. ბოლო, მესამე მაგალითია ნეგატივიზმი, რომლის თანახმად, დადებითი ინფორმაციის

დიდი ნაწილი არ არის საინტერესო. ეს უკანასკნელი ყველაზე უარყოფითი

ელემენტია ტრადიციაში. წარმოვიდგინოთ ბოლო ასწლეულის

მანძილზე მომხდარი უდიდესი მოვლენები: მეორე მსოფლიო ომის დასასრული, ადამიანის დაშვება მთვარეზე, ბერლინის კედლის დანგერვა... ყველა დადებითი და ძალურები მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ, სამწუხაროდ, უარყოფითი ინფორმაცია უფრო იაფი და ადვილად გასაშუქებელია, ვიდრე დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენა. ჩამოთვლილის გარდა, სხვა მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ერთი რამ ცხადია, ტრადიცია უნდა შეიცვალოს. კარგი იქნებოდა, თუ ცვლილებებს შევიტანდით ეთიკის წესებში ანუ ეთიკის ნორმებში. ასეც რომ მოხდეს, სამუშაოს კარგად შესრულება საკმარისი არ იქნება უურნალისტისათვის. უურნალისტი საზოგადოების აზრსაც უნდა ითვალისწინებდეს და მას ანგარიშს აპარებდეს. ასეთი ორმაგი ანგარიშვალდებულება აუცილებელი პირობაა, იმისათვის, რომ აღდგეს ხალხის ნდობა და პატივისცემა მედიის მიმართ.

აქტიური განხილვის თემაა ”ქრონიკის მოდელირებული გადაცემა”, რომელიც 13 მარტს გავიდა ეთერში. ამ ფაქტს დღემდე ეხმაურებან როგორც უურნალისტები, ასევე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

იყო თუ არა ეს ფაქტი უურნალისტირი ეთიკის დარღვევა? „სპეციალური რეპორტაჟის“ ნამყვანი, ნათია კობერიძე თვლის, რომ არა. მისი აზრით, საკმარისი იყო გადაცემის თავში და ბოლოში იმის თქმა, რომ ქრონიკა იმიტირებული იყო. მსგავსი შემთხვევა 1938 წელს აშშ-ში დაფიქსირდა, მაშინ როდესაც ორსონ უელსმა რადიო-გადაცემაში „სამყაროთა ომის“ ინსცენირება დადგა. მაშინ-დელ გადაცემას დღეს უკვე ხუმრობით იხსენებენ. თუმცა მაშინ ამ ფაქტმა მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. გადაცემის მიზანი როგორც გაირკვა, ადგილობრივი ტელესაკომუნიკაციო აპარატების

და ხაზების შემოწმება იყო – თუ რამდენად გაუძლებდა ხაზები გა-დატვირთულ რეჟიმში მუშაობას.

უურნალისტებმა უკვე ბევრი იმსჯელეს ამის შესახებ და იმ დასკვნამდე მივიღნენ, რომ ამ გადაცემამ დაარღვია კანონი მა-უწყებლობის შესახებ, კერძოდ, მე-13 მუხლი. იმიტირებული ქრო-ნიკა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა ზემოქმედების მოხდენა შე-უძლია ტელევიზიას საზოგადოებაზე და როგორ მარტივად შეიძ-ლება მათი მართვა მედიის მეშვეობით.

გარდაქმნის პერიოდში, ლატვიელი უურნალისტი ურმასს ოტი შეეხო ცნობილ საბჭოთა კინოვარსკვლავის ლუდმილა გურ-ჩენის პირად ცხოვრებას და პირდაპირ ეთერში დაუსვა შეკითხვა ასაკთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ოტი გარკვეული რუბიკონის გადამლახავ ტელესახედ იქცა, უურნალისტები კი უფრო ხშირად ინტერესდებოდნენ რესპონდენტთა პირადი ცხოვრებით. მასმედიის უპირველესი მოვალეობა ადამიანის უფლებების დაცვაა.

ადამიანის უფლებების უმნიშვნელოვანესი საკითხი პირა-დი ცხოვრების ხელშეუხებლობაა, რასაც მსოფლიოს მრავალ ქვე-ყანაში მიღებული ტერმინით პრაივაცია (Privacy) აღნიშნავენ.

პირადი ცხოვრება მოიცავს ყველაფერს, რაც უკავშირდება პიროვნების ოჯახს, სახელს, იმიჯს, რელიგიას, ჯანმრთელობას, სექსუალურ ორიენტაციას, ყოველივე იმ ფაქტს, რომელიც მას ეხება. პიროვნების გადასაწყვეტია, გაახმაურებს თუ არა მასზე ინფორმაციას. გამონაკლისია ის შემთხვევები, როცა რომელიმე ზემოთჩამოთვლილი ფაქტი საზოგადოებრივი ინტერესის საგანი ხდება.

პირადი ცხოვრების ცნება, “ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის” განმარტებით: “სახელსა და სექსუალურ ორიენტაცი-ას, ცხოვრების ინტიმურ მხარეებს, პიროვნებად ყოფნისა და პირა-დი განვითარების უფლებას, ურთიერთობების დამყარებისა და ურთიერთობების განვითარების უფლებას” გულისხმობს. („ადამი-ანის უფლებათა დაცვის კონვენცია”, 1950 წელი). ამასვე აღ-ნიშნავს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის 1-ლი პუნ-ქტი: “ხელშეუხებელია ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირა-დი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სა-ტელეფონი და სხვა ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე, ტექნი-

კური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი”. (საქართველოს კონსტიტუცია).

ქართველ ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიაც, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელყოფასთან დაკავშირებით გვამცნობს: „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ უნდა შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.” (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი, მუხლი 10, 2009 წელი).

სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ასევე რეალობაა, რომ მედია, რომლის დანიშნულებაც საზოგადოების სასარგებლოდ მუხმაბა, მისი ინტერესებისა და უფლებების დაცვაა – თავადვე არღვევს ადამიანის უფლებებს. ქართულ მასმედიაში მრავლად მოიპოვება პრაივატის დარღვევის ფაქტები, ჩვენც რამდენიმე მათგანზე შევაჩირეთ ყურადღება, მათ შორის მედიის წარმომადგენელთაგან ბავშვთა უფლებების ხელყოფაზე.

ბავშვთა უფლებების კონვენციაში ვკითხულობთ, რომ “ბავშვს აქვს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება” (ბავშვთა უფლებების კონვენცია, 1989 წელი, მე-16 მუხლი),

არასრულწლოვანთა შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებისას, „დაუშვებელია დანაშაულის მსხვერპლის ან დამნაშავის იდენტიფიცირება”. დანაშაულის გაშუქებისას დაუშვებელია ბრალდებულთა ან მსჯავრდებულთა ნათესავებისა და მეგობრების იდენტიფიცირება მათი თანხმობის გარეშე, თუ მათ პირდაპირი კავშირი არა აქვთ საქმესთან.

პრესამ არ უნდა მოახდინოს სექსუალური ან ოჯახური ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება ან გამოაქვეყნოს მასალა, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ასეთ იდენტიფიცირებას (ჟურნალისტის ზოგადი პროფესიული სტანდარტები / ზოგადი პრინციპები, 2008 წელი), აი რას ამბობს ამის შესახებ ქართული კანონმდებლობა:

„დაუშვებელია არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დარღვევა ისეთი დანაშაულის მედიაში გაშუქებისას, როდესაც არსრულწლოვანი წარმოადგენს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავდებულს, დაზარალებულს, მოწმეს, პირს - რო-

მელსაც არ გააჩნია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სტატუსი, თუმცა პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება იმ დანაშაულს, რაც წარმოადგენს მედიის გამოხატვის საგანს. ასევე დაუშვებელია მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობის გარეშე არასრულნლოვანისაგან აღებული ინტერვიუს გამოქვეყნება/გავრცელება არასრულნლოვანის იდენტიფიცირების დარღვევით, თუკი ინტერვიუ ეხება კონკრეტულ დანაშაულს, (2008 წლის 4 დეკემბერი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა, ოქმი 15) კომიტეტის წევრებმა დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ კანონპროექტს).

„აღნიშნული დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 10000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედების განმეორება გამოიწვევს საჯარიმო თანხის გაორმაგებას“ (აღნიშნული ცვლილება კანონში, საქართველოს პარლამენტმა 2009წლის 17 ივლისს, მეორე მოსმენით მიიღო)

მიუხედავად ამისა, ქართულ ტელეარხებზე, ამ სახის ინფორმაციის გაშუქებისას, ხშირად სახელდება დაზარალებული ბავშვის სახელი და გვარი, ჩანს მისი გამოსახულება. ზოგიერთ შემთხვევაში იმალება ბავშვის სახე, მაგრამ სიუჟეტში მანც მრავალად მოიძებნება მისი ვინაობის მაიდენტიფიცირებელი დეტალები: დაზარალებულის სკოლა, მისი სახლი, კარ-მიდამო, მშობლები ან საერთოდ ძალადობაში ეჭვმიტანილი, რომელსაც ხშირად დამნაშავედ მოიხსენიებენ და ამით არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმაციას. უურნალისტის დაუდევრობამ შესაძლოა მოზარდის მომავალი დაამსხვრიოს. ზოგ შემთხვევაში, დეტალების მხილება, უურნალისტს საკუთარი პიარისთვის ჭირდება, მოზარდისა და მისი ოჯახის რეპუტაცია კი ნაკლებად ადარდებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხშირად დარღვევენ უდანაშაულობის პრეზუმაციას. პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავაობა არ დამტკიცდება, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი “ადვოკატი-მეოხი” 2010 წ. სპეც. გამოშვება თავი 2. მუხლი 5.1 გვ.4)

დეკლარაციულად ყველა უურნალისტმა იცის, რომ მან უნდა დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფცია. თუმცა იშვიათად გავადლე, რომ რომელიმე სატელევიზიო არხმა ეჭვმიტანლი პირი არ გამოაცხადოს დამნაშავედ ან მკვლელად.

ამის ტიპიურ ნიმუშად იქცა, 2007 წელს, 14 წლის მოზარდის გიორგი ზერეკიძის ისტორია: ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა სასამართლო პროცესამდე გამოაცხადა იგი დამნაშავედ, მოღალატედ, რომელსაც ლამის ყველა ამქვეყნიური ცოდვა აჰკიდა. ტელეკომპანია „იმედმა“ კი მისგან გმირის და სამართლიანობისთვის მებრძოლის სახით დახატვა სცადა. ორი უკიდურესობა დაუპირისპირდა ერთმანეთს და ამ დროს მედიას არ უფიქრია თავად ამ არასრულწლოვანის ბედზე. სტატისტიკური მონაცემებით 2007 წლის აპრილ-მაისის თვეში ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო პროგრამებმა (კურიერი „შ“) არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე 32 რეპორტაჟი მოამზადა. მათ შორის იყო რეპორტაჟი დანაშაულის შესახებ. რეპორტაჟების რაოდენობამ და სიხშირემ შექმნა საზოგადოებრივი განწყობა, რომ მოზარდი თაობა გამოირჩევა განსაკუთრებული სისასტიკითა და ძალადობის სურვილით და შესაძლოა მათი მსხვერპლი გახდეს არა მხოლოდ მათივე თანატოლი, არამედ ნებისმიერი ასაკის მოქალაქე. ასეთი კამპანიური მიდგომა საფრთხის შემცველია.

კვლევები ადასტურებს, რომ ქართულ სივრცეში ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებასაც არასათანადო ყურადღება ეთმობა. ტელეგადაცემები ხშირად არასაწორად წარმოაჩენენ აღნიშნულ პრობლემას. ფსიქიკურად აშლილი და სტიგმატიზირებული ადამიანების გაშუქება, პასუხისმგებლასთან ერთად, პროფესიონალიზმის უმაღლეს საფეხურს მოითხოვს..

ფსიქიკური აშლილობის ბოლო სტადიად სუიციდური ქცევა ითვლება. სუიციდი ანუ თვითმკვლელობა საკუთარი სიცოცხლის ხელყოფას ნიშნავს.

სუიციდი ციხეში ან სამედიცინო დაწესებულებაში იშვიათობაა, მაგრამ ასეთი ფაქტები მედია საშუალებებით ხშირად შუქდება და კრიტიკასა და კამათს იწვევს. სამწუხაროდ, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გარდაცვალების ფაქტის გაშუქება აფ-

რთხობს და აშინებს ადამიანებს. ამცირებს მათ მიმართვიანობას. მედიამ ეს უნდა გაითვალისწინოს და სუიციდის გაშუქებისას ამბავი ფსიქიური ჯამრთელობის დაცვის უფრო ფართო კონტექსტში განიხილოს.

მედია ექსპერტები თვლიან, რომ მას-მედიაში თვითმკვლელობის შემთხვევების არასწორი გაშუქება თვითმკვლელობათა რიცხვის მატებას იწვევს. ამ დეტალს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ საქართველოს მედია ბოლო რამდენიმე წელია ფაქტიურად თვითმკვლელობის პროპაგანდას ეწევა.

არის შემთხვევა, როდესაც მოძალადე განხორციელებული მკვლელობის შემდეგ თვითონაც იყლავს თავს ანუ საქმე გვაქვს მკვლელობა-სუიციდთან. ამ შემთხვევაში უურნალისტმა გაითვალისწინოს უნდა ეთიური საკითხი- როგორ გაშუქდეს თვითმკვლელობა. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ სუიციდის გაშუქებისას შესაძლებელია მკვლელი სუიციდის გაშუქებაც გავლენას ახდენდეს დაზარალებულ ადამიანებზე. ამიტომ უკეთესი იქნება, თუ კი უურნალისტები მინიმალურად გააშუქებენ ისეთ დეტალებს, რომლებიც სუიციდს უკავშირდება.

საქართველოს მაუწყებლობის შესახებ კანონში წერია, რომ თვითმკვლელობის ჩვენება სატელევიზიო გამოშვებებში შეიძლება 15 წამი გაგრძელდეს. მსგავსი სახის ინფორმაციის დეტალური გაშუქება განსაკუთრებით 15-24 წლის ახალგაზრდებზე მოქმედებს. წამლის მოხმარება, ფსიქიური ჯამრთელობის პრობლემები, ოჯახური ძალადობის ისტორია ან სტრესული და მატრავმირებელი ისტორია მკვლელი სუიციდენტისათვის რისკ ფაქტორებია. ხშირ შემთხვევაში უურნალისტების მიერ აღნიშნულ საკითხზე მომზადებული სიუჟეტი ნაკლებ თანაგრძნობას იწვევს საზოგადოებაში. ამ პრობლემას ვეჯახებით არამარტო სუიციდის გაშუქებისას. იგივე სიტუაციას ვხდებით ფსიქიური პრობლემებისა თუ ძალადობა-განცდილი რესპოდენტების შემთხვევაშიც. არადა ამ დროს უურნალისტს აქვს შესანიშნავი შესაძლებლობა წვლილი შეიტანოს სუიციდის და მკვლელობის სუიციდის პრევენციაში, სიუჟეტის მომზადების დროს დამატებითი ინფორმაციის შეტანით. უურნალისტს შეუძლია სიუჟეტში შეიტანოს: ინფორმაცია ცხელი ხაზების და ფსიქიური ჯამრთელობის სერვისების (ფსიქიატრიული საავად-

მყოფობი, დისპანსერები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები) შესახებ. არსებობს ალბათობა იმისა, რომ მსგავს მდგომარეობაში ყოფნის დროს ადამიანმა შეიძლება მათ დახმარებისათვის მიმართოს.

ამგვარად, ამ საკითხების გაშუქებისას სწორი გადაწყვეტილების მიღება, საბოლოო ჯამში ისევ და ისევ უურნალისტის შინაგან ეთიკაზეა დამოკიდებული.

აგრეთვე აუცილებელია, ანგარიშვალდებულებათა სისტემების რეალიზება და მედიის თვითრეგულირების ისეთი მექანიზმების ამუშავება, როგორიც პრესის საბჭო და მედია ომბუდსმენია. სწორედ მათი მიზანმიმართული საქმიანობა გახდება თანამედროვე ქართული მედიის სარისხის გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა, ოქმი 15, 2008 წლის 4 დეკემბერი;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, „ადვოკატი-მეოხი“, 2010, სპეც. გამოშვება, თავი 2, მუხლი 5.1;
3. უურნალისტის ზოგადი პროფესიული სტანდარტები/ზოგადი პრინციპები, 2008;
4. ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია, 1950;
5. საქართველოს კონსტიტუცია;
6. საქართველოს უურნალისტური ეთიკის კოდექსი, მუხლი 10, 2009;
7. ბავშვთა უფლებების კონვენცია, 1989, მე-16 მუხლი;
8. უურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები, „თავისუფლების ინსტიტუტი“, 2003;
9. www.rustavi2.com
10. ევროკავშირის პროექტის ფარგლებში: ფსიქიურ პრობლემებთან დაკავშირებულ სტიგმასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა, ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, თბ., 2009; პროექტის პარტნიორების მიერ: საქართველოს სახალხო

დამცველი, საქართველოს ფსიქოსოფიალური დახმარების ასოციაცია „ნდობა”, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია, ასოციაცია „ანტი სტიგმა”, საქართველოს ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი. ტრენინგიდან, მედია და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები, თბ., 2009;

11. H.Joas, “Die Kreativitat des Handelns”, 2005;

Guranda Shamilishvili

Ethical criterions estimations of activity of TV reporters

Summary

Modern Georgian Mass media which should support human rights, brakes this rights itself. Because of the popularization and to preserve high ratings, media is oriented on cheap sensations and there are too many cases of limiting humans private lives right. We think To In solving this issue is important journalist's better understanding of professional standards and usage of ethical norms of media.

To eradicate this problem, society and journalists must know more about their rights and opportunities.

Гуранда Шамилишвили

Этические критериумы оценки деловой деятельности

тележурналистов

Резюме

Журналисты и средства массовой информации должны отвечать за достоверность публикуемых ими сведений и корректность формы их изложения. Это вызвано тем, что информация,

распространяемая ими, может реально нарушить некоторые права человека, закрепленные в международно-правовых актах и Конституции. Применительно к телевизионной информации исходные этические принципы журналиста – достоверность каждого сообщения, полнота представленных фактов и непредвзятость позиции автора. Для решения этих проблем журналисту важно глубокое понимание профессиональных стандартов и использования этических норм в СМИ.

გ. თუმანიშვილი - „ალმანახის“ რედაქტორი

ოთხებ სანიკიძე

გ.თუმანიშვილის „ალმანახი“, რომელიც თავიდანვე განსაკუთრებულად კრიტიკული დამოკიდებულებით სწორედ იღია ჭავჭავაძის მიმართ გამოირჩეოდა, აქცენტს თანამედროვე საქართველოს სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებზე აკეთებდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სიტყვა „დროება — კრებულთან“ და „მნათობთან“ მიმართებაში არ უთქვაშს. გ. თუმანიშვილი აღიარებს 60-იანი წლების იდეური მემკვიდრეობისადმი ერთგულებას, რაც მის პუბლიცისტურ ნააზრევში აშკარად თვალში საცემია. იგი დასძენს: რომ აღტაცებულია 60-იანელთა სოციალური შეხედულებებით, რომ მონობა მოისპოს, დამყარდეს შრომის უფლება, მოისპოს ბატონყმობა, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ თხუთმეტიოდე წლის წინ იყო, ეხლა აღარაფერი ისმის მსგავსი მონიდებების: „,იმდი გაქრა, რწმენა დაიკარგა. ძლიერი სხეულით და გონებით კაცი იჯდა თავისთვის სადმე კუთხეში და საქმეს ვერ შოულობდა. ჩვენ კი გულგრილად შევსცერით საზოგადო საქმეს, ქვეყნის სიკეთეს“(„ალმანახი“, 1878, I, პატარა წერილი დიდ საქმეებზე”). ამ პატარა შენიშვნიდან აშკარად ჩანს გ. თუმანიშვილის მიერ 60-იანი წლების ქართული ცხოვრების ზედმინევნით ცოდნა. იგი არსებულ სინამდვილეს, აზრთა სხვადასხვაობას, პრესისადმი ინტერესის მოძალებას ასპარეზზე ნ. ნიკოლაძის გამოსვლას უკავშირებს: „.... ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი მწერლობის გაღვიძების მიზეზი იყო ნ. ნიკოლაძე... მას აქვს ისეთი ლიტერატურული ნიჭი, რომელიც აღვიძებს ბევრს მძინარე მწერალს, რომ საცა ნიკოლაძე გამოჩნდება, უმაღ ასტყდება ლიტერატურული აყალმაყალი... აზრთა სხვადასხვაობა და წინააღმდეგობა უნინაც იყო, გავხსენოთ „ცისკარი“, მაგრამ იქ უფრო მეტ ლანძლვა—გინებასა და პირად შეურაცხყოფას იხილავთ, ვიდრე საქმიან, დასაბუთებულ მსჯელობასა და კამათს, ნიკოლაძეს აქვს ნიჭი და გამოცდილება, რომ გაიგოს საზოგადოების გულისცემა(„ალმანახი“, 1878, I).

გ. თუმანიშვილის ამ შეხედულების განსამტკიცებლად თვალი გავაყოლოთ 70 –იანი წლების ქართულ პუბლიცისტიკას. XIX საუკუნის 70-იანი წლების პერიოდული გამოცემების „დროება”-„კრებულის” მესვეურთა (ჭავჭავაძე, მესხი, ნიკოლაძე, წერეთელი) დამსახურება ქართული საზოგადოების წინაშე და ეროვნული მოძრაობის გაერთიანება. ეს გაერთიანება და ერთიანი ფრონტით ბრძოლა ჯერ კიდევ იყო აუცილებელი ფაქტორი, რადგან ბოლომდე არაა მიყვანილი ძველი თაობის წინააღმდეგ ბრძოლა.

შედეგი „მამათა და შვილთა ბრძოლის” მეორე ტური... ენა, უნივერსიტეტი, რეფორმა...“

ქართველი თერგდალეულები უპირატესად იკვებებიან, საზრდოობენ ევროპული პროგრესულ-დემოკრატული იდეებით. მაგალითად, ნიკო ნიკოლაძე წერილში „სხვათა შორის” როცა ადარებს ერთმანეთს 60-იანი და 70-იანი წლების სინამდვილეს, ამბობს: „დიდი განსხვავებაა მათი შორის. ...სად არიან ის გმირები, ვისი სიტყვა ჩვენ გონიერას გვიხსნიდა, ვისი მაგალითი კაცად გვხდიდა, ვისი შრომა და ტანჯვა შრომას გვიმსუბუქებდა. ზოგი მოკვდა, ზოგიც დაიკარგა, მაგრამ არასოდეს არ უნდა დავივინეოთ ადამიანები, რომლებმაც თავიანთი მოვალეობა მტკიცედ აასრულეს” (ნიკოლაძე, 1872, 10-11-12).

6. ნიკოლაძის წერილში „ჩვენი ახალგაზრდობა”, გატარებულია ის აზრი, რომ აზრთა სხვადასხვაობა, მეორეხარისხეობანი თემებით გატაცება და დაპირისპირება, ადუნებს საზოგადოებას, უკან სწევს განვითარებას, ინტელექტს. საჭიროა ასეთ დროს პროგრესულმა აზრებმა გააიმარჯვოს, ძირითად საკითხებში იყოს შეთანხმება მიზნის მისაღწევად. ნიკო ნიკოლაძე საყვედურს გამოთქვამდა ანტ. ფურცელაძისა და სხვა ცნობილ კრიტიკოსთა მიმართ, რომლებიც მტრობდნენ ილიას შეხედულებებს. საინტერესო იყო ანტ. ფურცელაძის პასუხი 6. ნიკოლაძის მიმართ: „ჭავჭავაძე რომ ერთი საუკეთესოთაგანია ჩვენში, ამას მეც ვაღიარებ, მაგრამ ეს იმის უფლებას არ მაძლევს, რომ მაგის წინ ყველაფერზე თვალები დაკეუჭო...”(ფურცელაძე, 1872, X-XI-XII).

XIX საუნის 70-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა განაპირობა მრავალმხრივი მიმართუ-

ლებით პოლემიკა, რაც გამოიხატა ძველსა და ახალ თაობას შორის დაპირისპირებაში, თერვდალეულებს შორის არსებულ უთანხმოებასა და იდეურ შეურიგებლობაში, „დროების” შიგნით არსებულ უთანხმოებაში. თუნდაც მცდელობა „კრებულის” აღდგენისა, უურნალ „კოლხიდის”, უურნალ „კანდელისა” და „შუქურას” გამოცემისა...

ასეთი აზრთა სხვადასხვაობის ფონზე, რა თქვა ახალი „ალმანახმა”?

უპირველეს ყოვლისა სიმართლე: „ისტორია გვიმტკიცებს, რომ პირდაპირ და გულწრფელად მართლის მოქმედებას სდევნიდა და სტანჯავდა საზოგადოება, რომლისთვისაც ისინი არაფერს არ ზოგავდნენ. ხშირად, ძალიან ხშირად ხალხი ყურს არ ათხოვებს ან ქვასაც ესვრის იმას, ვისაც არ შეუძლიან იმის ფარისევლურად ქება. ხშირად საჭიროა უსვინდისო ფარისევლობა, რომ მოიპოვოს კაცმა საზოგადოების სიყვარული” (გაზ. „დროება”, 1876, 1) ეს პატარა ამონარიდი წერილიდან გაზრეთ „დროებაში” დაიბეჭდა, მაგრამ ავტორი გ. თუმანიშვილია. გ. თუმანიშვილისათვის მთავარია არა პუბლიცისტი, არამედ სათქმელი, თემა, თორემ ვინ იტყვის, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს... ავტორის აზრით: „ნუ შეგეშინდება გულწრფელი კრიტიკისა, თუნდაც ძნელი მოსასმენი და ძნელი ასატანი იყოს იგი. სასტიკ სიტყვას ორგული კაცი ვერ იტყვის. სასტიკი სიტყვა დიდი გრძნობითაა წარმოთქმული მთქმელის შენდამი დიდი სიყვარულისა. სასტიკი, მაგრამ მართალი სიტყვა წამალია, და როგორც ყველა წამალი, თავდაპირველად არის უსიამოვნო, ისეა პირდაპირ წათქვამი სიტყვაც” („ალმანახი”, 1878, 1).

„ალმანახის” ფურცლებზე განსაკუთრებული ადგილი „რუსეთ—თურქეთის ომს (1877 – 78) ეთმობა, რითაც ერთგვარი ხაზგასმაა ეროვნული ერთიანობისათვის მხარდამჭერი პოზიციისა. ავტორის აზრით, პრესაში გადამწყვეტი როლი ენიჭება პუბლიცისტიკას. პუბლიცისტიკის მოქნილი, მიზანმიმართული მზერა სასურველი მიმართულებით წარმართავს ხოლმე მკითხველის ყურადღებას. მაგალითად მოჰყავს რუსეთ — თურქეთის ომი და დასძენს, რომ „რუსულმა უურნალ—გაზეთებმა ამ ომში დამნაშავედ ოსმალეთი გამოიყვანა და მონათლა იგი უსინდისო, მძლავრ სახელმწიფოდ. მასები განაწყო მისდამი მტრულად და ძალიან ბევრი მის წი-

ნააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა, მაგრამ მათ შორის ბევრი იყო ისეთი, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა სლავების რუსეთის სახელმწიფოსადმი დაქვემდებარება — დამორჩილება”... („აღმანახი”, 1878, 1). ამ წერილში („დიდ საქმეზე”) გ. თუმანიშვილი სწორად აფასებს რუსული უურნალისტიკის ცრუ პატრიოტულ მიმართულებას.

„აღმანახის” პუბლიცისტიკა ეროვნული ეკონომიკური პრობლემებისადმი განსაკუთრებული ყურადღებითა და ინტერესით გამოირჩევა. ავტორი ეძიებს გზებს, რაც შეიძლება მოკლე დროში მოხდეს მისი გაჯანსაღება და მსოფლიო სინამდვილეში ჩართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში მძიმე სოციალური ფონი დიდხანს არ გადაილახება. „დროება—კრებულის” მასაზრდოებელი წყარო უცხო ნამდვილად არ არის არც გ. თუმანიშვილისათვის: რეფორმისშემდგომი პერიოდის სოფლის ცხოვრება, ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება, ტექნიკა, ეკონომიკური თეორიები, მუშათა მოძრაობა, ქალთა ემანსიპაცია, საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორია, საერთაშორისო პოლიტიკა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის ფიქრი და მიზანი ყოველთვის იყო სამშობლო ქვეყნის ერთიანობის, ძლიერებისა და სიმტკიცისათვის მუხლჩაუხელი საქმიანობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. უურ. „აღმანახი”, №1; №2; 1878;
2. 6. ნიკოლაძე, „ჩვენი მწერლობა”, „კრებული”, 1872, 10-11-12;
4. „კრებული”, №5, 1871;
5. ა. ფურცელაძე, „საწყალი კუდაბზიკა”, უურ. „მნათობი”, 1872, X-XI-XII;
6. გაზ. „დროება”, №1, 1876;
7. ალ. კალანდაძე, ქართული უურნალისტიკის ისტორია, ტ.5, 1985;
8. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936;
9. ს. მესხი, წერილები ი. ბოცვაძის რედაქციით.

Ioseb Sanikidze

G. Tumanishvili - Almanakh's Editor

Summary

The Georgian social and political journalism of XIX century entered the new development phase in 70-s. This event was marked with the establishment of new Georgian periodicals of specific trends. The changes occurred in the life, determined the variety of ideas and the points of view, as well the reevaluation of the existed ideas and stereotypes. The discussion between the famous public figures and young intellectuals was the indicator of the development of the country, related to its next day. G. Tumanishvili's "Almanakhi" is the clear example of the fact mentioned above.

ტრანსნაციონალური კაპიტალის როლი რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში

რეზო მანველიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველოს ერთ-ერთი სტრატეგიული რეგიონი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ბოლო დროს რეგიონში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა არსებული ეკონომიკური პოტენციალის ათვისებას, კერძო მენარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარების სტიმულირებას, მოსახლეობის დასაქმებას და ხელსაყრელი ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შექმნას. ასევე დიდი ყურადღება ექცევა ტრანსნაციონალური კაპიტალის შემოსვლას რეგიონში. ვინაიდან რეგიონულ განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა ეკონომიკის ტრანსნაციანალიზაციის პროცესებით გამოწვეული კაპიტალის და რესურსების კონცენტრაციის, ასევე არაერთ ქვეყანაში სამეურნეო კავშირების აუცილებლობა. ასეთი კავშირებით ყალიბდება სტრუქტურა, საერთაშორისო კორპორაციები, რომლის ერთგვარი ტიპია ტრანსნაციონალური კომპანიები (ტნკ).

ტნკ-ა პირველ რიგში ზრდის ექსპორტის რაოდენობას და გეოგრაფიას, თანდათანობით აფართოებს საჭირო მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების ექსპორტს, ქმნის ფილიალებს, შვილობილ სტრუქტურებს, უერთდება სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე სუბიექტთა შერჩყმის, ყიდვა-გაყიდვის პროცესებს. სწორედ საგარეო ვაჭრობის (მომსახურება) ფორმა იცვლება შიდა ვაჭრობით (მომსახურეობით), მიმდინარეობს ტრანსფერული გარიგებები, რომლებიც წარმოშობენ ტრანსფერულ ფასებს, რაც ქმნის მოგების ზრდის საფუძველს. ძირითადი თავისებურება ისაა, რომ კაპიტალი მიემართება რესურსების მქონე ქვეყნებში, რაც ქმნის ტექნოლოგიური და ტექნილური პროგრესის, ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის საფუძველს.

„adjarainvestis“-ის სტატისტიკური მონაცემებით 2004-2009 წწ. აჭარაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების დინა-მიკა ზრდის ტემპით გამოიირჩევა (ცხრილი 1).

აჭარაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების დინამიკა 2004-2009 წწ. მილ აშშ დოლ.

ცხრილი 1

წ	2004	2005	2006	2007	2008	2009	სულ
	22	46	80	132	95	98	720

2009 წ. განხორციელებული ინვესტიციები ეკონომიკის სექ-ტორების მიხედვით ასე გამოიყურება ტურიზმში – 68 მილ.; ტრან-სპორტი და კომუნიკაცია 2 მილ.; წარმოება 11 მილ.; მშენებლობა 56 მილ.; სხვა 5 მილ.

აჭარის ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2006-2010 წლებში აჭარაში განხორციელებული და განსახორციელებელი მსხვილი ინვესტიციებიდან (მთლიანობაში 755 423 120 აშშ დოლა-რი) ყველაზე მეტი — 59,8 პროცენტი არის თურქული, 9,9 პროცენ-ტი — ყაზახური, ხოლო 7,2 პროცენტი — რუსული; ამასთან, 26 მი-ლიონ დოლარზე მეტი ქართულ-თურქული ინვესტიციაა, ხოლო რვა მილიონი დოლარი - ქართულ-რუსული.

აჭარაში დაბანდებული ინვესტიციების ოდენობით თურქეთი პირველ ადგილზეა.

2000-2009 წლებში თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში განხორციელდა 518,3 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია. ინვეს-ტიციების უმეტესობა დაბანდდა თბილისისა და ბათუმის საერთა-შორისო აეროპორტების მშენებლობაში, ასევე სოფლის მეურნეო-ბის, ტექსტილის წარმოებისა და სამშენებლო სექტორებში. აჭარაში თურქული ინვესტიცია 15 ობიექტში, ქართულ-თურქული ინვესტიცია კი — ოთხ ობიექტში განხორციელდა. მათ შორის აღ-სანიშნავია ხულოს სამკერვალო ფაბრიკა, რომელშიც 720 000 აშშ დოლარის თურქულ-ინგლისური ინვესტიცია დაბანდდა; ყველა-ზე მსხვილი ინვესტიცია თურქმა ბიზნესმენებმა 2006-2007 წლებში განახორციელებს. ბათუმისა და თბილისის საერთაშორისო აერო-პორტებში პირველ წელს 11 მილიონი, ხოლო მომდევნო 2007 წელს 35 მილიონი აშშ დოლარი დაბანდეს. წელს განხორციელებული

ყველაზე მსხვილი თურქული ინვესტიცია 27 500 000 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, ფული ნუროლმა დააპანდა (სასტუმრო შერატონი).

უცხოური ინვესტიციების დინამიკის ზრდისა და ეკონომიკური რეფორმების გარკვეული წარმატებების მიუხედავად ქვეყანაში ვერ მოხერხდა მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის არსებითი გაუმჯობესების უზრუნველყოფა. დაგროვილი ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური შიდა პრობლემები კიდევ უფრო გაამწვავა რუსეთ-საქართველოს ომშა და მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისულმა პროცესებმა.

დღეისათვის რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, განსაკუთრებით კი იმ ვითარებაში, როდესაც მიმდინარეობს საბაზრო ურთიერთობათა ფორმირებისა და ტრანსფორმაციის რთული და საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, მიეკუთვნება თანამედროვე ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთ აქტუალურ და ურთულეს მიმართულებას. სირთულე, უპირველეს ყოვლისა, განირობებულია იმით, რომ საერთო სახელმწიფოებრივი ეკონომიკური მიზნები ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია განსხვავდებოდნენ რეგიონულ-ტერიტორიულ ამოცანებთან. მხედველობაშია მისალები ქვეყნის წინაშე მდგარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების იერარქია, რომელშიც დროის სხვადასხვა პერიოდებში სტრატეგიული ამოცანები შეიძლება ერთმანეთს ჩაეხაცვლოს. ასეთ ვითარებაში რეგიონულმა ამოცანებმა შეიძლება გარკვეული დროით უკან გადაიწიოს. მათი დღის წესრიგიდან მოხსნა დაუშვებელია, რადგან მეტისმეტად გართულებულმა რეგიონულმა პრობლემებმა შეიძლება საერთოსახელმწიფოებრივი პრობლემების რეალიზაცია შეაფერხოს წინააღმდეგობაშიც კი მოვიდეს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის წინაშე მდგარი გადაუდებელი და პირველი რიგის ამოცანების, სტრატეგიის იერარქიული სტრუქტურის ფორმირებას, როგორც მთლიანად სახელმწიფოს დონეზე, ისე მის ტერიტორიულ-რეგიონულ ჭრილში.

დღევანდელ ეტაპზე მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს ქვეყნების რეგიონალიზაციის გაღრმავების პროცესი და შესაბამისად იცვლება რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსი და ორგანიზაციული ფორმები. ამასთან რეგიონული ეკონომიკური

პოლიტიკა სულ უფრო მკვეთრად გამოხატულ საბაზრო ორიენტაციას ღებულობს.

რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტიმულების ან შეფერხების საქმეში მნიშვნელოვანია ე.ნ. არარეგიონალური გადაწყვეტილებების მიზანმიმართულება და შედეგებზე ორიენტირებულობის დონე, ექსპერტიზის ხარისხი. წინააღდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს პოტენციალის არაეფექტურ გამოყენებას (მაგ: ინფრასტრუქტურა, რომელსაც არ საჭიროებს, რეგიონის თავისებურებები).

არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია პოტენციური ინვენსტიციებისა და კომერციული სუბიექტებისათვის სრულყოფილი და რეალური საინფორმაციო სისტემის შექმნა, ასევე ტრანსნაციონალური კაპიტალის როლის გაძლიერება.

რეგიონების ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებზე მსჯელობა პირველ რიგში ითვალისწინებს ბიზნესის ინტერესებს. ბიზნესი როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო, რეგიონში არსებულ დარგობრივ ეფექტს აფინანსებს თავისი წესებითა და კანონებით, მას აქვს თავისი საინვესტიციო პროგრამები, სერიოზულად ცვლის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ რუკას. სწორედ აღნიშნული განაპირობებს ხელისუფლებისა და ბიზნეს სტრუქტურების დიალოგისა და კონცეპტუალურ საკითხებზე შეთანხმების აუცილებლობას, რაც მიგვიყვანს იქამდე, რომ რეგიონალური სტრატეგია მიიღებს ერთ-ერთი მსხვილი ეროვნული პროექტის დანიშნულებას.

საქართველოს სტირდება მკვეთრად დაბალანსებული რეგიონალური სტრატეგია, რომელსაც მიეცემა ნაციონალური (ეროვნული) პროექტის სტატუსი. ეს პირველ რიგში გულისხმობს სახელმწიფო მხარდაჭერას ძლიერი რეგიონების მიმართ, და გამოთანაბრების მარეგულირებელი ღონისძიებების განხორციელებას სუსტ და მდიდარ რეგიონებში. ანალოგიური პროექტების დამუშავებას, რეალიზაციის, მონიტორინგის ინტელექტუალური პოტენციალი, ასევე სახელისუფლები რესურსი ჩვენს ქვეყანას საკმარისად გააჩნია, მთავარია მისი მიერთება საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე და ადეკვატური ჩართვა მსოფლიო ეკონომიკაში, ისე, რომ აღ-

მოჩნდეს მხოლოდ ნედლეულის ექსპორტიორ და მოსამსახურე სტატუსის ქვეყნად.

ქვეყანაში მიღებულია საბაზისო სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანის უფლებებს და ხელს უწყობენ საბაზრო რეფორმის გატარებას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული საგადასახადო, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის, კერძო საკუთრებისა და უცხოური ინვესტიციების დაცვასთან დაკავშირებული კანონები. საბაზრო რეფორმების ბაზაზე შექმნილმა კანონმდებლობამ სახელმწიფოს საშუალება მისცა დაემყარებინა და წარმატებით განვითარებინა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა მრავალ ქვეყანასთან. მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს წარმატებულ ინტევრაციას ხელი შეუწყო მისმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და ევროსაბჭოში გაერთიანებამ. დემოკრატიულ პრინციპებზე ორიენტირებული ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებაში საქართველო ყოველმხრივ საკონსულტაციო და სამართლებრივ დახმარებას იღებს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისა და განვითარებული ქვეყნების შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებიდან.

საქართველოს აქვს მრავალპროფილიანი ეკონომიკა. ის მდიდარია სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულით (ნავთობი, ქვანახშირი, ტორფი, რკინა, მანგანუმი, სპილენძი, ვერცხლისუნიკი და სხვა). ძირითად დარგებად ითვლება სოფლის მეურნეობა, რომლითაც დასაქმებულია მოსახლეობის 50%, აგრეთვე კვების მრეწველობა და ტვირთის ტრანსპორტირება. კულტურული მცენარეულიდან საქართველოში მოდის ციტრუსი, ჩიი, ხილი, მათ შორის ყურძენი და თხილი. ამჟამად ქვეყნის მთავარი მიმართულებაა სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმი და სპილენძი) მოპოვება, აგრეთვე, მცირე ბიზნესის მიერ წარმოებული კვების პროდუქტები, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები, მანქანებისა და პროდუქტების რამდენიმე სახეობა. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტურიზმს და დასვენების ინდუსტრიას. რბილი ჰავა და ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობები, აგრეთვე შავი ზღვის თვალწარმტაცი სანაპიროს არსებობა, საშუალებას აძლევს საქართველოს

მოიაზრებოდეს ყოფილი სსრ კავშირის ერთ-ერთ უკელაზე მთავარ ტურისტულ ცენტრად.

რეგიონების განვითარებაში კლასტერული მიდგომების მხარდამჭერი მექანიზმები შეიქმნა ბევრ ევროპულ ქვეყანაში, ასე-ვე სხვა განვითარებულ ქვეყნებში, რომლებმაც მოკლე პერიოდში დიდ წარმატებებს მიაღწიეს.

დღეისათვის აპორბირებულია ეკონომიკის კლასტერიზაციის ფორმირების არაერთი მოდელი. მათგან ჩვენს სინამდვილეში ერთ-ერთ ოპტიმალურ მოდელად მოვიაზრებთ სახელმწიფოს წამყვან როლს იმგვარი მექანიზმების ფორმირებაში, როცა გადამწყვეტი როლი უცხოურ ინვესტიციებს ენიჭებათ, როგორც ფინასური, ასე-ვე ტექნოლოგიური და მარკეტინგის თვალსაზრისით (ჩინური, ინ-დური მეთოდი). ასევე განხილვის ღირსია მოდელი, რომელიც ქმნის მცირე ფირმების ერთობლიობას, იქმნება ასოციაციები, იქმნება კონკურენტული გარემო (იტალიური მოდელი).

საქართველოს გააჩნია კლასტერიზაციის პოტენციალი, გარემო და გეოგრაფიული მახასიათებლები, შეიძლება ითქვას გამოცდილებაც. (70-80 იანი წლები, როცა ჩამოყალიბდა არაერთი დარგობრივი კომპლექსები) კლასტერის ბუნებრივი ფორმირების პროცესები მიმდინარეობს მშენებლობაში, ტურისტულ ინდუსტრიაში, საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვებში, მრეწველობაში. დიდი შესაძლებლობებია სუბტროპიკულ მეურნეობაში, მელვინეობაში, მებოსტნეობაში და სხვა.

Резо Манвелидзе Роль транснационального капитала в развитии региональной экономики

Резюме

В статье идет речь об усваивании экономического капитала в развитии региональной экономики, в частности, о стимуляции малого бизнеса и частного предпринимательства, о перспективах создания на современном этапе инвестиционной среды на основе существующего положения в стране. В статье затронуты вопросы трудоустройства населения и создания прибыльного бизнеса. Автор обращает внимание на необходимость в региональной экономике опираться на

ცხრომისა და კულტის საგანი. მაცხოვარი გმობდა მომხვეჭელობას: „დაუკვირდით და დაიცავით თავი ყოველი ანგარებისაგან, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლე მისი ქონების სიუხვეზე როდია დამოკიდებული“ (ლუკა, 12,15). ერთ-ერთ იგავში მაცხოვარი ამბობს: კაცს, რომელმაც მომავალი განცხრომის იმედით ქონების დაგროვება გადაწყვიტა, ღმერთმა აუწყა: „უგუნურო, ამაღამ სულს მოგთხოვენ და რაც დაიმზადე ვიღას დარჩება?“ (ლუკა, 12,20). წმინდა გრიგოლ ლვთისმეტყველი მოუწოდებდა მხედველობაში მიეღოთ მატერიალური სიკეთის თვისება, რომელიც „სწრაფად მიედინებიან, ყოვნდებიან საათობით და როგორც კენჭები თამაშისას გადაგორდებიან ადგილიდან ადგილზე, ისე გადადიან ხან ერთან, ხან მეორესთან“.

ევანგელური ქრისტიანობა აიდეალებდა სიღარიბეს. კონსტანტინეპოლელი ეპისკოპოსი ოთანე ამტკიცებდა: ღარიბები მდიდრებზე უმდიდრესნი არიანო.

ადრინდელი ქრისტიანები ბიბლიური დებულებებიდან გამომდინარე გმობდნენ სიმდიდრისადმი, განსაკუთრებით ფულადი სიმდიდრისადმი მისწრაფებას. იმონმებდნენ სახარებას და ხმირად იმეორებდნენ იდეას, რომ „უმაღ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი მოხვდება სასუჯეველში“. ადრექრისტიანულ წყაროებში ყველგან ხაზგასმული იყო, რომ ქრისტეს არ ჰქონდა საკუთრება, ქონება, ფული, უარი თქვა ოჯახზე, ცხოვრობდა თავის მონაფებთან ერთად სამეურნეო თემში და ამასვე მოუწოდებდა თავის მიმდევრებს. თუმცა 1323 წელს პაპის ბულით ერესად გამოცხადდა იმის მტკიცება, რომ ქრისტეს და მოციქულებს არავითარი ქონება არ გააჩნდათ.

II-III საუკუნიდან შეიცვალა დამოკიდებულება ფულისადმი. იგი უნინდებურად განიხილებოდა, როგორც ბოროტება, მაგრამ როგორც გარდაუვალი ბოროტება და ქველმოქმედებას შეეძლო გამართლებინა იგი. თემის შეგნით წარმოიშვა ზედაფენა. მაგალითად, III საუკუნეში მცხოვრები ალექსანდრიელი ეპისკოპოსი მაქსიმე იმდენად მდიდარი ყოფილა, რომ რომსა და ალექსანდრიას შორის კომერციულ ოპერაციებს აფინანსებდა.

ქრისტიანობა მოგვევლინა ერთგვარ „ოქროს შუალედად“, სულისა და ხორცის კომპრომისად, რადგან მიუხედავად მთელი მი-

სი სულიერებისა, ქრისტე აღსდგება როგორც სხეულებრივი არსება, მას აქვს ხორცი და სისხლი.

ეკლესია უნდა დასულიყო სამყარომდე და გარდაექმნა ის, მაგრამ ამავე დროს უნდა ეცხოვრა „მიწიერი“ ცხოვრებით. ეს წინააღმდეგობა გამოთქმული აქვს ნეტარ ავგუსტინეს. მას კაცობრიობის ისტორია წარმოუდგენია, როგორც დასაბამიდან მოყოლებული ბრძოლა ორ ქალაქს — მიწიერ ქალაქსა და საღვთო ქალაქს შორის. იგი ამბობდა, რომ საკუთრება პოტენციურად ბოროტებაა. ის ადამიანში ბადებს სიძუნეს, მას შეუძლია წაბილწოს სული. მაგრამ ამავე დროს ამბობდა, რომ საზოგადოება საკუთრების გარეშე შესაძლებელია მხოლოდ სამოთხეში, რადგან ადამიანებისაგან სრულყოფილებას მოითხოვს.

კათოლიციზმის ერთ-ერთი დოკუმენტის — „კანონიკური სამართლის კრებულის“ მიხედვით, ქონება უკეთეს შემთხვევაში წარმოადგენს რაღაც ტვირთს. ამიტომ ის მოპოვებული უნდა იქნეს კანონიერი გზით და მისით სარგებლობა უნდა შეეძლოს ყველას საჭიროების მიხედვით. მისი მფლობელები მზად უნდა იყვნენ გაუნაწილონ იგი გაჭირვებულებს მაშინაც კი, თუ ისინი სილატაკეში ჯერ კიდევ არ ჩავარდნილან.

შუასაუკუნეების სქოლასტიკოსების წარმოდგენით, რომ გახდე ძალიან მდიდარი და დარჩე სათონ – შეუძლებელია. ჭარბი სიმდიდრის უარყოფა მათ მრავალ წინამორბედთან აკავშირებს. ბიბლიური მოსე კრძალავდა ყოველგვარ ფუფუნებას. მისი აზრით, ყურადღების გადატანა მატერიალურ სიმდიდრეზე ღვთისმოსავ ხალხს ხელს უშლის მიზნის მიღწევაში. **ძველ საბერძნეთში** აკრძალული იყო ქეიფების, ქორნილების და სხვა მისთანების მოწყობისათვის გადამეტებული ხარჯები. **სპარტელ** მზარეულს კერძის საკაზმად შეეძლო მხოლოდ მარილისა და ძმრის გამოყენება.

პლატონის აზრით, სიმდიდრე შობს ბოროტებას, ამიტომ მდიდარი არ შეიძლება იყოს კეთილი. ცუდი ადამიანები შეიძლება გახდნენ უმდიდრესნი, კარგი ადამიანი კი დიდ სიმდიდრეს ვერ მოიპოვებს, მაგრამ უკიდურეს სილარიბეშიც არ ჩავარდება. სიმდიდრე წარმოების განვითარებასაც აფერხებს. თუ მექოთნე გამდიდრდა, გაზარმაცდება და შეიძლება სულ მიატოვოს ქოთნის კეთება, მაგრამ არც ლარიბი მექოთნე ვარგა. თუ მას საკმარისი წარმოების

საშუალებები არ გააჩნია, მაშინ ცუდ ქოთანს დაამზადებს და შეგირდებსაც ცუდ ოსტატებად გაზრდის. ულარიბესი კაცი არ შეიძლება იყოს სათნო, რამდენადაც მისი ასეთი მდგომარეობა მოუწეს-რიგებლობისა და მფლანგველობის ბრალია. წესიერი და ზომიერი კაცი საჭირო სიმდიდრესაც ფლობს და სათნოებასაც, ღატაკები განდევნილი უნდა იქნენ სახელმწიფოდან. პლატონის მიხედვით სიჭარბე შობს ისეთ ულირს თვისებებს, როგორიცაა სიზარმაცე და სიხარბე, ამით მცირდება არა მხოლოდ საზოგადოებრივი კეთილ-დღეობა, არამედ სათნო ადამიანებიც. საერთოდ, ძველ ბერძნებს უპირველესად ალელვებდათ ეთიკის საკითხები და არა ეკონომიკური ეფექტურობა. როგორც მარქსი ირწმუნებოდა, „ძველებთან“ თქვენ ვერ იპოვით მსჯელობას იმის თაობაზე, თუ საკუთრების რომელი ფორმაა უფრო ეფექტური. მათ ის უფრო აინტერესებ-დათ, საკუთრების რომელი ფორმა აძლევს საზოგადოებას უკე-თეს მოქალაქეებს.

არისტოტელეს აზრით, შინაგანად სრულყოფილ ადამიანს ნეტარი ცხოვრებისათვის სჭირდება **სიმდიდრე**, მეგობრობა და **პოლიტიკური გავლენა**. სიმდიდრე მიზნის მიღწევის საშუალებაა და არა საძიებელი სიკეთე. სიმდიდრის სიჭარბე ან ნაკლებობა მან-კიერების ნიშნებია. გულუხვად გაცემა სიღლამაზეა, მაგრამ გაცემა უნდა ხდებოდეს არა უანგარიშოდ, არამედ მოზომილად. სწორედ ამით განსხვავდება მფლანგველობა და სიუხვე ერთმანეთისაგან.

ციცერონი, **სენეკა**, **პლინიუს უფროსი**, **მარკუს ავრელი-უსი** და **სხვები** სიმდიდრის დაგროვებას უარყოფითად აფასებდნენ და ზომიერებისაკენ მოუწოდებდნენ საზოგადოებას, მაგრამ, მოგვიანებით, რენესანსის ეპოქის იტალიაში სიმდიდრის კულტი გა-მეფდა. მართალია, **სენეკა** კიცხავდა ფუფუნებასა, განსაკუთრებით კი ფულადი სიმდიდრის წინააღმდეგი იყო, მაგრამ პრაქტიკულად თავად ეწეოდა მევახშეობას. სიკვდილის შემდეგ მას 60 მილი-ონი ფრანკის ოდენობის თანხა დარჩა.

აქვინელი აცხადებდა, რომ ვინაიდან „ცხოველებსა და მცენარეებს ბუნება ადამიანისათვის ქმნის“, ადამიანს უფლება აქვს მიითვისოს სიმდიდრე ნებისმიერი ფორმით, თუ ეს არ ხდება ქურდობისა და ძარცვის გზით. მის მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „**სამართლიანი ფასების თეორიას**“, რომელიც

პირველად არისტოტელემ წამოაყენა და მიაჩნდა რომ სიკეთის გა-დანანილება უნდა მოწყობილიყო „ლირსების მიხედვით“. აქვინე-ლის აზრით, საზოგადოების ფენებად დაყოფა ლმერთისაგან იყო დაწესებული. თავის მხრივ, ამა თუ იმ ფენაზე მიკუთვნება განსაზ-ღვრავს მათი სიმდიდრის დონეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანს უფლება ეძლეოდა მისწრაფება გამოეჩინა ისეთი სიმ-დიდრისაკენ, რომელიც აუცილებელია მისი სოციალური მდგომა-რეობის შესაფერისად ცხოვრებისათვის. უფრო მეტისაკენ მისწრა-ფება – ეს უკვე ფხიანობა კი არა, სიხარბეა, რაც მომაკვდინებელი ცოდვაა.

ბიზანტიური ესთეტიკისათვის დამახასიათებელი იყო ლრმა **სპირიტუალიზმი**, იგი სულს ანიჭებდა უპირატესობას. ისინი არ გამორიცხავდნენ მატერიალურ მშვენიერებას, მაგრამ სულის მშვენიერებას, სიკეთეს, ზნეობრივ სრულყოფილებას აყენებდნენ ყველაზე მაღლა.

კიევის რუსეთის რუსი სიმდიდრეში უპირველესად მის ნა-ტურალურ მხარეს ხედავდა. ამასთან, ყურადღებას ამახვილებდნენ სიმდიდრის ცვალებად, გარდამავალ ხასიათზეც: „**ლატაკიც მდიდ-რდება და მდიდარიც ლატაკდება, განდიდებულიც მდაბლდება და მდაბალიც მაღლდება**“. ქრისტიანი რუსი ადამიანი ფეოდალუ-რი შინაომების პირობებში, განიცდიდა რა სოციალურ-ქონებრივ კრიზისს, სიმდიდრეს უყურებდა როგორც მეგაბშეობის, მექრთამე-ობისა და ძარცვის შედეგს: „**ყველგან იპარავენ და ანგრევენ, ქო-ნება კი სურთ დააგროვონ**“. ამიტომ ქონებრივი ცვლილება ფას-დებოდა, როგორც „ბოროტ, უღმერთოთა“ და „კეთილ, ღვთისმო-შიშთა“ დაპირისპირების შედეგი. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის სტაროვერი-ვაჭარი თავისი სიმდიდრის ზრდას რელიგიას უკავში-რებდა და ცდილობდა დაემტკიცებინა რომ „**ძველი რწმენის მიმ-დევრები გაცილებით მდიდრულად ცხოვრობენ, ვიდრე ახალი რწმენის მიმდევრები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ღმერთი აკურ-თხებს არა ახალ, არამედ ძველ რწმენას**“.

ისლამი ქრისტიანობის მსგავსად აღიარებს, რომ ყველაფ-რი, რაც ქვეყნიერებაშია, ეკუთვნის მხოლოდ ალაპს. ადამიანი კი მხოლოდ ნდობით აღჭურვილი მესაკუთრეა. უპატრონო მიწაზე ვინც პირველი იპოვის მინერალს, აქვს პირველუფლება დაიკმაყო-

ფილის იმით თავისი მოთხოვნები, მაგრამ სხვებსაც უნდა მისცეს შესაძლებლობა ისარგებლონ მათით. მუსლიმანები თვლიან რომ, არსებული ბუნებრივი მარაგი საცემით საკმარისია დაკმაყოფილ-დეს თითქმის ყველა ადამიანის მოთხოვნა. სიღარიბე სიკეთეთა არასწორი განაწილების შედეგია. საზოგადოებისათვის უმჯობესია მოწყალება კი არ გასცეს ღატაკებზე, არამედ მისცეს შესაძლებ-ლობა თავად გამოიმუშაოს არსებობის საშუალება.

მუსლიმანთათვის დაწესებული ხუთი ძირითადი პრინციპი-დან ერთ-ერთი, **ზაქათი**, მორჩმუნებებს ავალდებულებს ღარიბ-თათვის გადასახადის გადახდას. ასევე **ჯიჰადიც** — საღვთო ომი ურჩმუნოთა წინააღმდეგ მუჰამედმა და მისმა მიმდევრებმა სწორ-ედ სიმდიდრისა და ნადავლის მოპოვების მიზნით გააჩაღეს, რათა თავიანთი ხალხი დაეკმაყოფილებინათ. ისლამი გულგრილი არ რჩება ამქვეყნიურ სიამეთა მიმართ, ოღონდ მას უნდა ჰქონდეს დადგენილი ზღვარი; ისლამს საფუძვლად ედო მართლმორჩმუნე-ებზე მზრუნველობა ამქვეყნიურ, მინიერ ცხოვრებაში. ყურანი ასა-ბუთებდა მდიდრებისა და ღარიბების არსებობის ღვთიურ წინას-წარგანსაზღვრულობას. მტკიცედ იცავდა **კერძო საკუთრებას**, რომლის უფლებას ისლამის დოგმები მხოლოდ მუსლიმანებს ანიჭებდა. ამასთან, მოითხოვდა, რომ მორჩმუნე არ იყოს ხარბი, არ ის-წრაფოდეს უზომოდ გამდიდრებისაკენ.

ისლამის მორალით ჭარბი მატერიალური სიკეთე უნდა მოხმარებოდა თავისი მუსლიმანური თემის (უმა) ინტერესებს. „ჭარბია“ ქონება, რომელიც რჩება თავისი ოჯახის მოთხოვნილება-თა დაკმაყოფილების შემდეგ: „ყველა იმ დინარიდან, რომელსაც თქვენ დახარჯავთ ღვთის გზაზე, იმ დინარებიდან, რომელსაც დახარჯავთ მონების შესასყიდად, გასცემთ მოწყალების სახით ღატაკებს, და იმ დინარებიდან, რომელსაც დახარჯავთ ცოლსა და შვილებს — ყველაზე ძვირფასია (ალაპისათვის) ის, რომლებ-საც დახარჯავთ საკუთარი ოჯახისათვის“. სიმდიდრე სიმდიდრი-სათვის შარიათით დაგმობილია, როგორც სიხარბე. დაგმობილია ფულის უაზრო ხარჯვა. ფულის მფლანგავი პირი, შეიძლება მიჩნე-ულიყო საფიქად, ესე იგი ბოლომდე გაუცნობიერებელ პირად. ამ კაცის ქონება შეიძლება გადაცემოდა მეურვეობის ქვეშ თემს ან მის წარმომადგენელს. თუ ადამიანი ეხმარება ხალხს იმიტომ, რომ

აამოს ალაპს და არ ელის მათგან ჯილდოს, ასეთ ადამიანს ყველა გარიგებისას თან ეხლება ალაპის წყალობა და კურთხევა („ბარაქებს“ კონცეფცია).

პროტესტანტიზმის ფუძემდებლებმა ლუთერმა და კალვინმა შრომა და, კერძო საკუთრება ქრისტიანისათვის წმინდათან-მინდა მოვალეობად მიიჩინიეს.

კალვინიზმი ქადაგებდა ცხოვრებისეული მოთხოვნილებების შეზღუდვას, მომჭირნეობას. არამნარმოებლური მოხმარება, კაპიტალის გაფლანგვა, უქმი დროსტარება განიხილებოდა, როგორც დიდი ცოდვა. კალვინიზმი ყველაზე უკეთ უწყობდა ხელს სიმდიდრის დაგროვებას.

პურიტანიზმის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია მოკრძალებული ცხოვრების წესი და ღვთისმოსაობა.

ლუთერის მიხედვით ადამიანის მოთხოვნილებაზე გადამეტებული სიმდიდრე მადლის ნაკლებობის ნიშანია, რადგან ეს შესაძლებელია, მხოლოდ სხვა ადამიანების ხარჯზე.

ბ. ფრანკლინის თქმით, იდეალურია კრედიტუნარიანი კეთილშობილი ადამიანი, რომლის თვითმიზანია — კაპიტალის გაზრდა. **ვებერი** ალნიშნავს, რომ გარდა ამისა კრედიტს მოაქვს პატიოსნება, პუნქტუალობა და ზომიერება მოხმარებაში, ამიტომ ასეთი ადამიანები ეთიკურებიც არიან. ეს შეხედულება უპირისპირდება **უტილიტარიზმის** ფილოსოფიას, რომელიც დღემდე ეკონომიკური თეორიის იდეალურ იდეოლოგიურ ბაზისს წარმოადგენს. ამ ეთიკის უმაღლესი სიკეთეა — დიდი სარგებლიანობა, ჰედონური მომენტების სრული უარყოფა. მოპოვება და დაგროვება გახდა ადამიანის ცხოვრების მიზანი.

ვებერის აზრით, კალვინისტურმა დოქტრინამ მორჩმუნეებში აღძრა სურვილი მონაწილეობა მიეღოთ მინიერ სიკეთეთა დაგროვებაში. ეჭვქვეშ დადგა კათოლიკური (ასევე არისტოტელესეული) დოქტრინა იმის შესახებ, რომ ადამიანმა არ უნდა შეიძინოს იმაზე მეტი სიმდიდრე, ვიდრე ეს აუცილებელია მისი წოდების შესაფერი ცხოვრებისათვის.

ჩვენთან კაპიტალიზმი ხშირად გაიგივებულია მოგებისადმი თავაშვებულ გამოდევნებასთან. გავრცელებულია აზრი, რომ პატიოსანი კაპიტალისტი ჩვენთან ან არ არსებობს, ან ძალზე ცო-

ტაა. მაგრამ, ვებერის აზრით: „მოგებისადმი თავშეუკავებელი მისწრაფება არანაირად არ არის გაიგივებული კაპიტალიზმთან, და, მით უმეტეს, მის „სულთან“. კაპიტალიზმი შეიძლება ითქვას ამ ირაციონალური მისწრაფების ალაგმვაა“ გვ. 20-21).

ათეიზმ-მატერიალიზმი გვასწავლიდა, რომ მთავარია მატერია (საქონელი), რომ ეს საქონელი უნდა შექმნა, განავითარო წარმოება და ამავდროულად... უნდა იყო ალტრუისტი. ასეთი კონტამინაცია არ გამოვიდა, რადგან ეტყობა ადამიანს დიდხანს არ შეუძლია სწამდეს მატერიის და... იცხოვროს ღვთის მცნებების გარეშე.

ქართველებისთვისაც ნიშანდობლივი იყო წარმართობის-დროინდელი დამოკიდებულება ამქვეყნიური სიკეთისა და სიმდიდრისადმი, ჩვენთანაც განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ **ხარის** კულტს, რომელსაც მიწათმოქმედების ფუძემდებლად მიიჩნევდნენ. საქართველოში დღემდეა შემორჩენილი მაგის რამდენიმე სახე: **ლაზარობა**, სვანური საფერხულო, თუშური ქორბელა, ქართლ-კახეთში — ყევნობა, რომლებიც მიმართული იყო ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის გაზრდისაკენ. წარმართობიდან იღებს სათავეს სვანური დღესასწაული — „**ლიფანალი**“. სვანთა რწმენით, იმქვეყნიური ცხოვრება ამქვეყნიურის მსგავსია, ხოლო ადამიანის სული სიცოცხლეს განაგრძობს იმ ქვეყანაში იმავე მდგომარეობით როგორიც ამ ქვეყნად ჰქონდა. დღესასწაული „ლიფანალი“ ეძღვნება ამ სულების მიღებასა და გასტუმრებას.

შოთა რუსთაველის პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო სიმდიდრის კულტი. შ. რუსთაველის მიხედვით, ქონების გარეშე თავისუფლება არ არსებობს, ამიტომ იგი მოითხოვდა სიმდიდრის სამართლიან განაწილებას. იგი მთელ რიგ საკითხებში იზიარებს პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებს, მაგრამ მის ნაწარმოებში მაინც რენესანსის ეპოქისათვის დამახასიათებელი უხვი დოკულათის კულტი სუფევს. თაფლის მდინარესავით მოედინება ეროვნული სიმდიდრე. მაგრამ იგი ყურადღებას ისეთ სიმდიდრეზე ამახვილებს, ადამიანური სილამაზის მთელ პარმონიულობას უფრო უკეთ რომ წარმოაჩენს. ავთანდილი ისედაც მშვენიერი ვაჟკაცია, მაგრამ მდიდრული ჩაცმულობა კიდევ უფრო მიმზიდველი იერსასხეს აძლევს. ამასთან, თუ პლატონი სახელმწიფოდან ღატა-

კების განდევნას მოითხოვდა, შ. რუსთაველი გლახაკთა შეწყალებას და გამდიდრებას ქადაგებს: „**მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები**“. მის იდეალურ სახელმწიფოში ყველა სოციალური ჯგუფი კარგად ცხოვრობს. აქ სიმდიდრე გულუხვობასა და სათნოებას ხელს არ უშლის.

მართლმადიდებლური თვალსაზრისით მიუღებელია იდეისა და მატერიის დაპირისპირება. ქრისტეს სულიერი და ხორციელი წარმომავლობის დოგმატი, მასში ღვთიური და ადამიანური ბუნების ერთიანობა გარკვეულწილად ამქვეყნიურის აღიარებას ნიშნავს. ქართული ტრადიცია გულისხმობს ადამიანის სამივე შემადგენელი ნაწილის — **ხორცის, სულისა და გონის** ერთიანობას. ეს იდეა განავითარა შოთა რუსთაველმა თავის „ვეფხისტყაოსანში“. იგი ამბობს „**გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდია**“.

საშუალო შეძლების საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობაში სიმდიდრის ფენომენმა ადგილი დაუთმო არსებობისათვის აუცილებელი მოთხოვნილებების უბრალო დაკმაყოფილებას. გასული საუკუნის 90-იანი წლების „ახალმა ქართველებმა“ კი კაპიტალი შეიძინეს იმ პერიოდისათვის გაბატონებული ავანტიურული გადანაწილების „კაპიტალი-კაზინოს“ მოდელის პირობებში. ისინი, როგორც კაზინოში გამარჯვებულები, თავიანთ შემოსავლებს განიხილავდნენ როგორც „სტატუსიანი“ ზემოხმარების წყაროს.

უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გვმოძლვრავს: „**ეკლესია და რწმენა, როგორც ამას წერენ და ზოგჯერ ხმამაღლა აცხადებენ, სრულიადაც არ კრძალავს ზორუნვას ეკონომიკურსა და მატერიალურ საკითხებზე, მაგრამ ის გვასწავლის, რომ მთავარი სულია... სანამ ადამიანი სხეულით ცხოვრობს, მისთვის ორივე საზრდო საჭირო და აუცილებელია — ხორციელიც და სულიერიც, ოღონდ უპირველეს ყოვლისა სულიერი**“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია, თბ., 1989;
4. ყურანი, თბ., 2006;
5. მ. ცეცხლაძე, რელიგია და ეკონომიკა, ბათ., 2010.

7. Березин И.С., Краткая история экономической мысли, 2000;
8. Вебер М., Протестантская этика, М., 1972;
9. Платон, Политика или Государство, Соч., т.3, ч.2., М., 1972;
10. ru.wikipedia.org

Murman Tsetskhladze

Attitude Towards Wealth in Different Cultures of the World

Summary

The notion of wealth is connected with wellbeing of the world and attitude towards it in different cultures of the world often is non-homogeneous and contradictory, which considerably conditions the level of development of this or that state.

The attitude of Georgians towards wealth is based on orthodox culture and recognizes harmonic development of soul and body, by giving advantage to soul, but because of different reasons, implementing it in practice was not managed.

Мурман Цецхладзе

Отношение к богатству в различных культурах мира

Резюме

Понятие богатства связано с благополучием мира. Отношение к нему в различных культурах часто не является однородным и имеет противоречивый характер, что в значительной мере обуславливает уровень развития того или иного государства.

Отношение грузин к богатству основывается на православной культуре и признает гармоничное развитие души и тела, давая преимущество душе.

О ХОДЕ АГРАРНЫХ РЕФОРМ И УСОВЕРШЕНСТВОВАНИИ ИХ УПРАВЛЕНИЯ В АЗЕРБАЙДЖАНЕ

И.Г.Алыев (Баку)

Аграрный сектор это сектор, который имеет свой механизм свои законы, а также это регулирующая деятельность, поддерживаемая государством. В то же время он (аграрный сектор) объект деятельности, имеющий социально-экономическую систему и охватывающий совокупность свойственных ему элементов. Здесь экономическая политика также осуществляется с помощью определенных управлеченческих систем и методов. В условиях же рынка она носит более экономическую суть. В этом смысле все рычаги экономического управления принимают более реальное участие. Значит, только что завоевавшее свою независимость, еще неокрепшее с экономической точки зрения и не имеющее с экономической точки зрения особого значения для Азербайджана в установлении новых аграрных или управлеченческих принципов, в тоже время является социальной задачей. Также у этого положения есть и новые особенности. Как и во всех отраслях нашей экономики, так и в аграрном секторе старая система централизованного административного управления рухнула недавно, а некоторых случаях этот процесс даже не завершился. Несмотря на то, что он функционирует теми или иными средствами на фоне формирующегося как субъект управления предпринимательстве, в целом же в этом секторе структура механизма экономического регулирования отвечающая требованиям рыночной системы еще не сформировалась и не создана.

Таким образом, даже если юридически-правовая база будет сформирована для его деятельности в теперешнем историческом переходе к рынку, он еще не полностью соответствует экономическим, административным и организационным условиям. По своей сути еще не созрел.

С другой стороны из-за неразумного и неполноценного формирования одного из важных атрибутов рынка и его управления как конкурентная среда, экономических социальных юридических и психологических противоречий на пути её формирования, из-за недостатков незрелой рыночной среды такие принципы

экономического правления как спрос и предложение в основном непоследовательны и не могут соответствовать закону.

Для этого во всех взаимодействующих друг с другом звеньях входящих в рыночный механизм надо создать оптимальные условия и обеспечить микро и макро среду. С этой точки зрения в государственной программе социально-экономического развития регионов Азербайджанской Республики (2004-2008 г.г.) был разработан план мероприятий и это имеет важное значение для дальнейших перспектив.

По нашему мнению, такое оптимальное положение это процесс, обусловленный формированием нового механизма управления при переходе к рыночной экономике. Если это так то тогда развитие аграрного сектора и формирование рынка ускорится, а регулирующие их законы и рычаги управления будут наиболее эффективнее действовать. Именно поэтому в этом секторе надо формировать рынки услуг, рабочей силы, капитала и ценных бумаг. Они должны быть сформированы с такой скоростью, чтобы этот сектор по своей природе был полностью рыночным и мог бы вполне управляться посредством своих объективных законов и механизмов.

Вне всяких сомнений, аграрная экономика и ее рынок, будучи результатами коренных реформ, в первую очередь должна быть рынком, регулируемым собственными законами. А также формирование экономического механизма управления, понимание в теоретическом и логическом смысле волею-неволей требует у нас нового методологического подхода. Например, раньше во времена условий командно административной системы средства экономического регулирования выражали систему рыночных взаимоотношений в подчинении своей административно – командной системе. В таком же случае не только аграрный сектор, но и другие сектора экономики не были бы прибыльными и зрелыми в экономическом смысле они даже не могли самостоятельно справиться с кризисом. Но теперь в условиях рыночной экономики функции, выполняемые такими системными элементами механизма экономического регулирования как ценами, конкурентной средой, степенями прибыли и налога и т.д. по сути, будут относиться к новому механизму экономического правления. С этой точки зрения построение системы экономического управления должно быть построено на уровне, поэтому именно в аграрном секторе в механизме управления была сформирована и развита радикальная среда, отвечающая коренным требованиям рынка и принципам экономического менеджмента. С этой точки зрения проследим за движением аграрных реформ по их содержанию и сущности:

В последующий период, после того как 18-го октября 1991-го года страна стала независимым государством, сельское хозяйство Азербайджана характеризовалось новой сущностью в важных социально экономических условиях.

В 1991-1993 годах процессы идущие в сельском хозяйстве носили двойственный характер, невозможно было определить с чего начинать. В этот период более преобладал субъективизм. Без каких либо на то оснований хлопковые, табачные поля и без того бедствующее виноградарство были на грани полного уничтожения. Начиная с середины 1993-го года, начали задумываться над приватизацией земли и имущества, раздаче земли и имущества тем, кто работает в этих областях. В последующие годы была произведена обширная приватизация, либеризация экономики в первую очередь в ценообразовании. Государство отошло от рынков продукта материально-технических ресурсов. Были убранные преграды в процессах импорта и экспорта. В общих чертах, была ликвидирована система управления всеми предприятиями в АПК, вместо чего земли и средства производства разданы сельским труженикам и созданы широкие возможности для предпринимательства и частной собственности.

В таком положении чтобы приобрести некий опыт в аграрном секторе выявила необходимость устранения возникающих недостатков. В результате чего в конце 1993-го года в районе Джульфа Нахчivanской АР, в районах Хызы и Загатала были проведены первые аграрные реформы.

Для развития отрасли, перевод всей экономики на рыночную основу на базе поддержания и развития предпринимательства любыми средствами, было выбрано как основное стратегическое направление будущего развития.

Для этого создание правовой основы аграрных реформ стало одним из основных условий. Приняв ряд законов Азербайджанской Республики «об основах аграрных реформ», «о реформах колхозов и совхозов» 1995 год, «О земельной реформе» 1996 год, а также других юридических документов Милли Меджлис Республики заложил правовую основу аграрных реформ.

Для проведения реформы были созданы местные, районные и государственные комиссии по аграрной реформе. Аграрные реформы были начаты с раздела земли. Также построение экономики на рыночных основах, проведение в селах радикальных аграрных реформ, реформы традиционных, кустарных хозяйств, реформирования являющихся формой управления колхозов и совхозов, приватизации

их земель и скота, отмена центрального управления и государственных заказов по покупке продукции, освобождение скупочных цен, и т.д.

В результате ликвидации колхозов и совхозов в аграрном секторе республики действуют: 41 государственных сельхоз предприятий, 23 акционерных общества, 125 других государственных хозяйств, научно-исследовательские и учебно-практические хозяйства, 61 промышленное и вспомогательные сельхоз предприятия другим предприятиям, 49 арендных предприятий, 1386 коллективных предприятий, 163 кооператива сельскохозяйственного производства, 1488 мелких предприятий, 114 прочих сельхоз предприятий, 2661 фермерских хозяйств (созданных юридическими лицами), 12 иностранных и совместных предприятий и 29 механизированных групп (агросервисы) оказывающих услуги сельскому хозяйству.

В результате проведения аграрной реформы большая доля государственного имущества в сельском хозяйстве была приватизирована, а на её базе созданы частные и негосударственные субъекты. В этот период из пригодных для сельского хозяйства земель 6,0% приходилось на долю государственных сельскохозяйственных предприятий, 12,0% - сельских (фермерских) хозяйств, 7% - коллективных хозяйств, 2% - арендных и мелких предприятий и 3% - на долю производственных кооперативов.

В связи с раздачей земель в структуре производства товара также произошли изменения. Как и в предыдущие периоды, более 70% пшеницы, картофеля, фруктов и винограда было произведено в домашнем хозяйстве. Только в хлопководстве, выращивании кормовых культур и чайных листьев другие хозяйствственные формы играют существенную роль. Скотоводство было полностью приватизировано, только небольшая его часть была оставлена в 21 государственном предприятии.

Приватизация государственного имущества, формирование большого количества товаропроизводителей привело к относительной стабилизации объема производственных товаров. Если в 1992-1995 годах объем общего сельскохозяйственного производства в среднем падал на 12% каждый год то, начиная с 1996 года (за исключением 1997 года) этот показатель начал увеличиваться каждый год.

Уже на 1-е января 2003 года из 1,395млн. Га земель 98,4 % или 1,323 млн. Га было раздано субъектам, имеющим право получить землю или имущество, посредством приватизации. В тот период были приватизированы 24 тыс. грузовых машин, около 29 тыс. тракторов, 6 тыс. хлопкоуборочных и зерноуборочных комбайнов, более 4 тыс. сараев, 2300 овечьих пастбищ.

Таким образом, в первую очередь в селах произошли коренные социально-экономические перемены. С первых моментов сначала была законодательная база соответствующая рыночным экономическим отношениям аграрной сферы. Если мы проследим аграрную сферу в промежутке последних 10 лет, то мы заметим, контрастную постепенно переходящую в стабильную, склонность к развитию.

Аграрная сфера уже является одной из основополагающих отраслей в экономике государства в развитии многих других секторов. По статистическим показателям 2005 года в 2004 году 11,3% ВВП страны было произведено в данном секторе, и 39,8 % экономически активного населения работают в данном секторе. Эта сфера имеет немаловажное значение в межгосударственных экономических и международных отношениях, а также в развитии экономических отношений. Таким образом,

- Были созданы одинаковые условия и возможности в процессе формирования предпринимательства, создание базы собственников в аграрной отрасли переводимых к рыночной экономике;
- Обеспечение производства сельхоз продукции страны в частном секторе позволило формировать новую структуру производства на основе спроса рынка;
- Был предотвращен регресс, предотвращены кризисные случаи, начиная, с 1996 года в производстве сельхоз товаров проявилась динамика;
- В стране начали формироваться новые аграрные отношения и механизмы экономического управления.

Неправильное построение аgro-страхования и сети инфраструктур, слабое использование экономических методов при управлении аграрной экономикой, все еще сильная монопольная позиция предприятий производства и услуг, неохраняемый на должном уровне внутренний рынок создающий препятствия на пути реализации сельхоз товара и тем самым не удовлетворяющий материальным интересам и препятствующий росту производства являются важными факторами.

Таблица 1.

Деятельность рыночных субъектов в аграрной сфере за 2005 год

№		Мелкие предприятия	Иностранные и совместные предприятия	Сельские (фермерские) предприятия
1	Количество действующих предприятий	1488	12	2607
2	Списочное количество рабочих, (чел.)	21316	321	10456
3	В среднем на одном предприятии	7.5	21.4	4.4
4	Средняя месячная зарплата (тыс. AZM.)	67.5	222.1	-
5	Объем товаров, работ, услуг (млн. AZM.)	65916.9	11547.4	16.1

Таблица построена на основе следующих источников: “Azrbaycan statistik göst ricil ri 2004”. Баку типография “S da” стр.112-124

Развитие аграрного производства также оказало огромное влияние на формирование рыночных отношений.

С точки зрения хозяйствования основные пути и направления формирования механизма экономического управления, производства и содержания рынка в аграрной сфере показывают, что сперва в республике было обеспечено развитие многообразных форм хозяйствования. С другой же стороны сельские (фермерские) хозяйства, кооперативы сельхоз производства и мелкие предприятия, а также коллективные предприятия, будучи в многообразной форме хозяйствования, развиваются с наибольшими темпами. Также трансформирование совхозов и колхозов, в результате реформирования которых в различных формах хозяйствования основанных на частной собственности пошло расширение и быстрое развитие.

Как мы видим, в 2004 году по сравнению с 1996 годом если по всем видам продаж розничный товарооборот возрос в 4,0 раза, то на сельхоз рынке и ярмарках он возрос в 2,5 раза. Продуктовые и товары основного потребления возросли в 2,4 и 2,5 раз соответственно. Это даёт нам возможность отметить все еще низкий уровень формирования аграрного рынка. Как мы отметили выше ход аграрных

реформ, охарактеризовал изменчивость количества новых форм хозяйствования из года в год.

Исследование показывает, что процесс находится в действии и по мере развития рынка и формирования конкурентной среды будет, и изменяться количество частных форм хозяйствования.

ისა ალიევი

აგრარული რეფორმის მართვის სრულყოფისათვის აზერბაიჯანში

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია აგრარული ეკონომიკის რეფორმის და აგრარული ბაზრის ფორმირებული თავისებურებები აზერბაიჯანში, ასევე ამ კუთხით მიღებული შედეგების ანალიზი და შეფასებები, ზოგადი კონცეფციები, სამთავრობო და საკანანმდებლო ღონისძიებების არსი და გატარებული საკითხების კონცეპტუალური მიმართულებები. ასევე, წარმოდგენილია აგარარული ეკონომიკის მართვის მექანიზმები და ფორმები.

Isa Aliev

For the agricultural reform management perfection in Azerbaijan summary

Its mentioned in the article, that without any doubt agricultural economy and its market as the results of fundamental reform, first of all must be a market which is controlled by its own rules and regulations. Also the foundation of economical structure management, well-thaugth-out both in theoritical and logical aspects, farcely or independently demands new waus of methodological attitude.

საპენსიო სისტემის ფორმირების პროცესი საქართველოში

ირმა ჩხაიძე

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სახელისუფლებო პროგრამებიდან ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი ეთმობა საპენსიო სისტემის რეფორმას. რეფორმის აუცილებლობას განაპირობებს, ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე, რომლის საფუძველზეც შეუძლებელია სახელმწიფო საპენსიო სისტემის ეფექტუანი მართვა; დასაქმებულთა და პენსიონერთა თანაფარდობა, რაც გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობაში საპენსიო ასაკს მიღწეულ მოქალაქეთა ხვედრითი წილის ზრდას და დასაქმების დაბალ დონეს.

რეალური და მოქნილი საპენსიო სისტემის შექმნისათვის საქართველოს ხელისუფლებამ ძირითად სახელმწიფო საპენსიო სისტემასთან ერთად აამოქმედა ახალად ჩამოყალიბებადი არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა, რომლებიც ხასიათდებიან დადებითი და უარყოფითი თავისებურებებით.

სახელმწიფო საპენსიო სისტემა ევროპის ბევრ ქვეყანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სისტემას წარმოადგენს სოციალურ სფეროში. ამ სისტემის მოქმედების ძირითად პრინციპად განისაზღვრება ის, რომ თითოეული მომუშავე პირი არაფერს კარგავს, ის ჯერ შრომობს, ქმნის მის „საბოლოო ტიპის საპენსიო სისტემას“ და მოხუცებულობის სამუდამო პენსიაზე გასვლის შემდეგ ცხოვრების ბოლომდე მოიხმარს. აღსანიშნავია ისიც, რომ პენსიაში გასულ პირებზე პენსიის განაწილება ხდება დაახლოებით თანაბრად და პენსიის დანიშვნისას მცირე მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორი იყო ამა თუ იმ მოქალაქის შენატანი საპენსიო ფონდში. აღნიშნულს შესაძლებელია საფუძვლად დავუდოთ სამემკვიდრეო სოციალური უზრუნველყოფის საკითხებით დაინტერესებულ უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტის გამონათქვამი, რომ „ხალხი ხედავს კავშირს მიღებულ და მათ მიერ ადრე გადახდილ თანხებს შორის და არ აფა-

სებს სოციალურ გადასახადებს, როგორც სახელმწიფო მოწყალე-ბას“ (Стиглиц, 1997, 324).

კვლევის საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს პარ-ლამენტის მიერ შემუშავებული და 2005 წლიდან ამოქმედებული „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონით, სახელმწიფომ სოცია-ლური მემკვიდრეობითობის შენარჩუნებისათვის დღეისათვის მთლიანი მოსახლეობიდან 20,1 % -პენსიონერს შეუქმნა „თანაბარი კეთილდღეობა“ ყოველთვიური 80 ლარის ოდენობით. თუმცა სა-ხელისუფლებო პროგრამის განხორციელების შედეგად შექმნილ „თანაბარ“ კეთილდრეობას საზოგადოება პენსიების დიფერენცი-რებული პრინციპის უმოქმედობით „უთანაბრო“ კეთილდღეობას უწოდებს.

საქართველოში პენსიების დანიშვნის დიფერენცირებული პრინციპის უმოქმედობის მიზეზებად შესაძლებელია დასახელდეს: ბიუჯეტის სიმცირე; ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში მიმ-დინარე ინფლაციური პროცესები, რაც ართულებს იმის გაანალი-ზებას, თუ თითოეულმა პენსიონერმა რამდენი გამოიმუშავა (მანე-თებში, კუპონებში, ლარებში) და წლის განმავლობაში ბიუჯეტში ანარიცხების სახით რამდენი შეიტანა; ქვეყნის მოსახლეობაში 1990-2009 წლებში მკაფიოდ გამოკვეთილი დაბერების ტენდენცია (1990 წლისათვის 65 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, შეადგენდა 9,25%-ს, 1995 წელს—10,8%-ს, ხოლო 2009 წლისათვის 13,5%-ს მიაღწია).

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებე-ლია ითქვას, რომ თუ სახელმწიფო ქვეყნის მასშტაბით დაუშვებს პენსიების დიფერენცირებული პრინციპით ამოქმედებას სტაჟისა და ნამსახურების მიხედვით, მაშინ იგი დღეს მომლოდინე პენსიო-ნერთა უმრავლესობას ვერ შეუქმნის სამემკვიდრეო სოციალური უზრუნველყოფის კეთილდღეობას თვიური მინიმალური საპენსიო ოდენობით, რადგან აუცილებელია გავიგოთ ისიც, რომ სოციალუ-რი მემკვიდრეობითობის სამართლიანობის შესანარჩუნებლად სა-ხელმწიფო მიზნევს იმას, რომ მის მიერ შექმნილი კეთილდრეობის მომხმარებელი—„მომლოდინე“ არის არა მხოლოდ ის პირები, რომლებმაც საპენსიო ასაკამდე შექმნეს დიდი თუ მცირე საპენსიო

ფონდი, არამედ მომხმარებელი მომლოდინე არის ის პირებიც რომ-ლებსაც არ შეუქმნიათ საკუთარი საპენსიო ფონდი და არ მიუღიათ მონაწილეობა სოციალური მემკვიდრეობითობის პრინციპების დაცვაში.

საქართველოში მყარი საპენსიო სისტემის შექმნის სტრა-ტეგიას განაპირობებს არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო სისტემა, რომელშიც მოქმედებს დაგროვების პრინციპი, იმ წესილ, რომ სა-პენსიო ფონდის მონაწილე მთელი შრომითი საქმიანობის პერიოდ-ში აკეთებს შენატანებს საკუთარ საპენსიო ანგარიშზე. მისი პენსი-ის ოდენობა საპენსიო ასაკის მიღწევისას დაგროვილი თანხის ოდენობით განისაზღვრება.

ცნობილი ბრიტანელი ექსპერტის დევიდ კალუნდის შეფა-სებით სწორედ ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შესაძლებელია დასახელდეს ყაზახთი, სადაც 1998 წლიდან დღემდე სწორედ ამ გზით ქვეყნის საპენსიო ფონდში გარკვეული კაპიტალი დაგროვდა და სწორედ ამ თანხების ინვესტირებას ახდენენ ყაზახი ინვესტო-რები დღეს საქართველოში ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოსაც ამ გზაზე სვლით შესაძლებელია გაუჩნდეს მალე სოლიდური ფი-ნანსური კაპიტალი, რომელიც უნდა დაიხსარჯოს არა მხოლოდ ტუ-რიზმის ინფრასტრუქტურის, გზების, რეკინგზის და სხვა მნიშვნე-ლოვანი სფეროების განვითარებისათვის, არამედ ეს უნდა გახდეს ნინაპირობა იმისა, რომ სახელმწიფომ შესაძლოს მომავალ თაობას-თან ურთიერთობაში სამართლიანობის პრინციპების აღდგენა ლირსული პენსიების გაცემით, რაც 10-15 წლის შემდეგ პენსიაში გასულ პირთათვის მისაღებს გახდის ბანკის მიერ იმ დროის შესა-ბამისი თანამედროვე მაღალი დონისა და ხარისხის საბანკო მომსა-ხურების გამოყენებას.

ალსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს აშშ-ის მსგავსად აქვს სურვილი ერთდროულად აამოქმედოს სახელმწიფო და არასა-ხელმწიფო საპენსიო სისტემა, თუმცა კერძი საპენსიო სისტემა ხა-სიათდება გარკვეული ნაკლოვანებებით, კერძოდ, არასახელმწიფო საპენსიო სისტემა არ ატარებს სავალდებულო ხასიათს, რის გამოც ბევრი მოქალაქე საპენსიო ასაკს შესაძლებელია ყოველგვარი და-ნაზოგის გარეშე შესვდეს, რის გამოც მათი სიბერის უზრუნველყო-ფისათვის საჭირო გახდება სხვადასხვა მუნიციპალური პროგრა-

მების შემუშავება, რაც ბიუჯეტის დამატებით ტვირთად გადაიქცევა. არსებული სირთულეების დაძლევა მოითხოვს ეროვნული ეკონომიკის უფრო მაღალი დონით განვითარებას, დიდ ფინანსურ შემოსავლებს და მაღალ სამართლებრივ კულტურას.

სამომავლოდ საქართველოს ეფექტიანი საპენსიო სისტემის შექმნის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს როგორც უკვე ავლნიშნებთ წარმოადგენს დასაქმებულთა და პენსიონერთა თანაფარდობა. ჯერ კიდევ 2003 წელს ხელისუფლების წინაშე მკაფრად დაისვა საკითხი იმის შესახებ, მომავალში ვინ შეუქმნის პენსიონერებს "არაწინააღმდეგობრივად გამოყენებულ კეთილდღეობას". საკითხისადმი პრობლემატურ მიდგომას განაპირობებდა სტატისტიკოსების გაანგარიშებები, რომლის საფუძვლადაც დადგინდა 1992-2003 წლებში ქვეყნიდან მეტნილად შრომისუნარიანი ახალგაზრდების გასვლა, გარე მიგრაციის ზრდა, რაც ექსპერტების შეფასებით ნახევარ მილიონ ადამიანს აჭარბებს. ქვეყნიდან აღნიშნული კატეგორიის ადამიანთა გადინებამ მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის და რიცხოვნობის ფორმირებაზე. საქართველოს მოსახლეობა 1990 წელთან შედარებით 1995 წელს შემცირდა 6,7%-ით და შეადგინა 5061,7 ათასი კაცი, ახალშობილთა რაოდენობა შემცირდა 4-5 ჯერ, გარდაცვლილთა რაოდენობა—3,2%-ით, ხოლო ბუნებრივი მატება 42094 კაციდან შემცირდა 7268 კაცამდე ანუ 82,75%-ით. 2003 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ შეადგინა 4315,2 ათასი კაცი, დაბადა 46194 ბავშვი (10,7%), გარდაცვალა 46055 კაცი (10,6%), ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 139 კაცი (0,1%).

ამრიგად, ქვეყნის დემოგრაფიული განვითარება, მიგრაციული პროცესები და მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, რომებიც დღემდე გრძელდება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა და ახდენს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც შეეხება სოციალურ ფაქტორებს, იგი პირდაპირ მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემას უკავშირდება, მაგრამ ამ პრობლემის წინაშე დღეს მთლიანად ევროპაც დგას. ხოლო "საპენსიო სისტემა ქარიშხლის მოლოდინში" ნაშრომის ავტორები, ამერიკელი ეკონომისტები ლორენს კოტლიკოფი და სკოტ ბერნსი

ჯერ კიდევ 2003 წელს პროგნოზირებდნენ, რომ 2008 წლისათვის აშშ-ში პენსიონერების რიცხვი არსებითად გაიზრდებოდა, მაშინ როცა შესამჩნევად ნაკლები იქნებოდა იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ამ დროისთვის დაიწყებდნენ მუშაობას გადაიხდიდნენ სოციალური დაზღვევის გადასახადს და თავის წვლილს შეიტანდნენ პენსიონერების სამედიცინო დახმარებაში. 2030 წლისთვის აშშ-ში ყოველი პენსიონერის "შენახვა" ორ დასაქმებულს მოუწევს, როცა ადრე ერთი პენსიონერის სოციალურ მხარდაჭერაზე 16 მომუშავე მოდიოდა.

ნორმალური სიბერის უზრუნველსაყოფად, ერთ პენსიონერზე 3-4 დაქირავებული მუშაკი უნდა მოდიოდეს, რათა ახალგაზრდებმა საკუთარი შემოსავლებიდან გადახდილი გადასახადებით შეინახონ პენსიონერები, რაც ითვალისწინებს პენსიონერთათვის ღირსეული პენსიების გაცემას. დღეს საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონის შესაბამისად დაქირავებულ მუშაკთა რაოდენობა ერთ პენსიონერზე 4-5 ჯერ დაბალია, რაც ქვეყნის ფორმირებად საპენსიონ სისტემაში ჩრდილს ტოვებს.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის სამომავლო ეფექტიანი საპენსიონ სისტემის შექმნისათვის აუცილებელია რეფორმის ჩატარებისას შევისწავლოთ მისი განვითარების ტემპები, შედეგები, შესაძლო სოციალური დაბაბულობა და ყველა ის მოსალოდნელი პრობლემა, რომელიც მსგავსი მაშტაბური რეფორმის ჩატარებისას წარმოიქრა, რის გამოც აუცილებელია გავითვალისწინოთ და შევისწავლოთ განვითარებული და პოსტსოციალისტური ქვეყნების (აშშ, ჩილეს, სინგაპური, ესტონეთი, საფრანგეთი და ა.შ.) საპენსიონ სისტემა. არსებული პრობლემების დროული აღმოფხვრა აგვაცილებს მოსალოდნელი საგადასახადო წნევის ზრდას დასაქმებულებზე, ბიზნეს გარემოს განუვითარებლობას და ეროვნული ეკონომიკის რეცესიისაკენ სვლას.

Irma Chkhaidze

Promlems of pensions systems forming in Georgia Summary

In the given work there are presented the principles of Inheritance of Social and Economic justice accomplished by the state, necessity of its protection and the leven of „non-resistance,, welfare quality for „one who waits,, that is made by the state. There is determined the participation of each member of the society in the inculcation of above noted relationships.

There are analyzed the reasons of inactivity of pensions, differential principles, the relationships between minimum pension and pension minimum, the reasons of reduction of able-bodied power in the general number of population.

There are formed the ways of decision of the noted problems, derrections and resistances, which foresee the growth of service of the „one who waits,, rise of its quality,s leven and „defense the justice with the relationships of the future generation,,.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ჩხაიძე, სოციალური და ეკონომიკური მენეჯერებითობის პრობლემები საქართველოში, უურნ. ეკონომიკა, 8, თბ., 2006;
2. ი. ჩხაიძე, საქართველოს საპენსიონ სისტემის ფორმირების შუქ-ჩრდილები, უურნ. ეკონომიკა და ბიზნესი, 1, თბ., 2008;
3. ი.ჩხაიძე, საქართველოს გამჭვირვალე საპენსიონ სისტემის შექმნის პერსპექტივები, შრომათა კრებული, ბათ., 2008;

4. о. ჩხაიძე, სახალხო ბანკის მომსახურება: პენსიონერთათვის არაწინააღმდეგობრივი კეთილდღეობის მცდელობა და რეალობა!?, ჟურნ. რეგიონალური ეკონომიკა 1, ბათ., 2008;
5. о. ჩხაიძე, საზოგადოებრივი დამოკიდებულება საბიუჯეტო პროცესების მიმართ, ქუთ., 2008;
6. გ. ნიკოლეიშვილი, საპენსიო სისტემის რეფორმის საკითხები საქართველოში, გაზ. 24 საათი. 29.10.09;
7. И. Чхайдзе, Регулирующая роль государства в основании прочной пенсионной системы Грузии, Российская академия наук уральское отделение институт экономики, Труды "VI Всероссийской конференции молодых учёных по институциональной ЭКОНОМИКЕ" томю #2, Екатеринбург, 2008;
8. Дж. Ю. Стиглиц, Экономика государственного сектора, Мос., 1997;
10. Л.Н. Якобсон, Экономика общественного сектора, Мос., 1996;

ტურისტული ინდუსტრის განვითარებაში პრიორიტეტები

ცირა ცეცხლაძე

საქართველოსათვის, ასევე არაერთი განვითარებადი ქვეყნისათვის ტურიზმი ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს. ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასა და საერთო ეკონომიკურ, ტექნიკურ, სოციალურ მიღწევათა შორის პირდაპირი კავშირია.

ტურისტული ბიზნესის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ პრაქტიკაში განასხვავებენ ტურისტული საქმიანობის ქვეყნების ორი ჯგუფი: ქვეყნები, რომლებიც უფრო მეტ ტურიტს აგზავნიან, ვიდრე იღებენ (მიმწოდებელი ქვეყნები) და ქვეყნები, რომლებიც უფრო მეტ ტურისტს იღებენ, ვიდრე აგზავნიან (მიმღები ქვეყნები). მიმწოდებელ ქვეყნებს შეიძლება მივაკუთვნოთ აშშ, გერმანია, ინგლისი, ბელგია, დანია და სხვა. ხოლო მიმღები ქვეყნებია: საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, უნგრეთი, საქართველო და სხვა.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტები მიუთითებენ, რომ არსებობს გამოკვეთილი კავშირი ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობასა და ტურიზმის განვითარების ტენდენციებს შორის. ასევე ექსპერტთა პროგნოზით, მოგზაურობებისა და ექსკურსიების მუდმივად მზარდი მოცულობების ფაზაში შედის მსოფლიო ტურისტული ინდუსტრია, რომელიც გაზრდის კონკურენციას მიმღებ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის. ამასთან ერთად, იკვეთება მომსახურების ხარისხზე კარგად ინფორმირებულთა რაოდენობა, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ შემოთავაზებული ტურპროდუქტის ხარისხსა და უსაფრთხოებაზე. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ტურისტული ბაზრის შემდგომი განვითარება სულ უფრო მეტად დამოკიდებულია უახლეს საინფორმაციო ტექნოლოგიებზე.

საქართველოს თავისი ბუნებრივი, გეოგრაფიული, კლიმატური, რეკრეაციული შესაძლებლობებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გამო ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის დიდი პოტენციალი გააჩნია. მსოფლიოში არც ისე ბევრი ადგილია, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე განლაგებულია ამდენი განსხვავებული ლანდშაფტი - ნოტიო სუბტროპიკებიდან მუდმივ თოვლამდე და მყინვარებამდე, მაღალმთიან ადგილებში.

ქვეყნის საკურორტო რესურსები მრავალფეროვანია. მათ შორისაა სახის სამედიცინო პროფილის კურორტები: კარდიოლოგიური, ჰულმონლოგიური, გასტროენტეროლოგიური, ართონლოგიური, გინეკოლოგიური, ნეფროლოგიური, უროლოგიური, დერმატოლოგიური. 1000-1500 მეტრ სიმაღლეზე კი სამთო კლიმატური - აპასთუმანი, წალვერი, ცემი, ფაფა, მანგლისი, მაღალმთიანი ზონის კურორტები 1500 მეტრზე ზემოთ ბაკურიანი, გუდაური, შოვი, ბაზმარო, ლებარდე და სხვა, სადაც წარმატებით მკურნალობენ ფილტვის ტუბერკულიოზს, ბრონქიალურ ასთმას, სისხლნაკლებობას, გულსისხლაძრლვთა დაავადებებსა და ნევროზს.

საქართველოს ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ დატკბენ არა მარტო ულამაზესი ბუნებით და ლანდშაფტებით, არამედ 35 ათასი ისტორიული ძეგლით, რომელთაგან 5 ათასს სახელმწიფო იცავს. 1994 წლიდან 4 მათგანი იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა დაცვის სიაში შევიდა: 1. საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა, როგორც ქალაქი-მუზეუმი; 2. გელათის სამონასტრო კომპლექსი (XI საუკუნე); 3. ბაგრატის ტაძარის ქუთაისში (XI ს.) და 4. უშველის არქიტექტურული ანსამბლი. ტურისტულ პროგრამებში შესულია ანტიკური ხანის ნაქალაქარები არმაზი (მცხეთა), ციხე-გოჯი (ნოქალაქევი, სენაკი), ანტიკური კოლხეთის რელიგიური ცენტრი ვანი, ნასტაკისი და ძალისი, კლდეში ნაკეთი ანტიკური ქალაქი უფლისციხე და სხვა. მათ რიგშია ადრე ფეოდალური (IV-VII ს.) ხანის უნიკალური ძეგლები ძველი გავაზი (IVს.), ბოლნისის სიონი (V ს.), მცხეთის ჯვარი (VI-VIIIსს.).

ტურიზმი საქართველოში ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებადაა აღიარებული. დარგის პრიორიტეტულობის საფუძველი დიდი ექსპორტტევადობაა. საქართველოს ბაზარი მოცულობით მცირეა და შესაბამისად წარმო-

ების მაღალი ტემპებით განვითარებისათვის შიდა ბაზარი ნაკლებადტევადია. გარე ბაზარი კი საქართველოს სამრეწველო პროდუქციისათვის, რბილად რომ ვთქვათ, ჯერჯერობით ძნელად ასათვისებელია. ამიტომ შიდა ბაზნის გაფართოება და ექსპერტი ერთ-ერთი პირველი რიგის მაკროეკონომიკური პრობლემაა. ტურიზმი, სხვა დარგებთან შედარებით, ამ პრობლემის გადაჭრის მაღალი დონით გამოირჩევა, რადგანაც ექსპორტიცა და იმპორტიც უშუალოდ შიდა ბაზრის გაფართოებაზეა ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმისა და კურორტების რეალური ადგილისა და როლის განსაზღვრა.

ქართული ტურიზმის კონკურენტუნარიანობისათვის და მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ადგილის დასაკავებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის რეკლამირება და დანარჩენი მსოფლიოსათვის გაცნობა. ტურიზმი ქვეყნის იმიჯია და მისი განვითარება შეუძლებელია ფაქტორების მთელი სისტემის გათვალისწინების გარეშე. ტურიზმი ვერ განვითარდება თუ ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური არაა. ტურიზმის განვითარება შეუძლებელია ქვეყნის მთლიანი სოციალური და ეკონომიკური წინსვლის გარეშე, მისი ინფრასტრუქტურის განვითარების გარეშე.

საქართველო საბჭოთა პერიოდში ტურიზმის ლიდერ ქვეყნად ითვლებოდა რუსეთისა და უკრაინის შემდეგ. ჩვენს ტერიტორიაზე გადიოდა 35 საერთაშორისო და 90-მდე შიდა ტურისტული მარშრუტი. 1990-იან წლებში უკიდურესად შემცირდა ჩამომსვლელ ტურისტთა რიცხოვნობა.

ბოლო წლებში ტურისტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად საგრძნობლად იმატა საქართველოში ტურისტთა მომწოდებელი ქვეყნების გეოგრაფიამ. 2006-2007-2008 წლებში საქართველოს ესტუმრნენ ტურისტები მსოფლიოს 139 ქვეყნიდან. შემოსულთა შორის ყველაზე დიდი ხვედრივი წონა (93%) უკავიათ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის (51 ქვეყანა) ტურისტებს. ევროპული ტურისტების საერთო რიცხოვნობაში კი თითქმის 64% დსტ-ს ქვეყნის ტურისტები არიან. ამ უკანასკნელთა შორის დიდი ხვედრითი წინით წარმოდგენილნი არიან სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა

და უკრაინის ტურისტები. ისინი შესაბამისად, 32,6, 29,2, 28, 14,9 პროცენტით არიან წარმოდგენილნი.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საქართველოსათვის ტურისტების მომწოდებელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები - თურქეთი, ისრაელი და კვიპროსი. ევროპელ ტურისტთა საერთო რიცხვოვნობაში მათი ხვედრითი წონა ყოველწლიურად სტაბილურად იზრდება და 2008–2009 წლის ევროპელ ტურისტებში შეადგინა 28,3%. განსაკუთრებით დიდი მოზღვავებაა თურქეთიდან. როგორც ჩანს, საქართველოსთან სიახლოვე, მეზობლობა, იაფი მგზავრობა, საქმიანი ურთიერთობები და კომერცია განაპირობებს ამ სიტუაციას.

ევროპული ქვეყნების გარდა საქართველოთი დაინტერეს-დნენ ამერიკელები, აფრიკელები, აღმოსავლეთ აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნები, ჩვენს ქვეყანას ნელ-ნელა ეცნობიან აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ტურისტებიც ჩინეთიდან, იაპონიიდან, კორეს სახალხო რესპუბლიკებიდან, ინდონეზიიდან, ფილიპინებიდან, ავ-სტრალიიდან და სხვა ქვეყნიდან.

ყველაფერი ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ შეინიშნება საქართველოს ტურისტული პოტენციალით უცხოეთის მოწინავე ფირმების დაინტერესების ტენდენცია.

საქართველო უკვე მოექცა საერთაშორისო ტურიზმის მზარდი ინტერესების სფეროში და ტურისტების ნაკადმა ჩვენში დაიწყო გადმონაცვლება. აღნიშნული სიტუაცია იმითაცაა განიპირობებული, რომ საქართველო 1993 წლიდან განევრიანდა მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში და 1995 წლიდან ჩვენი ქვეყანა ტურიზმში უკვე აღირიცხება სხვა ქვეყნის მონაცემებს შორის (შემოსული ტურისტების რაოდენობა და გეოგრაფია).

გვერდს ვერ აუვლით იმ გარემოებას, რომ ჯერჯერობით ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობას აჭარდებს ქვეყნიდან გასულების რიცხვი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმიდან პოტენციალის გამოყენების სალდო უარყოფითია. იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ტურისტული პოტენციალი და დავიბრუნოთ ბაზარი, გადასაჭრელია უამრავი პრობლემა. ერთ-ერთი მათგანი და შესაძლოა უმთავრესიც ისაა, რომ საქართველოს ჯერჯერობით არ შე-

უძლია გარე სამყაროს შესთავაზოს მაღალი დონის ტურისტული პროდუქტები, მომსახურეობა.

გამყვან ტურიზმში დაკავებულ მენარმეთა აზრით, დარგის განვითარებას აფერხებს მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარიანობა, ზოგიერთ საელჩოში ვიზების მიღების გართულების პროცედურა და ავიამგზავრობის მაღალი ღირებულება. მოსაგვა-რებელია აგრეთვე ტურისტული ფირმების ლიცენზირების საკითხიც.

საქართველოს ტურისტული ფირმების ლიცენზირების კანონს მხარი არ დაუჭირა მსოფლიო ბანკმა. მათი აზრით, ლიცენზი-ების გაცემა ქვეყანაში კორუფციის დამატებითი წყაროს მომტანი გახდება. იქმნება ჩაკეტილი წრე: თუ კერძო ტურკომპანია არალი-ცენზირებულია და მუშაობს ტურისტების გაყვანაზე, საკონსულო-ები მასთან არ თანამშრომლობენ. მსგავსი პრობლემაა ტურისტე-ბის შემოყვანასთან დაკავშირებითაც. ქვეყანაში შემოსულ ტუ-რისტს უნდა დახვდეს ლიცენზირებული სასტუმრო, ტრანსპორტი და ის ობიექტები, რომლებსაც ათვალიერებს.

გასულ წელს, ტურიზმის ინვესტირების მიზნით მკვეთრად შეიცვალა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, რომე-ლიც ტურიზმებს საშუალებას მისცემს მოიზიდონ ინვესტიციები როგორც ქვეყნის გარედან, ისე ქვეყნის შიგნით, ეს კი მკვეთრად გააუმჯობესებს ტურისტულ ინფრასტრუქტურას, რაც თავის მხრივ გააძლიერებს ტურისტული ნაკადების ზრდას ქვეყანაში.

მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში განვითარიანებით სა-ქართველომ ვალდებულება იკისრა ქვეყნის ტურიზმის სტატისტი-კური აღრიცხვა ანარმონოს საერთაშორისო ტურიზმში მიღებული ნორმების საფუძველზე, რათა მოხდეს საქართველოს ტურიზმის ინტეგრირება საერთაშორისო მასშტაბებში.

ქვეყნის შიგნით სტატისტიკური მონაცემების შეგროვები-სას გამოიყენება იგივე მაჩვენებლები და ქვეყნები განიცდიან იგი-ვე სიძნელეებს, რაც საერთაშორისო ტურიზმიდან ინფორმაციის შეგროვებისას ხდება. მაგ. მიუხედავად სასტუმრო ნომრების მაღა-ლი ფასებისა, სახელმწიფო ბიუჯეტი ამ ბიზნესიდან, გადასახადის სახით, საკმაოდ მცირე თანხას ღებულობს. საქართველოს სტატის-ტიკური დეპარტამენტის გაანგარიშებით, თუ მთლიანად ეკონომი-

კაში ჩრდილოვან ბიზნესს მხოლოდ 40% უჭირავს, სასტუმროებისა და რესტორნების საქმიანობაში ფარული წარმოების წილი 60%-ს აღნევს.

ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების უპირველესი წინაპირობაა დარგში სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის მოწესრიგება. ინფორმაციის მიღებას ძირითადად აწარმოებს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საბაჟო სამსახური, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი და საგარეო საქმეთა სამინისტრო. ამ სამსახურებიდან მიღებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა სხვა მაჩვენებლებთან ერთად გაანგარიშდეს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, რომლის დათვლაც ქვეყანაში 1998 წლიდან დაიწყო, მაგრამ საჭიროა მთელი რიგი მომენტების სამომავლოდ გათვალისწინება, რათა ზუსტად მოხდეს როგორც მთლიანი შემოსავლების, ასევე ბიუჯეტში შესული თანხების გაანგარიშება.

ტურიზმის სექტორისათვის დამახასიათებელი სტატისტიკური აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით საჭიროდ მიგვაჩინა: - ქვეყანაში ჩამოყალიბდეს მოქნილი სტატისტიკური აღრიცხვის მექანიზმი ვიზიტორებისა და ტურისტების ჩამოსვლის მიზნისა და ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობის მიხედვით;

- სამოგზაურო ხარჯების აღრიცხვა როგორც საერთაშორისო სტუმრებისათვის, ასევე ადგილობრივებისთვისაც;

- ჩატარდეს კვლევები ქვეყნის სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში ცალკეული სეზონების მიხედვით. კითხვარები უნდა შედგეს სხვადასხვა ენაზე;

- გამოირიცხოს ტრანზიტული მგზავრების მიერ საზღვრის გადაკვეთისას მათი დუბლირებული აღრიცხვა (2-ჯერ და მეტადა);

- უნდა მოხდეს მონაცემების შეგროვება ადგილობრივი კურორტების საქმიანობის შესახებ დიფერენცირებულად, რომელი კურორტია სამკურნალო და რომელი დასასვენებელი;

-აღირიცხოს ერთი უცხოელი ტურისტის მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე განეული ირიბი ხარჯები ქვეყნის შიგნით გადაადგილებაზე, კვებაზე, სუვენირების შეძენაზე, დამატებით საექსკურსიო მომსახურებაზე და სხვა ("ფარული ექსპორტი");

- სპეციალური კითხვარების დახმარებით შესწავლილი იქნა ქვეყნიდან გასული შიდა ტურისტების მიერ განეული ხარჯები

საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე (სამოგზაუროს მოსამზადებელი ხარჯები, სამედიცინო დაზღვევა და სხვა.);

- მოხდეს ქვეყნის შიგნით შიდა ტურიზმისა და საექსკურ-სიო მომსახურების გააქტიურება და შიდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების დათვლა.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება საშუალებას მოგვცემს ზუსტად იქნეს გაანგარიშებული ამ სფეროს ეკონომიკუ-რი ეფექტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში.

გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებებისა, აუცილებლად უნდა შემუშავდეს საქართველოში ტურიზმის განვითარების გენე-რალური გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს ცალკეუ განსახორ-ციელებელ ღონისძიებებს, მისთვის საჭირო დაფინანსებას და და-ფინანსების წყაროებს. გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს სა-ქართველოს ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე ქვეყნისათვის მომგებიანი ტურიზმის სახეები; სტუმართა უსაფრთხოების დაცვა, პროფესიონალი და კომპეტენტური კადრების მომზადება და გა-დამზადება მსოფლიო თანამეგობრობის სახელმწიფოებში დაგრო-ვილი პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილების გათვალისწინე-ბით; ინფრასტრუქტურის მაღალ დონეზე განვითარება და სას-ტუმრო და სატრანსპორტო მატერიალურ სათავეადასავლო ტუ-რიზმთან ერთად ეკოტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარე-ბის ხელშეწყობა და რაც მთავარია მოგზაურთა, ან ტურისტთა უსაფრთხოების დაცვა. ჩვენის აზრით სწორედ აღნიშნულ ღონის-ძიებების რეალიზაცია განაპირობებს საქართველოს მსოფლიო ტურიზმის ინტეგრაციულ პროცესებში ღირსეული ადგილის დამ-კვიდრებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ბირჟაკოვი, ტურიზმის თეორია, თბ., 2005;
2. ე. ბახტაძე, მსოფლიოს ტურისტული პაზრის განვი-თარების ტენდენციები, უურნ. „ეკონომიკა“, 9 2005;
3. ტურიზმის განვითარება საქართველოში:: თბ., 1998.წ 99, 214, საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის გა-

მოცემა; საქართველოს სტატისტიკური ნელინადეული”,
2006,2007,2008,2009წწ.

Цира Цецхладзе

Приоритеты развития туристической индустрии

Резюме

В статье рассмотрены тенденции развития туристической индустрии на сегодняшний день. Сформулированы те основные проблемы и мероприятия, которые положительно или отрицательно влияют на данную отрасль.

В работе основательно сформулированы понятия о приоритетности данной сферы для развития национальной экономики государства. Намечены мероприятия, которые должны конкретно способствовать развитию туристической индустрии и, вообще, как социальному, так и экономическому и культурному развитию страны

Tsira Tssetsxladze

Priorities of Developing Tourist Industrial

Resiume

In this mention it is discuss nowadays tendencies of developing tourist industria, its main problems and supporting changes, which effects both nagative and affirmative.

The main views in the mention are priorities in tourism for countrus changes, which supports to develop tourist business and to develop the ekonomic of the countru.

საავტომობილო ტრანსპორტის მეცნიერების აკრძალებები და გათი გადაზრის გზები საქართველოში

დავით ქათამაძე

საქართველო კავკასიის რეგიონში წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სატრანზიტო სახელმწიფოს, რომელსაც შეხება აქვს ტრანსპორტის ყველა სახეობასთან. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა განიცდის ღრმა ეკონომიკურ კრიზისს, მისი აღმავლობისათვის აუცილებელი ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით საჭიროა შემუშავდეს ყველა ძირითადი სახეობის სატრანსპორტო საშუალების კომპლექსური განვითარების (აღრიცხვის, განაწილებისა და სწორი საექსპლოატაციო კლიმატის შექმნის) ერთიანი მექანიზმი. საერთაშორისო მნიშვნელობის ავტობანის, „ახალქალაქი-ყარსის“ სარკინიგზო მაგისტრალისა და მილსადენების მშენებლობა ფინანსდება საერთაშორისო დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მიერ, რომელთაც ეს სატრანსპორტო საშუალებები გადაეცემათ ექსპლუზიული ექსპლუატაციის პირობებში გრძელვადიანი სარგებლობის უფლებით. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესაბამისად 4-ჯერ და 3-ჯერ გაიზარდა საშუალონლური სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვები. ამავე პერიოდში 10-ჯერ და 2,5-ჯერ შემცირდა საზღვაო და საავიაციო გადაზიდვები.

როგორც აქ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, სატრანსპორტო მეურნეობის ცალკეულ სახეებს შორის ჩვენს ქვეყანაში განვითარების ყველაზე დიდი პერსპექტივა აქვს საავტომობილო ტრანსპორტს. საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტის მეშვეობით ყოველწლიურად ხდება 24,5 მლნ ტონა ტვირთისა და 257 მლნ მგზავრის გადაყვანა. ჩვენს ქვეყანაში გადაზიდული ტვირთების 60% სწორედ საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის. წლების განმავლობაში მიტოვებული და მოუვლელი ავტომაგისტრალების უმრავლესობა მოიშალა და განადგურდა. მას შემდეგ, რაც საქართვე-

ლომ შეიძინა ევროპისა და აზიის რეგიონთა დამაკავშირებელი კორიდორის სტატუსი, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების წინაშე პრიორიტეტული გახდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველოში საავტომობილო გადაზიდვები ხორციელდება თურქეთიდან, ბულგარეთიდან, საბერძნეთიდან, რუმინეთიდან, გერმანიდან და სხვა, ახლომდებარე თუ შორეული სახელმწიფოებიდან. ამ გადაზიდვებით სამწუხაროდ ჯერ კიდევ მხოლოდ უცხოური სატრანსპორტო კომპანიებია დაკავებული. საჭიროა საქართველოს კონტინენტური სატრანსპორტო მომსახურება განხორციელდეს საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით (საზღვაო გემებით, საავიაციო ხომალდებით, საავტომობილო პარკებით და ა. შ.). ქართულ სატრანსპორტო კომპანიებს კი შესაბამისი ტექნიკური ბაზა არ გააჩინიათ, რის გამოც ისინი კონკურენციას ვერ უწევენ საერთაშორისო გადამზიდავ სატრანსპორტო საშუალებებს. ამიტომ ისინი ძირითადად ასრულებენ შიდა სატრანსპორტო გადაზიდვებს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ტვირთნაკადების გატარების პირობად საქართველომ უცხოელ მოვაჭრე მხარეებს წაუყენოს ქართული სატრანსპორტო ორგანიზაციების გამოყენების მოთხოვნა, რათა ჩამოყალიბდეს ჩვენი ქვეყნის მძლავრი, მობილური სატრანსპორტო პარკი, განვითარდეს სამამულო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, გაუმჯობესდეს საავტომობილო ტრანსპორტის მენეჯმენტი. ამის ხელშემშლელი ფაქტორია გაუარესებული საფინანსო-საკრედიტო გარემო, გართულებული სატრანსპორტო გადასახადები და საბაჟო პროცედურები. სატრანსპორტო კომპანიების შემოსავლების ნახევარზე მეტი მოდის სამი სახის გადასახადზე, ესენია: დამატებითი ლირებულების გადასახადი, საშემოსავლო და მოგების გადასახადი. ამას ემატება სხვა თანმდევი დანახარჯები (სატრანსპორტო საშუალებების ამორტიზაციის, საწვავის და სხვა).

ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია სატრანსპორტო კომპანიების წინაშე წამოჭრილი ფინანსური სიძნელეები, რაც აქვეითებს სამამულო სატრანსპორტო კომპანიების კონკურენტუნარიანობას. გარდა ამისა, დავის წარმოქმნის შემთხვევაში საგადასახადო კოდექსის დებულებები არათანაბარ პირობებში აყენებს სა-

ტრანსპორტო კომპანიებსა და საგადასახადო ორგანოებს. ამ მხრივ საჭიროა შეიცვალოს კოდექსის ცალკეული მუხლი, რადგანაც გადასახადების საერთო მოცულობა აღემატება სატრანსპორტო შემოსავლების ნახევარზე მეტს. ასეთი საგადასახადო სისტემა ფაქტიურად გადაიქცა სატრანსპორტო კომპლექსის განვითარების არა მასტიმულირებელ, არამედ შემაფრეხებელ ფაქტორად.

კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში. ქვეყანაში 20 ათასი კილომეტრის სიგრძის საავტომობილო გზაა. აქედან 600 კმ არის ცენტრალური მაგისტრალი და ისიც დაბალი პარამეტრებით ხასიათდება, რომელიც ვერ აქმაყოფილებს ტრანზიტის დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს. მაგისტრალებისა და ავტობანის მშენებლობის დღევანდელი ტემპი კი არ შეესაბამება მათ მიმართ წაყენებულ მზარდ მოთხოვნებს. გაზრდილმა მოთხოვნებმა დღის წესრიგში დააყენა არსებული საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის და ახალი, უსაფრთხო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა. შეკეთდა დიდი დატვირთვის საავტომობილო გზები.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთერთ რეალურ გზად მიგვაჩნია სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ინტენსიურობისა და მენეჯმენტის ხარისხის ამაღლება. ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრა გააუმჯობესებს ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო სისტემას, აამაღლებს სამამულო სატრანსპორტო-საექსპედიციო კომპანიების კონკურენტუნარიანობას, რაც თავის მხრივ, გაზრდის ამ სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობას. ეკონომიკის ამ სექტორის განვითარებისათვის საჭიროა საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, სატრანსპორტო გადასახადების სახეებისა და საგადასახადო განაკვეთების შემცირება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, ინფაციების შექმნა, საბანკო-საკრედიტო სისტემის სრულყოფა, მორალურად და ფიზიკურად მოძველებული სატრანსპორტო პარკის განახლება, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და მათი სწორი მენეჯმენტი.

სატრანსპორტო კომპანიების ეფექტივიანობის ამაღლებისა და ფინანსური წარმატების მიღწევაში დიდ როლს ასრულებენ ინიციატივიანი და ენერგიული მენეჯერები, რომელებმაც უნდა უზ-

რუნველყონ მათი საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, გაუკეთონ ანალიზი ფირმის საქმიანობას, გამოთვალონ ფინანსური მაჩვენებლები, განახორციელონ ფულადი სახსრების მოძრაობის კონტროლი, შეადგინონ საწარმო-ოს ფინანსური სახსრების შემოსავალ-გასავლების ბიუჯეტი, დასახონ კომპანიის სამომავლო განვითარების პროგნოზები და ა. შ. ჩვენს საავტომობილო-სატრანსპორტო კომპანიებში კი მსგავსი პროცესების მართვა ახლა იწყება. ამიტომ საჭიროა ამ საწარმოებში მენეჯმენტის სწორი გატარება და მისი სრულყოფა. საავტომობილო კომპანიების მართვის სრულყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ინოვაციების განვითარება. ინოვაცია სატრანსპორტო კომპანიის მართვის მეთოდების სრულყოფის საფუძველია. მისი მოხმარებით ნოვატორული ფასეულობა არ იხარჯება.

ერთი და იგივე ინოვაცია შეიძლება მრავალჯერ გამოიყენოს მრავალმა შემკვეთმა. იგი მჭიდრო კავშირშია სატრანსპორტო საწარმოების განვითარებასთან და საფუძვლად უდევს კომპანიების მართვას. იგი მოიცავს საავტომობილო ტრანსპორტში მეცნიერებისა და პრაქტიკის კომპლექსური ფუნქციონირების უზრუნველყოფა ღონისძიებებს. მისი მიზანია უზრუნველყოს სიახლეთა პრიორიტეტი, ხელი შეუწყოს სატრანსპორტო ფირმების საინვესტიციო აქტივობის გაუმჯობესებას, შეამციროს განსხვავება რეგიონებს შორის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეში. შედეგად გაიზრდება კონკურენტუნარიანობა გადამზიდავებს შორის და გაუმჯობესდება სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი. საავტომობილო ტრანსპორტის ინოვაციური განვითარება საჭიროებს კადრების მომზადების ახალ კონცეფციას. კომპანიის ხელმძღვანელებმა უნდა მოახდინონ „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“, ჩამოაყალიბონ ახალი საწარმოო კულტურა, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანზე და ითვალისწინებს ფირმის საქმიანობაში პერსონალის მაქსიმალურად მართვას, პერსონალის ინიციატივის წახალისებას. საავტომობილო ტრანსპორტში ყველა სახის ტექნიკურ-ორგანიზაციული გარდაქმნა უნდა განხორციელდეს პროფესიონალებთან შეთანხმებით, განსაკუთრებით ჭარბი სამუშაო ძალის გამოთავისუფლების შემთხვევაში. ასეთი მწვავე სოციალური პრობლემა უნდა გადაწყდეს კადრების შიდასაფირმო გა-

დაადგილებით, დამატებითი დივერსიფირებული წარმოების შექმნით და ა. შ. საავტომობილო ტრანსპორტის მენეჯმენტის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია მძლოლთა შრომის ანაზღაურების სწორი ორგანიზაცია. სიახლეთა დანერგვამ უნდა გამოიწვიოს მძლოლთა მატერიალური დაინტერესება და აამაღლოს მომსახურების ხარისხი, რაზეც დადებითი როლი უნდა მოახდინოს ხელფასის ორგანიზაციის სრულყოფამ. საავტომობილო გადაზიდვებში მძლოლებს ხელფასი უნდა მიეცეთ არა დროითი, არამედ სანარდო ფორმით, ანუ ანაზღაურება უნდა მოხდეს მგზავრთა გადაყვანის რაოდენობის ან ტვირთების გადაზიდვის მოცულობის მიხედვით. ამისათვის საჭიროა მოხდეს შრომის ნორმირების გაუმჯობესება და ტექნიკურად დასაბუთებული შრომის ნორმების შემუშავება.

მიუხედავად იმისა, რომ 1980-იან წლებთან შედარებით საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა 10-ჯერ შემცირდა და ქვეყნის ეკონომიკა კრიზისშია, საავტომობილო ტრანსპორტი მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, რადგანაც სატრანსპორტო გადაზიდვები მშპ-სთან შედარებით უფრო ნაკლებად შემცირდა. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, საქართველოს ერთიან სატრანსპორტი ქსელში რომ ფუნქციონირებდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საავტომობილო მაგისტრალებიც. იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო კორიდორი კარგად ვითარდება, მკეთრად მცირდება სამხრეთ-ჩრდილოეთის მარშრუტების დატვირთვა. იმ სარკინიგზო და საავტომობილო გზების გადაკეტვამ, რომლებიც საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გავლით რუსეთის ფედერაციასთან აკავშირებდა, უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და მთლიანად ეკონომიკას განვითარებაზე. ამ მიმართულებით ტვირთების გადაზიდვამ ჯერ იკლო, შემდეგ კი — საერთოდ შეწყდა. საავტომობილო-სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ტრანზიტის უსაფრთხოების დაბალი დინე. ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი არასტაბილური პოლიტიკური ვითარება აფერხებს სატრანსპორტო პოტენციალის სრულიად გამოვლენასა და გამოყენებას, ზრდის სატრანსპორტო მომსახურების ფასს საქართველოში. ეს და

სხვა, მრავალი ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს ჩვენი ქვეყნის იმიჯზე და გვევლინება საქართველოს გავლით ტვირთნაკადების გატარების შემცირების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად.

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი საკმაოდ მაღალია, მაგრამ მათი სათანადო გამოყენება ვერ ხერხდება იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანას არა აქვს საკმარისი რაოდენობისა და ტვირთამწეობის სატრანსპორტო საშუალებები. ქართულ სატრანსპორტო ფირმებს საავტომობილო პარკიც კი არ გააჩნიათ და ვერ უწევენ კონკურენციას სხვა ფირმებს. ტრანსპორტის განვითარება და მისი წილის ზრდა მშპ-ში მომავალშიც არის მოსალოდნელი, თუ გაძლიერდება ქართული სატრანსპორტო საშუალებების პარკი. საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება უნდა მოხდეს სხვა სახის ტრანსპორტის განვითარებასთან ერთად, მათთან მჭიდრო ურთიერთკავშირში და კოორდინაციაში.

როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების სფეროში საკმაოდ ბევრი პრობლემა დაგროვილი, რომელთა რიცხვს განეკუთვნება: საგადასახადო სისტემის არასრულყოფილება, საბაზრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, საბანკო სესხებზე დაწესებული სარგებლის მაღალი განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებათა მორალური და ფიზიკური ცვეთის მაღალი დონე, ინოვაციების დაწერგვის, კადრების კვალიფიკაციისა და მენეჯმენტის დაბალი დონე. ამიტომ, საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის მენეჯმენტის სფეროში არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. უნდა შეიქმნას ტვირთმზიდების დამოუკიდებელი, ეროვნული საავტომობილო პარკი, რომელიც პროდუქციის ტრანზიტის სფეროში საგზაო მომსახურებას გაუწევს ევროპისა და აზიის ქვეყნების ტრანსაციონალურ კომპანიებს;

2. საავტომობილო პარკის შექმნის მიზნით ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში მოზიდული უნდა იქნეს დიდი მოცულობის უცხოური ინვესტიცია, რისთვისაც საჭიროა ქვეყანაში შეიქმნას ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი, მიღწეული იქნეს პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა;

3. ავტობანის მშენებლობის პარალელურად საჭიროა გაუმჯობესდეს მისასვლელი გზები ისტორიულ-კულტურულ და ტურისტულ ობიექტებთან, ბარნეოლოგიურ და სამკურნალო დაწესებულებებთან, რათა საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებამ ხელი შეუწყოს ტურიზმის აღმავლობასაც;

4. საავტომობილო ტრანსპორტის მენეჯმენტის მდგრადობის ამაღლების, გარე ფაქტორებზე მისი დამოკიდებულების შემცირების მიზნით საჭიროა კაპიტალდაბანდების საერთო მოცულობაში გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის წილი;

5. ჩვენი ქვეყნის საავტომობილო ტრანსპორტის მენეჯმენტის დონის ამაღლების მიზნით საჭიროა საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტი განვითარდეს საზღვაო, სარკინიგზო და საავიაციო ტრანსპორტის სახეობებთან მჭიდრო კავშირში, ჩამოყალიბდეს ერთიანი სატრანსპორტო კვანძები, რადგანაც სატრანსპორტო გადაზიდვებმა მიიღოს ურთიერთკოორდინირებული სახე;

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეტეხელი გ. საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების გზები. სამეცნიერო შრომების კრებული II. გამომ. „ლამპარი”, თბ.2009 წ. გვ—159;

2. ტყეშელაშვილი გ. ტრანსპორტის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში. ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე გამომც. „პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი”, თბილისი 2009 წ. გვ-297;

3. ქამხაძე თ. სატრანსპორტო ფირმების მენეჯმენტის სრულყოფის შესაძლებლობები საქართველოში. ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე გამომც. „პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი”, თბ. 2009 წ. გვ-213;

4. www. statistikcs.ge. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები. ტრანსპორტი და კავშირ-გაბმულობა. 2010 წ.

Давид Катамадзе

**Проблемы управления автомобильного транспорта и способы
их устранения в Грузии**

Резюме

Транспортная инфраструктура Грузии имеет большой потенциал развития. Несмотря на это, она не отвечает растущему спросу. Для максимального выявления бизнес-потенциала, существующего в этой отрасле экономики, нужно провести следующие меры: 1. Для привлечения иностранных инвестиций в этой сфере должно создаться препятствующий инвестиционный климат; 2. Должно создаться независимый транспортный парк грузовиков Грузии; 3. Должны совершенствоваться дороги, соединяющие историческо-культурные и туристические объекты, чтобы развитие автомобильного транспорта способствовал развитию туризма.

David Katamadze

The problems avto transports management and the ways of its solving in Georgia

Summary

Georgia represents one of the central transit republics in Caucasus which geographically touches every kind of transports. The sea, air autotransports development represents the main activity in transport infrastructure. In spite of the fact that the country is in deep economic crisis, it is necessary first of all the realization of the main country transports problems decision for economic advance. The main thing is the registration or transport means, sharing and correct exploitation. Lately Georgia has been built main conduct of international significance for railways and auto transport. E.g. "Bagh-Jahan" and "Bachu-Erzerum" conducts, "akhalkalakhi-kharsi" railway lines. The railway lines are fully financed by Azerbaijan, to whom if given the above mentioned railway lines for 25 years in exclusive exploitation. In the last ten years the spatial place takes railway (47.2%) and auto transportation (30.9%). In Georgia, as to sea and air transportation should be noted the reduction of transportation. The development of Georgian transport infrastructure has a big potential. But in spite of this, it does not satisfy the increasing demands confronting to the transport complex. In order to set existing potential in motion, it is important to lead the following measures: 1. The favourable investment climate should be created, in order to attract investments existing in this sphere. 2. An independent transport park should be created for Georgian cargo-carriers. 3. It is important to renew the composition of sea ships, and using them we should increase total volume of sea cargo transportation.

მცირე პიზნესის დაფინანსების პროცესი

ლეილა ცეცხლაძე

ახალი საწარმოს დაფინანსება წარმოადგენს მრავალი პოტენციალური ბიზნესმენისათვის სირთულეთა სათავეს. ახალდამწყებ მენარმეს თავისუფლად შეუძლია დააპროექტოს რაიმე წარმოება, რომლის მიერ წარმოებული პროდუქციაც მოთხოვნადი იქნება ბაზარზე, მაგრამ ფულის გარეშე საწარმოს მიზნების განხორციელება რეალობად ვერ იქცევა. მენარმის ფულად სახსრებზე მოთხოვნა ასახულ უნდა იქნეს ბიზნეს-გეგმაში, რომლის შედგენა-საც დამწყებ მენარმეთა უმრავლესობა არ თვლის საჭიროდ, კონკრეტული ბიზნეს-გეგმა კი ეხმარება მენარმეს ფინანსურ მოთხოვნილებათა განსაზღვრაში.

ბიზნეს-გეგმის ძირითად კვანძს წარმოადგენს ხარჯთაღრიცხვა. მას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ძალიან ხშირად კრედიტორები და ინვესტორები დაფინანსების მოთხოვნასთან ერთად მენარმეებისაგან მოითხოვენ ხარჯთაღრიცხვის წარდგენასაც. ის ეხმარება მათ ფინანსირებასთან დაკავშირებით რაციონალური გადაწყვეტილების მიღებაში.

გამოკვლევების თანახმად საკუთარი სახსრები წარმოადგენს კაპიტალის ძირითად წყაროს როგორც დამწყები მენარმეთათვის, ისე იმ მენარმეებისთვისაც, რომლებიც ყიდულობენ უკვე არსებულ წარმოებას. მაგრამ მუშაობის პროცესში მაინც უწევთ ფინანსური სახსრების გარე წყაროების მოძიება. აქ კი მენარმეები დგებიან დაფინანსების წყაროების არჩევანის წინაშე, რომლებიც მრავლადაა და შეიძლება იყოს როგორც კერძო ისე სახელმწიფო.

მცირე მენარმისათვის, როგორც წესი, უფრო უსაფრთხოა ახალი წარმოების ფინანსირება ინვესტორთა სახსრებით და არა კრედიტებით. ტიპიური საფინანსო კომპანია ყოველწლიურად ღებულობს 1000-მდე მოთხოვნას დაფინანსებაზე, რომელთაგან რამდენიმეთვიანი ანალიზის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე მოთხოვნა კმაყოფილდება. (Ник к. Сироп)

სხვადასხვა ტიპის ფინანსურ კომპანიათა შორის აღსანიშნავია:

- ტრადიციული ამხანაგობები, რომლებიც აერთიანებენ მდიდარი ოჯახების სახსრებს მცირე საწარმოებში დაბანდებისათვის;

- ფონდები, რომელთა განკარგულებაშია სხვადასხვა ორგანიზაციათა სახსრები;

- საინვესტიციო საბანკო კომპანიები, რომლებიც პერიოდულად აყალიბებენ ინვესტორთა გაერთიანებებს მიმზიდველი ვენჩურული წინადადებისათვის;

- სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც, ჩვეულებრივ უფრო კონსერვატულები არიან და მცირე საწარმოებისაგან მოითხოვენ აქციონერული კაპიტალის განსაზღვრულ წილს, როგორც ინფლაციისაგან დაცვის საშუალებას.

საფინანსო კომპანიები ცხადია არ აფინანსებენ მცირე საოჯახო საწარმოებს. მათ ინტერესს წარმოადგენს მზარდი ამონა-გებისა და მოგების პერსპექტივის მქონე საწარმოები, რომელთა-გან უპირატესობა ენიჭება მაღალტექნოლოგიურ დარგებს.

აშშ-ში კაპიტალის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს მცირე ბიზნესის საინვესტიციო კომპანიები, რომლებიც 1958 წელს კონგრესის მიერ კანონის “ინვესტიციები მცირე ბიზნესში” მიღების შემდეგ გაჩნდნენ. ამ კანონის მიზანი იყო კერძო ინვესტორთა სახსრებით სამეწარმეო საქმიანობის ფინანსირების სტიმულირება. კანონი ასტიმულირებდა მცირე ბიზნესის საინვესტიციო კომპანიების შექმნას, რომლებსაც ინვესტორები გამოიყენებდნენ როგორც კერძოს და ორიენტირებულთ საწარმოს მოგების მიღებაზე. გარდა ამისა მასში იგულისხმებოდა, რომ

- ინვესტორებს შეეძლოთ უპირატესობის მინიჭება ისეთ მცირე საწარმოებზე, რომლებიც შეიმუშავებდნენ მაღალი საბაზრო პოტენციალის კონკურენტულ ახალი სახის პროდუქციას;

- მცირე ბიზნესის ადმინიტრაციას უნდა ეწარმოებინა მეთვალყურეობა და ასეთი კომპანიების საქმიანობაზე შესაბამისი ლიცენზიების გაცემაზეც ევალებოდა პასუხისმგებლობა.

მცირე ბიზნესის უფრო მეტად განვითარებული წყარო არის საბანკო კრედიტი. ჩვენთან მცირე მეწარმეობის დაკრედიტე-

ბა დაიწყო 10-12 წლის ნინ განსხვავებით უცხოური ქვეყნებისაგან. საბანკო ბაზარზე გაჩნდა ბანკთა არც თუ ისე დიდი რაოდენობა და ისინიც გაჭირვებით იძლეოდნენ კრედიტს. ასეთი მდგომარეობის მიზეზი იყო ქვეყანაში არაკეთილსასურველი ეკონომიკური სიტუაცია, ინფლაცია, მცირე მენარმეობის განვითარების დაბალი ტემპები, შედეგად კი ნაკლები იყო მენარმეთა მხრიდან კრედიტზე მოთხოვნა.

მცირე საწარმოთა ზრდასთან ერთად იზრდებოდა მცირე ბიზნესის დაკრედიტებაზე მოთხოვნაც. კრედიტის მეშვეობით მიღებული თანხები მენარმისათვის წარმოადგენს აუცილებელ პირობას წარმოების განსავითარებლად, საქონელბრუნვის გასაუმჯობესებლად, რაც თავის მხრივ ზრდის შემოსავლებს.

მცირე ბიზნესის დაკრედიტება წარმოადგენს საბანკო საქმიანობის ერთ-ერთ ურთულეს მიმართულებას. მცირე საწარმოთა დაკრედიტება ბანკებისათვის წარმოადგენს დიდ ინტერესს ოპერაციათა შემოსავლიანობისა და საკრედიტო სამუალებების ბრუნვის მცირე ვადების გამო. დღეისათვის საბანკო პროდუქტები მრავლად აქვთ წარმოდგენილი ბანკებს, მაგრამ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს სრულად არა აქვთ ინფორმაცია მათ შესახებ და ვერ ხედავენ განსხვავებას მათ შორის. ამის გამო წარმოიშობა სირთულეები ამა თუ იმ სახის კრედიტის არჩევასთან დაკავშირებით. ხშირად მენარმები უშვებენ თავიანთი ბიზნესის დაკრედიტების უფრო მისაღებ ვარიანტს და ღებულობენ უფრო ნაკლებად შესაფერის კრედიტს.

მიუხედავად საბანკო პროდუქტების მრავალსახეობისა ბოლო წლებში საგრძნობლად იყლო მცირე მენარმეთა მხრიდან მათზე მოთხოვნის რიცხვმა. ზოგიერთი გამოკვლევის თანახმად მენარმეთა 70% თავს არიდებს ბანკებიდან სესხის გამოტანას, მიუხედავად ფულადი სახსრების მწვავე საჭიროებისა. ამის მიზეზად ასახელებენ მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. (სტატ. დეპ. მცირე და საშ. ბიზნესის გამოკ.) თავის მხრივ ბანკები მცირე ბიზნესზე კრედიტებს დიდი სიხარულით არ გასცემენ თუკი ისინი მყარად არ ფუნქციონირებენ და დიდი ხნის გამოცდილება არა აქვთ. ახალ-დამწყები მენარმისათვის კი კრედიტთან დაკავშირებული საკით-

ხის მოგვარება საერთოდ შეუძლებელია. აქედან გამომდინარე მრავალი პოტენციური იდეა ჩანასახშივე იკარგება.

ამ და დაფინანსებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემის გამო საქართველოს ბიზნეს საზოგადოებაში დღეისათვის მეტად აქტუალურია სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესზე დახმარების პრობლემა. დღემდე სახელმწიფო არანაირ სერიოზულ დახმარებას არ უწევს მცირე ბიზნესს. ამ მხრივ უფრო მეტ დაინტერესებას იჩენენ დონორი ორგანიზაციები, რომელთა მიერ გაცემული გრანტების ხარჯზე ხდება მცირე სანარმოთა განვითარება. ეს განსაკუთრებით შეინიშნება აგრობიზნესში.

მთავრობის მხრიდან დახმარება შეიძლება გამოხატულ იქნეს უპირველესად იმ ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შემუშავებით, რომლებიც მიმართული იქნება მცირე ბიზნესის სამართლებრივ, ქონებრივ, ფინანსურ მხარდაჭერაზე. მცირე ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა გამოიწვევს ეკონომიკის მცირე სექტორის გაძლიერაბას და ხელს შეუწყობს მისი ისეთი ფუნქციების შესრულებას, როგორიცაა: მოსახლეობის დასაქმება, კონკურენციის განვითარება, ბიუჯეტში შენატანების ზრდა და ა.შ. აქედან გამომდინარე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები მცირე მენარმე სუბიექტებისათვის კრედიტების ხელმისაწვდომობაში დასახმარებლად. უნდა შემუშავდეს მცირე ბიზნესის დაკრედიტების სახელმწიფო მხარდაჭერი პროგრამა, რომლის თანახმადაც სესხები უნდა გაიცეს საგრძნობლად დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოში 2008 წელს გატარებული “იაფი კრედიტების” პროგრამა. მაგრამ ერთჯერადი ხასიათის ღონისძიებები საკმარისი არ არის, ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს მსგავსი პროგრამების შემუშავება-განხორციელება.

ასევე მიზანშენონილად მიგვაჩნია კრედიტების შეთავაზების ვადების გაზრდა, კრედიტების გაცემის გამარტივებული პროცედურა, რომელიც გამოიწვევს მენარმეთა უფრო ფართო წრის დაკმაყოფილებას საბანკო მომსახურებით. სესხები მიზნობრივად უნდა მიეცეს სანარმოებს: უნდა განისაზღვროს მიზნობრივი კრედიტის გაცემის შეღავათიანი დაკრედიტების პირობები, გათვალისწინებულ უნდა იქნას ცალკეულ ქვეყნებში არსებული დაკრე-

დიტების გამოცდილებაც. მაგალითად, იტალიაში კრედიტებს აძლევენ 15 წლით ახალი ინიციატივისათვის, 10 წლით მოდერნიზაციისათვის. კრედიტის განაკვეთი შეადგენს მისი საბაზრო ღირებულების 36-60%-ს. სამხრეთ კორეაში 1,5-ჯერ მეტ კრედიტს იღებენ მცირე საწარმოები, ვიდრე მსხვილები.

იაპონიაში შექმნილია მცირე საწარმოების კრედიტების გარანტიისა და საქმიანობის დაზღვევის მობილური სისტემა. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასოციაციები, რომლებიც კომერციულ საფუძველზე არიან ჩამოყალიბებული, მცირე და სამუალო საწარმოებიდან ღებულობენ კრედიტის 1%-ს და ამ საწევრო შენატანებით ქმნიან დაზღვევის ფონდს. საზოგადოება გარანტად დგება საკრედიტო ორგანიზაციის წინაშე, ფონდი იღებს საწარმოს ვალს და მისი გადახდისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში თვითონ ხდება პასუხისმგებელი კრედიტის მიმცემის წინაშე.

რაც შეეხება გერმანიას, იქ შექმნილია სპეციალური ბანკები, რომლებიც თავდებად გამოდიან. სესხის მაქსიმალური თანხა შეადგენს 1 მლნ ევროს. კრედიტის დაფარვის დრო 15 წელია, მშენებლობაში კი – 23 წელი. ამ სფეროში დიდ როლს ასრულებს მთავრობა, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს გარმანიის სტაბილიზაციის ბანკის მეშვეობით. (ნ. ორჯ. ლ. ყიფ).

სახელმწიფო პოლიტიკისა და ბიზნეს-გაერთიანებათა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგანს მცირე ბიზნესის მიკროფინანსირება. მიკროფინანსირების ბაზარი უნდა გაიზარდოს სწრაფად. მიკროსაფინასო ორგანიზაციათა მიზანს წარმოადგენს მცირე საწარმოთა დაკრედიტება სარფიანი პირობებით, ისეთნაირად, რომ კომპანიის ბრუნვის დამატებითი სტიმულაციით გამოიწვიოს მეტი მოგების მიღება არა მარტო მეწარმეებისათვის, არამედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვისაც. (ნ. ორჯ. ლ. ყიფ). დღეისათვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სტრუქტურა დაემსგავსა ბანკისას. ამ ორგანიზაციათა მიერ სესხების გაცემა საბანკო სესხის გაცემის სტრუქტურით ხასიათდება და საპროცენტო განაკვეთიც იგივეა. გამოსავლის ერთ-ერთი გზა არის სახელმწიფოს მხრიდან ლიბერალური მიდგომა საფინანსო ორგანიზაციებისადმი დაბეგვრის მხრივ და მათთვის ფულადი სახსრების გაიაფება.

სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში უნდა აისახოს და გატარდეს მცირე ბიზნესის ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებული შემდეგი ღონისძიებები:

- მცირე ბიზნესის სასტარტო კაპიტალით ფინანსირების პროგრამების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება მცირე საწარმოთა დაბალი საპროცენტო განაკვეთით დაკრედიტებაზე;

- მცირე ბიზნესის დახმარების ფონდის ჩამოყალიბება, რომლებიც იკისრებს თავდებობას ბანკებთან კრედიტის მიღებისას;

- მცირე ბიზნესის საწარმოებისათვის შეღავათიანი დაბეგვრის სისტემის შემოღება და ა.შ.

ამრიგად, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებები, მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასტაბილიზირება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მყარი გარანტიები, ბუნებრივია ქვეყნის დაბალანსებული ეკონომიკის ფორმირებასა და ფუნქციონირების რეალური საფუძველი გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. შენგელია, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბ., 2008;
2. 6. ორჯონიქიძე, ლ.ყიფიანი, ვ. ბაგდასარიანი, მცირე ბიზნესი, 2007;
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკია, თბ., 2009;
4. Николас К., Сирополис «Управление малым бизнесом», М., 1997.

Leila Tsetskhladze

The Problem of financings in The small-scale business

There are discussed the ways of the finance of small business in the article. It describes the problems associated with finance. It is proved the necessity of working out small business from the state in which we are to foresee the experience of foreign countries.

Леила Цецхладзе

Проблемы финансирования малого бизнеса

Резюме

В статье рассмотрены пути финансирования малого бизнеса. Отражены проблемы связанные с их финансированием. Утверждена неизбежность разработки системы финансового поддержания малого бизнеса со стороны государства, в чем нужно предусмотреть опыт иностранных государств.

სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება

ვაჟა ვერულიძე

სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირების პროცესში, ვინაიდან ძირითადად იგი განსაზღვრავს ფინანსური საშუალებების მობილიზებას და უზრუნველყოფს როგორც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსებას ისე სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებას.

XIX საუკუნიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც თანამედროვე მსოფლიოში საბოლოოდ ფორმირდა საგადასახადო სისტემა, საგადასახადო პოლიტიკა გახდა საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი რეგულატორი, როგორც საზოგადოებრივი სიმდიდრის ერთ-ერთი ძირითადი გამანაწილებელი.

სოციალური სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება ყოველთვის უკავშირდება გარკვეულ პრინციპებსა და ვალდებულებებს, რომელიც ხშირ შემთხვერვაში ასახულია ქვეყნის კონსტიტუციაში და საგადასახადო კოდექსში.

სოციალურს წარმოადგენს ისეთი სახელმწიფო, რომელიც თავის თავზე იღებს სოციალური სამართლიანობის, მოსახლეობის კეთილდღეობისა და მათი სოციალური დაცვის შესახებ ზრუნვის გარანტიებს. სოციალური სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა დაფუძნებულია მის უმთავრეს მიზნებსა და ამოცანებზე, ამიტომ როგორც წესი სოციალურ სახელმწიფოში საკმაოდ მაღალია დაბეგვრის დონე და შესაბამისად სოციალური გარანტიები.

ცნობილია სოციალურად ორიენტირებული საპაზრო ეკონომიკის რამდენიმე მოდელი. ინგლისელი სოციოლოგი გ. ესპინ-ანდერსენი გამოყოფს სოციალური სახელმწიფოს სამ მოდელს: ნეოლიბერალური, კონსერვატიული და სოციალ-დემოკრატიული (Espring-Andersen, 1990).

ნეოლიბერალური სოციალური მოდელი ხასიათდება სა-ხელმწიფოს მინიმალური მონაწილეობით სოციალურ სფეროში, იგი ტიპიურია აშშ-ს, კანადის, ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიისათვის. სოციალური პროგრამების რეალიზაციის ფინანსურ საფუძველს ამ შემთხვევაში პირველ რიგში წარმოადგენს კერძო დანაზოგები და კერძო დაზღვევა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების წილი საკმაოდ მცირეა. სახელმწიფო თავის თავზე ღებულობს პასუხისმგებლობას ყველა მოქალაქის მინიმალური შემოსავლის შენარჩუნებაზე და მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენის კეთილდღეობაზე. შესაბამისი ფინანსური სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის დახმარებებისა სუბსიდიების გასაცემად (Pouk, 2006. № 10 c. 27-38).

კონსერვატიული მოდელი დამახსიათებელია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის, როდესაც სახელმწიფო იღებს მეტ პასუხისმგებლობას მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაზე. ამ ტიპის ქვეყნებს მიეკუთვნება: გერმანია, იტალია, საფრანგეთი და ბელგია, სადაც სახელმწიფოს პოზიციები მნიშვნელოვნად ძლიერია კერძოდ, ბიუჯეტური გადარიცხვები სოციალურ ღონისძიებებზე თითქმის უთანაპირდება მომუშავეებისა და დამქირავებლების სადაზღვევო შენატანებს. ფინანსური დახმარების გადანაწილების ძირითადი არხები თავმოყრილია ან სახელმწიფოს ხელში ან მის კონტროლს ექვემდებარება. სოციალური შემწეობის სიდიდე პროპორციულ დამოკიდებულებაშია შრომით შემოსავლებთან. გარანტირებული განაცემები უმუშევრობის შემთხვევაში დამოკიდებულია შრომით სტაჟზე. მრავალ ქვეყანაში, უმუშევრობისათვის შემწეობის გაცემის პერიოდი გაზრდილია 50 წელზე მეტი ასაკის ადამიანებისათვის.

სოციალურ-დემოკრატიული მოდელი გულისხმობს სახელმწიფოს წამყვან როლს მოსახლეობის სოციალური დაცვის საქმეში. ამ ტიპის სოციალური პოლიტიკის მოდელის შემთხვევაში, სოციალური საჭიროების ხარჯებიდან მნიშვნელოვან ნაწილს თავის თავზე იღებს სახელმწიფო და განაწილების ძირითადი არხი არის ბიუჯეტი. ამასთან ერთად, სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანებს წარმოადგენს მოსახლეობის შე-

მოსავლების გათანაბრება და დასაქმება. აღნიშნულმა მოდელმა პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: შვეცია, ნორვეგია, ფინეთი და დანია.

გადასახადები სოციალურ სახელმწიფოში ერთის მხრივ წარმოადგენს სახელმწიფოს სოციალური ხარჯების დაფინანსების მთავარ წყაროს და საბიუჯეტო პოლიტიკის მატერიალურ საფუძველს, ხოლო მეორე მხრივ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების ეფექტიან ინსტრუმენტს.

სოციალურად ორიენტირებული დაბეგვრა მიმართულია არა მხოლოდ ტაქტიკური არამედ გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტისკენ და იგი დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ პროგრესთან ისე ცხვრების ხარისხისა და დონის ამაღლებასთან.

სოციალური სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა ემსახურება საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მიზანს, მთლიანი შიდა პროდუქტის ნანილის ამოღებას საბიუჯეტო სისტემაში, საზოგადოების სოციალური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე.

დაბეგვრის სოციალური მიმართულება განვითარებულ ქვეყნებში რეალიზდება ერთიანი შაბლონის მიხედვით, მაგრამ ძირითადი პოსტულატი ასეთია: ეკონომიკური ზრდის ნაყოფს უნდა სარგებლობდეს მოსახლეობის ყველა ფენა.

ცალკეული სახელმწიფოს მონაწილეობის მასშტაბი და ფორმა, სოციალური განვითარების უზრუნველყოფაში, სოციალური დაცვის სრულყოფაში, განათლების ხელმისაწვდომობის გაფართოებასა და სამედიცინო მომსახურებაში, დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და საინფორმაციო განვითარებაზე.

განვითარებულ ქვეყნებში, მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილება (30-დან 50%-მდე) ხდება გადასახადებისა და სხვა გადარიცხვების სახით (კერძოდ, შენატანები სოციალური დაზღვევისათვის), რაც მონმობს ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის დონესა და საგადასახადო რეგულირების მნიშვნელოვან როლზე.

ზოგადად, სახელმწიფოს სოციალური მოდელისათვის დამახასიათებელია:

- მოსახლეობის შემოსავლების დაბალანსება უკიდურესად დაბალ და მაღალშემოსავლიან ჯგუფებს შორის არა უმეტეს 1/10;
- სოციალური დაცვის სისტემისათვის ხარჯების გათვალისწინება არა ნაკლებ მ.შ.პ-ის 20%-ის ფარგლებში;
- სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური ხარჯების წილის განსაზღვრა ჯანდაცვაზე არანაკლებ მ.შ.პ-ის 7-9%-ის ფარგლებში, ხოლო განათლებაზე არანაკლებ მ.შ.პ-ის 4-6%-ის ფარგლებში;

თუკი სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის საბოლოო მიზანი – გადასახადებისა და მოსაკრებლების სტაბილური და სრული ამოღებაა ყველა საბიუჯეტო დონეზე, სოციალურად ორიენტირებული საგადასახადო სისტემის საბოლოო მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და დონის ამაღლება და სოციალური სფეროს განვითარება.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მყოფი ისეთი ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა, სადაც არ კანონით არა არის განსაზღვრული შემწეობები უმუშევართათვის, სადაც არ არსებობს შემოსავლების დაუბეგრავი მინიმუმი და სადაც 1,5 მილიოზე მეტი ადამიანი დარეგისტრირებულია უზნეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთიან ბაზაში, ხოლო ეროვნული ვალუტა წლის დასაწყისიდან თითქმის 11,5%-ით უფასურდება (<http://www.nbg.go.....>), აუცილებელია სახელმწიფომ გარკვეული პასუხისმგებლობა აიღოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დაცვის თვალსაზრისით კერძოდ უნდა მომზადდეს საკაონმდებლო ბაზა ნეოლიბერალური სოციალური მოდელისათვის დამახასიათებელი სისტემის ამოქმედებისათვის, სადაც სახელმწიფოს როლი მინიმალურია, თუმცა ბევრად მონესრიგებული და მეტი დაცვის მექანიზმების მქონე ვიდრე საქართველოში. საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება კი მიმართული უნდა იყოს არა გადასახადებისაგან განთავისუფლებისაკენ, არამედ მისი დიფერენცირებულობსა და პროგრესულობისაკენ, რომელიც შედის როგორც გადასახადის გადამხდელის ისე სახელმწიფოს ინტერესებში და ხელს უწყობს ეკონომიკური აქტიურობის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Espring-Andersen G. The Three Worlds of Welfare Capitalism. Cambridge, 1990;
2. Роик В.Д. Социальная модель государства: опыт стран Европы и выбор современной России // государственная власть и местное самоуправление. 2006. № 10;
- 3.http://www.nbg.gov.ge/uploads/exchangeratesunglisurad/qartuli/official_daily_exchange_rates_20082010geo.

Vazha Verulidze

The Formation of Tax Policy of a Social State

summary

The paper covers the features of formation of tax policy of a social state on the example of European and American developed countries. The description of three models of a social state - Neoliberal, Conservative and Social-democratic is given.

The necessity of creation of legislative environment to apply Neoliberal social model against the background of hard social conditions of Georgia is proved, what first of all shall be reflected in new tax policy.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

ანზორ დევაძე

ტურიზმი დღეს წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის სფეროს, რომელიც მრავალ ქვეყანაში გარდაიქმნა სწრაფად განვითარებად ინდუსტრიად. დღევანდელ პირობებში ყოველი მე-7 სამუშაო ადგილი მსოფლიოში მოდის ტურისტულ ბიზნესზე. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის პროგნოზით 2020 წლისათვის საერთაშორისო ტურისტების ჩამოსვლების რაოდენობა შეადგენს 1,6 მილიარდს, ანუ 3-ჯერ გადააჭარბებს 2000 წლის მაჩვენებელს. ტურისტების ყოველდღიური ხარჯები, სატრანსპორტო ხარჯების გამოკლებით, გაიზრდება 5 მლრდ. აშშ დოლარამდე დღეში.

საბაზრო პირობებში ტურისტული ბიზნესის განვითარება მოითხოვს რეკრეაციული რესურსების, შესაბამისი კაპიტალის, ტექნოლოგიების და კადრების არსებობას.

ტურისტულ პროდუქტში, განსაკუთრებით მის იმ ნაწილში, რომელსაც მომხმარებელი მოიხმარს არა ტურისტულ ცენტრში, არამედ მისკენ გზაში, საკვანძო ადგილი უჭირავს ტრანსპორტს. ტურიზმის განვითარების შესწავლის დროს ძალზედ მნიშვნელოვანია განისაზღვროს მისი ურთიერთდამოკიდებულება სატრანსპორტო ინდუსტრიასთან. წარმატებები ტურიზმის გენერირებად ბაზრებზე და ადექვატური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ნებისმიერი ტურისტული ცენტრის განვითარების უმთავრეს წინაპირობას. თავის მხრივ, მოთხოვნა ტურიზმში მძლავრ სტიმულს აძლევს სატრანსპორტო ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას. ტურიზმი მთლიანადა დამოკიდებული ტრანსპორტზე, მის უსაფრთხოებაზე, სიჩქარეზე, მოხერხებულობაზე და კომფორტზე, რასაც ის სთავაზობს ტურისტებს მოგზაურობის განხორციელების დროს.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტურიზმის გადაქცევა მასობრივ მოვლენად წარმოშობს რიგ პრობლემებს,

რომლებიც დაკავშირებულია სატრანსპორტო მომსახურებასთან.

ზოგადად აღნიშნული პრობლემები ჯგუფდებიან შემდეგნაირად:

- საერთო სარგებლობის ტურისტული ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რომელიც მთლიანად პასუხობს ტურისტების მოთხოვნილებებს;
- ტრანსპორტის საქმიანობის ორგანიზაციის გაუმჯობესება;
- ტურისტების სატრანსპორტო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

ახალი საუკუნის დასაწყისისათვის ტურიზმის განვითარებაში მიღწეული მაღალი ტემპები უშუალოდაა დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევებთან ტრანსპორტის დარგში. მოგზაურობის გარდაქმნამ მასობრივ მოვლენად (მათ შორის ტურისტული მიზნებისათვის) მნიშვნელოვნად განაპირობა სერიოზული ცვლილებები სატრანსპორტო სისტემაში. ამასთან ერთად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ტრანსპორტს, ვინაიდნა ტურისტული გადაზიდვები ტურისტული ინდუსტრიის ძირითადი შემადგენელია და ამასთან ტურისტული პროდუქტის განუყოფელი ნაწილია.

ტრანსპორტისა და ტურიზმის განვითარება – ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული პროცესია. ამასთან ერთად, როგორც წესი, მეცნიერულ ლიტერატურაში კავშირების კვლევისას სისტემაში “ტურიზმი-ტრანსპორტი” უპირატესი ადგილი ეთმობა ტრანსპორტის როლსა და მნიშვნელობას, როგორც ტურიზმის განვითარების ფაქტორს. ეს ბუნებრივი და ლოგიკურია, ვინაიდან ტურიზმი შედარებით ახალი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა და მნიშვნელოვანი წარმოადგენს ტრანსპორტის შექმნისა და განვითარების შედეგს.

ტრანსპორტის გავლენა ტურიზმის განვითარებაზე ერთობ ფართო და მრავალმხრივია. ის მოითხოვს ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, მართვისა და ორგანიზაციის, სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესებას, ასევე შესაბამისი პოლიტიკის გატარებას სატრანსპორტო ტარიფების მიმართ.

მოგზაურობის განხორციელებისათვის ტრანსპორტის სახის შერჩევის დროს სასურველია ვიხელმძღვანელოთ პრინციპით – “გააჩნია სად, როდის, რატომ და რამდენად”. ამავე დროს უნდა გა-

ვითვალისწინოთ, რომ ზოგიერთ ადგილებში არ არსებობს ტრანსპორტის სახის არჩევის ალტერნატივა.

მგზავრების და ტურისტების გადაზიდვების სისტემაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მოსახლეობის გაადგილება, რომელიც დამოკიდებულია მოსახლეობის ტრადიციებზე, ჩვევებზე და ცხოვრების წესზე, და რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მის გადახდისუნარიანობაზე. ამასთან ერთად, მოსახლეობის გაადგილების მაჩვენებელი ბევრადაა დამოკიდებული ქვეყანაში და რეგიონში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციებზე.

ტურიზმის სფეროში მომხდარი ცვლილებებს ტურისტული მოთხოვნილებები აყავთ ხარისხობრივად ახალ დონეზე, რომლებიც მოითხოვენ სატრანსპორტო კომპლექსისაგან ამ მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებას. სწორედ ამიტომ სატრანსპორტო ორგანიზაციებმა თავიანთ საქმიანობაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან ერთად უნდა გაითვალისწინონ ისეთი ორგანიზაციული ცლილებები და მოთხოვნები, როგორებიცაა: სატრანსპორტო და ტურისტული სანარმოების ინტეგრაციის განხორციელება; მყარი ურთიერთკავშირების დამყარება და მჭიდრო კონტაქტების განხორციელება სატრანსპორტო და ტურისტულ საწარმოებს შორის; სატრანსპორტო სანარმოების საქმიანობის რეორგანიზაცია და გარდაქმნა საერთაშორისო ტურისტული ბაზრის კონიუნქტურასთან შესაბამისობაში და ტურიზმში სეზონური ცვალებადობის გათვალისწინებით; ისეთი ორგანიზაციული ცვლილებების გატარება, რომლებიც დაკავშირებული იქნებიან ტრანსპორტის ტერიტორიულ გაადგილებასთან, ახალ ტურისტულ რეგიონებში უბირატესი განვითარებით.

ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარება დაწყობითად კავშირის დროს. პირველი მოგზაურობები ტურისტულ-საექსკურსიო მატარებლებით ორგანიზებული იყო ერთობლივად ტურიზმის ცენტრალური საბჭოსა და მიმოსვლის გზების სამინისტროს მიერ გასული საუკუნის 60-იან წლებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სარკინიგზო ტურიზმის სამწუხაროდ დაკარგა მასობრივი ხასიათი. მიუხედავად ამისა, საბჭოთა პერიოდში დაგროვილი უმდიდრესი გამოცდილება შეიძლება გახდეს აღნიშნული სახის დას-

ვენების აღორძინებისა და მისი თვისობრივად ახალ დონეზე განვითარების საფუძველი.

საქართველოში სარკინიგზო ხაზების ქსელის სიმჭიდროვე საშუალებას იძლევა ორგანიზებული იქნას სარკინიგზო ტრანსპორტის ტურები გეოგრაფიული მდებარეობის, ფორმისა და შინაარსის მიხედვით. შიდა ტურიზმში ეს არის მოკლევადიანი (საათობრივი) ტურები ხანგრძლივობით 3-დან 10 საათამდე, რომელიც შეიძლება შესრულდეს ელექტრომატარებლით, ერთდღიანი, ორ და სამ დღიანი. საქართველოს პირობებში ყყელაზე საინტერესო და მოთხოვნადი იქნება ტურები იმერეთის, აჭარის, აფხაზეთის, თბილისის და კახეთის რეგიონებში.

ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ სარკინიგზო ტრანსპორტის საწარმოებთან ტურისტული და სერვისული მომსახურების ქვეგანყოფილებების ჩამოყალიბებას, რომლებიც დაკავებული იქნებიან ტურისტების სერვისული მომსახურებით, მარკეტინგული კვლევების საფუძვლზე შეიმუშავებენ წინადადებებს მუშაობის ტექნოლოგიებში და სამგზავრო მატარებლების მოძრაობის განრიგის ფორმირების სქემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ, ასევე მუდმივად გააკონტროლებენ მგზავრთნაკადის სტრუქტურას და მათ მოთხოვნებს, მოქნილად მოახდენენ რეაგირებას მოსახლეობის ცვლად მოთხოვნილებებზე სამგზავრო გადაზიდვებზე, შეიმუშავებენ ახალ, თანამედროვე კომპლექსურ ტურისტულ პროდუქტებს და მომსახურების სახეებს, გააუმჯობესებენ მგზავრების მომსახურების სტილს და მეთოდებს.

ამასთან ერთად, სასურველია საქართველოს ტრანსპორტის დეპარტამენტის საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველომ მიიღოს გადაწყვეტილება სარკინიგზო გზებთან ერთიანი სერვის-ცენტრების ქსელის შექმნის შესახებ. სერვის-ცენტრების ერთიან ქსელში გაერთიანება და მათ შორის კავშირების დამყარება საშუალებას მოგვცემს შევქმნათ განსხვავებული ტურისტული პროდუქტები ფორმულებით “მატარებელი + ავტობუსი + ...”: “მატარებელი + ავტობუსი + სასტუმრო”; “მატარებელი + ავტობუსი + ექსკურსია”; “მატარებელი + ავტობუსი + სპექტაკლი”; “მატარებელი + ავტობუსი + საფეხბურთო მატჩი”; “მატარებელი + ავტობუსი

+ გამოფენა” და ა.შ. ფორმულით “მატარებელი + ავტობუსი + ... ”. შექმნილი ტურისტული პროდუქტის რეკლამირება და განვითარება შესაძლებელია ზემოდ აღნიშნული სერვის-ცენტრების, ასევე ტურისტული ფირმებისა და სააგენტოების საშუალებით, რომლებიც მჭიდროდ ითანამშრომლებენ სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტთან.

პერსპექტივაში სასურველია ისეთი კომპანიის (სტრუქტურული ერთეულის) ჩამოყალიბება, რომელიც შეძლებს ტურისტებს აღმოუჩინოს მომსახურების სრული კომპლექსი სარკინიგზო თუ საავტომობილო ტრანსპორტით მოგზაურობის განხორციელების დროს, თანაც სპეციალიზირებული მოძრავი შემადგენლობით. ყოველივე აღნიშნული თავიდან ააცილებს კლიენტებს ხელშეკრულებების გაფორმებას სხვადასხვა ორგანიზაციებთან ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მატარებლების ან ავტობუსების იჯარა, მგზარობის მარშრუტის შემუშავება, კვების საკითხები და სხვა სახის მომსახურება.

ტრანსპორტის ყველაზე ახალგაზრდა და აქტიურად განვითარებად სახეს მიეკუთვნება საავიაციო ტრანსპორტი, სადაც არსებობს რამდენიმე პრობლემატური საკითხი: მათგან ყველაზე მთავარს წარმოადგენს ის, რომ სატრანსპორტო ხარჯები ტურისტული მომსახურების ხარჯების სტრუქტურაში შეადგენს 40-50%, ხოლო მეორე პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საავიაციო სატრანსპორტო სანარმოების და კომპანიების უმეტესობა ახორციელებენ არა მარტო ტურისტების, არამედ ჩვეულებრივი მგზავრების, ტვირთების და საფორსტო გზავნილების გადაზიდვებსაც. ავიაგადამზიდავები არ ანსხვავებენ ტურისტებს და ჩვეულებრივ მგზავრებს. ავია გადაზიდვების სამაშულო ბაზარზე პრაქტიკულად საერთოდ არ არსებობს დამატებითი სახის მომსახურების შეთავაზება ტურისტებისათვის, მაშინ როცა საზღვარგარეთელი გადამზიდავებისათვის ეს ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა.

საქართველოს, გამომდინარე თავისი უნიკალური ბუნებრივი და კულტურული პოტენციალიდან, ასევე უცხოელი ტურისტების სულ უფრო მზარდი ინტერესებიდან, როგორც ახალი, აუთვისებელი მიმართულებიდან, ყველანაირი საფუძველი გააჩნია ტურიზმის სრულიად სხვადასხვა სახეების განსავითარებლად. ამი-

სათვის აუცილებლად მიგვაჩნია გარკვეული მხარდაჭერის არსებობა სახელმწიფოს მხრიდან, რაც შესაძლებელია შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებით, რომელიც სასურველია მოიცავდეს შემდეგი ძირითადი ღონისძიებების დაფინანსებას: რეგიონის ტურისტული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რეგიონის ტურიზმის ინფორმაციული წინ წაწევა და რეკლამირება, მსოფლიოს თვალში ჩვენი ქვეყნის წარმოჩენა, როგორც ხელსაყრელი და კეთილსაიმედოსი ტურიზმის განვითარების მხრივ, ასევე მეცნიერული და სტატისტიკური კვლევები, კადრების მომზადება და გადამზადება ტურიზმის სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. დევაძე, ტურიზმი (თეორია და პრაქტიკა). თბ., 2009;
2. მ. მეტრეველი, ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები. თბ., 2008. მ.მელაძე;
3. თ. ქობლიანიძე, მომხმარებელთა მოთხოვნილებები და სეგმენტები ტურისტულ ბაზარზე, უურნალი „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, 2, 2006;
4. Биржаков М.Б., Никифоров В.И. Индустрия туризма: перевозки. М.,2006;
5. Вавилова Е., Основы международного туризма, «Гардарики», М., 2005.
6. Дурович А. – Маркетинг в туризме, «Новое знание», Минск, 2004.

Anzor Devadze

**Tourism and its impact on development of transport
infrastructure**

R e z u m e

At the beginning of new century, gained high speed in tourism development is directly connected with achievements of scientific-technical progress in transport sphere. Travelling is conversion into mass event conditioned serious changes in transport system.

Development of transport and tourism is an international and interconditional process. Besides, as a rule, while researching the connections in system “tourism-transport” in scientific literature the role and importance of transport is favoured, as a factor of tourism development. This is a natural and logical factor as tourism is comparatively new social-economical event and importantly represents the result of transport creation and development.

Tourism influence on transport development is quite wide and various. It needs development of material-technical base improvement of transport system of management and organisation as well as carrying out relevant politics towards transport tariffs.

Changes in tourism sphere reflect on travelling organization as well as on the transport service system. Tourists' massive flow conditions the beginning of tourists' new demands, new approaches towards motives, aims and advantages at the time of tourists' travelling organisation.

Because of unique natural and cultural potential and because of growing interest of foreign tourists, Georgia is fully capable of developing different types of tourism. In order to achieve this, support is needed from the state, that is possible by working out the targeted programmes that is favorable to include financing the following basic arrangements: development of touristic and transport infrastructure, informational promotion and advertisement of regional tourism, as an advantageous and trustworthy one in tourism development, representing our country to the world as well as scientific and statistical researches, training of the personnel in tourism sphere.

ასიკო ცინცაძე ვლადიმერ ლლონტი

თანამედროვე პერიოდში ტურიზმი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა, რომელიც სულ უფრო ფართო მოხმარებით სარგებლობს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში. ტურიზმი ერთის მხრივ მოსახლეობის კულტურული, ფიზიკური კეთილდღეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალებაა და მეორეს მხრივ-მისი, როგორც დარგის განვითარება ხელს უწყობს ეროვნული სიმდიდრის გადიდებას შრომითი რესურსების აღდგენისა და მოსახლეობის დასაქმების ხარჯზე.

ტურიზმის ინდუსტრია ხასიათდება მრავალფეროვნებით. მრავალფერვნება ბიზნესის ამ დარგს რისკიანს ხდის. ტურისტულ ბიზნესში არსებული რისკები ჯერ კიდევ გამოუკვლეველია და ამდენად მისი სრული კლასიფიკაცია არ არსებობს. ობიექტების მიხედვით რისკები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: რისკები, რომლებიც უშუალოდ ზიანს აყენებს ტურისტული მომსახურების მომხმარებელს და რისკები, რომლებიც ზიანს აყენებს ტურისტულ ფირმას. მოგზაურობის დროს ტურისტები აწყდებან მრავალ წინააღმდეგობას სხვადასხვა მიზეზების გამო: უცნობი, ეგზოტიკური ადგილების მონახულება, უცხოური ენის არ ცოდნა, სხვადსხვა კატაკლიზმები (საკვების მიღებით დაავადება, მოგზაურობისას ქონების გაქურდვა, ავტოსაგზაო შემთხვევა, ფინანსური ზარალის მიღება სხვადასხვა მიზეზების გამო) ეს და სხვა მრავალი მიზეზი ადასტურებს, რომ ტურისტული მოგზაურობა ყოველთვის არ სრულდება უსაფრთხოდ. ხშირ შემთხვევაში ერთი რისკი იწვევს მეორეს. უკანასკნელ წლებში შესამჩნევი გახდა სადაზღვევო შემთხვევების ზრდა, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე შედეგით მთავრდება და დაზარალებული ტურისტის ოჯახი აწყდება მრავალ უსიამოვნებას ფინანსური დანაკარგების ჩათვლით (ბირჟაკო-

ვი, 2008) 1 ტურისტული ბიზნესის განვითარება პარალელურად მოითხოვს ტურისტების რისკებისაგან დაზღვევის საქმიანობის განვითარებას, მაგრამ ამ კუთხით პოსტისაბჭოურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში არასახარბიელო სტატისტიკაა.

ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობის დაბალი სადაზღვევო კულტურა და მოსალოდნელი შემთხვევების გაუთვითცნობიერება. ტურისტისა და ტურისტული ფირმების დაზღვევაზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომია დაწერილი უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ. საქართველოში ამ საკითხის მეცნიერული კვლევები თითქმის არ არის. მიზეზი ჯერ ერთი იმაში მდგომარეობს რომ სადაზღვევო საქმის ლიტერატურაში ტურიზმის დაზღვევა, როგორც დაზღვევის ცალკე საქმიანობა არ განიხილება, ასევე ყურადღების მიღმა დარჩენილი სადაზღვევო კომპანიებისა და ტურისტული ფირმების ურთიერთთანამშრომლობის საკითხი, რომელიც ფაქტიურად ტურიზმის დაზღვევის სახის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ტურისტების დაზღვევაში ლიდერობს სამედიცინო დაზღვევა, თუმცა სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებული პორტფელი ფართო მომსახურებას შეიცავს. კერძოდ:

- ტურისტული ფირმების ფინანსური რისკების, ქონების, ტრანსპორტის, ტურისტების ნატესავების წინაშე პასუხისმგებლობის და სხა;

- ტურისტების დაზღვევა დოკუმენტების დაკარგვისას შემთხვევაში ჯგუფისაგან ჩამორჩენის შემთხვევისათვის;

- ტურისტის დაზღვევა სამთო-სათხილამურო კურორტებზე გამგზავრებისას თოვლის არ არსებობის ან არ მოსვლის შემთხვევებისათვის, ასევე კომპენსაცია გაიცემა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ტურისტი იძულებული იქნება გადაინაცვლოს სხვა კურორტზე დიდთოვლობის შემთხვევაში პირობების გაუარესების გამო;

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე დაზღვეულ ტურისტს არ აუნაზღაურდება იმ სადაზღვევო შემთხვევისაგან მიღებული ზარალი, რომელიც გამოწვეული იქნება თვით ტურის-

ტის დაზღვევის ხელშეკრულებაში არსებული პირობების საწინაარმდეგო ქმედებით, როგორიცაა სახალხო მღელვარებებში, საომარ მოქმედებებში მონაწილეობა, ალკოჰოლური ან ნარკოტიკული მდგომარეობის გამო ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენება და ა.შ. (მეტრეველი, 2008) დაზღვევის პრემიის სიდიდე დამოკიდებულია სამოგზაურო ქვეყანაზე, მარშრუტზე, მოგზაურობის ხანგრძლივობაზე და სადაზღვევო დაფარვის თანხის სიდიდეზე. ზოგიერთი ფირმა არ აზღვევს 75 წელზე მეტი ასაკის ადამიანებს და 3 წლამდე ბავშვებს. თანამედროვე პერიოდში ქვეყნებში, სადაც ტურიზმის დაზღვევა ახლა იყიდებს ფეხს პრობლემას წარმოადგენს ტურისტებისა და ტურისტული ფირმების მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის სრულად გააზრება, რასაც ხშირ შემთხვევაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გადაუხდელობა და პრეტენზიების მომრავლება მოსდევს. ამიტომ როგორც ტურისტული ფირმების წარმომადგენლები, ასევე ტურისტები კონსულტაციებს უნდა ღებულობდნენ სადაზღვევო კომპანიებისაგან, რომლებიც თანამშრომლობენ ტურისტულ ფირმებთან და მათთვის სავსებით მიუღებელია რეპუტაციის შელახვა ტურისტული ფირმების მხრიდან დაზღვევის პირობების გაუთვითცნობირებისა და ტურისტის შეცდომაში შეყვანის გამო. რიგ ქვეყნებში-შვეიცარიაში, ჩეხეთში, გერმანიაში შექმნილია ტუროპერატორების პასუხისმგებლობის დაზღვევის ფონდი, რომლებსაც მთავრობის დავალებით ქმნიან საზოგადოებრივი გაერთიანებები და ასოციაციები. დიდ ბრიტანეთში ბრიტანული ტურისტული საგენტოს ასოციაცია თავის შემადგენლობაში ღებულობს მხოლოდ კარგი რეპუტაციის კომპანიებს, ვინაიდან ეს ასოციაცია თავისებურ გარანტიას წარმოადგენს ფირმის საიმედობისათვის. ასოციაციაში განევრიანების მსურველმა კომპანიებმა უნდა წარადგინონ 50 000 ფუნტი სტერლიგი საპანკო გარანტია, ხოლო შემდეგ ნაღდ ანგარიშზე უნდა შეიტანოს 0.5-დან 1 %-მდე წლიური ბრუნვის შესაბამისი თანხა. ასოციაცია ყოველწლიურად ამოწმებს კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე ასოციაციაში განევრიანებული კომპანიების კლიენტების სადაზღვევო ანაზღაურება გარანტირებულია ასოციაციის მიერ.

ევროპის ბევრ ქვეყანაში სამოგზაურო ვიზების მისაღებად მოითხოვება დაზღვევის პოლისი გათვალისწინებული მოგზაურობის მთელ პერიოდზე და ამავე დროს გაცემული საიმედო და გადახდისუნარიანი სადაზღვევო კომპანიის მიერ.

საქართველოში ტურიზმის დაზღვევა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სადაზღვევო პერიოდი იწყება პოლისში მითითებული დღის 00:00 საათიდან, საქართველოს საზღვრის გადაკვეთისთანავე. პოლისში მითითებულ სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე მომხდარი შემთხვევა არ ანაზღაურდება. მოგზაურობის დაწყების შემდეგ გაფორმებული პოლისი ჩაითვლება ბათილად.

სტანდარტული (ერთჯერადი) სამოგზაურო დაზღვევა არის ერთჯერადი მოხმარების სამოგზაურო პოლისი, იმ ვადით რამელიც მითითებულია პოლისში. წლიური მრავალჯერადი დაზღვევის პოლისი საშუალებას გაძლევთ თავიდან აიცილოთ პოლისის მრავალჯერადი განახლება. თუ ხშირად გინევთ მოგზაურობა, წლიური მრავალჯერადი პოლისი შეგიძლიათ გამოიყენოთ მთელი წლის მანძილებზე (ერთი გამგზავრების მაქსიმალური ვადა 28 დღე). მოგზაურობების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

სადაზღვევო პრემიის გადახდა ხდება ერთჯერადად პოლისის გაცემისას. გადახდილი პრემია პოლისის მფლობელს დაუბრუნდება მხოლოდ პოლისში მითითებულსადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე და მხოლოდ იმ პირობით, რომ პოლისი არ იყო გამოყენებული ვიზის მისაღებად, რაც დადასტურდება პასპორტში ვიზის უქონლობით.

სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, მზღვეველი აანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევას მხოლოდ პოლისში მითითებული შესაბამისი სადაზღვევო თანხის (**50000 ლობარი**) ფარგლებში.

საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარება მრავალ პრობლემასთანაა დაკავშირებული, რომელთა შორის დაბალი შემოსავალი და სადაზღვევო დაცვის სიკეთის გაუთვითცნობიერებაა. ბოლო წლებში სადაზღვევო პროდუქტებს შორის ლიდერობს ჯანმრთელობისა და ქონების დაზღვევა. ჯანმრთელობის დაზღვევის გაფართოებას სახელმწიფო პროგრამებით დაზღვევამ

შეუწყო ხელი. ტურიზმის დაზღვევა დაზღვევის სხვა სახეებთან შედარებით ნელა განვითარებადია, რადგან იგი დამოკიდებულია ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის დაზღვევა არის ნებაყოფილობითი, იგი ჯერჯერობით ატარებს სავალდებულო ხასიათს, რადგან არცერთი მოქალაქე თავისტავად არ სარგებლობს დაზღვევით სხვა ქვეყანაში მოგზაურობისას, თუ იგი არ მოგზაურობს ტურისტული ფირმის მიერ მოწყობილი ტურებით. სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოში ტურიზმის მიმართულება 2003-წლიდან 2008 წლამდე 30%-ით იზრდებოდა, ხოლო 2009 წელს საქართველოში მილიონ ნახევრამდე ტურისტი იმყოფებოდა. ეს რათქმაუნდა კარგია შემოსავლები გაზრდის კუთხით, მაგრამ ტურიზმის დაზღვევის განვითარებას სჭირდება საქართველოდან გამსვლელი ტურისტების რაოდენობის ზრდა, ვინაიდან ტურიზმის დაზღვევის პროდუქტის მყიდველები უცხოეთში სამოგზაუროდ მიმავალი ტურისტები არიან. ამ მიმართულებით ტურისტთა რაოდენობა მცირეა. წლიურად საშუალოდ 2000-დან 4000-მდე ტურისტი გადის ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ტურიზმის დაზღვევის პროდუქტი ქართული სადაზღვევო კომპანიების მიერ 2005 წლიდან მიეწოდება მომხმარებელს, ძირითადად სამედიცინო დაზღვევის სახით და მისი ნილი ბაზარზე მხოლოდ 2 %-მდეა საერთო მოზიდულ პრემიაში. დაზღვევის ამ სახის გაფართოებისათვის საჭიროა მას მიეცეს სავალ-დებულო დაზღვევის სტატუსი უცხოეთში გამგსლელი ნების-მიერი მოქალაქისათვის, რომელიც განმტკიცებული უნდა იქნას კანონმდებლობით. მოსახლეობის სადაზღვევო კომპანებისადმი ნდობის ასამალებლად პროდუქტის შეთავაზების უფლება მიეცეს მაღალი ფინანსური მდგრადობის სადაზღვევო კომპანიებს, რადგან ადგილი არ ჰქონდეს სადაზღვევო ანაზღაურების გადაუხდელობას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. საქართველოში არსებობს ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური და მისი ფუნქციაა დავების არასასამართლო გზით მოგვარება და მონაწილეობა მოქალაქეებისათვის ინფორმაციის მიწოდებაში. მიმართვები დაყოფილია სამ კატეგორიად. პირველ კატეგორიაში შედის ის მიმართვები, რომელიც არის საინფორმაციო ხასიათის. მეორე კა-

ტეგორია არის მარტივი მედიაცია. მასში ერთიანდება მიმართვები, როცა ესა თუ ის საკითხი შეიძლება მარტივად გადაწყდეს — უკავ-შირდებიან კომპანიას, ეხმარებიან ადამიანებს, აძლევენ განმარტებას და არა მშრალ ინფორმაციას აწვდიან, არამედ აკვალიანებენ კიდეც. მიმართვების მესამე კატეგორია არის რთული მედიაცია. ამ კატეგორიაში შედის უკავე კონკრეტულად ჩამოყალიბებული დავა, როცა მხარეები ერთმანეთს არ ეთანხმებიან და საჭირო ხდება მედიაციის სამსახურის ჩართვა, რათა მხარეები მოარიგოს და გამოიტანოს სწორი გადაწყვეტილება. მიმართვა შეუძლია შეიტანოს კომპანიამაც და დაზღვეულმაც. უფრო მეტი მიმართვები შეაქვთ დაზღვეულებს. აღნიშნული სისტემა ძალზედ ამარტივებს და სრულყოფს ურთიერთობებს სადაზღვევო კომპანიასა და დაზღვეულებს შორის, რაც საბოლოო ჯამში მოსახლეობაში აამაღლებს ნდობას სადაზღვევო კომპანიებისადმი და გაზრდის ამათუ იმ სახის სადაზღვევო პროდუქტზე მოთხოვნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბირჟაკოვი მ. ტურიზმის თეორია, თბ., 2008;
2. ფინანსური მონიტორინგის სააგენტო. თბ., 2010;
3. მეტრეველი მ. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები, თბ., 2008.

**Asiko Tsintsadze
Vladimer Ghlonti**

TURISM ENSURANCE
Summary

The industry of tourism is characterized by variety. Variety makes risky this branch of business. According to objects, risks may be separated into tow groups: risks, which directly harms the users of tourist service and risks, which harms the tourist firm. Development of tourist business in parallels requests development of activities, which means the insurance of tourist from risks. For expansion of this kind of insurance it is necessary to be given to it the status of compulsory insurance for every civil going out to foreign countries.

საპანკო დეპოზიტების დაზღვევა, როგორც რისკების მართვის მეთოდი

ირინა ვაშაყაძე

საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობის თან-
მდევ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე რთული არის საბან-
კო დეპოზიტების საიმედო დაცვის ღონისძიებათა შემუშავება და
განხორციელება.

სადაზღვევო ფონდის რესურსების მართვა, დამზღვევების
მხრიდან ობიექტურად ითხოვს მათგან სადაზღვევო რისკის შეფა-
სებას, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ფაქტებსა და გამოყენების
ანალიზს, მათ დაკვირვებას, განზოგადოებასა და სისტემატიზაცი-
ას. ყოველივე ამის შედეგად ყალიბდება სადაზღვევო რისკის სა-
მეცნიერო ცოდნა და მისი შეფასება.

კომერციული ბანკები ვერ შეძლებენ რეალური სექტორის
დაკრედიტების გაფართოებას, თუ კრედიტების დაბრუნებასთან
დაკავშირებული პრობლემების წარმოქმნისას სახელმწიფო მათი
ინტერესების დაცვას არ უზრუნველყოფს. ალნიშნული მდგომარე-
ობის გამოსავალი დეპოზიტების დაზღვევის სიტემის ჩამოყალიბე-
ბაში უნდა ვეძებოთ, რაც სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას მო-
ითხოვს.

ვინაიდან დანაზოგების უმნიშვლელოვანესი ნაწილი მოდის
წვრილ მეანაბრეებზე, მათი ანაბრების დაცვა განსაკუთრებულ
მნიშვნელობას იძენს, რათა შენარჩუნდეს დაგროვების და სოცია-
ლური სტიმულირების უზრუნველყოფი ნორმების მაღალი თუ
არა, მისაღები დონე მაინც. სწორედ წვრილი მეანაბრეების დიდი
რაოდენობა ქმნის საბანკო კრიზისებისა და პანიკის განსაკუთრე-
ბულ კრიტიკულ მდგომარეობას ანაბრების მასიური დაკარგვის
დროს და ამძაფრებს უქმაყოფილებას.

გარდამავალ პერიოდში ბანკის მეანაბრეები ექვემდება-
რებიან სამი ტიპის რისკებს.

1. ინფლაციური რისკები-რომელიც დაკავშირებულია შეტანილი თანხების ინფლაციურ გაუფასურებასთან, რომელსაც ვერ ფარავს დარიცხული პროცენტი. საპროცენტო განაკვეთების დაწესების სრული საბაზო თავისუფლების დროსაც კი წვრილი მენაბრეები ვერ იღებენ იმ პროცენტს, რომელიც გადაფარავდა ფასების ზრდის ფაქტიურ ზრდას.

2. საკრედიტო რისკი-რომელიც დამახასიათებელია დეპოზიტური ოპერაციისათვის, როგორც ნებისმიერი არაუზრუნველყოფილი სესხისათვის. ესაა ბანკის გაკოტრებისა და ანაბრების დაუბრუნებლობის ან დაბრუნების შეფერხების სხვადასხვა ვარიანტების რისკი.

3. პოლიტიკური რისკი-რომლებიც დაკავშირებულია მეანაბრის მიმართ სახელმწიფოს მიერ შემზღვდავი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობასთან.

ანაბრების დაზღვევის სისტემის შექმნა კომერციული ბანკების პასივების მნიშვნელოვნად გაზრდისა და მოზიდული რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების შესაძლებლობას იძლევა. მოსახლებისათვის უპირატესობას წარმოადგეს ყოველგვარი შიშისგარეშე ბანკებში თავიანთი სახსრების ინვესტირებისა და მათგან შესაბამისი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

ანაბრების დაზღვევის უპირატესობაა ისიც, რომ იგი ამცირებს საბანკო კრიზისის რისკს, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ანაბრების პანიკურ მასიურ გატანებთან საიმედო ბანკებიდან ანუ თუ მენაბრეებს ეცოდინებათ რომ მათ სახსრებს ანაბრების დაზღვევის სისტემის წყალობით არაფერი არ ემუქრებათ, მათ ბანკიდან თანხების გატანის ნაკლები მოტივაცია ექნებათ, მაგრამ მიუხედავთთ ამისა, ანაბრების დაზღვევის კონცეფცია საკმაოდ ნათელი და მარტივია, პრაქტიკაში მისი რეალიზება ძალზე რთულია.

სხვა ეკონომიკურ პირობებთან ერთად საბანკო სისტემის მდგრადობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს კარგად გააზრებული და მოქნილი ანაბრების დაზღვევის სისტემა, რომელიც შეხამებულია ეფექტური საბანკო ზედამხედველობას, გამჭვირვლე ანგარიშების სისტემას და გამართულ საკანონმდებლო და ნორმატიულ ბაზასთან.

პრაქტიკაში სადაზღვევო ანაზღაურების რეალური ზომა განსხვავდება მოსალოდნელ მაჩვენებლებისაგან, რის გამოც მზღვეველის აღებული ვალდებულება გასტუმრებისათვის საჭირო ფაქტიური დანახარჯი არ ემთხვევა მოზიდულ სადაზღვევო პრემიების მოცულობას. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც შემთხვევითი გადახრებით, ასევე ხანგრძლივი დროის მანძილზე ზარალის გამომწვევი საფრთხის ბუნების შეჩვლით. გარდა ამისა, რეალურად მიღებული და წინასწარ გაანგარიშებულ ზარალის მაჩვენებლებს შორის გადახრა შეიძლება იყოს იმ შეცდომის შედეგი, რომელიც იქნა წინა პერიოდის ინფორმაციის ანალიზისას.

შემთხვევითი გადახრების რისკი-ეს არის ცვალებადობა ფაქტიურად დამდგარ ზარალსა და მის წინასწარ დაანგარიშებულ საშუალო მნიშვნელობებს შორის, რაც განპირობებულია ზარალის შემთხვევითი ხასიათით ასეთი სახის რისკების რიცხვს მიეკუთვნებიან: კუმულაციური რისკი, ჯაჭვური რეაქციის გამომწვევი რისკი და კატასტროფული რისკი.

იმისათვის, რომ მზღვეველმა შეამციროს შემთხვევითი გადახრების რისკი, შეიძლება მიიღოს შემდეგი ზომები: სადაზღვევო პრემიაში დანამატის ჩართვა ზარალის არასასურველი გადახრების დასაბალანსებლად, სადაზღვევო პორტფელის გაზრდა, გადაზღვევისა და თანადაზღვევის პრაქტიკის გამოყენება, ზარალობის ცვალებადობის დროში განინასწორება გრძელვადიანი ხელშეკრულების დადების გზით, საკმარისი ოდენობის ფინანსური რესურსების არსებობის უზრუნველყოფა.

ზომები, რომლებიც შეიძლება მიიღოს მზღვეველმა გარემოებების შეცვლის რისკის შესამცირებლად არის, სადაზღვევო პრემიაში დანამატის შეტანა ზარალის არასასურველი გადახრის დასაბალანსებლად, მოკლევადიანი ხელშეკრულებებისათვის უპირატესობის მინიჭება, სადაზღვევო ხელშეკრულებაში შენიშვნის დამატება სადაზღვევო პრემიის შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემამდე, დასაზღვევად მიღებული რისკების დივერსიფიკაცია, საკმარისი ოდენობის საკუთარი კაპიტალის ქონა.

შემთხვევითი გადახრებისა და გარემოებების შეცვლის რისკების განხილვის დროს იგულისხმება, რომ ზარალის ალბათური განაწილება ცალკე რისკებისა და სრული პორტფელის მიხედ-

ვით მთლიანობაში ცნობილია და აქედან გამომდინარე პოტენციური ზარალის გათვლის საფუძველში ჩადებულია სწორი სიდიდეები.

თუმცა, როგორც წესი, მზღვეველი ხშირად არ ფლობს სრულ ინფორმაციას. შეცდომის დაშვების ალბათობა იზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელი ზარალის სიდიდის გათვლა ეყრდნობა არასწორ ან არასაკმარის რისკ-ფაქტორებს. ზომები, რომლებიც შეიძლება მიიღოს მზღვეველმა შეცდომის რისკის მინიმიზაციისათვის შემდეგია: საიმედო ზარალიანობის სტატისტიკის გამოყენება, სადაზღვევო პრემიის გათვლისას ადეკვატური რისკ-ფაქტორების გათვალისწინება, სარისკო სიტუაციის ცვლილების შემთხვევაში რისკ-ფაქტორების ნუსხის კორექტირება და სატატისტიკური მეთოდების გამოყენება რისკის შეფასებისას.

არსებობს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის „სუსტი წერტილები“ ანაბრების დაზღვევის პროექტები, ისევე როგორც სხვა სახის დაზღვევები პირდაპირ უკავშირდება „მორალულ რისკს“, რომელიც ათავისუფლებს ეკონომიკური აგენტების პასუხისმგებლობას მათი ქმედებების მოსალოდნელი შედეგებისაგან. ამიტომ ბანკის მეანაბრეებმა შეიძლება ხელი შეუწყონ მორალური რისკის წარმოქმნას, ვინაიდან ისინი აღარ თვლიან თავიანთ ვალდებულებად შეაფასონ რისკი, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ ბანკში ანაბრის შეტანასთან ასეთ შემთხვევაში მეანაბრეები აირჩევენ ბანკს, მათი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ისინი ბანკს ირჩევენ მხოლოდ მათ მიერ შემოთავაზებული საპროცენტო განაკვეთების მიხედვით. შესაბამისად ნაკლებად საიმედო ბანკმა შეიძლება მოიზიდოს დამატებითი დეპოზიტები. მეანაბრეთა ასეთი მოქმედება გამოიწვევს კომპენსაციის აუცილებელი მოცულობის ზრდას.

ამრიგად, საბანკო დეპოზიტების დაცვის სისტემას სისტემური ხასიათი რომ ჰქონდეს და ამასთანავე არ ენინაალმდევებოდეს საბაზრო სტიმულირებას ამისათვის აუცილებელია საბანკო საქმიანობის და სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე სადაზღვევო სისტემისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სადაზღვევო სისტემის ადმინისტრაციული რეგულირების ორგანიზაცია, სადაც გათვალისწინებული იქნება დაზღვევის სავალდებულო სისტემის შექმნა, სადაზღვევო სისტემის ფინანსური და საკრედიტო უზრუნ-

ველყოფა. საბოლოოდ ეფექტიანად ფუნქციონირებადი დეპოზიტების დაზღვევის სისტემა იქცევა მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვად მეთოდად.

Irina Vashakmadze

Banking Deposit Insurance as the Risk Management Method

summary

One of the problems existed in Georgian commercial banks is the elaboration of the reliable protecting measures of banking deposit and their realization.

Commercial banks can not expand crediting of real sector if there is no state guaranty of their rights protection in case of problems with deposit return. One way out of that situation is formation of deposit insurance system supported by the state. In the end effectually functioning deposit insurance system will become one of the important risk management methods.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვაშაყმაძე ი. „საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის მნიშვნელობა ეკონომიკის სტაბილიზაციის უზრუნველყოფაში; მონოგრაფია 2005;
2. ცაავა გ. საბანკო დეპოზიტებისა და მოსახლეობის ანაპრების დაზღვევის ფონდის შესახებ. ჟურნალი „ბანკი“ 2001წ. 3 გვ. 31;
3. ადეიშვილი ნ. „დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, უცხოური გამოცდილება და მისი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები. თბ. ფსკი 2002 გვ.284.

გადამხდელთა უფლებები

საგადასახადო აღმინისტრირების დროს

არ უძღა ირღვეოდეს

ჯემალ ანანიძე
სულიკო ფუტკარაძე

მოქმედ საგადასახადო კოდექსში ყველაზე რთულად აღსაქმელი, ზომაზე მეტად მკაცრი და უხეში გადამხდელთა საგადასახადო აღმინისტრირების, საგადასახადო სამართალდარღვევებზე რეაგირების მარეგულირებელი დებულებებია. ისინი საგადასახადო ორგანიზმებს, ვადამხდელებთან შედარებით, უპირატესობას უქმნიან. ამასთან, შესაძლებელია ამ ნორმების თავისუფალი ინტერპრეტირებაც, რაც გადამხდელებზე და აქედან გამომდინარე, ბიზნეს გარემოზე უარყოფითად აისახება.

ნებისმიერ ფასად, ბიუჯეტში თანხების ამოლების მოტივაცია (თუ დავალება) საგადასახადო ორგანოებს აიძულებს გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც გადამხდელებზე დამატებითი გადასახადების დაკისრებას, მათზე ფინანსური სანქციების დარიცხვას და დასჯის მექანიზმების მორგებას ემსახურება. მეტწილად, ეს მოქმედი კანონმდებლობის უხეშად დარღვევის, ნორმების არასწორად გამოყენების თუ ინტერპრეტირების ხარჯზე ხორციელდება.

სსკ-ს 134-ე მუხლის (გადახდის წყაროსთან გადასახადის თანხის დაუკავებლობა) თანახმად, საგადასახადო აგენტის მიერ გადახდის წყაროსთან გადასახადის თანხის დაუკავებლობა ან/და დაკავებული გადასახადის თანხის ბიუჯეტში არასრულად გადახდა იწვევს საგადასახადო აგენტის დაჯარიმებას დაუკავებელი ან/და ბიუჯეტში ჩაურიცხავი გადასახადი თანხის 10%-ის ოდენობით.

საგადასახადო ორგანო, შემოწმებების დროს აღმოაჩენს თუ არა ფაქტს, როცა გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი საგადასახადო აგენტის მიერ იმავე დღეს არ არის ბიუჯეტში

ჩარიცხული და თუ მას პირადი აღრიცხვის ბარათზე საშემოსავლო გადასახადის ნაწილში არ გააჩნია შესაბამისი თანხის ზედმეტობა, სსკ-ის ზემოაღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით, ასეთ გადამხდელს დაუყოვნებლივ აკისრებს ჯარიმას გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის 10%-ის ოდენობით, რაც უმეტეს შემთხვევაში არა-მართლზომიერია. არგუმენტად გამოდგება სსკ-ის მე-12 მუხლის 24-ე ნაწილი, რომელიც იმპერატიულად განმარტავს: „საგადასახადო დავალიანება - ესაა სხვაობა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ჯამური საგადასახადო ვალდებულებებისა და მის მიერ ცალკეული გადასახადების ან/და სანქციების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის.“ ე.ი. გადამხდელს მაინცდამაინც საშემოსავლო გადასახადში კი არ უნდა გააჩნდეს შესაბამისი თანხის ზედმეტობა, რომ მასზე 10 %-იანი ჯარიმა არ გავრცელდეს, არამედ საგადასახადო დავალიანება გადამხდელთათვის (საგადასახადო აგენტისათვის) განისაზღვრება ჯამურად, საგადასახადო ვალდებულებების და მათი შესაბამისი გადახდების დაბალანსების შედეგად და თუ მათ შორის წარმოქმნება უარყოფითი სალდო, მხოლოდ ამ შემთხვევაში წარმოქმნება გადასახადის გადამხდელს საგადასახადო დავალიანება. ამდენად, თუ გადამხდელს საერთო ჯამში (ყველა გადახდების ჩათვლით) აქვს ზედმეტობა (რაც ტოლია ან მეტი გადახდის წყაროსთან დაკავებულ საშემოსავლო გადასახადზე) სსკ-ის 134-ე მუხლით გათვალისწინებული 10%-იანი ჯარიმა მასზე არ უნდა გავრცელდეს, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ზედმეტობა ვერ ფარავს დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ნაწილს, ჯარიმა 10%-ის ოდენობით, ზედმეტად გადახდილი გადასახადების ჯამსა და წყაროსთან დაკავებულ საშემოსავლო გადასახადს შორის წარმოქმნილი ნარჩენზე უნდა გავრცელდეს.

ხშირია შემთხვევებიც, როცა საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლები, სრულიად უკანონოდ და არამართლზომიერად, გადამხდელებს დამატებით გადასახდელად საშემოსავლო გადასახადს არიცხავენ არადაქირავებულ ფიზიკურ პირებისთვის გაცემულ თანხებზე (დახმარება, ქველმოქმედება და სხვა), სსკ-ით ეს თანხები არ წარმოადგენენ გადახდის წყაროსთან დაბეგვრის ობიექტებს (გარდა საწარმოს თანამშრომლებისა და დაქირავებულებ-

ზე გაცემული თანხებისა) და მას „გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციაში შესაბამისი სტრიქონიც კი (33) აქვს დათმობილი;

პრაქტიკაში ხშირია საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლის მე-6 ნაწილის ბ) ქვეპუნქტის მოთხოვნათა ინტერპრეტაციით გადამხდელთათვის თავსმოხვევის შემთხვევებიც. ამ მუხლში აღნიშნულია, რომ „საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს: სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კლასიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს.“

ფაქტობრივად, ეს ნორმა შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპის გამოხატულებაა, რომელსაც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (სწორედ აღნიშნულ სტანდარტი ეყრდნობა მოქმედი საგადასახადო კოდექსი) ასე განმარტავს: „ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენად გათვალისწინებული ინფორმაცია სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შესახებ აუცილებელია აისახოს შინაარსისა და ეკონომიკური რეალობის და არა მხოლოდ მათი სამართლებრივი ფორმის შესაბამისად. სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შინაარსი ყოველთვის არ შეესაბამება მის სამართლებრივ ფორმას“...

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის ამ, სრულიად გასაგები, განმარტების მიუხედავად, მეწარმე სუბიექტების მიერ შესრულებულ ცალკეულ სამეურნეო ან ფინანსურ ოპერაციებს, მათი შინაარსისა და არსის შეუსწავლელად, ანიჭებენ არასწორ კვალიფიკაციას და გადამხდელებს ხელოვნურად უზრდისან დასაბეგრ შემოსავლებს, შესაბამისად, მათზე სრულიად არამართლზომიერად და უსაფუძვლოდ ავრცელებენ ფინანსურ სანქციებს.

გადამხდელების უსაფუძვლო დასჯის ყველაზე მანკიერ პრაქტიკად იქცა საგადასახადო ორგანოს მიერ საბაზრო ფასების არსის დამახინჯებული ინტერპრეტაცია.

სსკ-ის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს: **საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი განისაზღვრება ბაზარზე ამ საქონლის/მომსახურების მიწოდების მომენტისთვის (ხოლო ასეთის**

არარსებობის შემთხვევაში – რეალიზაციის მომენტის უახლოესი კალენდარული დღისთვის, რომელიც არა უმეტეს 30 კალენდარული დღით უსწრებს ან მოჰყვება ასეთი საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მომენტს) იდენტურ (მსგავს) საქონელზე/მომსახურებაზე დადებული გარიგების, მათ შორის, საერთაშორისო და სხვა პირუებზე დაფიქსირებული ფასების შესახებ ინფორმაციის, საფუძველზე.

ამ ჩახლართული და რთულად აღსაქმელი ნორმის მიხედვით, საბაზრო ფასის განსაზღვრისთვის საჭიროა, სულ ცოტა, ასეთი საქონლის/მომსახურების იდენტურ (მსგავს) საქონელზე/მომსახურებაზე დადებული გარიგებების, მათ შორის, საერთაშორისო და სხვა პირუებზე დაფიქსირებული ფასების შესახებ ინფორმაცია, რომლის სტატისტიკა არ არსებობს და საქართველოში ეს ინფორმაცია არაშესადარისია, ყველაზე უარეს შემთხვევაში კი, მისი სარწმუნობის ხარისხი მინიმალურიც არ არის. ამდენად, აქ ყოველთვის იარსებებს განსხვავებული აზრი.

უკანასკნელ პერიოდში გახშირდა გადამხდელთა შემოწმებული პერიოდების განმეორებითი შემოწმებები, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს 2001 წლის 8 ივნისის კანონის მე-4 მუხლის 1 ნაწილის იმპერატრულ მოთხოვნას, რომლის შესაბამისადაც: „თუ მენარმე შეამოწმა უფლებამოსილმა მაკონტროლებელმა ორგანომ, დაუშვებელია საქმიანობის იმავე საკითხთან დაკავშირებით იგი შეამოწმოს სხვა მაკონტროლებელმა ორგანომ (გარდა ამ კანინის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ან იმავე მაკონტროლებელი ორგანოს სხვა დანაყოფმა.

ამავე კანონის მე-5 ნაწილის მე-2 პუნქტი კი მიუთითებს: „ყველა მაკონტროლებელ ორგანოს ეკრძალება მოსთხოვოს მენარმეს ისეთი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს“. კონტროლის პალატა საფინანსო -სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა შემოწმებისას უფლებამოსილია შესაბამისი ორგანოსაგან მოითხოვს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ამსახველი დოკუმენტებისა

და ინფორმაციის წარდგენა მათი კამერალური შემოწმების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა განმეორებითი შემოწმება არამართლზომიერი და უკანონოა, ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინა-აღმდეგება კანონს. მაკონტროლებელთა მიერ უკვე შემოწმებული საკითხების გამეორებითი შემოწმებებისას შედგენილ აქტებს ფაქტობრივად, არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნიათ, მაგრამ ამას, ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავების განხილვის დროს, სამართლებრივი შეფასება არ ეძლევა იმ მოტივით, რომ ფაქტების სამართლებრივი შეფასება მათ კომპეტენციას არ განეკუთვნება და გადამხდელთა მიერ შეტანილი საჩივრები არ კმაყოფილდება. არადა, გადასახადის გადამხდელის ნებისმიერი, მათ შორის, სამართლებრივი გადაცდომა (გასაჩივრების ვადის დარღვევა, დადგენილი ფორმატით საჩივრის შეუდგენლობა და ა.შ.), საგადასახადო ორგანოს მიერ ოპერატორულად, მოქნილად გამოიყენება გადასახადის გადამხდელთა წინააღმდეგ, მეტნილ, ისინი გადამხდელის საჩივრის განუხილველობის (ან კიდევ დაუკმაყოფილებლობის) საფუძველი ხდება.

უკანასკნელ პერიოდში ასევე გახშირდა შემთხვევები, როცა საგადასახადო ორგანოების მიერ განხორციელებული საკონტროლო შესყიდვისას, გადამხდელებს საშუალო შენონილი მეთოდით განსაზღვრულ სავაჭრო ფასნამატის საპროცენტო დანარიცხს უკუსვლით უვრცელებენ წელიწად, წელიწადნახევრის და ზოგჯერ უფრო მეტ პერიოდში რეალიზებულ მთელ საქონელზე. ამასთან, საკონტროლო შესყიდვებს მაკონტროლებლები უმეტესილად ახორციელებენ იმ საქონელზე, რომლებზეც მაღალი მოთხოვნილებაა და შესაბამისად, მოვაჭრებიც მათზე მაღალ სავაჭრო დარიცხვებს ახდენენ, შედეგად გამოდის, რომ აღნიშნული მაღალი სავაჭრო დარიცხვები ვრცელდება ისეთ საქონელზეც, რომლებზეც შედარებით ნაკლები მოთხოვნილებაა და მათზე ისედაც დაბალი სავაჭრო დარიცხვები კეთდება.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ საქონელზე მოთხოვნილების ცვლილებასთან ერთად იცვლება მათზე სავაჭრო დარიცხვაც. ფა-

სი, როგორც წესი, მოთხოვნა-მიწოდებასთან მჭიდრო კავშირშია და მაკონტროლებელთა მიერ ზემოთმოყვანილი საკითხების მიმართ ამგვარი მიდგომა კეთილგანწყობილ (გონივრულ) ჩარჩოებს სცილდება.

ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ არაერთხელ იქნა დაფიქსირებული აღნიშნულთან დაკავშირებით პოზიცია, რომ მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გადამხდელთა ადმინისტრირების ნორმები ისედაც მკაცრია და მაკონტროლებლები კანონის ცალკეული მუხლებისა და დებულებების არამართლზომიერი ინტერპრეტირებით აღარ უნდა ცდილობდნენ მათ კიდევ უფრო დამძიმებას. თუ საგადასახადო კანონის რომელიმე ნორმის ორგვარი გაგება ხდება - იგი ყოველთვის გადამხდელის სასარგებლოდ უნდა წყდებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 692-რს, 22/12/2004, თბილისი
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, 2006წ. თბილისი

**Джемал Ананидзе
Сулико Путкарадзе**

Права налогоплательщиков не должны нарушаться во время налогового администрирования

В действующем налоговом кодексе самым трудновосприимчивым, чрезмерно строгим и грубым являются регулирующие постановления на налоговое администрирование налогоплательщиков и реагирование на налоговые правонарушения.

По сравнению с налогоплательщиками более благоприятные условия они создают налоговым органам. Вместе с тем, возможна и свободная интерпретация этих норм, что отрицательно отражается на налогоплательщиках и соответственно, на бизнес-среде.

**Jemal Ananidze
Suliko Putkaradze**

The rights of tax payers should not be broken under the tax administration

The adjusting regulations of tax administration of the tax payers and reaction on the tax delinquency are the most hard-perceptive, extremely strict and blatant. They make more favorable conditions for the tax administration bodies rather than for the tax payers. At the same time it is possible to make the free interpretation of these regulations, that may negatively reflect on the tax payers and consequently for the business environment.

სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართების ევოლუციის საკითხისათვის

მურმან გორგოშაძე

სამოქალაქო საზოგადოების თეორიული ანალიზი თანამედროვე სოციალური მეცნიერების ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. მას სხვადასხვა დარგის სპეციალისტები სწავლობენ. მისი კვლევის აქტუალობა იმითაა განპირობებული, რომ სამოქალაქო საზოგადოებას უკავშირებენ საზოგადოებაში წარმოშობილი დაპირისპირებებისა და კონფლიქტების ეფექტურ გადაწყვეტას; ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დაცვას; კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას და სხვა. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურის¹ გაცნობისა და ანალიზის სა-

1 სამოქალაქო საზოგადოება, რედაქტ. ლევან ბერძნიშვილი, გიგა ბოკერია, თბ., 1998; გია ნოდა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მილნეგები და გამოწვევები: სტრატეგიის განცხადი, თბ., 2005; მარინა მუსელიშვილი, სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი, თბ., 2006; ოთარ მელქაძე, სამოქალაქო საზოგადოება: ფორმრების პროცესები, თბ., 2004; ვახტანგ ერქომაიშვილი, რა არის სამოქალაქო საზოგადოება, წიგნში ვახტანგ ერქომაიშვილი, ადამიანი თავისუფლება, იდეოლოგია, თბ., 2002; გივი ლობჟანიძე, საქართველო და სამოქალაქო საზოგადოება, წიგნში გივი ლობჟანიძე, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2001; გივი ლობჟანიძე, სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, წიგნში გივი ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამაღლის ზოგადი თეორია, თბ., 2003; ოთარ მელქაძე, სამოქალაქო საზოგადოება, წიგნში ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბ., 2005; ვალერიან რამაშვილი, სამოქალაქო საზოგადოება, წიგნში ვალერიან რამაშვილი, ფილოსოფია, თბ., 2009; თამარ გარდაფხაძე, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების სამართლებრივი საფუძვლები // სამართლი, 2002, 5-6; თამარ გარდაფხაძე, სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი საფუძვლები, წიგნში „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, თბ., 2003; ნაირა ნაკაშიძე, სამართლებრივი სახელმწიფოს სრულყოფის პერსპექტივები // სამართლი, 2004, 1-2; ნუგზარ ფუტკარაძე, საარჩევნო სისტემები სამოქალაქო საზოგადოებაში // კოდიკი, 1999, 1; ა.ა.ივანოვი, 6. დარბაძე, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობა, წიგნში — სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 2009; Новицкий М., Правовое государство, М., 2000; Гражданское общество: истоки и современность, М., 2002; Алексанян А.С., К вопросу об определении понятия «гражданское общество» // Вопросы философии. -2006. № 12; Арато А., Концепция о гражданском обществе: восхождение, упадок и воссоздание - и направления для

ფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საზოგადოების ზოგიერთი საკითხი ბოლომდე არაა გარკვეველი, ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას, დაპირისპირებასაც კი. ერთ-ერთ ისეთ საკითხს, რომელიც შემდგომ კვლევას მოითხოვს, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების საკითხი წარმოადგენს. კლასიკური პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნება, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის შემდეგ მიღება გვთავაზობს:

პირველი, სახელმწიფო თავისთავზე იღებს სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციას და ამით სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობას საჭიროდ არ მიიჩნევს. ეს ხდება მაშინ, როცა საზოგადოების მართვის პოლიტიკური და სოციალური სფეროები არ არის ერთმანეთისაგან განცალკევებული (Чукин С.Г., Волков Ю.Н., 2002, 192);

მეორე, სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც გაიგივებულია სახელმწიფოს მიღმა არსებულ სოციუმთან და შესაბამისად მას ფაქტობრივად არ გააჩნია სახელმწიფოზე რეალურად ზემოქმედების მექანიზმი (Резник, Ю.М. 2005, 438.).;

далнейших исследований // Полис. -2005. -№ 5; Гаджиев К.С., Концепция гражданского общества: идеинные источники и основные вехи формирования // Вопросы философии, 2004, №6; Орлова О.В., Автономия личности и автономия гражданского общества // Государство и право, 2006, №1; Черниловский З. М., Гражданское общество: опыт исследования // Государство и право, 1992, №6; Матузов Н.И., Гражданское общество: сущность и основные принципы // Правоведение, 1995, №3; Вакула А.И., Концепция гражданского общества в трудах Б.Н. Чичерина // Философия права, 2009, №6; Головко Ю.М., Важность права в построении гражданского общества // Закон и права, 2010, №2; Гражданское общество и правовое государство, <http://www.vuzlib.net/beta3/html/1/16533/16618/> და სხვა.

მესამე, სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენილია სახელმწიფოს ოპოზიციის ცენტრად, რომელიც ოპოზიციურადაა განწყობილი სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ (ერქომაიშვილი ვ., 2002, 369; გაჯიევ კ.ც., 2004, 19-20).

საკამათოდ მიგვაჩნია სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს მესამე მიდგომა, ჩვენი აზრით, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართება, სახელმწიფოს არსის ცვლილების შესაბამისად იცვლებოდა და დღეისათვის განვითარებულ სახელმწიფოებში სამოქალაქო საზოგადოება არ წარმოადგენს სახელმწიფოსადმი ოპოზიციურად განწყობილ სეგმენტს.. მართლაც, თანამედროვე გაგებით სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბებას იწყებს აბსოლუტიზმის ეპოქაში, მაშინ როცა ბიუროკრატიულმა სახელმწიფო მანქანის ფორმირებამ, მაქსიმალურად შეავინწოდვა ყოველგვარი საზოგადოებრივი, როცა თვითმმართველობა და წარმომადგენლობა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, როცა სახელმწიფო საბოლოოდ დაუპირისპირდა საზოგადოებას. ასეთ ვითარებაში სამოქალაქო საზოგადოება იქცა ამგვარი აბსოლუტიზმის, ამგვარი სახელმწიფოს საპირწონედ, მის მოწინააღმდეგებ (Теория, 2007, 454). როგორც ყველავთ, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების დაპირისპირების იდეა სათავეს იღებს იმ ეპოქიდან, როცა ყალიბდებოდა სამოქალაქო საზოგადოება აბსოლუტიზმთან მეტოქეობით, როცა სახელმწიფოს სურვილი ჰქონდა სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დაექვემდებარებინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. თანდათანობით იცვალა რა თავისი არსი და ფუნქცია სახელმწიფომ, მასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დამოკიდებულებაც შეიცვალა, ეს კარგად ჩანს თანამედროვე სახელმწიფოს მაგალითზე.

თანამედროვე სახელმწიფოს არსი გამააქტიურებელი სახელმწიფოს კონცეფციით (გამააქტიურებელი სახელმწიფოს შესახებ დაწვრილებით იხილეთ: იზორია ლ., 2009), გამოიხატება. ამ კონცეფციის მიხედვით თანამედროვე სახელმწიფოსა და მისი ადმინისტრაციის უმთავრესი მიზნის (არსის) — საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობის — უზრუნველყოფა თავად საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობითაა უკეთ შესაძლებელი, ამიტომ თანამედროვე სახელმწიფომ აქცენტი საზოგადოების

თითოეული წევრისა და მისი ორგანიზაციული ერთეულების გააქტიურებაზე, მათი შესაძლებლობების გამოვლენაზე გადაიტანა. გამააქტიურებელი სახელმწიფოს მთავარი კრედო სწორედ საჯარო ადმინისტრაციის მხრიდან ამ საზოგადოებრივი ფაქტორების გააქტიურება გახლავთ. რაც გულისხმობს, რომ

- მხოლოდ სახელმწიფოს არ შესწევს ყველა პრობლემის მოგვარების უნარი და ძალა;

- საზოგადოებამ უფრო მეტი როლი უნდა ითამაშოს როგორც საზოგადოებრივი, ასევე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე პრობლემების გადაჭრაში;

- გარკვეული საჯარო ამოცანები სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა შეასრულოს;

- სახელმწიფომ უნდა ითამაშოს დირიჟორის როლი, რომელიც საზოგადოებრივი ამოცანების შესასრულებლად სხვადასხვა სუბიექტებს შორის პასუხისმგებლობას ანაზიღებს;

- სახელმწიფო ააქტიურებს საზოგადოებრივ ენერგიას და მისი მაქსიმალური გამოვლენისათვის საჭირო პირობებს უზრუნველყოფს.

როგორც ვხედავთ, გამააქტიურებელი სახელმწიფოს კონცეფციის მიხედვით, იერარქიული პოზიციებიდან სახელმწიფოს მიერ საზოგადოებაში ჩარევის იდეას ცვლის მის მიერ საზოგადოების დარწმუნების, თანამონაწილეობისა და თანამშრომლობის იდეა. რასაკვირველია, ამ თანამშრომლობისას სახელმწიფოს პოლიტიკა ძირითადი და განმსაზღვრელი, მაგრამ იცვლება სახელმწიფოს პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების ფორმები, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამედროვე სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციისა და როლის დასადგენად, ასევე თანამედროვე სახელმწიფოსთან მისი მიმართების გასარკვევად.

ამასთანავე, საზოგადოების მხარეთა შორის საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა, თანამედროვე სახელმწიფოში, სოციალური კომპრომისის მეშვეობით ხდება. სახელმწიფო განიხილება, როგორც რაღაც კონსტრუქტორი, რომელიც საზოგადოებრივ თანხმობას უზრუნველყოფს კომპრომისებისა და ადამიანთა შეთანხმების მეშვეობით (ველენკო Б.И., 2010, 19) და რადგან საზოგა-

დოება ვითარდება გართულებისა და დიფერენციაციის გზით, ამიტომ სახელმწიფოს, როგორც კომპრომისებისა და თანხმობის მექანიზმის როლი კიდევ უფრო გაიზრდება. კომპრომისებსა და თანხმობაზე იმ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი, როცა ცნობილი იქნება საზოგადოებრივი ერთობების ინტერესები, ამ ინტერესების ფორმირება თუ არა, მისი გამოვლენა მაინც სამოქალაქო საზოგადოების საშუალებით ხდება, რის გამოც არა მხოლოდ იზრდება, არამედ იცვლება კიდეც სამოქალაქო საზოგადოების როლი თანამედროვე სახელმწიფოში.

თანამედროვე სახელმწიფო საზოგადოებას განიხილავს, როგორც სოციალური ინტეგრაციისა და გარკვეული დამოუკიდებლობის მატარებელ სფეროდ, რომელიც ორგანიზაციებისა და მოძრაობების საშუალებებით ახდენს თვითორგანიზაციას და მონიდებულია საკუთარი ინტერესები წარუდგინოს სახელმწიფოს. თანამედროვე სახელმწიფოს აზრით საზოგადოება უფრო სრულად და უშუალოდ გამოხატავს ხალხის ინტერესებს, ვიდრე თვითონ, ამიტომ თანამედროვე სახელმწიფო, მისი არსიდან გამომდინარე, ამგვარად გაგებულ საზოგადოებაში ხედავს თავისი მმართველობის წყაროს და თავისი არსებობის გამართლებას. თანამედროვე სახელმწიფო ხომ წარმომადგენლობითი სახელმწიფოა, რომელიც სხვა ნიშნებთან ერთად ხასიათდება იმითაც, რომ გამოდის მთელი მოსახლეობის სახელით, გამოხატავს და იცავს მთელი ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებს.

მაშასადამე, თანამედროვე სახელმწიფო თვლის, რომ სახელმწიფოს ინსტიტუტებს საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად არ შეუძლიათ ოპტიმალურად შეასრულონ საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგლამენტაციის ფუნქცია, რის გამოც იგი ქმნის სამოქალაქო კომპრომისისა და მსოფლიმსედველობითი პლურალიზმისათვის აუცილებელ წანამძღვრებს, ქმნის პირობებს, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივ ინსტიტუტებს გააჩნიათ ავტონომიური სტატუსი და აქვთ სახელმწიფოს პოლიტიკურ ექსპანსიასთან დაპირისპირების უნარი (Кაլ्वინი И.И., 2002, 30).

ალნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ
ა) სახელმწიფოს არსის ცვლილებასთან ერთად იცვლება სამოქალაქო

საზოგადოების არსი და ფუნქციები, ხდება მისი სახელმწიფოსთან დამოკიდებულების ევოლუცია. თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება ინდივიდთან მიმართებაში გარდა იმისა, რომ ქმნის მის ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის შემაკავებელ სტრუქტურებსა და მექანიზმებს, ამავე დროს ახდენს მოქალაქის გააქტიურებას, უზრუნველყოფს მასში სამოქალაქო თვისებების აღზრდას, რაც გარკვეულად თანამედროვე სახელმწიფოს მიზანი და ფუნქციაცაა. საზოგადოებასთან მიმართებაში კი სამოქალაქო საზოგადოება ავლენს და ააქტიურებს მის შესაძლებლობებს, ქმნის მისი ინტერესებისა და მოთხოვნილებების გამოვლენისა და ფორმულირების პირობებს, რაც ასევე თანამედროვე სახელმწიფოს ფუნქციაცაა;

ბ) სამოქალაქო საზოგადოება არის არასახელმწიფო მოვლენა, მაგრამ იგი არ, უფრო სწორად, აღარ უპირისპირდება სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ ზის სახელმწიფოს სტრუქტურაში, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე სახელმწიფოს არსის განხორციელებაში, ვინაიდან თანამედროვე სახელმწიფომ მნიშვნელოვნად შეიცვალა არსი და იგი უფრო მეტად გახდა დამოკიდებული საზოგადოებაზე. უფრო მეტიც, დემოკრატიის ინსტიტუტების, საზოგადოებრივი შეხედულებების, მრავალპარტიული სისტემის, გავლენის ჯგუფების, თავისუფალი პრესის საშუალებით სამოქალაქო საზოგადოება ცდილობს დაიმორჩილოს სახსელმწიფო, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, თავის მხვრივ, საზოგადოებრივი კომპრომისის მიღწევის საშუალებაა, სოციალური დაპირისპირების შემსუბუქებისა და მოხსნის, საზოგადოებრივი საქმეების მართვის მექანიზმია და არა კლასობრივი ბრძოლის საშუალება;

გ) თანამედროვე საზოგადოებაში სამოქალაქო საზოგადოებას აქვს თავისი სპეციფიური ფუნქცია(თუნდაც სამოქალაქო ინიციატივების ფორმირება), რომელიც გარკვეული აზრით ემთხვევა კიდეც თანამედროვე სამართლებრივი დემოკრატიული თუ გამააქტიურებელი სახელმწიფოს ფუნქციას, სხვანაირად არ შეუწყობდა ხელს თანამედროვე სახელმწიფო მის ფორმირებას, იქ სადაც სახელმწიფო ვერ ხედავდა თავისი ფუნქციის გარკვეულად

განმახორციელებელს სამოქალაქო საზოგადოებაში, ზღუდავდა და კრძალავდა კიდევ მის არსებობას;

დ) თანამედროვე ტიპის დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო ქმნის ყველა პირობას იმისათვის, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ და სახელმწიფომ ურთიერთთანხმობითა და ურთიერთმიმართებით იარსებონ, ასეთ სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნორმალური თანაარსებობა გარანტირებულია, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მოხდა ამ ურთიერთობის ევოლუცია;

ე) სამოქალაქო საზოგადოება განვითარების შედეგად, გადაიქცევა სახელმწიფოს ფუნქციონალურ ორგანოდ. ისტორიულად ასეც ხდებოდა ხოლმე, მაგალითად, პარლამენტი, რომელიც შეუ საუკუნეებში „სალაპარაკო“ იყო და პროტოსამოქალაქო საზოგადოებას წარმოადგენდა დღეს სახელმწიფო ორგანოა, ასევე შეიძლება ითქვას პოლიტიკური პარტიების შესახებაც, ისინი ჩამოყალიბდნენ, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების აბსოლუტიზმის წინააღმდევ მებრძოლი სტრუქტურები, დღეს კი სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენენ. თუნდაც, საბჭოთა კავშირის „საბჭოები“, ისინი სამოქალაქო საზოგადოების ელემენტები იყო, მაგრამ სახელმწიფოებრივი ხასიათი მიიღო. ასევე, დღევანდელი სახელმწიფოს ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაა, რაც ისტორიულად სამოქალაქო საზოგადოების საზრუნავს წარმოადგენდა.

ვ) თანამედროვე სახელმწიფოს არსიდან გამომდინარე, თანამედროვე სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება ავსებენ ერთმანეთს გარკვეული ფუნქციების გადანაწილების გზით.

Мурман Горгoshадзе

**К вопросу эволюции взаимоотношения
гражданского общества и государства**

Резюме

В статье рассматривается вопрос о взаимоотношениях гражданского общества и современного государства. Анализируется эволюция взаимоотношения гражданского общества и современного государства в соответствии с изменениями сущности и функций государства. Показано, что и современное государство и гражданское общество дополняют друг друга путем перераспределения определенных функций.

Murman Gorgoshadze

**About the Evolution of Interrelations between the
Civil Society and the State**

Summary

The issue of relationships between the civil society and the state is discussed in the contribution. The evolution of state-civil society interactions is analyzed according to the changes in the state nature and its functions. In the authors opinion the modern state and the civil society supplements each other by rearrangement definite functions.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახტანგ ერქომაიშვილი, რა არის სამოქალაქო საზოგადოება, წიგნში ვახტანგ ერქომაიშვილი, ადამიანი თავისუფლება, იდეოლოგია, თბ., 2002;
2. ლევან იზორია, თანამდეროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბ., 2009;
3. С. Г. Чукин, Ю.Н. Волков, Государство и гражданское общество в условиях социокультурного плюрализма // Гражданское общество: истоки и современность, М., 2002;
4. Резник, Ю.М. Гражданское общество как феномен цивилизации, СПб, 2005;
5. Гаджиев, К.С. Концепция гражданского общества: идеиные истоки и основные вехи формирования, Вопросы философии, 2004. - №6;
6. Теория государства и права, под общ. ред. О.В. Мартышина, М., 2007;
7. Зеленко Б.И. Правовой етатизм как modus Vivendi РФ (взгляд через кризис), Вопросы философии, 2010;
8. Кальной И.И. Онтологические основания гражданского общества // Гражданское общество: истоки и современность, М., 2002.

ზოგიერთი საკითხი სისხლის სამართლის პროცესის უმთავრესი პრინციპის შესახებ

გივი აბაშიძე

სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს შორის უმთავრესი, პროგრესული და მნიშვნელოვანია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი. ის საპროცესო ლიტერატურაში, სამართლის თეორიაში და პრაქტიკაში გვევლინება ფუძემდებლურ ელემენტად დემოკრატიული მექანიზმის განვითარებისათვის, რაც უზრუნველყოფს პიროვნების უფლებების დაცვას სისხლის სამართალწარმოებაში.

შეჯიბრებითი პროცესი არის თანამედროვე მართლმსაჯულების ცივილიზებული ფორმა, რომელიც სათავეს იღებს 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციიდან, როცა სასამართლო ხელისუფლება გამოყენობა და აღმასრულებელ ხელისუფლებას, მოსამართლეები ემორჩილებოდნენ მხოლოდ კანონს, დანაშაულის აღიარება აღარ იყო მტკიცების ძირითადი წყარო, სასამართლო გახდა საჯარო და პაექრობითი, დაკანონდა დაცვის უფლება და უდანაშაულობის პრეზუმეცია, გაჩნდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და სხვა (Петрухин, 2006, 44).

საბჭოთა პერიოდში შეჯიბრებითობა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ფორმა, მხოლოდ რუსი მეცნიერის ვ.პ. ნაუმოვის კვლევის საგანი იყო (Нажимов, 1975, 81). უფრო ადრე მ.ა. ჩელცოვ—ბეტუტოვის შრომებში შეჯიბრებითობა განხილულია მხოლოდ სისხლის სამართალწარმოების ისტორიული ფორმის ევოლუციის თვალსაზრისით³ (Чельцов-Бетутов, 1954, 269). სადისერტაციო ნაშრომი, სპეციალურად მიძღვნილი სისხლის სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობის პრინციპისადმი, საბჭოთა პერიოდში იყო მხოლოდ ორი, კერძოდ მ.ს. სტროგოვიჩის (Строгович, 1939, 177) და ბ.ა. გალკინის (Галкин, 1957, 311).

საერთოდ, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, შეჯიბრებითობის პრინციპის არსის საკითხი ერთ-ერთმა პირველმა გამოიკვლია მ.ს. სტროგოვიჩმა. მისი აზრით ეს პრინციპი თავისთავში მოიცავს სამი ძირითადი - ბრალდების, დაცვის და სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის ფუნქციის ცალ-ცალკე (განცალკევებულად) განხილვას, ბრალდებულისა და ბრალმდებლის თანაბარ მდგომარეობაში ყოფნას და მათ საპროცესო თანასწორობას (Строговиц, 1939, 90). შემდგომში მ.ს. სტროგოვიჩი შეჯიბრებითობის პრინციპის მეოთხე ელემენტად მოიაზრებს სასამართლოს აქტიურ საპროცესო მდგომარეობას (Строговиц, 1958, 75).

შეჯიბრებითობის პრინციპი დიდი ხანი უარყოფილი იყო საბჭოთა პერიოდის და მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით. ამის მთავარი მიზეზი იყო უარი, ელიარებინათ პროკურორი მხარედ, გაეთანაბრებინათ ის ბრალდებულთან და დამცველთან. ამტკიცებდნენ, რომ პროკურორი პროცესზე არის კანონიერების ზედამხედველი და არა მხარე, რომ თითქოს ის სასამართლოსთან ერთად ასრულებდა საერთო სახელმწიფო, კერძოდ, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. ამიტომ იყო მიუღებელი დამოუკიდებლობამდე ჩვენი ქვეყნის საპროცესო კანონში თვით ცნება „მხარე“, „შეჯიბრებითობა“ და სხვა.

90-იან წლებში საქართველოს საპროცესო კანონმდებლობამ განიცადა ძირეული ცვლილებები და სისხლის სამართლის პროცესის ინკვიზიციური ფორმა შეიცვალა შეჯიბრებითობის პრინციპით. სწორედ, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ, 1995 წლის 16 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციიაში გაჩნდა ტერმინი შეჯიბრებითობა, რაც შესაბამისად ასახული იქნა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც წარმოადგენდა სამართლწარმოების ცივილიზებული ფორმის დასაწყისს და პასუხობდა შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს, უპირველესად პიროვნებისა და მისი უფლებების დაცვას. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში შევა მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრიდან, მხარს უჭერს ყველა პრინციპიალურ დებულებას, რომლებიც პასუხობს სასამართლო პროცესის დემოკრატიზაციის ამოცანებს, სა-

მართალწარმოების ყველა სტადიაზე შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვას, მოქალაქის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების უზრუნველყოფას, რომელიც შედის სისხლის სამართალწარმოების სფეროში.

შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა სისხლის სამართლის პროცესის ქვაკუთხედია. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანაბარი საქართველოში სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის საფუძველზე.

მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობა და დამოუკიდებელი სასამართლო განაპირობებს შეჯიბრებითობის არსა, რომელიც აგებულია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაზე.

შეჯიბრებითობის ძირითადი პრინციპია სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეთა თანაბარი უფლებები. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა კი შესაძლებელს ხდის ამ მიმართულებით ყველა სახის პრობლემის გადაწყვეტას.

მართლმსაჯულება შეჯიბრებითია მაშინ, როცა სასამართლო განხილვის მხარეებს შეუძლიათ აქტიურად და თანაბარ საწყისებზე ამტკიცონ თავიანთი პოზიციის უტყუარობა, მოიყვანონ ამისათვის არგუმენტები, განმარტონ ფაქტები და მოვლენები, წარადგინონ მტკიცებულებები. ამასთან სასამართლო მიზანმიმართულად კონტროლს უწევს მხარეთა მოქმედებას, უზრუნველყოფს კანონით დადგენილი სასამართლო განხილვის წესების განუხრელ დაცვას (სისხლის სამართლის პროცესი, 2008, 148).

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული და განაწილებულია მხარეთა უფლებები. სისხლის სამართლებრივი დევნის ფუნქცია ეკისრება პროკურორს, გამომძიებელს, რომელთა ვალია დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირის გამოაშკარავება, რისთვისაც ისინი ღებულობენ კანონით გათვალისწინებულ შესაბამის ზომებს, ხოლო დაცვის ფუნქციაა კანონის სრული დაცვით უზრუნველყოს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ინტერესები, გაუნიონ მათ იურიდიული დახმარება სისხლის სამართალწარმოების დროს. სასამართლოს მიზანია სისხლის სამართლის საქმე განიხი-

ლოს და გადაწყვიტოს კანონის ყველა მოთხოვნათა დაცვით და მი-იღოს სწორი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება.

ბრალდების, დაცვის და საქმის გადაწყვეტის ფუნქცია ერთმანეთისაგან განსხვავდება და მათი ერთ ორგანოზე, ერთი ადამიანის ხელში თავმოყრა შეუძლებელია. სასამართლო, რომელიც დამოუკიდებელია ნებისმიერი გარეშე გავლენისაგან და თავისუფალია სასამართლოში წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასებაში, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად არ არის სისხლისამართებლივი დევნის ორგანო, ის არც დაცვის მხარედ გამოდის და არც ბრალდების. სასამართლო ქმნის ყველა პირობას, რომ სასამართლო განხილვაში მონაწილე მხარეებმა შეასრულონ კანონით გათვალისწინებული საპროცესო მოვალეობანი, რისთვისაც ბრალდებისა და დაცვის მხარეები სასამართლოს წინაშე თანასწორუფლებიანი არიან. საქართველოს სსს კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისა დასაცავად ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. მხარეებს სისხლის სამრთალწარმოებაში აქვთ გარკვეული საპროცესო ინტერესები, რომელსაც კანონმა მიანიჭა თანაბარი უფლებები იმისა, რომ ჩამოაყალიბონ თავიანთი მტკიცებები და დასკვნები და შეეკამათონ სასამართლო განხილვის მეორე მონაწილეს (მოწინააღმდეგე მხარეს).

საერთოდ მეცნიერ-იურისტების ნაწილს მიაჩნიათ, რომ შეჯიბრებითობა არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის პრინციპია, არამედ ის წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ტიპს. „შეჯიბრებითობა საშუალებაა გამოიკვლიონ მტკიცებულებები, ხერხია პროცესზე მონაწილეებმა დაიცვან თავიანთი პოზიციები საქმეზე მათი უფლებებისა და მოალეობების შესრულების დროს, ჭეშმარიტების დადგენის წესია, მისი მოძებნის საშუალებაა“ (Макаров, 2002). მეცნიერთა ნაწილი სისხლის სამართლის პროცესში უპირატესობას ანიჭებს შეჯიბრებითობის ფორმას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა საქმის ყველა გარემოების სრულად და ობიექტურად გამოიძიებისათვის.

მხარეთა პოზიციების შეჯერება მიმდინარეობს არა მხოლოდ სასამართლოში, არამედ შეჯიბრებითობას ადგილი აქვს სის-

ხლის სამართალწარმოების მთელ პროცესში, კერძოდ წინასწარი გამოძიების წარმოებისას. ვფიქრობთ, საინტერესოა საკითხი თუ როგორ და რამდენად სრულყოფილად ხორციელდება შეჯიბრები-თობა წინასწარი გამოძიების სტადიაზე.

წინასწარი გამოძიების მონაწილეები, ასრულებენ სისხლის სამართლის სხვადასხვა საპროცესო ფუნქციებს, დასახული აქვთ სხვადასხვა მიზნები. წინასწარი გამოძიების სტადიაზე, საპროცე-სო თვალსაზრისით, მხარეები იმყოფებიან თანაბარ საპროცესო მდგომარეობაში, რათა რეალურად, სრულად განხორციელდეს შე-ჯიბრებითი პროცესი. მაგრამ, მეცნიერ-იურისტების ერთი ნაწილის მტკიცებით, წინასწარი გამოძიების დროს, ძნელია ისაუბრო სრულყოფილ შეჯიბრებითობის საწყისებზე (Коныков, 1995, 39). მათ მიაჩნიათ, რომ თითქოს წინასწარი გამოძიების სტადიაზე, მხა-რეები იმყოფებიან მიახლოებით თანაბარ მდგომარეობაში, პროკუ-რორის, როგორც სისხლის სამართლის მდევნელის საპროცესო სტატუსი არ ემთხვევა ბრალდებულისა და მისი დამცველის საპ-როცესო სტატუსს და ამის გამო, მხარეთა თანასწორობა და შე-ჯიბრებითობა წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ერთგვარად შეზ-ღუდული ფორმით ხორციელდება. მათი აზრით, ეს შეზღუდვა გა-მოიხატება იმაში, რომ წინასწარი გამოძიების დროს, პროკურორი ახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას და თვი-თონვე ღებულობს გადაწყვეტილებას საქმის გამოძიებასთან და-კავშირებით ყველა საკითხზე, ასევე ბრალდებული და მისი დამ-ცველი, დაცვის ფუნქციას ისეთ პირობებში ახორციელებენ, როცა მათ არ აქვთ მტკიცებულებების შეგროვების და წარდგენის თანა-ბარი შესაძლებლობა. ამიტომ, თვლიან, რომ ასეთ პირობებში შე-ჯიბრებითობას ნაკლები ადგილი რჩება, ხოლო კანონის თანახმად, გამომძიებლისა და პროკურორის იმ საპროცესო მოქმედებაზე და-წესებული სასამართლო კონტროლი, რაც დაკავშირებულია მოქა-ლაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების შეზ-ღუდვასთან, ვერ ავსებს ამ ნაკლს. აღნიშნულ საკითხზე, უფრო კა-ტეგორიულები არიან სხვა მეცნიერები, რომელთა აზრით, პროცე-სის აღნიშნული სტადია აგებულია ისე, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენება უბრალოდ შეუძლებელია (Якимович, 2002, 162). ზოგიერთს მიაჩნია, რომ შეჯიბრებითობის ადგილია სასა-

მართლო განხილვა და არა წინასწარი გამოძიება (Чичканов, 2001, 129).

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების მიუხედავად, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ისე როგორც სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, მხარეები იმყოფებიან თანაბარ საპროცესო მდგომარეობაში და მათ შორის შეჯიბრებითობა, წმინდა საპროცესო თვალსაზრისით ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, სრული ფორმით ხორციელდება. როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეს, წინასწარი გამოძიების სტადიაზე აქვს მტკიცებულებების შეგროვების და წარდგენის თანაბარი შესაძლებლობა. სხვა საკითხია, ცალკეულ შემთხვევებში, გამოძიების მწარმოებელი ორგანოები, თავიანთ საქმიანობაში, პრაქტიკულად რამდენად რეალურად იცავენ ამ პრინციპს. აქ მთავარია, ამ ორგანოების წება, მხარეები ჩააყენონ კანონით დადგენილ თანაბარ საპროცესო მდგომარეობაში და შექმნან სათანადო პირობები მხარეთა შორის სრული შეჯიბრებითობის განსახორციელებლად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მართლმსაჯულება საქართველოში ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, რომელიც სრული სახით ვლინდება სასამართლოში. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად სასამართლო (მოსამართლე) არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას, ის ვალდებულია არ ჩაერიოს ასევე მტკიცების პროცესში, მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები მათი უფლებების და ინტერესების დასაცავად და თავი შეიკავოს ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა ძიებისაგან, რადგან მათი აღმოჩენა და წარმოდგენა მხარეთა კომპენტენციას განეკუთვნება. მთელ ამ პროცესში სასამართლოს მხოლოდ ის ფუნქცია აკისრია, რომ თუ მხარეს ან მხარეებს უძნელდებათ მტკიცებულებათა აღმოჩენა და წარდგენა, ხელი შეუწყოს მათ მტკიცებულებათა გამოთხვაში.

სასამართლო განხილვაში მხარეები მონაწილეობენ ყველა სასამართლო მოქმედებებში. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პირობებში მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა და-

იცვან თავიანთი კანონიერი უფლებები. სწორედ სისხლის სამართლარმოების ამ სტადიაზე მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით წარადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში და გამოთქვან თავიანთი აზრი შუამდგომლობასთან დაკავშირებით, რაც განაცხადეს სასამართლო განხილვის სხვა მონაწილეებმა.

შეჯიბრებითობის პრინციპმა ჭეშმარიტების დადგენისა და საქმის სამართლიანად გადაწყვეტისათვის მტკიცებულებათა შეგროვების ძირითადი სიმძიმე გაანაწილა ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის. ასეთ პირობებში მოსამართლე წარმოადგენს მიუკერძოებელ არბიტრს, რომელიც თვალს ადევნებს შეჯიბრებითობის მიმდინარეობას მხარეთა შორის, რაც უზრუნველყოფს მტკიცებულებათა წარმოდგენას სასამართლოში. პროფესორი მ.ჩელუცოვი ამასთან დაკავშირებით წერდა: „შეჯიბრებითობის ფორმით პროცესის თანმიმდევრული ჩატარება მოითხოვს, რომ პროცესზე მტკიცებულებების წარმოდგენა და გამოკვლევა მოხდეს მხარეების მიერ, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან თანაბარი უფლებებით, ხოლო სასამართლო წარმოადგენს ბრალმდებელსა და დაცვას შორის დავის მიუკერძოებელ გადაწყვეტის“ (Челюцов, 1947).

როგორც ზემოთ აღინიშნა არსებობს სისხლის სამართლის სამი ძირითადი საპროცესო, კერძოთ ბრალდების, დაცვის და საქმის გადაწყვეტის ფუნქცია. მართლმსაჯულების განხორციელება გულისხმობს სწორედ ამ სამი ფუნქციის განხორციელებას. თავისთავად, თუ ყველა ამ ფუნქციის განხორციელება თავმოყრილი იქნებოდა ერთი ორგანოს ხელში, მაშინ სასამართლო აღარ იქნება მიუკერძოებელი და მითუმეტეს ობიექტური. ამიტომ, აუცილებელი გახდა ბრალდების, დაცვის და საქმის არსებითად გადაწყვეტის ფუნქციის დაყოფა პროცესის სუბიექტებს შორის. სწორდ, ამგვარად იქნა აგებული ჩვენი სისხლის სამართლის პროცესი, სადაც სახელმწიფო ბრალდების ორგანოდ გამოდის პროკურატურა, საქმის გადაწყვეტის ორგანოდ მოსამართლე, ხოლო დაცვის ფუნქცია განაწილებულია ბრალდებულსა და მის დამცველს შორის.

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობამ ფაქტიურად სასამართლო გაანთავისუფლა ბრალდებისა და დაცვის ფუნქციისაგან, ამასთან მკვეთერად იქნა გამიჯნული ეს ფუნქციები. სასა-

მართლოს მიერ განხორციელებული საქმის გადაწყვეტის ფუნქცია გაიწმინდა ბრალდებისა და დაცვის ელემენტებისაგან, რითაც კი-დევ ერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული შეჯიბრებითობის პრინციპის განვითარებისათვის. კერძოდ, ჯერ ერთი, კანონმდებელმა აუკრძალა სასამართლოს ახალი ბრალდების წაყენება განსასჯელისა და ახალი პირის მიმართ; მეორეც, ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია არ გააგრძელოს მტკიცებულებათა გამოკვლევა და ჩაატაროს შეკვეცილი სასამართლო პროცესი; მესამე, დამატებით გამოძიებაში სისხლის სამართლის საქმის დაბრუნება დასაშვები გახდა მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე და არა სასამართლოს ინიციატივით; მეოთხე, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, როცა მას ეთანხმება დაზარალებული, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმე.

აქვე გვინდა ავლნიშნოთ, რომ ჩვენი აზრით მცდარია ზოგიერთი მეცნიერ-იურისტის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ეს უკანასკნელი დებულება არღვევს მხარეთა თანასწორობისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს. პროკურორი, რომელიც არის სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი, აძლევს დამნაშავე პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, ადგენს საპრალდებო დასკვნას და საქმეს აგზავნის სასამართლოში განსახილველად, შესაბამისი კანონიერი საფუძვლების არსებობისას კი აქვს კანონით მინიჭებული უფლება საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე უარი თქვას ბრალდებაზე. ვთვლით, ალნიშნულით არ იზღუდება სასამართლოს დამოუკიდებლობა და არ ილახება მისი ავტორიტეტი.

ამრიგად, საპროცესო ფუნქციების დაყოფის განხორციელება პრაქტიკაში უზრუნველყოფს სრულ ჰარმონიას მართლმსაჯულებისა და ბრალდებულის კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ შეჯიბრებითი სასამართლო განხილვის დროს მოსამართლე არ შეიძლება იყოს სასამართლო გამოძიების პასიური მეთვალყურე. მან როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, არა მაარტო უნდა შექმნას მხარეებისათვის ყველა პირისა საქმის გარემოებების გამოსაკვლევად (მაგ. მხარეთა შუამ-

დგომლობით გამოძახებული იქნას საჭირო მოწმე, მოითხოვოს ესა თუ ის დოკუმენტი, დანიშნოს ექსპერტიზა და სხვა), არამედ აუცილებლობის შემთხვევაში დაუსვას კითხვები სასამართლოზე დასაკითხ პირებს და სხვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სისხლის საპროცესო სამართალნარმოებაში მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აკისრია. შეჯიბრებითობის დემოკრატიული პრინციპი და საპროცესო საწყისი, ქმნის მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს ჭეშმარიტების დასადგენად და სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად. შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სასამართლოს და შეჯიბრებითობის პრინციპი თავის რეალურ გამოხატულებას პოულობს სწორედ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Петрухин И. Л. Уголовно-процессуальное право Российской Федерации. М. 2006 г.стр.44
2. Нажимов В.П. Типы, формы и виды уголовного процесса / В.П. Нажимов // Развитие гражданского, уголовного и процессуального законодательства в советских республиках Прибалтики (1940-1975) – Рига, 1975. стр.81
3. Чельцов-Бетутов М.А. Курс советского уголовно-процессуального права. - М.: Госюриздан, 1957.стр.269
4. Строгович М.С. Природа советского уголовного процесса и принцип состязательности / М.: Юриздан, 1939.стр.177
5. Галкин Б.А. Функции прокурора в советском уголовном процессе / Б.А. Галкин // Советское государство и право.-1957.-№ 12.стр.311

6. Строгович М.С. Природа советского уголовного процесса и принцип состязательности / М.: Юриздат, 1939. стр.90
7. Строгович М.С. Курс советского уголовного процесса/ М.С. Строгович. - М.: Изд-во АН СССР, 1958. стр.75
8. სისხლის სამართლის პროცესი. თბ. 2008 წელი, გვ. 148
9. Макаров Л.В. Участие обвиняемого и его защитника в уголовно-процессуальном доказывании: Автореф. дисс. ... канд. юрид. наук. Саратов, 2002.
10. Кобликов А.С. Принципы уголовного процесса/Под ред. А.С. Кобликова. М., 1995. С. 39.
11. Якимович Ю.К., Семухина О.Б. О некоторых принципах уголовного процесса//Сибирские юридические записки: Ежегодник Ассоциации юридических вузов «Сибирь». Вып. 2, Красноярск. 2002. С. 162.
12. Чичканов А.Б. Принцип состязательности в российском уголовном судопроизводстве//Правоведение. 2001. № 5. С. 129.
13. Чельцов. М.А. система основных принципов советского уголовного процесса. Ученые записки ВЮНа.

Givi abashidze
Competitiveness in Criminal law Procedure
Resume

The author discusses in the article the competitiveness in criminal law procedure as the civilized form of modern justice. It is innovation in criminal law procedural legislation of independent Georgia. Justice is executed in Georgia on the basis of equalitu and competitiveness. The article presents brief historical aspects of its origin and its development.

Author introduces competitiveness as the essence of democratic principles in the criminal law procedure, matters about independent law court, main principles of competitiveness and equalitu of participants,

peculiarities of its execution at the pre-inquiry and on the stage of the case discussion in the law court.

The opinions of scientists of the law are given concerning execution of competitiveness as well as author's own considerations and arguments based on different sources. It is analyzed importance of functional separations of participants, dissociation matters, that have significant practical importance in execution of competitiveness procedural case. Author mentions the important role of the law court in ensuring the principles of competitiveness.

Гиви Абашидзе

**Равноправие и состязательность сторон, как начало
цивилизованной формы судопроизводства**
Резюме

В представленной работе рассмотрена цивилизованная форма современного правосудия – состязательность в уголовном процессе, краткие исторические аспекты его происхождения и развития, переданы сущность и значение состязательности как демократического принципа уголовного процесса, особенности ее осуществления на стадиях предварительного следствия и судебного рассмотрения. Приведены соображения ученых – юристов о принципах состязательности. Опираясь на соответствующие источники, приведены наши взгляды и аргументы относительно их соображений.

ადრეაქტისტიანული ხელოვნების ესთეტიკური გააზრება

ირმა ბაგრატიონი

კონსტანტინე დიდის მმართველობამდე (306-337) ცოტა რამ თუ შეიძლება დაბეჭითებით ითქვას ქრისტიანული ხელოვნების შესახებ საერთოდ (აღარაფერს ვამბობთ მის კონკრეტიზაციაზე). ცნობილია ისიც, რომ იმპერატორ კონსტანტინეს მიერ 313 წელს გამოცხადებულმა მილანის ედიქტმა რჯულთშემწყნარებლობის შესახებ ქრისტიანებს რწმენის სრული თავისუფლება მოუტანა. დასავლური კულტურისთვის ესოდენ მნიშვნელოვანმა ფაქტმა საჯარო მოქმედების უფლება მისცა საუკუნეთა მანძილზე უმოწყვალოდ დევნილ ქრისტიანებს, თუმცა მათ ახალი პრობლემებიც გაუჩინა. საქმე იმაშია, რომ, თავის დროზე, კატაკომბებსა და საიდუმლო ეკლესიებში შეფარებულ ქრისტიანებს არ სჭირდებოდათ გარეგნულ რეპრეზენტაციაზე ზრუნვა; უფრო მეტიც, რელიგიურ წარმოდგენათა მხატვრული გამოსახვა პირველ ქრისტიანებს ეკრძალებოდათ კიდეც.

მილანის ედიქტის შემდეგ კი, ქრისტიანობას საჯაროდ უნდა დაეძლია წარმართული მითოლოგია; ახალი ეკლესიაც, თუ აქამდე უარყოფდა გრძნობად-ემოციურ ანუ ესთეტიკურ გამოშახველობით ფორმებს, როგორც სააქაო სიამეთა წარმართულად მადიდებელს, ამიერიდან იძულებული გახდა მათვის მიემართა. რაკი ამ დროისთვის ქრისტიანული ხელოვნების ფორმები ჯერ კიდევ არ არსებობდა, ქრისტიანებმა თავიანთი იდეოლოგიის სამსახურში უყოყმანოდ ჩააყენეს გვიანანტიკური გამოყენებითი ხელოვნების მთელი არსენალი. ცხადია, ეს უბრალო გადმოტანა იყო და არა ახლის შექმნა. ამიტომაც ადრექრისტიანული ხელოვნება თავისთავადი ან სულაც ახალი მხატვრული სტილი კი არ არის, არამედ — წარმართულ-რომაულისა და ქრისტიანულ ელემენტთა მშვენიერი წაზავი. ამგვარმა სინთეზმა, როგორც ჩანს, ხელოვნების ისტორიაში მეტად საინტერესო და ეფექტური შედეგები დააფიქსირა.

განვითარების სულ სხვა გზას დაადგა ადრექტისტიანული ხელოვნება აღმოსავლეთ მეტროპოლიაში. ბიზანტიის ქრისტიანული ხელოვნება, ფაქტობრივად, განვითარდა გვიანანტიკური მემკვიდრეობისგან დამოუკიდებლად. აღმოსავლურ კულტურებთან პაექტობამ წარმოშვა ბიზანტიურ-ქრისტიანული სტილი, რომელმაც შემდეგ თვალსაჩინო როლი შეასრულა ევროპული ხელოვნების განვითარებაში. ბედის ორონით, ადრექტისტიანული ბიზანტიური ხელოვნების ულამაზესი ძეგლები დღემდე შემორჩენილია არა კონსტანტინეპოლიში, არამედ ქ. რავენაში, რომელიც ბიზანტიტოა მთავარი დასაყრდენი იყო იტალიაში. ამიტომაც, როგორც ხელოვნების თეორეტიკოსები შენიშნავენ, “ბიზანტიურმა სტილმა დასავლეთ ევროპაში გზა გაიკაფა უფრო ქალაქ რავენას გზით” (Попова, 1987, 27).

როგორც ირკვევა, ადრექტისტიანულ ეკლესიებს საფუძვლად დაედო რომის ანტიკური ხანიდან მომდინარე ორი ძირითადი არქიტექტონიკური ფორმა: ბაზილიკა და ცენტრული ნაგებობა. ბაზილიკაში, ანტიკური ტაძრისგან განსხვავებით, არ დგას ღმერთის ქანდაკება, რომელსაც ცალკე სივრცე უჭირავს. ანტიკური საკულტო ტაძარი თუმცა გარს ერტყმის სამლოცველოს, მაგრამ ლიანაგებობაა. გვიანანტიკური ქრისტიანული საკულტო შენობები გარედან ჩაკეტილია, თავის თავში ინტიმურობას ქმნის და ფასადის მიმართ გულგრილია. წმ. პეტრეს ძეველ შენობას (რომი) კი, ამისგან განსხვავებით, ლამის საერო-არისტოკრატიული ფასადი ამშვენებს, რომელიც გვერდით მდგომ შენობათა მდიდრულ ფასადს ერთობ ახუნებს. აქ ბაზილიკაში შევდივართ ტაძრის გარეთა ლიანინაეზოს, ანუ ატრიუმის გავლით. საგულისხმოა, რომ წმ. პეტრეს ტაძარი ხუთნავიანი შენობაა. განვითარებული შუალავის სიგრძისაა, რაც ჯვრულ გეგმას ქმნის. ეს გეგმა “აგერ უკვე ათასწლეულზე მეტია, რაც სიმბოლურად ქრისტეს უვარცმას გამოსახავს” (Комеч, 1978, 67).

როგორც უკვე აღინიშნა, ადრექტისტიანულ ხუროთმოძღვრებაში კვლავ გაცოცხლდა ცენტრული შენობის იდეა, რომლის საუკეთესო გამოხატულებად შეიძლება დავასახელოთ თეოდორის დიდის აკლდამა (რავენა). საინტერესოა, რომ ეს, გარეთ თუ შიგნით სრულიად მოურთავ-მოუკაზმავი შენობა, მნახველს ერთბაშად აჯ-

ადოებს მკაფიო სისადავითა და მშვიდი ძლევამოსილებით. გასაოცარია, რომ ქვით ნაგები კამარის მაგივრობას აქ ერთადერთი კოლოსალური ქვა ასრულებს (დიამეტრი 11 მეტრი, წონა 276 ტონა). ამდენად, აკლდამის გარეშვერილები, რომელთაც არქიტექტურული ნაგებობის ესთეტიკური ფონი ნაკლებად საჭიროებს, აუცილებელ ტექნიკურ ელემენტად გვევლინება “ამ სიმძლავრის მოპირკეთებული მონოლითის 20 მეტრის სიმაღლეზე დასაშენებლად” (Лазарев, 1987, 94).

ადრექტინაციული არქიტექტურის ყველაზე ცნობილი ცენტრული ნაგებობა — სან-ვიტალეს ეკლესია (რავენა) უკვე ბიზანტიურ ნიშნებს ატარებს. ტაძრის პროექტი გულისხმობს ცენტრალური გუმბათით დაგვირგვინებულ რვაკუთხა ფორმას, რაც, ერთი შეხედვით, ძველრომაული თერმების რეკონსტრუქციის განცდას აჩენს. ტაძრის აღნაგობა შთამბეჭდავია სივრცობრივი მოცულობით: მთავარი ნავის ზედა ნაწილს წარმოადგენს სარკმელთა გრძელი მწკვრივი, ხოლო ქვედას — ნახევარწრიულ ნიშათა მთელი სერია. შუანავის გადახურვაში სწორკუთხოვანი მხარის ცილინდრით გადაკვეთის შედეგად ჯვრულ-კამაროვანი ფორმა მიიღება. კამარათა ახალი, უფრო ემოციური (და არა რაციონალური) კონსტრუქცია საშუალებას იძლევა შენობის მთელს ფასადზე რაც შეიძლება მეტი სარკმელი განთავსდეს, რაც მის შინაგან სივრცეს სინათლით ავსებს. გარეგან არქიტექტურულ ფორმათა არაორდინარულობა შეესაბამება “მეტისმეტად სივრცული ინტერიერის მდიდარ შინაგან დეკორაციას” (Н. Брунов, 1985, 105.). მაშასადამე, ცენტრულგუმბათიანი ტაძრები იმდენად ჭარბობდა მართლმადიდებელი სამყაროს ხუროთმოძღვრებაში, რამდენადაც ბაზილიკა დამკვიდრდა კათოლიკური დასავლეთის არქიტექტურაში.

მიგვაჩნია, რომ ასეთი მხატვრული სხვაობის ფონზე, ხელოვნების ისტორიაში კიდევ უფრო მეტად იკვეთება წმინდა სოფიის ტაძრის (სტამბული) განსაკუთრებულობა, რამეთუ მასში ადრექტინაციული დასავლეთისა და აღმოსავლეთის არქიტექტურის ცალკეული ესთეტიკური თავისებურებანი შერწყმულია ერთიან მძღვანელობისათვის. მართლაც, ტაძარში შესვლისას უმაღი იგრძნობა მისი სიმსუბუქე, მისი კონსტრუქციის მასიური და მკაცრი ელემენტები თითქოს ერთბაშად იკარგება. ჩვენს წინაშე იმღება

უზარმაზარი ღია სივრცე, რომელშიც ნიშები, აფსიდები და თაღები ქარით გაბერილ გემის იალქნებს მოგვაგონებს. ტაძრის არქიტექტურაში, როგორც არასდროს აქამდე, გადამწყვეტ როლს თამაშობს სინათლე. უმბათი აცხუნებს “როგორც ზეციური ცისკრის ნათება” (Попова, 1987, 159), რამეთუ მას საფუძველს უქმნის ერთმანეთს მიყოლებულ სარკმელთა პაეროვანი გრძელი მწკვრივი, თავად ტაძრის კედლებს კი, ეს უკანასკნელი, მაქმანიანი ფარდის გამჭვირვალეობას ანიჭებს. ამას თან ერთვის მოზაიკის ოქროსფერი ციფრიმიც და მთელს საეკლესიო მოცემულობაში საბოლოოდ მიიღება თვალხილული სამყაროს “ირეალურობის” ილუზია. ამდენად, ადრექრისტიანული ხელოვნების არქიტექტურული ესთეტიკა, რომლის ცალკეული გამოვლენა ზემოთ განვიხილეთ, წმინდა სოფიის ტაძარში პოულობს ლოგიკურ დასასრულს.

როგორც ვიცით, ჩვენამდე მოღწეული პირველი ქრისტიანული ფერწერის ნიმუშებს წარმოადგენს რომის კატაკომბათა მოხატულობა. მხატვრული ტექნიკისა და შემოქმედებითი სტილის მხრივ იგი წარმართული რომის დეკორატიული სახვითი ხელოვნების ტრადიციებს აგრძელებს; რაც შეეხება ხატვის მანერას, ის შეესაბამება გვიანანტიკურ სტილს. ეს ნიშნავს, რომ მხატვარი ადამიანებსა და საგნებს მკაფიო კონტურით კი არ შემოხაზავს, ან სხეულის მთლიან პლასტიკურ დამუშავებას კი არ ახდენს, არამედ ლალი ფერადი მონასტებით ხატავს და ამ ფერებს ლამის იმპრესიონისტულ ტონებში აზავებს. პირად განცდებზე აგებული მხატვრობის გარდა, კატაკომბებში შეგვიძლია ვიზილოთ წმინდა აბსტრაქტული ფორმებიც, ან მეტად გამარტივებული ფიგურული ნიშნები, რომლებიც სიმბოლურად ალბათ საიქიოზე თუ მიგვანიშნებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადრექრისტიანული ხელოვნება არ წარმოადგენს დეკორატიულ შემოქმედებით ფენომენს, რამეთუ უპირატესად იძენს საკულტო მნიშვნელობას. თუმცა იგი გრძნობად-ემოციური ინტერესებით მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული ბრწყინვალე ნიმუშების წყალობით, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გარკვეული ესთეტიკური თვითმიზანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Брунов Н., Греция. Рим. Византия. //Очерки по истории архитектуры, М., 1985.
2. Комеч А. И., Символика архитектурных форм в раннем христианстве, М., 1978.
3. Лазарев В. Н., Равенские мозаики // «Византийская живопись», М., 1971
4. Попова О., Искусство первых веков христианства, М., 1987.

Ирма Багратиони

Эстетическое осмысление раннехристианского искусства

Резюме

Целью данной научной статьи является эстетический анализ раннехристианского искусства, которое охватывает произведения архитектуры, скульптуры, живописи и декоративно-прикладного искусства, созданные для нужд христианских общин начиная с apostольских времен и до упрочения византийской культуры в 7 в.

В статье отмечается, что древнейшие памятники христианского искусства находятся в римских катакомбах, стены и потолки которых были украшены орнаментальными росписями. Эпизоды из жизни Христа – это исключительно сцены чудес, ручательств его сверхъестественного могущества.

В статье подчеркивается, что трехмерное пространство уступает место абстрактной плоскости, реальная связь между телами и предметами заменяется чисто символическими взаимоотношениями, бесплотные фигуры вырисовываются как легкие, прозрачные тени, оторванные от земли и всего земного. Все материальное подавляется ради достижения максимальной одухотворенности.

В статье утверждается, что при всей близости позднеантичной и раннехристианской эстетики между ними лежит довольно четкая грань. В христианском искусстве дух побеждает тело, а вместе с тем исчезает тягостная борьба между телом и духом, которая с такой силой давала о себе знать в позднеантичных памятниках.

Irma Bagrationi
Aesthetic Understanding of Early Christian Art

Abstract

summary

The present scientific article deals with Early Christian art and architecture - the art produced by Christians or under Christian patronage from about the year 300 to about the year 700.

The article underlines, that after the Edict of Milan (313), which made Christianity the Roman Empire's state religion, Christian art was not restricted to the decoration of the hidden places of worship. An iconography was devised to visualize Christian concepts. The first Christians don't see in art a way of expressing beauty, but one of transmitting their faith and beliefs as well as to teach them.

The article discusses, that Early Christian architecture flourished throughout the Roman Empire on a monumental scale. Buildings were of two types, the longitudinal hall - basilica, and the centralized building - a baptistery or a mausoleum.

The scientific article examines, that Early Georgian Fine Arts developed on similar terms to Early Christian Art yet remained unique. The composition of Early Christian Georgian churches are based on a central space with four apses each having square corner chambers. Thus the plan of the central space represents a cross, or in other words, depicts the idea of the Holy Cross.

XXI საუკუნის განათლების სისტემა

დარეჯან გელაძე

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში უახლესი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, ყველა დარგში მათი დანერგვა და ცოდნის ახალი სფეროების გაჩენა, კონკურენციის ზრდასთან და გლობალური შრომის პაზრის ჩამოყალიბებასთან ერთად, მოითხოვს პროფესიონალიზმის განუწყვეტილ სრულყოფას და ამაღლებას. ამის მიღწევა კი შეუძლებელია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე.

ქვეყნის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სექტორში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით უკანასკნელი წლების განმავლობაში საქმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. წლების წინ წარმოუდგენელი იყო ქვეყნიდან გაუსვლელად მსოფლიოს ცნობილ უნივერსიტეტებში განათლების მიღება. დღეს ეს ადვილად შესაძლებელია ონლაინ რეზიმში. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები გავლენას ახდენენ ცოდნის შეძენის პროცესზე, ინფორმაციის იმ წყაროებსა და ურთიერთობის მედებებზე, რომელზეც სწავლებისა და შესწავლის პროცესია დაფუძნებული და შეაქვთ ცვლილებები სწავლების ხანგრძლივობაში, ადგილსა და ტემპებში. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების თავისებურება ის არის, რომ მათი დახმარებით საგანმანათლებლო ინფორმაცია მთელი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი ხდება. მათ გამოყენებაზე დაფუძნებული დისტანციური განათლების ტექნოლოგიაც, რომელიც ამჟამად მთელ მსოფლიოში სწავლების ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა. უახლოესი მომავლის საგანმანათლებლო სისტემათა შორის სწორედ ადამიანთა დიდი რაოდენობის საგანმანათლებლო პროცესში ჩაბმის აუცილებლობა წამოწევს წინ დისტანციურ განათლებას (<http://www.teusud>).

რა არის დისტანციური განათლება? ეს არის სწავლების ფორმა, როდესაც მასწავლებელი და მოსწავლე დროსა და სივრცეში უმთავრესად განცალკევებული არიან და სასწავლო პროცესში ინფორმაციის წარსადგენად და ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა კომბინაციებს იყენებენ. „XXI საუკუნის განათლების სისტემა”, ასე უწოდებენ სწავლების დისტანციურ ფორმას განათლების სტრატეგიული პრობლემების სპეციალისტები (ჩიგოვაძე, 2003, 406-408)

ვინაიდან დაუსწრებელი სწავლების ფორმა გაუქმდებულია, ამასთან სულ უფრო ბევრ ახალგაზრდას სურს უმაღლესი განათლების მიღება, ზოგიერთს კი წარმოებიდან მოუწყვეტლივ, ამის მიღწევა შესაძლებელია უმაღლეს სასწავლებელში დისტანციური სწავლების ფორმის დანერგვით. აღნიშნული კომპიუტერული პროგრამა სტუდენტს აწვდის იმდენად ღრმა და ვრცელ ინფორმაციას, გამდიდრებულს ეფექტური თვალსაჩინოებით, რაც მიუწვდომელია სწავლების ტრადიციული მეთოდისათვის. იგი მკვეთრად აფართოებს სწავლების შესაძლებლობებს. დისტანციური სწავლება არის ცოდნის მიღების ახალი მეთოდი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით: ტელეკომუნიკაცია, ტელევიზია, მულტიმედია, სატელიტური არხებით მონაცემთა გადაცემა და კომპიუტერული ქსელები.

როგორც ცნობილია დიდაქტიკის ამოსავალი კატეგორიებია სწავლება და განათლება. დისტანციური სწავლება და დისტანციური განათლება-პედაგოგიკის უახლესი მოვლენებია. სამეცნიერო-პედაგოგიური და სასწავლო პედაგოგიური ლიტერატურისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნორმატულ-სამართლებრივი დოკუმენტების კვლევა, აგრეთვე უამრავი საჟურნალო სტატიისა და კონფერენციებზე და სემინარებზე გამოსვლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებობს ამ ნებების საყოველთაოდ მიღებული ახსნა. საზოგადოდ დისტანციური განათლება, ესაა სისტემა, რომლის დახმარებითაც ხორციელდება დისტანციური სწავლება და ხდება ინდივიდუუმის მიერ საგანმანათლებლო ცენტის მიღწევა და დამტკიცება. დისტანციური სწავლების ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემის ისტორიულ-პედაგოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღევანდელ პერიოდში მსოფლიოში არსებობს

საკმაოდ დიდი გამოცდილება დისტანციური სწავლების სისტემის რეალიზაციისა (სურგულაძე, 2007).

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პრაქტიკულად ყველა სფეროში. ბუნებრივია მისი გამოყენების დანერგვის აქტუალობა საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროშიც. დისტანციური სწავლების რესურსების გამოყენება შესაძლებელია კომპიუტერულად ტრადიციული ფორმით ორგანიზებულ სწავლებასთან ერთად. ახალი ინტერაქტიული ტექნოლოგიების საშუალებით სტუდენტებს შეეძლებათ უფრო აქტიური მონაწილეობის მიღება სასწავლო პროცესში, ასევე შეექმნებათ შესაძლებლობა მიღონ გაცილებით მეტი ინფორმაცია და აიმაღლონ ცოდნა. გარდა ამისა, ახალი ტექნოლოგიური საშუალებები უზრუნველყოფენ ფართო დიაპაზონის ინფორმაციული წყაროების მისაწვდომობას სარწმუნო მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით, ინფორმაციის წყაროსთან კავშირს, გამოხმაურებას მოთხოვნებზე და ახალ იდეებს. ყველაფერი ეს გააფართოებს სტუდენტების მიერ ახალი ცოდნის დაუფლების საუკეთესო შესაძლებლობებს. პროფესორს საშუალება ექნება სერვერზე განათავსოს სასწავლო მასალები, მეთოდური მიდგომები, გაუკეთოს ფორმულირება ვიდეო-აუდიო გაკვეთილებს, დავალებებს, ტესტებს, ფორუმებს და სხვა სასწავლო-საინფორმაციო საშუალებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც დამხმარე ინფორმაციული ინსტრუმენტი სტუდენტებისათვის. დისტანციური სწავლების პორტალი დაეხმარება სტუდენტებს სასწავლო პროცესში ორიენტაციასა და მასალის საფუძვლიანად ათვისებაში, შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ტექსტური, ან მულტიმედიური სახით, შესარულოს ინტერაქტიური პრაქტიკული დავალება, მოისმინოს გაკვეთილი, იმუშაოს ტესტზე, იმისდა მიუხედავად, თუ სად იმყოფება ტერიტორიულად სტუდენტი. ტესტები შეიძლება ავტომატურად ფასდებოდეს, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტს ცოდნის გაღრმავებაში (<http://www.gsaau.com>).

დისტანციური სწავლება ადგილის და დროის შეუზღუდავად შესაძლებელს ხდის: გაიცნო უცხო ქვეყნის განათლების სისტემები, მოისმინო ევროპისა და ამერიკის უმაღლეს სასწავლებელთა საუ-

კეთესო პროფესორ-მასწავლებლების მიერ მომზადებული კურსები, მიიღო კონსულტაციები „პირველი ხელიდან“ - თვით კურსის ავტორისგან, ჩააბარო გამოცდები, მიიღო სერთიფიკატი და მოძებნო სამსახური. ყველა სასწავლო მასალა გადაიცემა კომპიუტერული ქსელით. გამოცდების ჩასატარებლად გამოიყენება ინტერნეტი, ფაქსი, ტელეფონი, დიალოგური ქსელი, ვიდეოფონი, აუდიო და ვიდეო კონფერენციები.

დისტანციური სწავლების ელემენტების გამოყენება ტრადიციულ ფორმის სწავლებაშიც დიდი იმედების მომცემია როგორც მასწავლებლისათვის, ისე სტუდენტისათვის. სასწავლო მასალის უმეტესი ნაწილის გადატანით დისტანციური სწავლების რეჟიმში, მასწავლებელს ბევრი გამონთავისუფლებული დრო დარჩება იმისათვის, რომ ფართოდ გამოიყენოს დისკუსიები, საქმიანი თამაშები, გადაწყვიტოს სასწავლო პრობლემები და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ დისტანციური სწავლება არის სააუდიტორიო სწავლის პროცესის გაგრძელება. ამ მეთოდის გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია საღეჭურო მასალა წარმოადგინოს ელექტრონული სახით, მისცეს სტუდენტებს საშინაო დავალებები, ჩაუტაროს ტესტირებები და მრავალი სხვა. ყველაფერი დამოკიდებულია თვით მასწავლებლის მომზადებასა და ინიციატივაზე. საზღვარგარეთ ბევრი მასწავლებელი, რომელიც იყენებს ასეთ შერეული სწავლების მიდგომას, აღნიშნავს, რომ ისინი ზოგაცნ დროს და ზრდიან სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის გამოყენების უნარს.

განათლების დისტანციური სწავლების სისტემის თანამედროვე მდგომარეობის წარმოდგენილ მოკლე აღწერას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ეს სისტემა უთუოდ განსაკუთრებით პერსპექტიულია თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგარი საგანმანათლებლო პრობლემის გადასაწყვეტად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ჩიგოვაძე, ინფორმაცია, საზოგადოება, ადამიანი, თბ., გამომ. „ნეოსტუდია“ 2003.

2. ო სურგულაძე, „დისტანციური სწავლების სისტემები”, მესამე სამეცნიერო კონფერენცია, ქუთ., 2007.

3. <http://www.g sau.edu.ge/disatanciuriscav.thm>
4. <http://www.teusud.edu.ge>

Дареджан Геладзе

Образовательная система XXI века

Резюме

В последние годы в образовательном и научном секторе страны в сфере распространения новых технологий произошли серьезные сдвиги. Началось внедрение различных проектов, которые коснутся компьютеризации средних и высших учебных заведений. Раньше нельзя было и представить, что, не выезжая из страны, можно получить образование в престижных университетах мира. Сейчас это стало возможным в режиме онлайн.

Использование элементов дистанционного обучения в традиционных формах обучения подает большие надежды, как для преподавателей, так и для студентов. Перенос большей части учебных материалов в дистанционный режим даст возможность педагогу больше времени уделять широкому применению дискуссий, деловым играм, решению учебных проблем и т. д.

Таким образом, можно сделать вывод, что система дистанционного обучения в образовании решает важные проблемы и является особенно перспективной для современного общества.

Darejan geladze

The 21-st Century Education System

Resume

In recent years there have been made important steps in installing new technical methods in country's educational and scientific sector. A few years ago it was impossible to get education at the prominent universities of foreign countries, without going abroad. Nowadays it's easier via online regime. Modern informational technologies have an influence on the process of getting education, on informational sources of interaction on which are based the process of teaching and studying and these make changes in the duration, places and speed of studying. Educational information is available for the whole population, this is the particularity of modern informational technologies. The distant educational teaching technologies are based on their use, what is the most rapidly developing course all over the world.

The short description of the condition of modern distant teaching system leads us to the conclusion, that this system evidently is prosperous for the combating of problems which stand before the modern society.

შ რ მ მ ე ბ ი



Т Р У Д Ы PROCEDINGS

რედაქტორი:
ირაკლი განველიძე

გამოხვევლის რედაქტორი:
იზა ხარებავა

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა:

გიორგი ფუტკარაძე

ტირაჟი 200



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge